

האנטי

3

1986

სესია

344

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

3

მ ა რ გ ი

1986

თბილისი

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



დრო, დრო აღნიშნავი..

3. მახვალა გონაშვილი — კომედიანს: „როცა ძალიან მომინატრებოდა ანუ დაკარგული ბარათები“
8. ვაჟა მთარაშვილი — ფიქრები ელიმტრონულ გამოთვლელ მანქანასთან
10. გოჩა აბუთიძე — ლექსები

პროზა და კოეფია

12. ზურაბ გოგია — მკათათმე. მოთხრობები
30. ტაგუ მგაურაშვილი — ლექსები
33. პაატა ნაცვლიშვილი — ლექსები
35. მანანა ავალიშვილი — ოქსახი. მოთხრობა
57. ზაალ ეგანოიძე — ლექსები
61. გულთ კოგიაშვილი — მოთხრობები
71. თამაზ ბაქალა — ლექსები
74. ლევან სანიოიძე — გიორგი ათონელი. რომანი. დასაწყისი.

გაზაფხულის სიმღერები

109. ნაზი ზაღია, ნანა ღვინთაშვილი, მანანა შატავიძე, თამარ სოფოლაძე, ოლგარა გიგინეიშვილი, ირინე უშვერიძე — ლექსები

საქართველოს მშენებელთა

X ქრილოზის შესახებ დრად

112. მირაბ აბაშიძე, თამაზ ბაქალა, ლილა გაროშვილი, ლალი ბრეგვაძე, თამარ თურხანაშვილი, ზაურ კალანდია, ნინო ჭუთათელაძე, არსტომ ჩხიძე, ვაჟა სორანაული

წერილები

122. სულხან შორაღანია — „ფსევები“
130. კობა იმედაშვილი — „გახსოვდეს სიცოცხლე“
139. ნოდარ მამაცაშვილი — წვეთები ჩატაული ზღვის მოქცევა
143. ელგუჯა ხინთიბიძე — ახალი მასალები ქართველ მეფეთა ისტორიული გიგანების შესახებ. დასაწყისი.
153. რუბან ჩითიტი — რეგოლუტივადელი თბილისის ოსური პერიოდიკა

რეცენზია

157. ბექან ნაშივიშვილი — „პარბად დააკვირდით ერ თმანეთს, ადამიანებო!“

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაიშვილი

თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

გურამ გვაშვიძე
გივი გვაშვილი
გიორგი გუგულია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
ვედუა ქახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიაიძე
გურამ შანგიძე
მორის ფოსხიშვილი
ნუგზარ შატაიძე

ავთანდილ
ჩხიკვიშვილი
(ახსენებულნი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი წარბაქიანი
ტარიელ ჭანტურია
პადრი ტოხონელიძე
მეკა ჯონაძე

მაყვალა გონაშვილი

პოეზიიდან: „როცა ძალიან მომინატრებით ანუ დაპარბული ბარათები“

პირველი სიტყვა ეპოთონის ძარს
მე თქვენთვის ვმღერავარ, ძველი
ტრუბადური,
ყურს რატომ არ მიგდებთ, რატომ?
სულ მუდამ ფუსფუსებთ, მუდამ
საქმიანობთ
რალაც აუხდენელს ნატრობთ.

მე ამ ფოსტალიონს მოვტაცებ
ბარათებს,
ჰეი, გამოფხიზლდით წამით,
შეშფოთდით, აჩქარდით, ალელდით,
ამღერდით
და მერე თქვენი გზით წადით.

იქნება გამიწყრეთ ამ სიცელქისათვის,
სიმართლეს მიხედებით გვიან,
თუ კი დაფიქრდებით, კარგია,
რადგანაც
ფიქრები ცრემლებსაც გვეგვიან.

ამ ჩემს საქციელში წვეთია სიბრძნისა,
მე მომწონს ანდაზა ძველი,
რომ სხვა სხვის ტკივილებს უკეთ
გაიგებს და
სხვა სხვის საქმეშია ბრძენი.

როგორც დამკნარ ფოთლებს,
გავფანტავ ბარათებს,
ხალხო, გამოფხიზლდით წამით,

აჩქარდით, შეშფოთდით, დაღონდით,
ალელდით
და მერე თქვენი გზით წადით.

ბარათი პირველი ანუ მონატრება

ჩემო პატრონო, მე წაველ თქვენგან,
მე დავიღალე უცხო ქალაქში,
მომწყურდა ივრის მომყავო წყალი
და მოუთოკავ ქართან თამაში.

აქ სიმშვიდეა, ხანდახან სინსლავს,¹
ხანდახან ზეცა თოვლ-ჭყაპს გვიგზავნის,
შენ არ იღარდო, აქ უცხოდ არ ვარ,
მე თქვენთან, თქვენთან ვიყავ ხიზანი.

ახლა ღამეა, ცა იჭორფლება
და გაშლილია მთვარის ლოგინი,
ზამთარში სოფელს დუმილი ჰქვია,
ზამთარში სოფელს ჰქვია ლოდინი

და სალაყბოზე სოფლის ქალები
ყვებიან ქვეყნის ტყუილს და მართალს:
რომ მიხას ცოლი ყვარობს
ბუღალტერს,
რომ სამი ტყუპი ეყოლა მართას.

1. სინსლავს — (ქიზიყური დიალექტი, წვრილად წვიმს. ცრის).

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ართვენ ღამის უშვეს გორგალს,
ქსოვენ ჭორებს და ჭრელ-ჭრულა
წუნდებს.

თაროზე მოჩანს შოთა და ვაჟა,
მოდისთვის აქ არ იძენენ წიგნენ:

ბერეკაცები ანთებენ ბუხარს,
და მაჩეჩებენ ხელთ ღვინის ჭიქას,
ქალაქის გვითხარ გოგოვ რამეო,
შე სიტყვის ჭადო, და პოლორჭიკა.

მათ ენატრებათ ჩვენი ტოლები,
ჩემი კისკისი მათ ავსებთ ისე,
მერე საწოლზე ვწვები გულადმა,
ტურების ჩივილს დილამდე ვისმენ.

რატომ მეგონა გავეჭეოდი
ქალაქს, ხმაურს და ნაცნობ სახეებს,
ყველაფერს, რაც მე ასე მომბეზრდა,
რაც მამშვიდებს და თანაც მახელებს.

გავეჭეოდი უგულო სიცილს
და სტანდარტულად გაკრეპილ
ბუჩქებს,
მიწას აგურის პომადით სკვერში,
ასფალტის ჯავშნით ჩაიკრულ ქუჩებს.

მაგრამ უშენოდ ჩემი სამეფო
გაუკაცურდა, გავცქერი გზაწვრილს,
მომენატრება შენი ბუხუნო,
ღვეის ტორი და თვალები აწწლის.

ნუ გამიწყრები ამ სიშორისთვის,
თუნდ ერთი ბუკარიც მომწერე რამე.
ცა ტანზე იყრის ცეცხლის ყვავილებს,
სიმარტოვეში ბაცდება ღამე.

ბარათი მეორე ანუ რჩება- ღარიგება უვილს

მიიღე, შვილო, ჩემი კოცნა და
მონატრებული ჩემი სალამი,
შენა ხარ, ბიჭო, ჩვენი იმედი
და ჩვენი რწმენის მყარი სამანი.

უქმად ნუ თელავ ქალაქის ქუჩებს,
ნუ დაყალიბ ალმა და დაღმა,

შენზე ფიქრებში თმაში ჭალარა,
გულზე გამიჩნდა კენწლი და დამტყვევებელი

შვილო, დედაშენს შენი ლოდინით
ამოუ და გული და თვალი,
ჩამოდი, ნახე, როგორ დამშვენდა,
როგორ გაივსო მინაგოს ქალი.

ოღონდ გვადირსე შენი ქორწილი
და შვილს, იცოდე, ნენა გაგიზრდის.
ჩემი დღეები ბრძოლით გავლიე,
შენი მზისა და შენი მთვარისთვის.

როცა მამული ითხოვდა შეველას,
ჩვენ მტერს გმირულად, მედგრად
ვხვდებოდით
და ვიჩოქებდით მკერდნატყვიარნი
და თვით სიკვდილით

ვუკვდავდებოდით.
და გამარჯვება მოგვქონდა გულით
და ვამკვრივებდით ქვეყნის სამანებს
და გვიგზავნიდნენ სწორფერნი ღმილს
და მოლოდინის იასამანებს.

და ერთგულ ქალებს, მშვენიერ
ქალებს
ცოლის და დედის მანდილით
ვერთავდით,
ვმღეროდით ჰანგებს გამარჯვებისას
და ყველა ტკივილს გულში ვიკლავდით.

რად დაივიწყეთ სიტყვა — მიყვარხარ?
ოჯახის ტვირთი რად გემძიმებათ?
რა ბედი ელის, ვიცი, ამ ბარათს,
წაიკითხავ და გაგეცინება.

ბარათი მესამე ანუ შეურიგებლობა

სალამი ვახტანგს,
როგორ ხარ, ბიჭო,
რასა იქმს ჩვენი თხელი ქურნალი?
მე კალმის წვერი დავლაღე, ძმაო,
და კიდევ შემერჩა წერის უნარი.

გავიგებთ ვითომ ცხოვრების ავ-კარგს?
ანდა სიცოცხლის ალფა-ომეგას?

ხომ არ მივყვებით გზებს უკვე
გავლილს,
ვით ქარი — ჩვენი ძველი კოლეგა?

ვერ მოვიცილე, ბიჭო ეჭვები,
ისევ გულს მიღრღნის სევდა ფარული.
მე დაებანაკდი თოვლის ტაძარში
მზის ქალაქიდან გამოპარული.

აქ, ხანდოს მთაზე, მზე ცეკვავს გზნებით
და უჩანს თეთრზე თეთრი მუხლები,
უცქერის დობილს ღიმილით თოვლი,
რძისფერ სხეულით და ხელუხლები
თეთრი კერტებით
კისკისებს თოვლი ელამთვალემა,
გულგრილი ნისლი საჭურისივით
მთებს იქეთ ზღაზვნით მიიპარება.

ასე იდვიძებს ღრუბლის ზეწარზე
დალალებს იშლის მზე ყოველ დილას,
როგორც სიტყვები — მოგელი, მოდი,
თეთრი სასტუმრო არაგვის პირას
დგას გარინდებით და გასაფრენად
თითქოს მზად არის, როგორც თოლია,
ყველგან მთებია და ხევ-ხუეები.
ყველგან მზეა და ყველგან თოვლია.

უკვე გაჭერდა სითეთრით თვალი,
ერთფეროვნება უკვე მომბეზრდა,
ვხედავ, მიდიან ბატები გზაზე
და ძუქნა ძაღლი წვება ღობესთან.

ხან ნარდს ვთამაშობთ, ხანაც ვსვამთ
ღვინოს,
როგორც ეს ხშირად გვჩვევია კაცებს,
საღამოობით არის ცეკვები,
ყველა რატომღაც ეძახის „ტანცებს“.

სტუმრები ცეკვით მოდლიან სხეულს,
ინაზებიან ჩვენი ქალები,
გული როგორმე უნდა გაართო,
თორემ მოკვდები კაცი მთქნარებით.

შინაბერები ისხამენ ას თვალს,
იბნევენ მკერდზე ჭორის ტატილებს,
რომ მოუსმინო იმათ ნაამბობს,
გახარხარებს და თანაც გატირებს.

და ჩათქვირული ჩვენი ქალები
კვლავ ტურისტების იპყრობენ მხეტრას
და დასცინიან ღიბიანებიც
მეოცნებებს და ლექსების მწერალს.

და საკუთარი ცოლის წყალობით
მათ არ აკლიათ ბაბა და ჩიჩი
და მობრძანდება, ჰო, მობრძანდება,
კვლავ მობრძანდება ბატონი „იჩი.“

როგორც სუფრაზე სიტყვა მამული,
ისე მომრავლდნენ ეს კაცუნები,
ქალებს ზომავენ მკერდის სიმაღლით
და გამშრალ ტუჩებს აცმატუნებენ.

და ისე გვანან ისინი ერთურთს,
როგორც წვეთი-წვეთს, ვით ასლი
ღედანს,
მათ რომ ვუყურებ, თითქოს ტაძართან
ღვინის ბოთლებს და ნასუფრალს
ვხედავ.

ხან სიხარულის მომბერავს სიო,
ხანაც წამიღებს სევდის მეწყერი,
ეს შვებულებაც მალე გაივლის
და კვლავ ჩვენს ბებერ ქალაქს ვეწვივი.

წერილი მესამე ანუ ერთგულება

როგორც ყოველთვის, დაგიგვიანე
წერილი, ჩემო ტკბილო დობილო,
ჩემსავით უცხო თვალისთვის მშვიდო,
სოფლის მინათო,¹ ბედს მინდობილო.

ამ ჩვენს პაწია, მყუდრო დაბაში
მოწყენილობა კვლავ დააბიჯებს,
ხანდახან მოაქვთ ინდური ფილმი
და ქალაქისკენ უჭირავთ ბიჭებს
ყური და თვალი,
შენც კარგად იცი,
დიდ ქალაქს თუ რა ანდამატი აქვს.
ის დაბრუნდა და მეც ვაპატიე,
ცოდვები... ღმერთმაც თუ აპატიე.

1. მინათი-ხიზანი.

მე ახლა ვხვდები რად შიატოვა,
რატომ დაკარგა ძველი გზა-შარა
და სიყვარული ასე გულწრფელი
მან სიძულვილით რატომ წაშალა.

მშიშარა იყო, აკრთობდა მუდამ
ლამის მწუხრი და ზეცა მზიანი,
ტანჯვის, ტრფობის და რწმენის
გარეშე,
განა იცოცხლებს ადამიანი?

ასე უმიზნო სევდამ და დარდმა
დაუღრღნა გულის წმინდა ძაფები,
შემოდინდა სულში ტკივილი
ტაშის გრიალით და დაფდაფებით.

მოუთმენლობა დასჩემდა მერე,
ხან საათობით იყო მღუმარი,
და დაიბანგა მერე ვენები,
სულ სხვა სამყაროს გახდა სტუმარი.

და ჩხრიალებდა თეთრი აბები,
გველივით როკდა თრიაქის კვამლი
და უარყოფის მღვრიე მორევთან
ქრებოდა ჩვენი რძისფერი კვალი.

ასე დაკარგეს დღეებმა გემო,
ასე მიუგდო სული სატანას,
და ღრიალებდა ჩემი სიმშვიდე,
სიცოცხლეს უკვე ერქვა გატანა.

მაინც ველოდი და ლოდინს ჩემსას
ეცვა იმედის ფერადი კაბა,
ისხლეტდა გული მზერას დამცინავს
და ივსებოდა იჭვებით დაბა.

მე ვიბრალებდი მაინც ყველაფერს,
თითქოს მის ტკივილს ვერა გაუგე,
და თუნდაც ყველას მე გავეციცხე,
ოღონდ არ ეთქვათ მასზე აუგი...

დაბრუნდა. თითქოს ოცნების ქალაქს
გადაუარა ქარმა სამუმის,
და უცებ გაქრა ყველა მირაჟი,
ტკბილი, ნაცნობი და საამური.

მე ვუცქეროდი და თითქოს ჩემს წინ
ჩემი ოცნების იღვა აჩრდილი
და თოვლის ნაცვლად ცვიოდა ციდან
სერაფიმათა ფრთები დაქრილი.

ჩვენ ვჩურჩულებდით მხოლოდ იმიტომ,
რომ დაგვერღვია ღუმლის ძაფი
და ედებოდა, როგორც მეღუზა,
სულს მოგონების ლორწო და ქაფი.

ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს
მაინც,
როგორც სიყვარულს ჩუმს და
ნამალევს,
ჩემი ოცნების ფერმკრთალ აჩრდილთან
ვიცი, წარსულიც დავასამარე.

და ახლა მისი ქცევა თუ ღიმი
თითქოს გულს მაწევს მძიმე ლოდებად,
თავქუდმოგლეჯით გაურბის სიკვდილს
და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება.

ველარ მომთელავს წამიერ ვენებით,
მეც ძველებურად ველარ ვენებით,
თავდავიწყების ტკბილ-მწარე ბანგით
დაგესლილია მისი ვენები.

ამასა სჯობდა ადრევე მოვეკალ,
ან საგულესთან დაეკრა თოფი,
ეხ, თუკი ღმერთმა გვადირსა შვილი,
იქნება მხდალი და ავადმყოფი.

შენც კარგად იცი, მაინც ვერასდროს
მე ვერ უარყოფ, ვერ მივატოვებ.
თუ მოისურვებს, გამხდის დედოფლად,
თუ მოისურვებს, კვლავ მიბატონებს.

მე უნდა ვზიდო მისი ცრემლები,
ამქვეყნად მხოლოდ მისთვის
ვშობილვარ,
იქნებ დაბრუნდეს განახლებული
ჩემი სიზმრიდან და ბავშვობიდან.

და ისევ ქარის სიმღერა

ჩემს სიცულქეში სიბრძნის წვეთია,
მე მომწონს ერთი ანდაზა ძველი,
სხვა სხვის ბარათებს უკეთ გაიგებს,
სხვა სხვის საქმეში უფროა ბრძენი.

ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
მოირაც ისევ ბედის ძაფს ართავს,
თქვენ კი ფუსფუსებთ და ვერც კი
ამჩნევთ
თეთრსა და წითელს, ტყუილს და
მართალს.

და მაშინ კარგავთ ბედნიერებას,
როცა გგონიათ იპოვეთ იგი

და ასე ჩუმაღ, ავად თუ კარგად,
ჩაივლის ღმერთის წყალობის რიგი.

საკუთარ თავთან ცამდის მართალნი
გადააბრალებთ სხვას ცრემლს და
ცოდვებს
და ემალებით ერთურობის თვალებს,
როგორც განმკიცხავს და
ყოველსმცოდნეს.

ამ წერილებმა თუ დაგაღონათ,
და თუ დაგწყვიტათ გული ძალიან,
თუ მოგენისლათ მშრალი თვალები,
თქვით, რომ ცრემლები ქარის ბრალია.



ზიკრები ელექტრონულ გამოცემულ მანქანასთან

1.

კაცის შექმნილ ლითონის ტვინო,
შენს მოქმედებას საზღვარი უღევს,
არ შეგიძლია წაიღიდინო
და გადალახო კოდური ზღუდე...
შენ იმასსოვრებ უამრავ კანონს,
ურთულეს გრაფიკს ადვილად ხაზავ
და ნამოქმედარს არასდროს ნანობ,
უზუსტესია ფორმულაც, ფრაზაც...
აზროვნებ ჩუმად, ითვლი და ითვლი:
„ერთი და ერთი,“ „ნული და ნული...“
„მლალატობს ვინმე?“ — მოგმართავ

კითხვით,

„ან თუ მეწვევა ხვალ სიყვარული?..“
შენ კი მპასუხობ ჩემს ბიორიტმებს,
ხვალინდელი დღის განწყობილებას...
მე ძველებურად ტკივილებს ვითმენ,
რადგან ბუნებამ ასე ინება...
შენ ვერა მშველი, რადგან ერთადერთს,
რომ მომატყუო, არ შეგიძლია...
გათვლებს მივყავარ ზოგჯერ

ღმერთამდე,

ცაზე ვარსკვლავნი როცა იძვრიან...
არც შემობრალებ, თუმცა ჯობია,
მითხრა სიმართლე, რაკი მწყურია,
მითხრა, ცხოვრება მძიმე ომია,
ქართლის წარსული დიდი წყლულია...
და გულით ბევრ კაცს ჯობიხარ მართლა,
ხარ უღალატო, ზუსტი, ალალი...
მეთერთმეტედან დავიწყე ათვლა,
მითხარი: „იყო დავით, თამარი...“

2.

თვლემენ გუგუნა კოსმოდრომები,
ელოდებიან შედეგს გათვლების...
უკანასკნელი თვლემენ ომები
და რაკეტები, როგორც სანთლები
იწვიან და თან პასუხს ელიან...
მიდის პროგრამა და ფიქრობ შენთვის...
მშვიდობის ზეცა ლურჯი ფერია
და სამომავლო ოცნებებს ერთვის...

3.

შენ გაითვალე ნაგასაკის და ხიროსიმის
უკანასკნელი მშვიდი წუთები...
წყდებოდა ტანჯვით სიცოცხლის სიმი,
რადიოქტიურ სულშეხუთვებით...
ბომბის სიმძლავრე იქნებ გზარავდა,
მაგრამ არ იცი ფიქრი ხმამალა...
ქალაღლის წეროს მოიმედე გოგოს
ბალადა,
ვერ დაიტია თეთრმა ქალაღმა...

4.

ყველა სიკეთე და ბოროტება,
აღმაფრენა თუ სულისკვეთება,
ხომ არ იციან იმ რობოტებმა,
რომელიც ჩვენი ხელით კეთდება?..
ამიტომ, სანამ დილაკს დააჭერ,
რომელზეც ქვეყნის ჰკიდია ბედი,
ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერ!
ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერ!
21-ე საუკუნის გადასახედი...
მანქანავ, ჩვენი საუკუნის ბრძენო
მრჩეველო,
ის ალგორითმი არასოდეს აღარ
გათვალო,
სადაც წერია: ნაცარტუტად იქცეს
ტყე-ველი
ან დაიხუგოს მთელი სამყარო...

5.

ადამიანის გული განძია,
რომელიც ვნებით იმიტომ ფეთქავს,
რომ ყოფილიყო ქვეყნად ვარძია
ან შოთას დიდი პოემა ეთქვა...
რომ აგვებოდა ბოღმით და ჟინით,
როცა კალოზე ბავშვებს ლეწავდნენ...
რომ გაბმულიყო ჩონგურზე სიმაღ,
რწმენის გულისთვის როცა ეწამნენ...

6.

ქვეყნად ლამაზი ფიქრით იწყება
შენება ახლის და გიგანტურის,
პონტოს ზღვის პირას ძველი მიწები,
იბერიული, ჩვენი, ქართული,
ისევ გვეძახის თავისკენ მშვიდად,
ისევ გვეძახის ადგილის დედა...
ტყეებში უკვე დამწიფდა შვინდი,
ცეცხლმოკიდებულ მოცხარსაც ვხედავ...
ჩქარა! შენ შენი კვალი დატოვე,
მანქანა, მითხარ, კაცს როგორ შეცვლის,
ჩამოიცილე ეგ სიმარტოვე,
რომ სიყვარულის მოგედოს ცეცხლი...

7.

შენ სიყვარულით შექმენი ბევრი,
რალას არ ჩაწვდი და უჟიკრიტე,
იაზროვნე და იენამქვევრე
და ცხრაკლიტულის გახსენი კლიტე...
და შენს ორეულს ოცნებით ქმნიდი,
რომ გგვანებოდა ენით და აზრით...
(ტყეებში უკვე დამწიფდა შვინდი
და იღრიკება სიმძიმით ვაზი...)
ჩქარა! ახალი გაავლე ხნული,
შენს მხარეზეა ციფრების ჯარი,
ახალ ფორმულებს ჩაბერე სული,
ახალ ქალაქებს დაუდე კვალი...
მანქანა შენი ერთგული ძმაა,
როგორც მარილი ან კიდევ ცეცხლი,
რომლებმაც მოგვეცეს დევური ძალა,
რომლებსაც დღესაც ვერავინ შეცვლის...

8.

თამაშობ ჭადრაკს,
ლექსში ეძებ ჯვარედინ რითმებს,
ამოწმებ მადნის ყოფნა-არყოფნას,
ებრძვი ინფარქტებს თუ სისხლის
თრომბებს,
თუ უჭრედების ავთვისებიანს
ებრძვი დაყოფას...

ბევრი იხსენი სასიკვდილოდ შენ
განწირული,
(ბედნიერებს კი აღარც ახსოვთ
სახელი მსხნელის),
შენც მოიარე პოლუსების სქელი
ყინული

და ჩაიწერე ხმა მთათა მსხვერვის...
და წინ მიიწევ,
გალაქტიკურ მიხვალ ნაბიჯით
და ბევრ იღუმალ ამოცანის
კარიბჭეს ლახავ...
ველარ გიცნობდა თვით ჩარლზ ბებიჯი,
რომ დაენახე ამქვეყნად ახლა...

9.

შენ გენდობიან და შენი სჯერათ,
(თუმც ცხოვრობ სხვისი გულის
კარნახით,)
მწყინს, საკუთარი არა გაქვს ჭერი,
არ იცი ფერი ლორთქო ბალახის...
ჯერ მე უნდა ვთქვა, რომ შენც იცოდე
და მოგვე ყველა ინფორმაცია:
ბედაურები როდის კვიცობენ
ან როგორ ჩნდება ბავშვი ცაცია...
მე უნდა გითხრა როდის ჩერდება
გული და როდის კვდება ოცნება...
მე უნდა გითხრა, როგორ ბერდება,
ქალი ნარნარი და საოცრება...
ჯერ მე უნდა ვთქვა, რომ მომავლო,
რომ მომავლო ნატვრები ძველი,
გიშრისთვალეუბა ციციქნა გოგონა
ან ბერიპაპის ნაკოყრი ხელი...
შენ უშეცდომოდ უნდა გახსოვდეს
ჩემი წარსული, რადგანაც გენდე
და მომავალში რას მისახსოვრებ,
არ ვიცი, ახლა ნახვამდის,

STOP
END...



გონა აბუთიძე

მემკვიდრე

დღე დღევანდელი, — რაც არსებობს, უკვე შენია,
შენ ხარ მემკვიდრე ყოველივე კარგის და ავის,
წინამორბედმა რაც გადმოგცა: ცდომა, გენია,
შენ ხარ პატრონი ერთადერთი, — თავი და თავი.

შენ უნდა იდგე, გაუფრთხილდე მოღწეულს დღემდე
და წინაპართა მონაპოვარს უფენდე იებს,
გამოაფინო დამარხული საუნჯე 'მზეზე, —
სხვაგვარ საქციელს შენ სამშობლო ვერ გაპატიებს.

დაავირგვინო, შენ წინაპრის ოცნება, ფიქრი,
კეთილი საქმე ყოველივე განაგრძო უნდა,
რაც ვერ მოესწრო, დაიფარა ადრევე იქვით,
დააბოლოვო ისე, როგორც სამშობლოს სურდა.

შენგან მოელის ხსნას ყოველი ჩაშლილი საქმე, —
უნდა შეიძლო, რაც ვერ შეძლეს შენამდე სხვებმა,
შენ შემოგცქერის დღეს სამშობლო იმედით საესე,
შენ უნდა შეძლო ხელუხლები ყამირის ტეხვა.

მ. შაჰავარიანს

არ გაქვს უფლება, ბევრი რამის უფლება არ გაქვს,
სხვა რომ იკადრებს, იმნაირად შენ ვერ იკადრებ,
სხვა რომ დაეცეს, სხვა დავიდეს იმისთვის რაა,
ვერ დაეცემი, შენ ვერ დახვალ მაინც იქამდე.

შენ ხარ ქართველი, ქართველი ხარ და პირველ რიგში
ვერ უღალატებ შენ საქუთარ თავსა და სინდისს
შენში ბოგინობს წინაპართა ნათელი ფიქრი,
შენ სულ სხვაგვარი, სულ სხვაგვარი სიმაღლე გიციდის.

შენ ხარ შეკრული შენი გენით და შენი ჯიშით,
ხარ შებოჭილი ათასგვარი ძალით და ფიცით,
რადგანაც ახლა შენში მოსჩქეფს და შენში ყვის
დავითის სისხლი, საბას სისხლი, ილიას სისხლი.

მზე უმწეოა, თოთო ბალახზე
გალიმებული სხივები დნება,
სიმყუდროვეში, სიწმინდით სავსე, —
სრულდება შენი უსაზღვრო ნება.

წვიმაში ნაბან ჩიტის ფრთხილით,
ფარფატა ნიავს ბავშვივით ხვდები —
ცისფერ სივრცეში გააქვს წკრიალი, —
იმსხვრევა შენი კამკამა ხმები.

და ცის ჩამოღვრას, ყველაფრის მდომი
მთელი სხეულით როდესაც ელი,

მე ვხედავ შენში, თანდათანობით,
როგორ იღვიძებს ველური გენი.

მე ვხედავ შენში, ვით ვერ იყუჩებ
მსუბუქი ფრთების უსაზღვრო
წყურვილს,
შენი სიცილი მთების სიჩუმეს,
რალაც საამო ჟრუანტლად უვლის.

მზე უმწეოა. — უფრო ნანატრი,
უფრო სხვაგვარი სიგრილე მეფობს...
როგორ ამალღდით, როგორ ამალღდით
ამ სილამაზით, ამაყო მთებო.

ზამთრისპირი

აჰა, ნაცნობი, დღე შეჩვეული,
აღარც მახსოვდა და შეეხვდით ისევ,
დამწვარ ფოთლების ფერფლი და სუნი
უხმოდ ერევა ნაცრისფერ ნისლებს.

ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
ამ ზამთრისპირისაც კვლავ მარტო
ვხვდები,
ვით სევდიანი ბელურა ჩიტი
გალურსული გარ და მიმძიმს ფრთები.

გვიანი შემოდგომა

მზით დაღლილ ხეებს, ტყეში, გვიან შემოდგომაზე,
აქვთ შეშვერილი წყნარი ტანი კამკამა ცისთვის,
უღონო ქარი მსუბუქ ფოთლებს დაჰკოწიალებს
და ფოთოლცვენის რეჰვიემის ჩურჩული ისმის.

ისე ლურჯია შიშველი ცა — ხეებთან ერთად. —
თითქოს შეცდომით ფოთოლცვენამ ზეცაც გაყრიდა...
მერე უეცრად, სევდიანი მიდამო კრთება
და ივერცხლება მოწყენილი ზამთრის გრაფიკა.



ზურაბ გოგია

მკათათვე

დედუღეთი

ზემო იმერეთის ერთ-ერთი ქედის სამხრეთ ფერდობზეა შეფენილი ჩემი დედუღეთი. თუ ვახუშტი ბატონიშვილს ვერწმუნებით „ადგილი ესე არს ყვავილოვან-ბალახოვან-მწვანოლოვანი, ზამთარ რბილი და ზაფხულ გრილი, ხალხი მხნე და შრომისმოყვარე ფრიად, ჰავა საამო და ზომიერი“. ამ ქვეყანაზე არაფერია მუდმივი. შეიძლება დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის დროს მართლაც ასე იყო, ოღონდ ახლა კი ცოტა შეცვლილია გარემოცა და ჰავაც. ზამთარი ისეთი იცის, ხანდახან კვირიდან კვირამდე ცხვირს არ გამოგაყოფინებს გარეთ, ხოლო ზაფხული ცხელი და „ცეცხლებერ შემწული“, როგორც ბრძანებდა ბატონი იაკობ.

სოფლის ბოლოზე ჩამოდის პატარა მდინარე დუშალა. მკათათვეში ისე დაპატარავდება, ბედურაც კი თავისუფლად გატოპავს მეორე ნაპირზე. გაზაფხულზე იცის მოდიდება, მაგრამ მაინც ისე, ჭიპამდე თუ მიწვდება კაცს.

როგორც უმეტესი ქართული სოფელი, ჩემი დედუღეთიც უზნებადაა დაყოფილი. ყოველ უბანში, ძირითადად, თითო გვარი ცხოვრობს: მაჭარაშვილები, ნოზაძეები, ნემსაძეები, ჭიმაძეები, გაფრინდაშვილები და ტალახაძეები. შიგადაშიგ სხვა გვარის ხალხიც

ცაა ჩასახლებული. ყველა უბანს თავისი სახელი, უფრო ზუსტად, მეტსახელი აქვს მიკერებული: კობიები, ჩაფუშნეები, ტოტიკები, კანიღეები, კუდიანები, ცომიჭამიები. ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ორიოდე სიტყვით ავხსნით ამ ზედმეტი სახელების ისტორიას: უხსოვარ დროს მაჭარაშვილების უბანში დიდი სეტყვა ანუ კობი მოსულა. სოფელში არსად ერთი კაკალიც კი არ ჩამოვარდნილა, მხოლოდ ესენი დასეტყვილან მაინცდამაინც. მას შემდეგ მაჭარაშვილებისათვის „კობიები“ შეურქმევიათ. (თუ რას ეძახდნენ წინათ ამ უბანს, ისტორიული წყაროები ამის შესახებ დუმან!).

ნოზაძეებს „ჩაფუშნეებს“ ეძახიან. რატომ? გეტყვით აგერ. რევოლუციამდე ძალიან უჭირდა სოფელს, რომ იტყვიან, კუჭი უხმებოდა შიმშილით. ამ გვარის ერთ-ერთ წინაპარს სადილობის დროს თავის ჯალაბისათვის უთქვამს: მაგი რძე რომ გიდგათ ჯამებით და ცარიელას ხვრეპავთ, ბევრი მჭადი ჩაფუშნეთ შიგ და გაძლებითო.

„ტოტიკების“ ისტორია შემდეგნაირადაა: ვინმე გერასიმე ნემსაძეს, ქალეზის მუსუსსა და ფრიად მოყვარულს, მეზობლის პატარძლისთვის გაუბამს არშიყობა. განრისხებულ სოფელს, ქართული ზნეობის დამრღვევისათვის,

ჩამოხრჩობა მიუსჯია. კაკლის ხის ტოტზე გამოუნასკვავთ თოკი და ზედ ჩამოუკონწიალებიათ ეს შენი იმერელი დონ-ქუანი. ტოტს ვერ გაუძლია სიმძიმისათვის, მოტეხილა და გერასიმე სიკვდილს გადაჩენილა. ბერეკაცები ამ ამბავს შეცვლილი ვარიანტიცად გადმოცემენ ხოლმე. გერასიმე თავდაყირა დაუყიდათ და თოკი ყელზე კი არ წაუქურიათ, არამედ... თუმცა ამას რა მნიშვნელობა! აქვს, შეერქვა ნემსაძებებს „ტოტიკები“ და მორჩა.

„კანილეტიები“ ქიმაძეების მეტსახელია. ზამთრობით შიმშილის მოსაკლავად ღორის კანს ლეჭავდნენ და ისე გაჭონდათ თავი გაზაფხულამდეო. დაახლოებით ასეთივეა „ცომიჭამიების“ ანუ ტალახაძეების მეტსახელად მონათვლის ბიოგრაფიაც. მჭადის გამოცხობას არ აცლიდნენ, ჯერ კიდევ ცომს ააძრობდნენ კეცზე და გამალებით შესანსლავდნენ ხოლმეო.

გაფრინდაშვილებს კიდევ ერთი კუდიანი დედაბერი ჰყოლიათ გვარში. შუღამისას ეს ბებერი გადაჯდებოდა ცოცხზე, საბუხრედან ამოიპარებოდა და რკვიანაზე დაფრინავდაო მამლის ყივილამდე. ჰოდა, მიტომაც შეერქვათ „კუდიანები“.

ის სოფელი რა სოფელია თუ ერთი ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევი ან ეკლესია მაინც არ გააჩნია. ამ მხრივ ჩემს დედულეთს თავი ქუდში აქვს. ცენტრში აღმართულია მეთოთხმეტე საუკუნის, ამჟამად გუმბათმორღვეული და კოლმეურნეობის საწყობადაქცეული, წმინდა გიორგის ეკლესია. ზემოთ ჩამოთვლილი უბნები სწორედ ამ ისტორიული ძეგლის გარშემოა განლაგებული. სოფლის ბოლოს, მდინარე დუმალას გადაჰყურებს დროჟამისაგან ქონგურებაქცეული და ხვსმოდებული ერთი ციხე-კოშკი. სოფლელები მას „ობლის“ ციხეს ეძახიან. ლეკიანობის დროს შემოსეულ მტერს დედაბუდიანად ამოუწყვეტია ამ კოშკის მფლობელთა ოჯახი. გვარის გამაგრებულ-

ლად ერთი ბავშვი გადაჩენილა მხოლოდ, რომელიც მამამისს ცარეულ ქვევრში ჩაუმაღავს და ზემოდან ნახელი დაუწოლებია. მეორე დღეს უნახავთ ნახანძრალში შიშისა და ტირილისაგან მისავათებული ბიჭი.

ეკლესიის დასავლეთ მხარეს მოწყობილია ნახერხდაყრილი საჭიდაო მოედანი. ზაფხულობით, უქმე დღეებში, აქ ექვსივე უბნის ხალხი იყრის თავს, აბრაგუნდება დოლი, აჰყვიტინდება ზურნა და გაუხელდებათ სისხლი მზემოკიდებულ ბიჭებს. მოზერებივით დაიძრებიან ადგილიდან, ძალსა და მოხერხებას მოუსინჯავენ ურთიერთს ფალავნები, ახალ-ახალი ილეთებით თავს აწონებენ საპატარძლოდ შეღერებულ ქალიშვილებს.

ასე, რომ ქართული სოფლის ბარბაზე კორბეთს ვერაფერში მოუნახავ ნაკლს. მალაზიის თავზე დამაგრებული ვედროსმაგვარი რადიორეპროდუქტორი დილის ექვს საათზე სახელმწიფო ჰიშნით აღვიძებს მოსახლეობას. თუმცა, გამრჯე გლუხიკაცი მამა-პაპურად მაინც მამლის ყივილზე გადის საკუთარ ნაკვეთში სამუშაოდ. სანამ ბრიგადირები კარდაკარ ჩამოიბრუნენ ხალხის შესაკრებად, ისინი უკვე კარგა ხნის გავარჯიშებულნი არიან თოხნაში.

კორბეთს აქვს მალაზია, სასადილო, კლუბი, საპარკიმახერო და საერთოდ ყველაფერი, რაც თანამედროვე სოფელს ესაჭიროება. სოფლის საბჭოს გვერდით მდებარეობს მილიციის საგუშაგოც, სადაც, აგერ ოც წელზე მეტია, მუშაობს მშრომელთა სიმშვიდის დამცველი და კანონის კაცი, (როგორც აქ ეძახიან!) სპირიდონ ნემსაძე.

წარმოუდგენელია კორბეთი უსპირიდონოდ და სპირიდონი უკორბეთოდ. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ალამაზებენ. მოკლედ, კანონის კაცი სოფლის განუყრელი ატრიბუტია! რაც თავი ახსოვთ, სპირიდონა სულ ერთი და იგივე ფორმით დაიარება, ხალხი ისე შეეჩვივა ამ ფორმას, ვერც კი ამჩნევენ თუ

როგორ გადახუნდა ლურჯი კიტელი მხრებსა და ზურგზე. ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, ლოგინში ცოლთან მილიციის ფორმით წევს ხოლმეო, რაც ჩემი აზრით, სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს. სოფლის ენაქვიმატმა შალიკო მაჭარაშვილმა (კოხიამ) ერთხელ ასეთი რამ უამბო მეზობლებს: გუშინ, ჩემო ბატონო, საქონელს მოვდენიდი დამპალი მიწიდან. გავუსწორდი მაგათ ვენახის ბოლოს. ვხედავ ფორმაში გამოწყობილი სპირიდონა წამოსკუპებულა კაკალზე და თავის სიგრძე ქოკს უხნათუნებს ტოტებს. ერთიც გავიხედოთ და ქე არ მოძვრა კიკირტოიანი ქული?! ჩამოვიდა ძირს, დაიხურა თავზე და ისევე გააგრძელა ბერტყვაო. არ ვიცი, რამდენად მართალია შალიკოს ნათქვამი, მაგრამ ეს კია, სპირიდონა უფორმოდ კაცს არ უხნახავს არსად.

სოფელში ჯერ არავის ახსოვს ქურდობა და ამის მსგავსი მამაძაღლობა. გარეთ გასული კაცი უბრალოდ გამოიხურავს კარებს, რადგან დარწმუნებულია მის სახლს არაფერი საფრთხე არ ემუქრება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სოფელს მილიციელი არ სჭირდებოდეს. მე აქ მთავრობამ დამნიშნაო, ასე იტყვის ხოლმე სპირიდონა, ზემოთ უკეთესად იცოან ვარ თუ არა საჭირო და იმიტომაც მიხდინაო ასოც მანეთ ხელფასს. არ არსებობენ მეზობლები, რაც არ უნდა სიამტკბილობით ცხოვრობდნენ, რამეზე არ წაკინკლავდნენ ერთმანეთში. მათი დაშოშმინება და შერიგება კანონის კაცის პირდაპირი მოვალეობაა. ქორწილში აჭინჭყლდება ვინმე მაყარი და სპირიდონას მეტი ვინ დააწყნარებს. რაიმეზე დამდურებული მამაშვილი ეყრება ერთმანეთს და კანონის კაცზე მეტი ვერავინ მოგვარიგებსო. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, საქმე თავზე საყრელი თუ არა, საკმაოდ მაინც აქვს სპირიდონ ნემსაძეს.

ამ ათი თუ თორმეტი წლის წინათ რა-

იონმა სოფლის მილიციელი სამთელიანი მოტოციკლეტით დააჯილდოვა მართალია, მოტოციკლეტი კარგა გვარიანად იყო ექსპლოტირებული, მაგრამ სულ არაობას ჯობდა. ეგაა ცოტა აღმართზე უჭირდა ასვლა და ოჩანი ხარივით გაჯიუტდებოდა ხოლმე, თორემ სწორ გზასა და მითუმეტეს, დაღმართზე ვიყვარდეს — მხეცივით ეწეოდა მოტორი. თანაც, რაც მთავარია, მოტოციკლეტიან მილიციელს უფრო მეტი წონა და ფასი დედო ხალხის თვალში. ყოველ დილით ზუსტად ერთ და იმავე დროს ჩაირახრახებდა სოფელში და ყოველ საღამოს ერთ და იმავე დროს შემოურახრახებდა უბნებს. შრომისაგან დამაშვრალ ხალხს კი არ აწუხებს, პირიქით, ამშვიდებს მოტოციკლეტის ხმაური — ჩვენს მშვიდობიან ძილს კანონის კაცი იცავსო. ეგ კი არა და, ისე მიეჩვიენ მოტოციკლეტს, მისი ხმის გაგონებაზე საათებს ასწორებენ ხოლმე ხანდახან. დილით ლოგინში მონებივრე ბავშვს ასე დაუცაცხანებს დედამისი: ადე, შე არდასაცალბელო, სპირიდონამ ჩაირახრახა, სკოლაში დაგავიანდებაო. ან კიდევ გვიან საღამოს: კაცო, რას აკვარკვალე მაგ თვალებს, რახანია სპირიდონამ ჩაიარა... დამაძინე ახლა, თუ ღმერთი გვამს!

ერთი დღე ვერ წარმოუდგენია ხალხს სოფელი სპირიდონას გარეშე. ყველას უყვარს და შიში კი არა, რიდი აქვთ მისი. თუ ხანდახან რაიონში გამოიძახეს და სადღაც გააგზავნეს, კურსებზე თუ რა ქვია იმას, სოფელი მაშინვე მოისაკლისებს. თვალში აკლიათ, მოიწყენენ, რაღაც აწუხებთ. უსპირიდონობა აწუხებს სოფელს!

სპირიდონას ერთი მედალიც აქვს მკერდზე დაბნეული. არა, ვინმე საშიში რეციდივისტის ანდა ყაჩაღის დაკავებისათვის კი არ მიუციათ ეს მედალი, არამედ... წყალწაღებულის გადარჩენისათვის! თუ გაინტერესებთ როგორ გადაარჩინა დუმალაში დახრჩობას კა-

ნიღვეების ხუთი წლის ჯამბული, აგ-
ერ გეტყვით.

ერთ დღეს... თუმცა, აჯობებს გადა-
ვთვალეროთ მაშინდელი რაიონული
გაზეთი „კომუნისმისაქენ“, სადაც მე-
სამე გვერდზე მოთხრობილია სპირი-
დონა ნემსაძის გმირობის ამბავი:

რუბრიკა: მე მიცავს ჩემი მილიცია!

სათაური: ყოჩაღ, სპირიდონ!

შემოდგომის მზის ოქროსფერი სხი-
ვები დაჰფენია კორბეთს, წელი სიო
არხვეს გაყვითლებულ ფოთლებს.

ფოთოლცვენაა.

დიდი თუ პატარა საკომუნისტრო
ბალ-ვენახებს შესევნიან და იმკიან მთე-
ლი წლის ნაშრომს. მხიარული სიმღე-
რები და სიცილი ეფინება გარემოს.
წინათ აქაურ გლეხკაცს მკაფი და ლო-
ბიო ენატრებოდა, დღეს კი ყველაფერი
თავზე საყრელად აქვს.

ახლა რომ საერთო საქმეზე თავის
არიდება ღალატს უდრის, ეს ყველას
კარგად ესმის. კარგად ესმის სოფლის
მილიციელსაც, სპირიდონ ნემსაძეს.
მართალია, ბალ-ვენახებში არ მუშაობს,
მაგრამ მისი შრომა არაფრით ჩამოუ-
ვარდება სხვისას.

სპირიდონი დაფიქრებული მიუყვება
მდინარე დუმალას ნაპირს და ფხიზ-
ლობს, არავინ დააფრთხოს მშრომელი
ხალხის მშვიდობიანი შრომა.

ამღვრეული მოაგორებს ტალღებს
დუმალა.

სპირიდონი მდინარის პირას ჩამოჯ-
და დაფიქრებული და უნებურად გაახ-
სენდა დიდი ქართველი პოეტ-რომან-
ტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოე-
მა „ბედი ქართლისა“ და ნაწყვეტი ამ
პოემიდან „მორბის არაგვი არაგვიანი“.
აქ, ამ მდინარის პირას გაიარა სპირიდო-
ნის ბავშვობამ. ვინ იცის, დედა-მდინარის
ჭილეებში რამდენი უთევზავია. ოცი
წელია სპირიდონი ხალხის სამსახურში
დგას. ეს ოცი წელი იცი კი როგორი
ოცი წელია მკითხველო?!

— დედაა! — მოესმა უცბად სპი-
რიდონ ნემსაძეს და ფეხზე წამოიჭრა.
მიიხედ-მოიხედა.

მდინარიდან მოისმოდა სასოწარ-
კვეთილი ხმა.

— მიშველეთ! — ახლა სულ
ლოდან შემოესმა სპირიდონს და დაი-
ნახა როგორ მოაქანებდა ტალღები პა-
ტარა, სიცოცხლით სავსე ბიჭუნას
სხეულს.

ერთი წამითაც არ დაბნეულა სოფ-
ლის ერთგული გუშაგი.

უცბად გაიძრო ტანზე და ადიდებულ
მდინარეში გადაეშვა. მძლავრად მო-
უსვა მხარული და ვაჟკაცურად შეებრ-
ძოლა აბობოქრებულ სტიქიას. წამოე-
წია შიშისგან თვალებგაფართოებულ
პატარას და ჯაღიძმა: ნუ გეშინია, შვი-
ლო! ხელი ჩაავლო და მდინარის აზ-
ვირთებულ ტალღებს გამოსტაცა გულ-
შედონებული ბიჭი. პირველი დახმარე-
ბისათვის სხვისთვის როდი მიუმარ-
თავს, არამედ თითონ აღმოუჩინა.

ასე იხსნა აშკარა დაღუპვისაგან თა-
ვისი ვაჟკაცური გმირობით ხუთი წლის
ჯამბული და მერე თავის მშობლებს
მიჰგვარა. ცრემლი სდიოდათ ღაწვებ-
ზე გადარჩენილი ბავშვის მშობლებს
და სპირიდონს მადლობას უხდიდნენ.

...დაფიქრებული მიჰყვება სპირიდო-
ნი მდინარის პირს.

მხიარული სიცილ-ხარხარი ისმის
ველ-მინდვრებიდან.

ფოთოლცვენაა.

ზინა სიმონიშვილი

(საქ. კორ.)

ამ წერილმა გამოქვეყნების შემდეგ
აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწ-
ვია კორბეთში. ყველამ საკუთარი შე-
ხედულება გამოთქვა:

კობების შალიკო: „კი ბატონო, ყვე-
ლაფერი ცხადად არის დაწერილი, მა-
რა სპირიდონამ ტანზე გაიძრო, მომ-
კალით და ვერ დავიჭერებ.“

ცომიჭამიების ტრიფონა: კაცო, ამ
გავანია სიცხეში რამ გადარია ეს მდინა-
რე, ამისი ვერაფერი გამიგია. თვარა
ისე...

ჩაფუშნეების ნიკალა: ყველა, ყველა,
მარა თუ ბარათაშვილი ასე უყვარდა
მაგ შეჩვენებულს, რას გვიმალავდა,
ნეტაი?

კანიღებების ისიდორე: მე რა მიკვირს, იცით?! მაგხელა ახმაზი ღუშალაში, რომ ჩაწოლილიყო, მხარულს რაფერლა მოუსვამდა, შე კაცო! „პაპლასტუნსკით“ ვახობდა ალბათ...

კუდიანების სიმონა: რაც აქანაა დაწერილი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სრული სიმართლე უნდა იყოს. ნამეტნავად გვარი და სახელი ემთხვევა სინამდვილეს.

კიდევ დიდხანს კამათობდნენ სპირიდონას გმირობის გარშემო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

თვითონ სპირიდონა?

დანა რომ დაგერტყათ დანა, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. ეს რა მიქნა იმ ვიღაც მამაძაღლმა კორესპონდენტმა, რაფერ მომპრა თავი ხალხშიო. მოახტა თავის მოტოციკლეტს და რაიონისაკენ გაფრინდა. გაზეთის ფრიალით შეგარდა რედაქტორის კაბინეტში — ვინ დაწერა ეს სტატიაო! დააწყნარეს, დაამშვიდეს, რა მოხდა ისეთი, შე კაცო, შეგაქეთ, ხომ არ გვიგინებიაო. თქვენც შეგარცხვინათ ღმერთმა და თქვენი შექებაყო. გონდა თუ არა მანახვეთ ამის დამწერიო. აღელვებული ხართ, ბატონო, დაიშოშვინეთ წერებები და განახვებთ, აბა, რას ვიზამთო. ხმას არ გავცემ, ერთი შემახედეთ მაინც ვინააო. დაიფიცეო, უთქვამთ. რაზე დავიფიცეო, გაკვირვებია სპირიდონს. რომ არაფერს დაუშავებთო. არა, ბატონო, სინდისს გეფიცებით, არაფერს ვერჩიო.

შემოუყვანიათ ერთი ჩამრგვალებული წარბ-წამწამ-ლოყებ შეღებილი გოგო. კაბა მუხლს ზემოთ ერთ მტკაველზე აეტაცებინაო, იგონებდა მერე სპირიდონა. (როგორც შემდეგში გაირკვა, იმ გოგოს ბიბლიოთეკარული დაუმთავრებელი და სპეციალობით ადგილი რომ ვერ მოუხნახავს, რაიონულ გაზეთში დაუწყია მუშაობა ლიტმუშაკად).

შვილო, უთქვამს სპირიდონას, შენი დაწერილია ესაო: კი ბიძიაო, ძლივს ამოუჩურობულებია შემკრთალ გოგონას. ჩვენი სოფელში თუ ყოფილხარო: კი,

ბიძიაო. ღუმალა თუ გინახავს შენო. არაო! იცი თუ არა, შვილო, იმ წყალში რაც არ უნდა იგაუქაცოს კაცმა. თავს რომ ვერ დაიხრბობსო? რა ჩემი ბრალია, ბიძია, კოლმეურნეობაში ვიყავი ნარკვევის გასაკეთებლად და იქ მითხრა აგრონომმა. ჩვენი სოფლის მილიციელმა, სპირიდონ ნემსაძემ, გუშინ ბავშვი გადაარჩინა დახრბობას ღუმალაშიო. ჰოდა, მეც ასეთი შემთხვევა ხელიდან აღარ გავუშვიო. მერე მოსულიყავი ჩემთან, შე კი დედამიწვილო და გეტყოდი ყველაფერს. იმ დღეს წისქვილში ვიყავი, ბატონო, რედაქტორისათვის მიუმართავს, სიმინდი მქონდა ჩამოსაფქვავი. ჰოდა, მეწისქვილის პატარა ბავშვი შესულიყო წყალში, შეშინებოდა და უკან ველარ გამოდიოდა. მუხლებამდე წვდებოდა წყალი, მარა რა ჰქუა მოეკითხება, ბატონო, ხუთი წლის ბაღანას. გადავწვდი და ნაპირზე ამოვიყვანე. მორჩა, ეს იყო და ეს. ფეხის დასველების მეშინია წყალში და ამან, შენ ხარ ჩემი ბატონი, სპორტის ოსტატი არ გამომიყვანა ცურვაში?

იმ დღიდან საკმაო ხანის გასვლის შემდეგ, სპირიდონა რაიონში გამოიძახეს. როცა მედალი „წყალწალებულის გადაარჩენისათვის“ გაუწოდეს, სასტიკად იუარა თურმე. რას ამბობთ, ბატონო, მამასხარავებთ თუ რაგა თქვენი საქმეო. როგორ გეკადრებათო, უთქვამთ, ღროზე რომ არ გამოგეყვანათ ის ბავშვი წყლიდან, ხომ შეიძლებოდა ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო. ასე, რომ თქვენ დამსახურებულად გეკუთვნით ეს მედალიო.

მართლაც და, უფიქრია მერე სპირიდონს; რომ არ ჩამეგლო იმ ბავშვისათვის ხელი, ხომ შეიძლებოდა გული გახეთქოდაო შიშით. რა შეუძლია ჩიორა გულის პატრონსო და ჭილდო მკერდზე დაუბნევიო. მას შემდეგ, ფორმის კიტელთან და მოტოციკლეტთან ერთად, მედალიც „წყალწალებულის გადაარჩენისთვის“ სპირიდონა ნემსაძის განუყრელი ატრიბუტი გახდა.

აორჩილი

გაბმულად აწკრიალდა ტელეფონის ხარი.

სპირიდონა ყურმილს დასწვდა.

— ალო, გისმენ!

— ალო... სპირიდონ, გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს!

— რაიონული მილიციის განყოფილებიდან გირეკავ, ქადაგიძე ვარ, ქადაგიძე!

— გისმენ, უფროსო, გისმენ!

— დღეს შეგვატყობინებს თბილისიდან, თქვენს სოფელში, რომ ცხოვრობს... ხხხხხხ... რრრრ....

— ალო, ალო... თფუ, მოგიკვდა მგონი... ალო!

— ხრრრრ... ჩაუვლია ხელი იმ გოგოსთვის და ძალათი... ხხრრ...

— ალოო, არ მესმის, არა!

— ...სახლში, მაშინ შენც ადექი და ერთი შენებურად... ხრრრრ...

— ალო!... უჰ, შენი!

— ტუ, ტუ, ტუ, ტუუუუუ... — გააბა ტელეფონმა, მერე რალაცამ გაიჩხაქუნა და ხმა გაკმინდა.

სპირიდონს სიმწრის ოფლმა დაასხა. ერთხანს გაშტერებით უყურა აპარატს, „შენი გამკეთებლისო“, გემოიანად შეუტურთხა და ყურმილი მთელი ძალით დაახეთქა.

— წკრრრ... — აწკრიალდა ისევ ტელეფონი

კვლავ ყურმილს ეცა და მთელი ხმის ჩასძახა:

— ალო!... გისმენ!

— რა გალრიალებს, შე კაცო, ნუ გამიხვრიტე ყურის ბარაბანი, იჰ, — მოისმა ტელეფონისტი ქალის, მისივე სოფლელი სონიას ხმა.

— როგორ თუ რა მალრიალებს, ქალო, როდისღა უნდა დაადგეს საშველი ამ ტელეფონს, ხალხი არა ხართ! რაიონიდან დამირეკეს სასწრაფო ოპერატიულ საქმეზე და ვერაფერი ვერ გავიგე, რას გავს ეს! დამაწყდა ნერვები კაცს!

— ჰო, კარგი ახლა, ჩემი რა ბრალია. რამდენჯერ გადმოვრთავ შენს ხაზზე,

იმდენჯერ უნდა გამოითიშოს ხალომე მანდა, შიგნით, გაქვს უწესრიგობა ძმაო, და სხვას რას ერჩი! — სიცილი მოჰყვა ქალის ხმას.

— სონია, თუ ქალი ხარ, ხუმრობას შეეშვი, ცეცხლი მიკიღია გულზე!... რაო, რაზე მირეკავდნენ!

— რა და ტრიფონია ცომიქამიას ბიჭს გოგო მოუტაცებია თბილისიდან. ჰოდა, იმის მშობლებს მილიციისათვის შეუტყობინებიათ. შეატყობინებდნენ, აბა რა! ერთიც შენ მოგტაცოს ვინმემ შვილი, დედამიწას არ დაანგრევი?! წვალებით ზრდი ქალიშვილს, წამოაჩიტებ, შეჰხარი, ათასგან გაიკითხ-გამოიკითხავ, რომ კარგ ოჯახში ჩავარდეს და ამ დროს გამოგხეტება ვიღაც დამთხვეული...

მთმინების ძაფი გაუწყდა სპირიდონას.

— ქალო, რას გამიბი ახლა ალიაბალია, აღარ მეტყვი სათქმელს!

— მე დაწვრილებით მინდოდა, თვა-რა...

— დაამსხვილე, ბატონო, დაამსხვილე ახლა და მორჩი საქმეს! — ჩაყვირა გულმოსულმა ყურმილში და ცხვირსახოცი შეცვარული შუბლი მოიწმინდა, — მერე, რა მინდოა ქადაგიძემ!

— ნახოს ტრიფონიას ბიჭი თუ სახლშია და ჩვენს ამოსვლამდე დააკაოსო! — უტბად მოსხიბა ქალმა და „მეხი შენც დაგაყარე და შენს ქადაგიძე საცო“, მიაყოლა თან. რა თქმა უნდა, ეს კანონის კაცს არ გაუგია!

სპირიდონამ ღია ფანჯრიდან გახედა გამოხუნებულ ცას და ზანტად წამოდგა ფეხზე. სარკეს მიუახლოვდა, მკაცრი სახე მიიღო და საკუთარი ორეული კრიტიკულად შეათვალიერა. კმაყოფილი შემობრუნდა და ფანჯრისაკენ გაემართა.

სიმბურვალე შემოეფოფინა მთელს ტანზე.

ზურაბ ზოგია

პაპათაძე

საქ. სსრ კ. შარქისი
სახ. სახ. რესპუბ.
გაგალოთი

რძესავით აჭრილიყო გავარვარებულ ჰაერო.

„რაღა ახლა მოუნდა იმ ღღინძალს ქალის მოტაცება, მოთენთილი მზერა კობის ქვეშ მღვარ თავის მოტოციკლეტს მიაპყრო, ტალახაძეების აღმართზე აბობლდება ახლა ეს? მეტი არაა ჩემი მტერი. არადა, არ გინდა ამ გავანია სიცხეში ფეხით ყურყუტი?... ახლოს მაინც იყოს“.

შემობრუნდა და შუა კაბინეტში დადგა მთავარსარდლის პოზაში. მცირე ხანს უხალისოდ მისჩერებოდა ტელეფონის აპარატს, ბოლოს ხელი ჩაიქნია და ქული მოიძრო.

„რომ აგრილდება, მეც მერე ავალ რა“...

ანაზღად, თავის ორეულს ჰკიდა თვალი სარკეში. აგრილებას თუ უყუბრე შენ, ჩაიციხა სპირიდონა მეორემ, საუღლე მოზვერს რომ მიუგავს კისერი ი, ტრიფონას ბიჭს, აგრილებას დაელოდება ვითომ?! არა, იქნებ ტელეფონს გადააბრალო ყველაფერი — ვერ გავიგე, ბატონო, და...

ფიცხლად შეტრიალდა, ფანჯარა ჩაკეტა და ზედდაკიდებული მუყაოს ნაჭერი შეაბრუნა. მუყაოზე ასე ეწერა: „წასული ვარ ოპერატიულ საქმეზე!“ სიტყვა ოპერატიული: წითელი საღებავით იყო გამოყვანილი, დანარჩენი ლურჯით.

კარი გამოიხურა და კიბეზე დაეშვა.. ტრიფონ ტალახაძის ეზოში, კაკლის ქვეშ, გრძელი მაგიდები გაეწყობ მიჯრით. სახლის გვერდით, კომპის ტოტზე ნახევარი ძროხა ჩამოეკიდათ. იქვე მოშორებით ზედდგარზე ვეება ქვაბი თუხთუხებდა. დაქიჩმაჩებული დარბოდნენ აქეთ-იქით მეზობლის ქალები.

„ერიპაა... მე კი არა და, ისე ვატყობ, გოგოს მშობლებს დაუგვიანიათ მილიციაში დარეკვა.“

ახლა გაახსენდა, რომ ტრიფონასაც მოტაცებით ჰყავდა მოყვანილი თავისი შავტუხა სიღონია. მაშინ ისიც კი უთხრა სპირიდონამ: ტრიფონია უბედურო,

რა ჰირდა ამ მუგუზალივით ქალს მოსატაცებელიო.

„რა გინდა რომ ქნას კაცმა, ძველსა და რბილში აქვთ გამჭდარი ცომიჭამიებს ქალის მოტაცება და“...

რევოლვრის ბუდე უკან გასწია გამოსახინად. მკერდზე მედალი შეისწორა და მრისხანე სახით შეალაჯა ჰიშკარში.

— უი, სპირიდონა! — მოესმა ქალის შემკრთალი ხმა. გუნებაში ესიამოვნა, ასე რომ ემცხეთათ მისი დანახვა. დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით დაიძრა აიენისაკენ.

კიბეზე ტრიფონა ჩამოეგება. უკან სიღონია მოსდევდა ხუსხუსით. მომუშტული მარჯვენა მოკუმულ ბაგეზე მიეჭირა ქალს.

— გამარჯობა, სპირიდონ! — ყურებამდე გახია პირი ტრიფონამ, — ამობრძანდით აივანზე, თუ გნებავთ...

— სადაა შენი ყაჩაღი ბიჭი! — ხმა დაიბოხა კანონის კაცმა.

— ვაი, შვილო! — ჩაიკვნესა შეშინებულმა ქალმა.

ტრიფონა: „ეტყობა ყველაფერი იცის“...

— ზემო ოთახში არიან?...

სპირიდონა: „უყურე შენ, არიანო... არის კი არა, არიანო!“ ხელით გასწია ტრიფონა და ზემოთ ააბიჯა. სასტუმროს კარებს უგანა და პირდაპირ საწოლი ოთახისაკენ გაეშურა.

— მანდ არა, ბატონო, აქ არიან! — სასტუმროს კარებზე მიათითა აღიმილებულმა ტრიფონამ.

— ?!...

შემობრუნდა.

— შენი მუხლების ჰირიმე, სპირიდონ, არ დამიფრთხო ბავშვები, ისედაც მთელი ღამე არ უძინიათ საცოდავებს! — ვედრებით გადაეღობა წინ სიღონია.

სპირიდონა: „რაო? მთელი ღამე არ უძინიათო? მდაა... აქ კრიმინალს აქვს ადგილი, ნამდვილად!“

ტრიფონას გახედა, მომაშორე ეს დედაკაციო, ისე! — ქალო, რომელი საფრთხობელა ნახე შენ ეს კაცი, ბავ-

შეგბი რომ შეაშინოს. წადი, შენს საქმეს მიხედვე, ნუ ეჩრები კაცების საქმეში! — თავისებურად მიემლოქვენლა სპირიდონას, თან ცოლსაც შემოწყრა ტრიფონა.

კარის მოპირდაპირედ, სავარძელში იჯდა პატარაძალი. აქეთ-იქით მეზობლის გოგოები შემოხვეოდნენ და მხიარული ამბებით ართობდნენ. კუთხეში რადიოლას უჩხიკინებდა ტრიფონიას დედისერთა ალიკო.

მილიციელის დანახვაზე ყველა წამოდგა.

კანონის კაცმა ქორული მზერა მოავლო ოთახს, მერე ქუდი მოიხადა და ბრძანება გასცა:

— ამ ორის გარდა, ყველამ დატოვეთ აქაურობა!

გოგოები ფეხაკრფით გაილაღნენ გარეთ. ტრიფონამ კარი მოხურა და შემობრუნდა.

სპირიდონამ ზურგიდან დეტექტივის ალლოთი იგრძნო — ტრიფონა არ გასულა გარეთ.

— რა ვთქვი მე, ამ ორის გარდამეთქი!

კარი გაიღო და დაიკეტა.

ნეფე-პატარაძალი გადაფითრებული იდგნენ. ხან ერთმანეთს შეხედავდნენ და ხანაც მოულოდნელად გაჩენილ მილიციელს.

სპირიდონა მაგიდას მიუახლოვდა, სკამი გამოსწია და დინჯად დაეშვა.

მაკარად შეხედა მოზერისკისერა ბიჭს, მე შენ გიჩვენებ სეირსო, ისე! მერე შემკრთალ გოგონას გაუღიმა და ხმა დაირბილა:

— მოდი, შვილო, დაჯექი აქ!

ქალიშვილი მორიდებით მივიდა მაგიდასთან.

— საწერკალამი და ქაღალდი მომიტანე შენ, რომ გაშეშებულხარ სარგადაყლაპულივით!

— რად გინდათ ბატონო, საწერკალამი! — გაღიმიდა სცადა ბიჭმა.

სპირიდონამ თვალეზი დაუბრიალა, არაა მაგი შენი გამოტვინებული ჭკუის საქმეო!

ალიკომ უხმოდ შეუსრულა ბრძანება.

— დაჯექი აგერ იქ, — სავარძელზე ანიშნა სასიძოს, — და სანამ მე არ შეგვეკეთხო, კრინტი არ დასძრა, გაიგე?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— აბა, შვილო, — მიუბრუნდა სპირიდონა დამფრთხალ გოგონას. ახლა ნულარაფრისა გეშინია, კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფები. მომიყუვი როგორ იყო ყველაფერი. არაფერი გამოგჩეს. იცოდე ყოველ წვრილმანს ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის.

გამოძიებისათვისო!!!

— რაა, სპირიდონ ბიძია, გამოსაძიებელი! — გულმა ველარ მოუთმინა ტრიფონას ბიჭს, — ერთმანეთი გვიყვარდა და...

— ხმა!... რა გითხარი მე! — თვალები შუბლზე აპყარა კანონის კაცმა.

ბიჭი გაჩუმდა.

— აბა, — მამაშვილურად გაუღიმა გოგონას, — რა გქვია, შვილო?

— ლალი, ბატონო!

— ჰოო, აბა ლალი, გისმენ!

გოგონამ უმწეოდ მიმოიხედა, საკუთარ თითებს დაუწყო წვალება და ჩურჩულით წარმოთქვა:

— რა ვთქვა, ბიძია!

— როგორ იმას გიქნა, რა ქვია...

მოგიტაცა, ვისი დახმარებით, რით მოგიტაცა და საერთოდ, ამიწერე საქმის ვითარება.

— არ მოუტაცებია, ბიძია, ორი წელია ერთმანეთი გვიყვარს და... ჩემით წამოყუვი.

სპირიდონა: „ჰმ, დაუშინებიათ საწყალი ბავშვი, დაუშინებიათ და დაუტრიალებიათ, ასე და ასე თქვიო“...

— თუ გვიყვარდა, შვილო, ვინ გიშლიდა მერე. რატომ მშობლებს არ დაეკითხე... სიმართლეს ნუ დაუმალაგ გამოძიებას, ბუზსაც ვერავინ ვერ აგიფრენს. რისი მაქნისი ვარ მე აქ! მაგ შენს გამტაცებელს, ყაჩაღივით რომ ქასრავს თვალეზს, მიუჯრეთ ადგილს სადაც საჭიროა... დაგაშინეს ხომ?!...

ლალიმ თავი ჩაიღუნა და მხრები აუცახცახნა.



— სპირიდონ ბიძია, დასაშინებელი რა ჭირს, — ისევ ჩაერია დაკითხვაში ალიკო, — ერთ კურსზე ვსწავლობთ, ერთმანეთი გვიყვარს და წამომყვა კიდევ.

სპირიდონამ ახლა ცალი წარბი აზიდა.

— რომ იწმანები მანდ ნაწვიმარ ჭიყელასავით, შე მამაცხონებულო, თუ უყვარდი, მაშინ მილიციაში რაღა მთარბენინებდათ მაგის მშობლებს.

საპატარძლომ თავი ასწია.

— მამას არ უნდოდა, ბატონო, ჯერ რომ გავთხოვილიყავი?

— იცნობს მამაშენი ამ ვაჟბატონს?

ლალიმ დაბალი ხმით ჩაილაპარაკა

— მამა არა, დედა იცნობსო.

— შდაა!... — კანონის კაცმა თითები აათამაშა მაგიდის ზედაპირზე, — ისე ხომ — ...რა ქვია, ისა... რაიმე იმას ხომ არ ჰქონია ადგილი.

— ?!... — თვლებში შეხედა გოგონამ.

სპირიდონამ მზერა აარიდა და უხერხულად ჩაახველა.

— აი, ისა, კაცო, — დაიბნა კანონის კაცი, მერე კეფა მოიქექა და საპატარძლოს მიმართა, — აბა, გენაცვალე, გადი აივანზე ცოტა ხანს.

ლალი გავიდა.

— ბიჭო, რომ აკვარკვალე თვლებს ფსვენასავით, ხომ ყველაფერი რიგზეა.

— ??...

სპირიდონა: „ვაი, შენს პატრონს, რავა გამოლოწინებული მიყურებს!“

— რას მომჩერებხარ შტერივით, მიპასუხე, რომ გეკითხები: ხომ ყველაფერი ადგილზე აქვს... თფუი, ხომ ყველაფერი რიგზე აქვს იმ გოგოს!

— რავი მე! — კიდევ ვერ მიუხვდა ბიჭი.

სპირიდონა: „უიმე დედა, გადვირიე კაცი!“...

— შენ თუ არ იცი, აბა ვინ უნდა იცოდეს, შე მამაძალო, შენა!

— რა გინდათ, სპირიდონ ბიძია!

სპირიდონა: „რა ეშველება ამ დურს!“

— ბიჭო, — ხმა დაიდაბლა და კარისაკენ გააპარა ცალი თვალი, — ხელი ხომ არ გიხლია ჯერ იმ გოგოსათვის მეთქი.

— აა! — მიხვდა ბიჭი და გაიღმა, — როგორ გეკადრებათ, სპირიდონ ბიძია!

სპირიდონა: „მეკადრება, თვარა... რა მალვალაიცი ხარ, კი ვიცი მე!“.

— აბა, დაიფიცე.

— დედას გეფიცები, სპირიდონ ბიძია! — გულწრფელად წარმოთქვა ალიკომ და ფეხზე წამოდგა.

სპირიდონა: (თვალეზმოწყურვით) „აბა, სიდონიამ მთალი ღამე არ უძინათო?!“

— დავიჯერო ვითომ?

ბიჭმა მხრები აიჩჩია, როგორც გენებოთო.

მაგიდას დააცქერდა შუბლშეკმუნხილი სპირიდონი — გონებაში გაისიგრძეგანა შექმნილი სიტუაცია.

— კარგი აბა, — წარმოთქვა წუთფიქრის შემდეგ და კარებს გასძახა, — შემოდით შიგნით, რომ ატუზულხარო მანდ.

ჯერ სიდონია შემოვიდა შეშინებულ-ლი ღიმილით. უკან ლალი და ტრიფონა მოჰყვა.

გოგონა ბიჭის გვერდით გაინაბა მწეკერივით.

კანონის კაცმა უყურა, უყურა გაბუსტუნებულ წყვილს და გაიცინა.

— კი მაგრამ, თვალები სად გქონდა. შვილო? — ლალის მიმართა.

— ?!...

— ეს ოქროსავით გოგო ამ ჯოჯოხეთის მაშხალას რაფერ გამოყვები!

ლალის გაღიმა, ტრიფონას ბიჭსაც.

— დედა ენაცვალოს ორივეს! — ჩაილაპარაკა დამშვიდებულმა სადედამთილომ.

— ჰო, ნახავ მერე, როგორ დაგითრევს ხოლმე თმებით შენი რძალი! — ნიშნისმოგებით უთხრა სპირიდონამ.

— რაზე უნდა დამითრიოს რა, არა-

ფერს დავეშავებ და არ ვაწყენებ. რომელი მეც ათი შვილი მყავს, მაგ ერთ ბიჭს შევჩერებდით ორივე ცოლ-ქმარი.

— ხალხი ბევრი გყავს დაპატიებულნი! — ახლა ტრიფონას მიუბრუნდა.

— კარის მეზობლები და ვისაც სახელდახელოდ მივაწვდინე ხმა, ასე ასოც კაცამდე.

— ღვინო?

— ორი თხუთმეტფუთიანი ქვევრი მაქვს მოსახდელი! არ შეყოფა ვითომ?

— დაეჭვებით იკითხა ტრიფონამ.

— მოგიწამლავს აბა ხალხი შაქრიანი ღვინოთი და ეგაა!

ტრიფონა აპილილდა.

— სპირიდონა ნემსაძე, როდის ერთხელ მოგწამლა შენ ჩემთან დალუღმა ღვინომ!

კანონის კაცმა ხელი ჩაიქნია და წამოღდა.

— არა, ბიჭო, სუფთა წვენი გისხია, შენმა მზემ!

— სუფთა წვენი არა, მარა... — უკან დაიხია ტრიფონამ.

— კაი, ჰო, გეხუმრე, შე კაცო!... მდაა. ახლა რა ვქნათ!

— როგორ თუ რა ვქნათ? — იკითხა სიდონიამ.

— უნდა დავაპატიმრო თქვენი ბიჭი!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სპირიდონას მიაჩერდა, ხუმრობსო აღბათ.

— რაზე უნდა დააპატიმრო, კაცო!

— გული შეუქანდა სიდონიას, როცა მიხვდა, რომ კანონის კაცი აღარ ხუმრობდა.

— ასე მაქვს ნაბრძანები! — ხელები გაშალა სპირიდონამ.

ლალი ალიკოს მიეკრა შეშინებული.

— ბატონო, შენი თვლით ნახე და შენი ყურით მოისმინე, ჩემს ბიჭს ძალა არავისთვის დაუტანებია, — დაიწყო ტრიფონამ, — აბა, მაშ რა ჭირს დასაპატიმრებელი. თუ ხუმრობ და, ვერაა მაინცდამაინც დროული ხუმრობა. ძალით რომ მოეტაცებინა, კი ბატონო,

ჩემი ხელით ჩამოგიყვანდი მილიცოში, მარა...

— მოიცა, ტრიფონა, ნუ გაიკრიფენად, — შეაჩერა სპირიდონამ გაცხარებული მამა, — უნდა დავაპატიმრო. ეს შემთხვევა, ცოტა არ იყოს, ისა... კუროიზულია (საიდან მომაგონდა ეს სიტყვაო, გაიფიქრა და ისევ გაიმეორა) დიახ, კუროიზული. რომელ საათზე გყავს ხალხი დაპატიებულნი!

— რვა... რვა საათისთვის!

სპირიდონი ჩაფიქრდა.

გულისფანქვალთ ელოდნენ, რას იტყოდა კანონის კაცი.

— მოდი, ნურც მწვადს დავწვავთ და ნურც შამფურს. მე ახლა წავიყვან მაგ ბიჭს და ჩემთან ვიყოლებ. რაიონიდან ქადაგიძე უნდა ამოვიდეს და იქ რომ არ დახვდეს შენი ბიჭი, ხვალვე ნიჩაბზე დამსვამს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო! — ბოლო წინადადებას ხაზი გაუსვა სპირიდონამ, — აუფხნით ყველაფერს, შენ ხარ ჩემი ბატონი და, მერე აღბათ ერთად ამოვალთ ქორწილში.

სიდონიამ „ვაი შვილოო“ და ხელით ლოყა ჩამოიხოკა.

— აპ!... არ გამაგონოთ ახლა ვაი-ვუი. გითხარით, საღამომდე მეყოლება თქვა მაგ ბიჭი იქ... შეიძლება სულაც არ ამოვიდნენ. ახლა მე ოქმი უნდა დავწერო, ისე არ შეიძლება, თქვენ ხელს მომიწერთ და ამით დამთავრდება საქმე.

ტრიფონას რალაც უნდოდა ეკითხა, სპირიდონას სერიოზულ სახეს რომ შეხედა, გადაიფიქრა.

ოქმი № 7

(სტილი დაცულია)

მე, საჩხერის რაიონის შ/ს განყოფილების სოფ. კორბეთის მილიციის უბნის რწმუნებულმა უფ. ლეიტენანტმა სპირიდონ წყალობას ძე ნემსაძემ, შევადგინე ეს ოქმი 1978 წლის მკათათვის 17-ს მასზედ, რომ ამ დღეს დავკითხე სოფ. კორბეთის მკვიდრი ალიკო (ალექსანდრე) ტრიფონას ძე ტალახაძე, რო-

მელსაც ბრალი ედება ქალის მოტაცებაში, ქ. თბილისიდან. როგორც დაკითხვის შედეგებმა გვიჩვენებს მას ე. ი. ა. ტ. ტალახაძეს და დაზარალებულს ლალი გიორგის ასულ სიღამონიძეს წინასწარ ნაყვარებათ ერთმანეთი. ისინი თურმე ერთად სწავლობდნენ ქ. თბილისში. წინასწარი გამოძიებით დავადგინე, რომ ამ გოგოზე ა. ტ. ტალახაძეს არავითარი ძალდატანება არ მიუყენებია. არც არავითარი ფიზიკური შეურაცყოფა (სიტყვა „ფიზიკურს“ მცირე ფიქრის შემდეგ ხაზი გადაუსვა). დაზარალებულმა ლ. გ. სიღამონიძემ თავისი ჩვენებით დადასტურა ზემოთ ჩემს მიერ თქმული სიტყვები... ეს ოქმი დაიწერა... და ა. შ. და ა. შ.

ოქმზე ხელი მოაწერინა ტრიფონას, სიდონიას, ნეფე-პატარძალს და სულ ბოლოს თითონ მოაწერა: ვადასტურებ, სპირიდონ ნემსაძე.

— წავედით, აბა!

— სპირიდონ, — ერთხელ კიდევ სცადა ტრიფონამ, იქნებ გადავთქმევინო კანონის კაცსო, — დარჩეს, შე კაცო, ბიჭი სახლში და თუ ამოეთრევა...

— !...

— უკაცრავად, თუ ამობრძანდება ის ქადაგიძე, ასე უთხარი შინაურ პატიმრობაში ავიყვანე თქვა!

სპირიდონი ჩაფიქრდა.

— არა, არ გამოდის! ინსტრუქცია არ ითვალისწინებს.

— სპირიდონ, შენი ჭირიმე, რა ვუთხრათ ნეფის სანახავად მოსულ სტუმრებს, მილიციელს ყავს გამოკეტილი „გაბუახბტი“ თქვა?... იქნებ შემოეწვლოს სხვანაირად საქმეს! — ცრემლს ძლივს იკავებდა სიდონია.

სპირიდონს გული აუჩუყდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ლაპარაკი ახლა!... ვითხარით, რვა საათისათვის სახლში გეყოლებათ შვილი-თქვა და მორჩა რაც შეეხება სტუმრებს, თუ იკითხავენ, უთხარით, სადღავაა წასული პატარა საქმეზე თქვ. მოახერხებთ მაგას თქვენ...

— იქნებ სხვა რაღაც მოგვეფიქრებინა,

სპირიდონ ბიძია! — ამოდგოდა ტრიფონას ბიჭმა.

კანონის კაცი უკვე გამოვიდა მთმინებიდან.

— ბიძია, რომ მომჩერებხარ ასაწყვეტი მოზვერივით და მიბრიალებ თვალებს, მე შენთვის გეუბნები, ასე უკეთესი იქნება თქვა. აქ რომ მოვიდეს მამა მაგისი და დაგინახოს რანაირ დამთხვეულს მოუტაცია მისი ქალიშვილი, შეიძლება გაგოედეს კაცი. გაგოდება აბა რა იქნება შენი შემხედვარე, გრეხვოს თავში გაეცეხლებულ გულზე და გაგაკოტრილოს. წადი მერე და უყარე კაკალი... ჩემთან უფრო საიმედოდ იქნები დაცული, ვერავინ, უბატონოდ, ხმას ვერ გაგცემს. მოვრჩე ახლა მე და აღარ დამიწყით ალია-ბალია, თვარა თუ გავბრაზდი ნამეტანი, მტრისას! — თავისი სიტყვების გასამავრებლად მარჯვენა ხელის საჩვენებელ, თიოი ჭერს ატაკა სპირიდონამ.

აღარავის გაუღია კრინტი.

მხოლოდ ჭიშკარში რომ გადიოდნენ, ტრიფონიამ მაინც მიადგინა, ნამეტანი ნუ დაიგვიანებთ, ცოტა აღრე წამოდითო.

...შვიდი საათია.

სპირიდონა თავის კაბინეტში ზის და დაფიქრებით აბოლებს „პრიმას“. მაგიდის გვერდით ალიკო გადი-გამოდის, ადგილზე ვერ ისვენებს. წარამბრა კედლის საათს აშტერდება ნერვებდაწყვეტილი.

მოიხსტრო კვამლში მოჩანს სპირიდონას აღმიღებული სახე.

ალიკო ჩერდება, თავს ველარ იკავებს და უკვე მერამდენედ ეკითხება კანონის კაცს.

— არ არის ვითომ დრო?

სპირიდონა ღრმა ნაფაზს არტყამს, აუჩქარებლად აქრობს საფერფლეში ნამწვს და როგორც იქნა ფეხზე დგება.

— ჩემი მოტოციკლეტით წავიდეთ, ოღონდ თქვენს აღმართში უკნიდან მოაწყვები!

გახარებული უქნევს თავს ტრიფონას ბიჭი. მოწოლა რაა, თუ სპირიტონას სურს, თავის მოტოციკლეტიანად შეიდგამს მხრებზე და ისე მიიტანს სახლამდე!

აქ ვამთავრებ ამ ამბავს, რადგან ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა. საპატარძლოს მშობლები მეორე დღეს, ნაქორწილევს ამოიყვანა კორბეთში ქადაგიძემ. — როცა გაიგეს საქმის ასავალ-დასავალი, მეტი რა ჩარა ჰქონდათ, დალოცეს და ბედნიერება უსურვეს ახლად შექმნილ ოჯახს.

ის ოქმი აღარავის გახსენებია.

ახლაც სპირიტონას ცეცხლგამძლე კარადღოა ჩაკეტილი და დაცული სხვადასხვა საბუთებთან ერთად.

კლეოპატრა

პარასკებ დილით სპირიტონა მილიციის რაიონულ განყოფილებაში დაიბარეს თათბირზე. ორ საათზე მეტ ხანს გატანა ალია-ბალიაობამ („ალია-ბალიაობა“ თათბირობანას სპირიტონისეული სინონიმი!) თორმეტ საათზე ბაზარში გაიარა. ორი მოზრდილი საზამთრო იყიდა, მოტოციკლეტის სავარძელზე დაალაგა და სოფლისკენ გამოუტია. კორბეთის ავტობუსის გაჩერებასთან ჩალისქუდიანი ქალი შენიშნა.

ვინ უნდა იყოს ნეტაი, გაიფიქრა და გაზს დაუკლო. როგორც კი გაჩერებას გაუსწორდა, ქალმა ცხვირსახოციანი ხელი აუქნია და მისკენ გამოემართა.

— თქვენ... უკაცრავად, კორბეთში ხომ არ მიბრძანდებით? — იკითხა მოსკლისთანავე.

— დიახ ქალბატონო! — ვერ იცნო ქალი.

— მეც ხომ არ წამოიყვანდით?... ნახევარი საათია ვდგავარ და იქით მიმავალმა არც ერთმა მანქანამ არ გამოიარა.

ღრმად დეკოლტირებული ლურჯი შტაპელის კაბა ეცვა ქალს. ვარდისფერი გადაპკროდა მზენახამებ ყელსა და გულმკერდზე.

— ავტობუსს რატომ არ გაჰყევით ქალბატონო!

— უჰ, ისეთი ჭყლეტა იყო, სანამ სოფლამდე ახვიდოდი, სული ამოგძვრებოდა ამ სიციხეში! — ლამაზად აიბზუა ტუჩი ქალმა.

— დაბრძანდით! — მიიპატიჟა სპირიტონამ.

ქალი ტყავის ჩანთის ასაღებად მიბრუნდა.

საბარგულის ცხვირისკენ გადაანაცვლა საზამთროები სპირიტონამ. სულის შებერვით გადაასუფთავა საზურგე და მერე გვერდულა სარკეში შეათვალიერა საკუთარი ფიზიონომია.

ჩალისქუდიანმა მოიბრინა, ჩანდა სავარძლის წინ ჩაუშვა და თითონაც მოკალათდა.

— წავედით?

ქალმა ღიმილით დაუქნია თავი. დაიძრნენ.

— აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

— დიახ, — სწრაფად უპასუხა თანამგზავრმა და ფერადი ლენტით დამაგრებული ჩალის ქუდი ხელის მსუბუქი აქნევით ზურგზე გადაიგდო, — დასასვენებლად ვარ ჩამოსული კორბეთში.

— ვისთან გაქვთ ბინა დაქირავებული?

— როსტომ ტალახაძესთან.

— ა, ცომიჭამია როსტომასთან!

— რა ბრძანეთ?

სპირიტონამ გაიცინა.

— ასე ეძახიან სოფელში ტალახაძეებს.

— ჰოო... — გაიღიმა ქალმაც, — ბოლიში, თქვენ რა გქვიათ?

— სპირიტონ ნემსაძე! — „თქვენი სახელიო?“ ახლა იქით უნდა ეკითხა.

ქალმა დაასწრო.

— მე, კლეოპატრა მქვია!

„რაიო?“ — ლამის წამოცდა კანონის კაცს, მაგრამ ეუხერხულა და „სასიამოვნოაო“, მარტო ესლა ჩაილაპარაკა.

ხილთან ხელმარჯვნივ გადაუხვეის და

მწვანედ დაბურული ხეობის ძირზე გადენილ გზას დაადგნენ.

ქალს სახე და შიშველი მკერდი მოეშვებოდა ნიავისათვის. ბავშვივით აღტაცებული იყურებოდა აქეთ-იქით.

— რა ზღაპრული სილამაზეა!... წელს პირველად ვისვენებ თქვენს სოფელში. ზღვაზე ვაპირებდი წასვლას და ალისა აღარ მომეშვა..

— ალისა ვინაა?

— ალისა?... ჩემი დაქალია. თითქმის ყოველ წელს აქ ამოდის დასასვენებლად. ჰოდა, აღარ მომეშვა, წამოდი, თუ არ მოგეწონოს, იმ დღესვე დაბრუნდით უკან...

— რამდენი ხანია რაც ჩამობრძანდით.

— აგერ, უკვე ერთი კვირაა.

— გამოდის, რომ მოგწონებიათ აქაურობა! — გადაუღიმილა სპირიდონამ.

— ძალიან! — გულწრფელად უპასუხა კლეოპატრამ, — აი, ის რა ციხეა, ბატონო სპირიდონ!

— აბა, რომელი!

— აგე, აგე პირდაპირ, ხეობის მარცხნევ.

სპირიდონამ ქალის ხელს გააყოლა თვალი.

— მაგას ლეკის ციხეს ეძახიან.

— რატომ?

— წინათ, მოტაცებულ ტყვეებს მანდ მალაედნენ თურმე ლეკები! — აუხსნა სპირიდონამ.

— აჰა, გასაგებია!

აღმართი დაიწყო. სპირიდონამ გაზს მოუმატა.

— უჰ, რა სასიამოვნო სიგრილეა, სიცოცხლეა პირდაპირ! — საზურგეზე მიესვენა ქალი.

სპირიდონა ცდილობდა ქალისაკენ არ გაეხედა, მაგრამ მარჯვნივ მოხვევის დროს მაინც ზომამზე მეტად უწყევდა გადახრა სავარძლისაკენ. თვალეზი მისდაუნებურად გაუბრუნდნენ მოღიავებულ მკერდისაკენ.

უცბად, ნიავმა წამოუქროლა და კაბის კალთა ზე აეტაცა სავარძელზე მჯდომს.

თვალეზი აუჭრელა კანონის კაცს მუ-

ხლისთავეებს ზემოთ შიშველი ხორცის სითეთრემ და მოტოციკლემაცა დაჰყავი დაიწყო.

გზისნაპირ გაყოლებულ ხრეშზე გადასულიყო ბორბლები.

ქალმა სწრაფად გაისწორა კაბა და მორცხვად აპლიმა მამაკაცს.

სპირიდონამ საჭე მოღრიცა და ვითომ აქ არაფერიყო, წინ გაიხედა.

გაივაკეს.

კლეოპატრამ ტყავის ჩანთა გახსნა, აბრეშუმით სრიალა ატმები ამოიღო. ორი ცალი სპირიდონას გაუწოდა.

— მიირთვი!

— გმადლობთ, — გაეცინა სპირიდონას, — ხელეზი დაკავებული მაქვს და...

— უი, სულ ვერ მივხვდი, — მხიარულად წამოიძახა ქალმა, მერე ერთი ატამი გახლიჩა და პირთან მიუტანა.

სპირიდონამ გადმოხედა.

ისეთი აუუუუნებელი თვალეზით ამოსცქეროდა დიაცი, ტანში გაბურძმვა ტოტიკ გერასიმეს ნაწიერს.

პირი გააღო და ატმის ნახლეჩს დასწვდა.

უცხოური სუნამოს სურნელი დაჰკარავდა ქალის ხელსა თუ ატამს. კარგა ხანია ასეთი გემრიელი ხილი არ ეგემნა სპირიდონას.

— კიდევ შორსაა კორბეთამდე, ბატონო სპირიდონ! — უცბად გაუშინაურდა ქალი.

— დაახლოებით ნახევარ საათში ავალო.

ასე მალე?

— ჰო, — დაუდასტურა კაცმა.

გაჩუმდნენ.

ხელმარცხნივ, დაქანებულ ფერდობზე წითელკრამიტიანი სახლები გამოჩნდა.

ბორბლებქვეშ გარბოდა ხაოიანი ასფალტი. ერთმანეთს შერწყმოდა მოტორისა და ხეობიდან ამოსული მთის მდინარის რიტმული ხმაური.

— აქ სადმე დასაღვეი წყალი არ გეგულებათ, ბატონო სპირიდონ! — დაარღვია დუმილი ისევ ქალმა და მთელი ტანით შემობრუნდა მამაკაცისაკენ.

— ამ ხეობაზე არსად არაა წყარო, ქალბატონო!... ძველი გზა რომ მიდის, აგერ იმ გორის ზემოთ, ხედავთ? მანდაა გზის პირას იფნის წყარო, — სპირიდონას ყელი გაუშრა, ჩაახველა, — სხვათაშორის ის გზა სწორედ ტალახაძეების უბანში შედის.

ქალმა თვალეები მოჭუტა და გორას გახედა.

— სამწუხაროა, — ჩაილაპარაკა რაღაცნაირი დანანებით და ბოლოს თავისთვის დაამატა, — როგორ მწყურროდა!...

ვაი, შენს სპირიდონას!

სიჩქარე გამოცვალა და გულამოფრენით გადმოხედა ქალს.

— მასე თუ გწყურიათ, გაგატარებთ იმ წყაროსთან!

— ძალიან ხომ არ გაგვიგრძელებდა გზა? — მობოდიშებით იკითხა კლემპატრამ.

— არაა — გაწელა სპირიდონამ, — თითქმის ერთი და იგივეა.

— რა ვიცი. თუ ძალიან არ გეჩქარებთ! — ხმა დაინაზა თანამგზავრმა.

— სად უნდა მეჩქარებოდეს, — დარღმანდულად გაიღიმა სპირიდონამ, — ოღონდ იქით ასფალტი არ ავია, ხრეშმოყრილი შარა-გზაა.

— რა უჭირს, — წარმოთქვა ქალმა, — ახალ ხეობას მაინც დავათვლიერებ. ისევე გაჩუმდნენ.

სპირიდონა დაძაგრული იყურებოდა წინ, მთელი გულისყური გზაზე გადაეტანა. თითქოს მოტოციკლეტსაც გადასდებოდა პატრონის გახელება — ოთხმოცს უჩვენებდა სპიდომეტრი.

ნაწისქვილართან გადაუხვიეს. ბორბლებქვეშ გაირბინა ხის ბოგირმა და მოტოციკლეტი აღმართს შეეჭიდა.

თხუთმეტობდნენ წუთში წყაროსთან მივიდნენ.

იფნის ძირში ამოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო. მწვანე ხავსი მოსდებოდა კარგა ხნის წინათ ამოშენებულ საგუმბარს. სპილენძის მილიდან ცერის სიმსხოზე გადმოსჩქეფდა ყინულივით ცივი წყალი.

სპირიდონამ იფნის ჩრდილში შეაკუნა მოტოციკლეტი.

— აგერ ესეც უკვდავების წყარო, ქალბატონო... ისაა...

— კლემპატრა! — კისკისით უპასუხა ქალმა, ძირს ჩამოხტა, ჩალის ქუდი სავარძელზე მოისროლა და წყაროსკენ გაიქცა.

„ჰმ, კლემპა... კლემპა... რანაირი სახელია, ბეჩა, ენას მოიტეხს კაცი!“

კლემპატრამ წყაროსთან მიიღრბინა. ხელი შეუშვირა მარგალიტის ნაკადს.

— აჰ... რა ცივია, ბატონო სპირიდონ!

სპირიდონამ მოლზე გაიარ-გამოიარა, მუხლი გამართა. თან მალულად უმზერდა წყაროსთან მდგომს.

ქალმა მარცხენა მომუჭა, წყალს შეუშვირა, წაიხარა და ხარბად დაეწაფა, კაბის უბე ძირს დაეშვა და კანონის კაცმა თვალი ველარ მოსწყვიტა ორ თოვლივით ქათქათა მტრედს. ერთი ღრმად ამოისუნთქა და იქვე დაგდებულ წიფლის მორზე ჩამოჯდა.

ქალმა წყალი შესვა. მერე ცხვარსახოცი დაასველა და ავარვარებულ მკერდზე დაიფინა. ცხელ რკინას რომ ჩააგდებ წყალში, ისეთი შიშინი მისწვდა სპირიდონის ყურთასმენას.

— უჰ, უჰ, ყინულია პირდაპირ... თქვენ რატომ არ მიირთმევთ, ბატონო სპირიდონ?

— მხოლოდ თქვენს შემდეგ, ქალბატონო!

კლემპატრამ გამოხედა და ეშმაკურად შემოსცინა.

სპირიდონა: „რა ქალია ეს დალოცვილი, თითქოს ახლადმოწველილ რძეში უბანავიაო... ჰა, ჰა, ჰა, არ გააბღღვიალებს ლოგინს!“

— სპირიდონ! — ჩაესმა უცბად გვერდიდან და ელდნაკრავივით მიიხედა.

გოჭიწელას ბალახში მიმალული კუტკალია გამოსცემდა უცნაურ ბგერებს.

„თფუ, მოჩვენება მინდა ახლა მე?“ „პრიმა“ ამოიღო და გააბოლა.

ისევე წყალთან მოთამაშე ქალისაკენ გაიქცა თვალი.

— სპირიდონ! — ისევ ჩაესმა უცხო ხმა, მაგრამ აღარ მიუხედავს.

— კანონის კაცო! — ახლა ზედ ყურთან უწივლა ხმამ.

სპირიდონა: „რას გადამეკიდე, ნეტა? რას ვშვრები უკანონოს!“

ხმა: „რას წამოიყვანე მაგი მარწყვივით ქალი ამ უსიერში?“

სპირიდონა: სწყუროდა ბატონო და...“

ხმა: „შენც ხომ არ გწყუროდა სპირიდონ? სპირიდონ, სპირიდონ...“

თავი გააქნია და ანაზღად თვალი ჰკიდა წიფლის მორზე დამჯდარ, თვალმბდაკოსებულ მწვანე კალიას, რომელიც პირდაპირ თვალეში შემოსცქეროდა კანონის კაცს.

ფეხზე წამოდგა და კალიას მიეპარა. ფრთებში წაავლო მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითი.

— რა დაიჭირე, სპირიდონ! — მოიბინა კლეოპატრამ.

— კალია!

— იკბინება?! — შიში ჩაუდგა ქალს თვალეში.

— არა, ქალბატონო, ნუ გეშინია!

— დედა, რანაირი თვალეები აქვს! — მაჯაზე მოჰკიდა ხელი კლეოპატრამ და ისე აკვირდებოდა თვალედაქაჩულ მწერს.

ნიავის ბრალი იყო თუ წყაროს სივრცის, სპირიდონს ოდნავ შეამცივნა.

ქალმა ხელი უშვა და წიფლის მორზე ჩამოჯდა.

— დედა, რა სიმშვიდეა, რა გამჟვინვალე ჰაერი... თავი სამოთხეში გეგონება ადამიანს.

აბა, აბაო, კვერი დაუკრა სპირიდონამ და წყაროსაკენ გააღაჯა.

არც ისე სწყუროდა, მაგრამ მაინც მოსვა წყალი.

— ბატონო სპირიდონ, ბატონო სპირიდონ, ნახეთ ტყემალი! — შემოესმა უცბად და თავი ასწია.

იფნის უკან გასულიყო კლეოპატრა, ველური ტყემლის ტოტი დაეწია და თითებით ფაჭიზად კრეფდა ნახევრად შემწიფებულ ნაყოფს.

სპირიდონამ სახეზე შეისხა წყალი.

სამო სიგრილემ დაუარა მთელ ტანში.

— ერთი, მაგ ჩანთაში ცელოფანის პარკი დევს და თუ არ გეზარებათ მომიტანეთ რა! — გამოსძახა ქალმა.

სპირიდონამ ჩანთა გახსნა, დაკმუჭნილი პარკი ამოიღო და ქალისაკენ წავიდა.

— რა გინდა?! — იკითხა.

— ცოტა ტყემალს მოვკრეფ და საღამოს საწებელს გავაკეთებ. იცი, როგორ მიყვარს, ვგიუდები პირდაპირ.

„გულნაქცევად ხომ არ ხარ, ქალბატონო“, გახუმრება უნდოდა სპირიდონას, მაგრამ იყუჩა.

— მომეხმარეთ რა?! — კეკლუცად შეეხვეწა ქალი.

დაიწყეს ტყემლის კრეფა.

ასე კრეფა-კრეფით კაი შორს შევიდნენ ტყეში.

— აი, ის ტოტი მომიწიეთ, სპირიდონ, მე ვერა ვწვდები!

სპირიდონამ ტოტი ჩამოუწია.

კლეოპატრამ პარკი ძირს დაუშვა და ორივე ხელით შეუდგა კრეფას. ფეხის წვერებზე აიწია და ისე ახლოს დადგა მამაკაცთან, რომ მკერდი თონის პურივით მიაკრა სპირიდონის კიტელს.

სპირიდონი: „ტიტუ! რავა ნაღვერდალივით ღუის ეს ღმერთგამწყურალი“...

უცებ ქალმა წაიბორძიკა, „ვიიო“, შეჰკივლა მსუბუქად და ტყემლიანი მუჭები უნებურად სპირიდონას მხრებზე ჩამოაწყო.

ორი ანთებული თვალი შემოსციცინებდა ქვემოდან კანონის კაცს.

ტოტიკების ჯიშის სისხლი თავში აუვარდა სპირიდონას. ხეს თავი ანება და ფრთხილად შემოხვია ხელები აღმურავარდნილ სხეულს.

ქალს ნელიად გაეხსნა მუჭები, ველური ტყემლის ნაყოფი რბილად დაეფინა მწვანე ხავსზე...

...მერე იწვა სპირიდონი გულადმა, ხელები თავქვეშ ამოედო და ხის ფოთლებიდან მოჭიატე ცის ნაგლეჯს უჭერტდა გარინდებულნი.

კლეოპატრას ოდნავ გვერდზე გადა-
ეგდო თავი, თვალები მიელულა და
ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა მიზნე-
დილ სახეზე...

...წინ კლეოპატრა გამობრუნდა სი-
ცილ-ტყრცილით, ხელით მოაქანავებ-
და ტყემლით ნახევრამდე მოყრილ ცე-
ლოფანის პარკს.

წყაროს რომ მიუახლოვდნენ, სპი-
რიდონა უცბად შედგა და...

გაშრა კაცი!

წიფლის მორზე მისი სოფლელი კო-
ხიების ენამოწამლული შალიკო წამოს-
კუბულიყო ბასიკუკუსავით. გვერდით
ტყის სოკოთი სავსე კალათი დაედგა
და დინჯად აბოლებდა თუთუნს.

სიკვდილი რომ მჭდარიყო ახლა შა-
ლიკოს ადგილზე სიკვდილი, ასე ვერ
გადაუქანებდა გულს კანონის კაცს.

— ?!... — შეკრთომით შეხედა ქა-
ლმა.

სპირიდონამ კიტელის კალთები და-
ქაჩა უნებურად. კლეოპატრა წყაროს-
კენ წავიდა, პარკს პირი მოხსნა და სპი-
რიდონის მიღს შეუშვირა.

სპირიდონა: — „ჩემი მტერი ჩავა-
რდა ახლა ამის ყბაში!“

მორს მიუახლოვდა და ჩაახველა.

შალიკომ თავი ასწია.

— შენა ხარ... სად იყავი, კაცო, ამ-
დენხანს, რაღა არ ვიფიქრე. მოვდივარ
და ვხედავ, ბიჭოს, მოტოციკლეტი აქა
დგას, ქუდიც აგერაა, კაცი არსად
ჩანს... — უცბად წყაროსთან მისულ
ქალს ჰკიდა თვალი, — ეე... ვინაა მა-
გი ქალი?

სპირიდონამ გაკვირვებით გაიხედა.

— რაიონიდან წამოვიყვანე, ჩვენს
სოფელში ისვენებს და... ავტობუსს გა-
მოესწრო, მთხოვა წამიყვანეო და უა-
რი აღარ... ველარ ვუთხარი! — გულგ-
რილი ხმით ჩაილაპარაკა და დამტყე-
რილ საბურავს მიართყა ფეხი, — სო-
კოზე იყავი?

— ჰო, ცოტა მუხლიც გავმართე!

— კარგა ბლომად დაგიკრეფია, ყო-
ჩად შენ!

გარედან გადიკრა უღარდულობის ნი-

ლაბი კანონის კაცმა, თორემ შეგნით
ყველაზე უწვრილესი ნერვიც კმარა
ძაბული ჰქონდა.

— ჰოო, — გააგრძელა შალიკომ და
ტუჩების წკლაპუნით მოქაჩა სიგარე-
ტი.

სპირიდონა: „ჰა, მიდი ახლა, ამო-
ყაჭე თუ რაიმე გაქვს სათქმელი და
მორჩი ბარემ!“...

— რა ქალია, ბიჭო, იფ! — თავი გა-
დააქნია შალიკომ, — ისე, არ უნდა
იყოს მაგი მთლად წმინდა სულის!

სპირიდონამ საბარგულიდან ტილო
ამოიღო და გულდაგულ დაუწყო შე-
ქფარს წმენდა.

— რაში მეკითხება როგორი სული-
საა, ნეტაი! — ჩაილაპარაკა ვითომ სა-
ქმით გართულმა.

— რა ჰქვია, სპირიდონ!

— ვისა... მაგას? ჰო, რავი კელეპტა-
რაო თუ ვერ გავიგე კარგად.

— მართლაც კელეპტარივით ჩამოქ-
ნილი ქალია, ძმაო. ყოჩი ხარ ყოჩი,
სპირიდონ!

— ?!...

— ჰო, რას მიყურებ დედას მონატ-
რებული ბოჩოლასავით, — წელში გა-
სწორდა და ერთი მადიანად გაიზმორა
შალიკო, — არ მითხრა ახლა, ხელი არ
მიხლიაო, თვარა...

კოპები შეიკრა კანონის კაცმა.

— ბიჭო, რას ბოდილობ, ხომ არ
გადირიე შენ... სირცხვილია, არ გაი-
გოს, რას იფიქრებს მაგი ქალი...

— როცა გეხუტრუცებოდა, მაშინ
არაფერს ფიქრობდა? — თვალები მო-
წყურა შალიკომ.

— რას ამბობ, ყაძახო, — შემოწყრა
სპირიდონა და დოინჯი შემოიყარა, —
სირცხვილი და ნამუსი მთლად დაკარ-
გე?.. ქალი ამხელა გზაზე მენდო,
მარტო გამომყვა, სოფელში ამიყვანეო
და შენ...

— შერედა, ამ ოდრო-ჩოლო გზაზე
რომ არ წამოსულიყავით, ასფალტი
აყარეს წისქვილს ზემოთ, თუ რაფერაა
თქვენი საქმე!

სპირიდონი ცოტა შეფიქრიანდა.



— მწყუ... მწყურიაო და...
 — და შენც დაარწყულე, ხომ? — ჩაიხიხითა პირზე ხელაფარებულმა კოხიამ.

— შალიკო, დამუწე მაგი პირი და ჩაიგდე ენა მუცელში. რა ბინძური აზრებიც გიტრიალებს თავში, მაგის ჩამდენი არაა სპირიდონ ნემსაძე!

მაგრამ, რას ჭამდა შალიკო!
 — მაშ არა, ხომ... კარგი ბატონო! რა გინდოდათ, რას დაბლოტილობდით აბა ტყეში!

ახლა კი ბრინჯივით დაიბნა სპირიდონი „ჰო, მართლა რა გვინდოდა ტყეში?!“...

— ტყ... ტყ... ტყეშალი დამაკრფენო, სა... საწებლისათვის მინდაო!

— ტყეშალიო?! — ისე გაბმულად ახიხითდა შალიკო, რომ სიმწრის ხველა აუტყდა.

„არ გადარჩენა, შენო“, მიაწყევლა სპირიდონამ.

კლეოპატრა მიუახლოვდა მამაკაცებს. მორიდებით მიესალმა შალიკოს.

— არ წავიდეთ, სპირიდონ! — ისე შინაურულად წარმოთქვა „სპირიდონო“ კანონის კაცს გული მოაწვა ყანყრატოში

— დაბრძანდით, ქალბატონო! — ოფიციალური ტონით მიმართა ქალს და შალიკოს მიუბრუნდა, — წამოხვალ?

შალიკო წამოდგა.
 — მოტორი ვერ გვწიკავს სამივეს, ცოდვია... —

— კაცო, შენ დაჯექი და თუ ვერ გვწიკავს, ქე გაიგებ! — ბრაზიანად უპასუხა კანონის კაცმა.

კაიო, აბა, შალიკომ, და უკან შემოუსკუბდა სპირიდონს.

ისე ჩავიდნენ სოფელში, არცერთს ხმა არ ამოუღია.

ტალახაძეების უბნის დასაწყისთან გაჩერებინა მოტოციკლეტი კლეოპატრამ.

— დიდი მადლობა, სპირიდონ... ბატონო! კარგად ბრძანდებოდეთ! — დემშვიდობა ქალი და ჩანთას დასწვდა.

— არაფერს. ქალბატონო, სამად-

ლობელი რაა! — ოფიციალური ტონი არ შეუცვლია სპირიდონას და ლი სიჩქარე ჩართო.

შალიკომ სავარძელში გადმოინაცვლა.

— ნამეტანი სიცხეები დაიჭირა, კაცო წელს, ნამეტანი. ამ ბოლო ხანებში მთლად შეიცვალა ყველაფერი. ეს რაკეტებო, თანამგზავრებო, კოსმოსიო და გადირია, ბატონო, ბუნება!... აბა, რავე, ნამეტანი რომ ჩაყოფს ბუნების საიღუმლოებში ადამიანი ცხვირს, არაა მაგი კარგი... — გააბა და გააბა კოხიამ, ვითომც ამ რამდენიმე წუთის წინათ არაფერიც არ მომხდარა მათ შორისო.

სპირიდონა: „დამცინი ხომ, შალიკო უბედურო, ვითომ ამინდი განტერესებს ახლა შენ?... გინდა ხომ მომჭრა თავი ხალხში. მე შენ გეტყვი და ენა გავიჩერდება პირში თუ რა... მეტი არაა ჩემი მტერი! კი ვიცი რასაც ფიქრობ გუნებაში, მარა რა გიყო!... ადექი ახლა და, აბა შენ იცი, ხვალე როგორ მონათლავ ამ ამბავს...“

მოტოციკლეტი უცბად ისე შეხტა, რომ ლაპარაკში გართული შალიკო ნახევარ მეტრზე შეისროლა ჰაერში.

— ნელა, კაცო, დამენგრა გვერდები... —

სპირიდონა: „ვაი, ისე დაგენგრეს, რომ შენს გასვენებაში მომიხლეს მოსვლა... თფუი, რავე ქალივით ვიწყევლები ეს ოხერი... ჰმ, არა, დაბარბულებით არ გამოტყვრა მაინცდამაინც. თუ კაი ბიჭი ხარ, ამოსდე ახლა ალიკაპი!... ეს რომ ქსენიამ გაიგოს, ტიიტუ!... რა ჩემდა ჭირად წამოვიყვანე კელეპტარა თუ... რა ქალი იყო, ბიჭო!... არა, წამოვიყვანე, წამოვიყვანე, მარა რალა მალაპარაკებდა, იფნის წყარო ვიცი თქვა. ვითომ ვერ მოითმენდა სოფლამდე?... მწყერივით არ ჭუკჭუკებდა ის დალოცვილი, რავე მითხრა: რა ტყბილი ხარ, სპირიდონო!... შალიკო მაჭარაშვილო! შენ დამკარი შენი წიხლი, თუ სადმე რამე გითქვამს და ძირში არ ამოვდლიოზო ეგ შხამიანი ენა!..“

— გააჩერე, კაცო, სადღა მიდიხარ!
— უცბად ჩაესმა შალიკოს ხმა და
მკვეთრად დაამუხრუჭა.

— ჰა... ფიქრებმა გამიტაცეს ეს ოხ-
ერი და ვერც კი შევნიშნე შენი ხახლი!
— გაიღიმა სპირიდონამ.

შალიკომ კალათი გადმოიღო და შინ
შეიპატიჟა კანონის კაცი.

— არა, არა, გმადლობ, შალიკო, და-
ლილი ვარ და... „ჰმ, რამ დამღალა!“
სახლში უნდა მივიდე, დავისვენო.

— ორი ჭიქა დაგველია, შე კაცო!
აგერ სოკოსაც შეებრაწავ.

სპირიდონა: „კი, გინდა დამატრო
და მერე გამოწვლილვით დამაყაჭინო
ყველაფერი, არა? გიცნობ, რა შევილიც
ბრძანდები!“

— სხვა დროს იყოს, ჩემო შალიკო!
— წარმოთქვა და ადგილიდან დაიძ-
რა.

ცოტა რომ გაიარა, ისევ შეჩერდა.
— შალიკო!

კოხია ჭიშკართან მისულიყო უკვე.

— არ მიქარო და, წელან რომ რა-
ღაც-რაღაცეებს მიედ-მოედებოდი, არ-
სად წამოგცდეს, თვარა მეტი კი არ
უნდა ხალხს...

— რას მელაპარაკები, სპირიდონ!
გულწრფელად გაიოცა შალიკომ.

„იქნებ მართლა არაფერი დაუნახავს
ამ კაცს“ — შეეჭვდა სპირიდონა.

— აი, ისაო... წყაროსთან რომ ქირ-
ქილაობდი რაღაცას, იმ ქალზე...

— ხუმრობა არ იცი, შე კაცო! —
ჩაიქსუტუნა შალიკომ.

— ?!... რა ვიცი, აბა! შენსას რამეს
გაიგებს კაცი?



.....მთელი თვე მოსვენება დაკარგა
სპირიდონამ. ვინმეს რომ გაეცინა მის
გვერდით, იმ წუთში პირში ეცემოდა,
რას იკრიჭებოი.

მერე და მერე დამშვიდდა, სულაც
გადაივიწყა ეს ამბავი. ან ენაწაგდე-
ბულ შალიკოს მართლა არაფერი და-
უნახია, ანდა ნამუსი შემინახაო.

ოღონდ ესაა, რომ პირველ ხანებ-
ში ხშირად, დამღამობით უცნაური
სურათი ესიზმრებოდა მძინარს: ვითომ
იფნის წყაროსთან ხავსმოფენილ მინ-
დორზე იწვა გულღმა. თავითი შიშ-
ველი კლეოპატრა უჯდა და ღიმილით
უწვდიდა ტოტიკი გერასიმეს ნაშიერს
ველურ ტყემლის ნაყოფს...



რა კარგი გიდგათ სთველი

რა დიდებულად გალობს
ეს უსახელო ჩიტი,
ის უსახელო ჩიტი,
ის უსახელო... ის, ის...
თითქოს ვმალდები მტკავლით,
მტკავლით კი არა, ცილით,
რომ ვეწაფები წყაროს
მუსიკის ოაზისის.

ჩიტუნიებო, მოდიოთ,
ლაღად იმღერეთ მანამ,
ბულბული არ ჩანს
და რეტს
ცა-მყარს არ ასხამს სტვენით,
ზეცა კი არა...
სულის ტკბობაა უსამანო,
ოჰ, რა მოსავალს იწვევთ,
რა კარგი გიდგათ სთველი?!

აღესრულა თუ არა
შენც ვაცივდი, ფუქეო,
გველანდება ორივეს
ის — ცრემლივით უმწეო.
აღსავსე სინანულით
და ღამეულ კაეშნით

დავაბიჯებ წარსულის
ხსოვნის სიანკარეში.
მყავდა ერთი მომფერე
და მომიკვდა ის ერთიც,
თვით უფლის მოფერებაც
არ იქნება ისეთი.

ორმხრივი უიღბლოა

არ დამშრალა,
ეს კურცხლები
ისევ ცერის სიმსხონია.
ეს რა ცოტა მიცოცხლია
და რა ბევრი მიცხოვრია.
ეს რა ცოტა მიმღერია
და რა ბევრი მიტირია,
ცხადს ვინ ჩივის
თვით სიზმარშიც

არ მიგრძენია იდილია.
ვერ ვივარგე,
ვერ ვახარე
ვერც მტერი და
ვერც მოყვასი,
არც მე მწყალობს
და არც ღუშმანს
ბედი ჭავრის ამოყრაში.

ნადირობა

მზე მოფრენია სარკმელს ჩიტივით
და შუქის ფრთებით ეალერსება
დასრულდა გლოვა,
ალარ მივტირი
რაც წარიტაცეს დროის მეწყრებმა.

გამოდარებულ ცის ტატნობს ვუმზერ,
ბრწყინვა გაუდის ლალს და
საფირონს...
კვირტის ფაჩუნზე და ჩამი-ჩუმზე
და ჩვილ და თოთო ფერზე ვნადირობ.

მარტოობა, თქვი ოლე,
როგორ გაიიოლე.

დრო იგი ნუთუ ასე შორს არი

ხევით ამოდულს ნისლი ქაფქაფა
რთველია.
ფერი მოძალდა ქარვის...
და აჯამეთის ლომისფერ ფაფარს
არხევს სექტემბრის გულადი ქარი.

იმ შემოდგომას ეს შემოდგომა
როგორც წვეთს-წვეთი მიაგავს ისე,
თუმც ვერ უბედავს გვერდით
დადგომას
ეს სიხალისე იმ სიხალისეს.

ღერძის ჭრიალი — სიმღერა ურმის,
რთვლის სიმღერაა ღერძის ჭრიალი...
დაემშვიდობენ ქვევრები ღუმელს
თეთრმაჭრიანი, შავმაჭრიანი.

დრო იგი ნუთუ ასე შორს არი,
მიანც რამ მოკლა, რომ არ
ცოცხლდება?!
უკვე ღამდება და სუროსავით
ტანზე წარსული ამოცოცდება.

ერთი რამ ნაღდად გავიგე

არც არასოდეს არ ვგოდებ,
ან რას გახდები გოდებით,
თანდათან ხორციით მიწას და
სულთ ცას ვუახლოვდები.

ძალიან ხშირად ერთი ვარ,
ძალიან ხშირად ვორდები...
ღმერთის ნათლისკენ მივიწევი,
სატანის წკვარამს ვშორდები.

მივიწევი კია ღმერთისკენ,
ვშორდები კია სატანას?!
რად აღრე არ მაცოდინე
ყოფნა სად ჯობდა, სად — არა.

გვირილას

ყველა უცქერის შენს სილამაზეს,
არავინ უსმენს შენს უხმო ჭეითინს...
რაკი არ აფრქვევ ცრემლთა აღმასებს,
ტირილს ტირილად არავინ გითვლის.

ყოფნა დასწონა არყოფნის პინამ
და ხუჭავ მზისფერ წამწამებს ნელა...
და ლარნაკიდან ლურჯად ბიბინა
მინდორს გაჰყურებ უკანასკნელად.

დღესვე

ისე უცებ ათრთოლდა და გაყუჩდა
ფოთლები,
თითქოს სიო მსხლის წვერზე
დაფრინდა და გაჩერდა...

წავალ,
მწყურია დამღურებულ ლარქემთან
შერიგება,
შენს მოსვლას აღარ დაველოდები.
ეფერება ფერი ფერს,

ტოტი ტოტს და სხივი სხივს,
გზა-გზას,
სიკვდილს სიცოცხლე
და სიცოცხლეს სიკვდილი...
დღესვე გავემგზავრები და ვიქნები იქ
დილით —
და ბედს ჩემი ცხოვრება გასდინდება
სისხლივით.

ნუ მომიკლავ! (გწვდება ხმები
ვედრების და ქვითინის)...
შენს წინაშე გავერთხმები
ნაპირს მომსკდარ ზვირთივით.

ოღონდ ახლა ამისრულე
ეს თხოვნა და ვედრება
და არასდროს ჩემი სული
აღარ აგიმხედრდება.

გზა

მე უფროსი ვარ, იგია მრწემი
გასდევს უდაბნოს, ბალებს, ტერასებს...
ბედისწერაა ჩემი გზა ჩემი
და მივაბიჯებ ბედისწერაზე.

დახრამულია აქა-იქ ცრემლის
ნიღვარული ჩქარი დინებით...

დაფენილია ამ გზაზე ჩემი
მადლის მზვარე და ცოდვის ჩრდილები.

ის გზა კი არა, გზად გაწეილი
სასაფლაოა ჩემთა ვნებათა
ანუ ლექსებით სავსე წერილი,
რომელიც პოეტს თქვენი ემართა...



უცხო ქალაქში

არც არავინ არ გიკრძალავთ, არც არავინ გიშლით —
მოდით, გამომეცნაურეთ, მე გულს გადაგიშლით.

შორს ხართ, ვილაც საგანს გიხსნით, ან სიყვარულს გიხსნით...
მოდით, დამელაპარაკეთ, მე გულს გადაგიხსნით.

ვილაც გიშლით ახალ ლოგინს, ან პასიანსს გიშლით.
თუ მოიცლით, ჩემთან მოდით, მე გულს გადაგიშლით.

ვილაც გიხსნით კოკა-კოლას, ანდა საკინძს გიხსნით...
თუ სალამოს ჩემთან მოხვალთ, მე გულს გადაგიხსნით.

და თუ ვინმე ეჭვიანობს, და თუ ვინმე გიშლით,
მაინც მოდით, ხმა გამეცით, მე გულს გადაგიშლით!

**სტრატეგორდის სასტუმროში
სათქმელი ლექსი**

გამარჯობა, მეტრდოტელო!
მე გახლავართ ჰამლეტი!

წარწერა წიგნზე

შეეკითხე, თუ გინდა,
კარგად იცის საგანი:
სარტრი, მარსელ პრუსტი და
ფრანსუაზა საგანი.

საინრობა წვიმაში

არ დაღონდე, არ გეწყინოს,
არ გაბრაზდე, ლიკა!
ჩემი სახლი გელოდება, ჩემი ბაზილიკა...
გარეთ წვიმს და ქუჩა ბზინავს,
ვით მაიოლიკა,

არის ალბათ ამ ამბავში რაღაც
სიმბოლიკა...
ჩემი სახლი გელოდება, ჩემი
რესპუბლიკა —
არ გეწყინოს, თუ მოხვალ და
არ დაგხვდები, ლიკა!

დილიდან არა ამპიცილინის,
 ან პანანგინის,
 ან კურანტილის, —
 ვყლაპე ვეება
 ქაღის აბები,
 მერე ჩავეძვარი
 ძველ გაზეთებში,
 რომლებზეც როგორც
 ეთიოპიის იმპერატორი, —
 დაღის ობობა,
 „ლელოში“ შემგვლა

ფრანს-პრესის ფოტო:
 მალალ კვარცხლბეკზე
 გამარჯვებული
 ბიკილა როგორ
 აღის აბებე
 და რეიტერის
 პატარა ცნობა,
 სადაც ეწერა,
 რა ზარ-ზეიმით
 შეხვდა ამ ამბავს
 აღის-აბება.

ბოლო დღე სამოთხეში

ევა ელოდა მაშასადამე,
 როდის შეჭამდა ვაშლსა ადამი!

მონტა (ხსოვნის) ვიდეო

აღარ მახსოვს ის მიმოზა,
 ის მოტელი, ის მარი,
 მონტეგიუ, მონტე-როზა,
 თეთრი მონტელიმარი,

ოღონდ დღეს არ მომეკარო,
 ჩემო ლელა-ლელუნა...
 მონტეპევი, მონტე-კარლო,
 ნაზი მონტებელუნა,

მონტერეი, მონტერია,
 შორი მონტე-ლირიო...
 მგონი, ძილი მომერია,
 ლამის გადავირიო!

მონტე-კრისტი, მონტეკრისტო,
 ლურჯი მონტევიდეო...
 ვაი, რა დროს გამოირთო
 ჩემი ხსოვნის ვიდეო!

აპარია

კიდევ კარგი, გადავრჩი!
 კიდევ კარგი, წინ გამისწრო მზერამ...

მხოლოდ მზერას დაეჯახა მანქანა!

ბოლო დღე რეიდზე

კატერი მოდის, კატერინა,
 შენს წასაყვანად,
 კატერი მოდის.
 ღრუბლის აფრები დაბერილან
 და გაურბიან უაზრო ლოდინს.
 კატერი მოდის, კატერინა,

შენს წასაყვანად,
 კატერი მოდის.
 კატერი მოდის, კატერინა!
 კატერი მიდის...

მანანა ავალიშვილი

ო ჯ ა ხ ი

მოთხრობა

ერთფეროვანი ღღებებს წყებამ ნიკო დაანაღვლიანა. ფანჯრებში სინათლე ჩამოდგებოდა თუ არა, თვალს აახელდა და წამსვე აეშლებოდა უამური ფიქრები.

ღილაადრიან ჩართავდა მამამისი რადიოს. იწყებდა დროული კაცი შფოთვას. ნიკო გრძნობდა, რომ მამის უშრეტი ძალა შვილში ჩაჩუმებულიყო და ღღეს თუ ხვალ მიიღეოდა. უთქმელად შრომობდა და ღღეთა მონაცვლეობა არაფერს მატებდა.

აივლიდა ქვის ფართო კიბეს, მიესალმებოდა თანამშრომლებს. მიდიოდა ფართო დერეფანში და თან მიჰქონდა მათი ხმები, ღიმილი, სიტყვები, წამიერად თვალმოკრული გამომეტყველება. მაგიდას მიუჯდებოდა და გარსმყოფთა სახეებიც ჩაწყნარდებოდა. სადღაც გონების მიღმა დარჩებოდა. ცნობადაფანტული მცირე ხანს სივრცეში იმზირებოდა. მერე ვინმე აუცილებლად შემოაღებდა კარს, პირდაპირ ნიკოსკენ გაეშურებოდა, თვალდახუჭულსაც რომ ევლო, უცთომლად, ხელშეუშლელად მოვიდოდა მის მაგიდამდე.

— ნიკო, გალვანომეტრი გაჩერდა, ნახე, რა...

მაშინვე მოიკრებდა აზრს, მაშინვე წარმოიდგენდა გალვანომეტრს და გონების თვალთ უკვე ხედავდა, რა შეიძლებოდა გაფუჭებულიყო. თანამშრომელი თავაწეული მიუძღოდა, ისე მიდიოდა, თითქოს უკან ხელოსანი მიჰყვებოდა.

ისევე გაჭრიალდებოდა კარი, თავს შემოჰყოფდა შედარებით გაუბედავი თანამშრომელი, ახლა უკვე ქალი, ღიმილდამშვენებული მივიდოდა ნიკოსთან, ახლოს მიუტანდა სახეს, შეაფრქვევდა მძაფრი სუნამოს სურნელს და იტყოდა:

— ნიკო, ნახე რა, დაგეგმარება სწორია? — ნიკოს გულში აჩქამდებოდა უარყოფის სურვილი, მაგრამ წამსვე შეძრავდა ფიქრი, რომ მთხოვნელი ქალი იყო და ამბობიც უკვალოდ ქრებოდა. მახვილ მზერას გადააველებდა ნახაზს, შეასწორებდა, გადაამრავლებდა დიდ რიცხვებს გონებაში და შედეგს ქვევით, შენიშვნებში ჩაწერდა.

ერთხელ ერთიანს მიწერილ ნულებს

დააკერდა. ერთიანს თითი დაადო და ნულებს ვეღარ მოაცილა თვალი. ამ დროს ენაფლიდი კაცი მიუახლოვდა და მთელი ტანით გადმოწვა ნიკოს მაგიდისკენ. სამშენებლო მანქანების და აგრამა დაუდო წინ, არაფერი უთქვამს, ელოდა, ნიკო თვითონ მიმხვდარიყო, რა სჭირდებოდა.

— დამავიწყდა, რაც ვიცოდი, — უგულოდ თქვა ნიკომ და ნახაზი გვერდზე გასწია.

მოულოდნელად იგრძნო, რომ ერთხელ გაკვალული ფიქრი ჩამოშორდა და გაბედულება აღარ უნდა შეეჩერებინა. გაბედულებამ ერთბაშად ფეხზე წამოაგდო და მიხვდა, რაღაც უნდა ელონა.

შინ მიმავალი, თავის გამოკვლევაზე ფიქრობდა. ფიქრობდა სამშენებლო მანქანების მოწყობილობაზე, რომელსაც ყველა სამიწათმოქმედო სამუშაო უნდა შეესრულებინა. ყველაფერი ტრიპალბდა და გუგუნებდა ირგვლივ. ადამიანთა ფუსფუსის შორეული მოძახილი მუდმივ ესმოდა და ამ მოძახილში გამოარჩევდა უფაქიზეს ხმას, ალბათ, ეს ხმა წარმართავდა სიკეთეს. ალბათ, ამ ხმის მოყურადედ გაჩენილიყო ნიკო და რაკი ერთხელ შიში შეეპარა გულში, ვეღარსად გაექცა ეჭვს, რომ მალე, სულ მალე ნდომა სიკეთისა ხელიდან გამოეცლებოდა.

შინ გამოფულუროებული თავით დაბრუნდა. შეაბიჯა თუ არა ოთახში, მეუღლემ ხალისიანად წამოიძახა, მოვალეობის მონა-მორჩილი მოვიდაო, — ერთი ეს დამინაყე, — უთხრა მერე და როდინი ხელში შეაჩეჩა.

უნდილად დაიწყო ნაყვა. დაავიწყდა ეთქვა, რომ შიოდა და სულის მობრუნება ეჭირებოდა. ფილთაქვის კაქუნშიც თავის გამოკვლევაზე ფიქრობდა.

„მთავარია, კინემატიკური სქემის შედგენა, რათა სამიწადმოქმედო სამუშაოს შესრულების დროს, მანქანის სხვადასხვა სამუშაოსათვის განკუთვნი-

ლი მოძრაობა ერთმანეთზე დამოკიდებული არ იყოს, მაგრამ მოძრაობების ერთდროულად და რევერსიულად შექმნის შესაძლებლობა. რევერსიული შემცირდეს შეძლებისდაგვარად“. წამით ფიქრებიდან თავი გამოიხსნა და მამის გაწბილებულ მზერას წააწყდა. აზრი უკვე გაეთავისებინა და მღელვარება მოქმედობდა ძარღვებში. ცხოვრების წიაღიდან მოდენილი ხმები თავს არ ანებებდა, ახლა ამ ხმების გარჩევა არ შეეძლო, გრძნობდა, რომ ამ ხმებს უნდა შესწირვოდა.

უცებ მამამ დაიქუხა:

— ერთხელ მაინც ამოთქვი, შევილო, რამე, ერთხელ მაინც დაამკვიდრე შენი მეობა, — სხვაგვარად შეაქურია ალა სიტყვები მოხუცებულმა. ნიკო ნელ-ნელა დაცხრა, დამშვიდდა. მიკვლეული აზრი მივიწყებულის გახსენებად წარმოჩნდა გონებაში. ასაკი ჯერ არ მოსძალეობდა, მაგრამ მოეჩვენა, რომ მიკვლეულ აზრს უხსოვარი დროიდან ფლობდა. მოეჩვენა, რომ მიკვლეული აზრი მის არსებაში მუდამ ბინადრობდა, თავისთვის, განუმარტავად და ჯერხნობით სიცხადეს არ საჭიროებდა.

მამას შეხედა და მის გონებაში გაინაპერწკლა ფიქრმა, რომ ყველაფერი ამ კაცისგან, მისი წარსულიდან მოდიოდა. მორჩილება, შვილის პიროვნების მიმალვაც და უთქმელობაც. ერთ წამს ძალამ გამოასხივა ნიკოს თვალბში, მხოლოდ ერთ წამს და მაშინვე დაფრთხა, მისგან ნატუსალილა დარჩა.

რა გინდა, ვერ გავიგე! მე შენსავით წარსული ხილვებით ცხოვრება არ შემიძლია და არც იმგვარად ფიქრი, რომ დამარცხება ზოგჯერ გამარჯვებას მნიშვნელობას უკარგავს, ჩემს უკან შენს გამო უკუენია.

მოხუცებულის თვალბში ცრემლი ჩაგუბდა. უხმოდ შებრუნდა თავისი ოთახისაკენ. ნიკომ თვალი შეასწრო, რომ მამას ბექთან ახლოს, ხალათზე,



ოსტატურად დაედო საყერბელი. იმავე ნაპრისა, ოღონდ ახალი და ხასხასა ფერის.

„სიახლე თვალსა გჭრის, ეგეც სიახლე იქნება, მეობას რომ გამოვეცი-ლო“. — გაიფიქრა ნიკომ და ყრუდ დაიკვნესა.

საწოლზე მოკუნტულმა მოხუცებულმა ფანჯარას გახედა და თვალწინ დაუდგა გარდასული სურათი ცხოვრებისა.

ღამეულ ცას წვიმის უწყვეტი ნაკადი სერავდა. მდინარე გულგაგლეჯილი მიექანებოდა. შავ ლაბადებში გახვეული, მკაცრად საყელოაწეული კაცები თავს წასდგომოდნენ თეთრპერანგა კაცს და ბარის ტრიალს თვალს ადევნებდნენ.

— ჩახტი! — უბრძანა ერთმა და ფარანი სახეში შეაშუქა. თეთრპერანგამ შეხედა. თვალი არ მოუცილებია, ისე ჩახტა საფლავში. უსაშველო თავსხმას თეთრი ლაქა გამოაყლდა.

— არ იტყვი, სადაა შენი კოლეგა — ზოლოგოისის სპეციალისტი?

საფლავში ჩამხტარი ღუმდა.

— არ იტყვი და, შენს ათი წლის გოგოს ნამუსს ავხდი, — დაექადა კაცი. მკვეთრად შებრუნდა და ამხანაგიც გაიყოლა.

მიწაში ჩასულს მოეჩვენა, რომ ქვეყნიერება დაყრუვდა. ცივმა ოფლმა გამოჟონა სხეულზე და წვიმამ ჩამორეცხა ცრემლიც, ოფლიცა და განწირული ყვირილიც. გაგონილ ჰქონდა, რომ ინტერესებისათვის ბრძოლაში ჰუმანურობაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ ამას ბრძოლაც აღარ ერქვა.

— ვიტყვი, ვიტყვი! — კივილმა წყვილიადი გააფითრა.

ორივენი დაბრუნდნენ, ისევ თავს წამოადგნენ. თეთრპერანგამ საფლავიდან ამოხედა. საშინელი მღურვა გამოკრთოდა მისი თვალებიდან.

— ქენით სიკეთე, დამაყარეთ მიწა!

— წადი შენი!... — დაიძახა ფარაჯიანმა და ქუსლით ტალახი ჩაათხლი-შა ქვეშ მყოფს.

მოხუცებული ჩვენებიდან გამოერკვა. ფანჯრიდან დანესტილი თვალწინ იმზირებოდა სიბნელე.

ახლა ბავშვობის სურათები წამოიშალნენ:

ოთახებს ერთმანეთისაგან ფოჩიანი, გვერდებში შეეკცილი ფარდები ჰყოფდა. კარის ტრილიდან ლამპის უწყინარი შუქი მჭვირვალედა. ისმოდა ავადმყოფის მოხშირებული სუნთქვა. სიმშვიდე საცაა დაიწვივლებდა და ლამპის შუქს დააფრთხობდა.

განიერ რკინის საწოლზე მწოლიარე ქალმა გაუბედავად წამოიძახა.

— დედა, დედა, დამანახეთ, თუ შეიძლება, — მაღალი სიციხისგან თვალე-ბი დაბურვოდა და გამშრალ ტუჩებს ძლივსა ამოძრავებდა.

ავადმყოფს მარჯვენა მხარეს მღვდე-ლი ედგა, მარცხენა მხარეს, ქართუ-ლად თავდახურული, აღმასისქინძისთა-ვიანი მანდილოსანი.

— ძმა, ჩემი ძმა დავინახე.

მეორე ოთახში ფარდებისკენ ზურ-გშექცევით იდგა ცხრა წლის ბიჭი. სი-ცივის ჰავლები სტვენით მიედინებოდა პატარა სხეულში. „ჩემ სახელს თუ იტყვის, ჩემ სახელს თუ იტყვის...“ — იმეორებდა გუნებაში.

ფანჯრიდან ბებერი მსხლის ხე მოჩანდა. ქარი აჭრიალებდა მის დაკორ-ძილ ტოტებს და ტრიალით იხურებო-და სიცოცხლის კარიბჭე.

— ელიზბარ! — დაიძახა ავადმყოფ-მა. ბავშვი მეხდაცემულს დაემსგავსა. შევარდა ოთახში, უხეშად გასწია მან-დილოსანი და დედას მკერდზე დააკვ-და. ოდნავა ფეთქავდა დედის გუ-ლი. ბიჭმა თვალი შეასწრო, რომ მო-მაკვდავმა წამით საყვედურიანი მზერა მიაპყრო ჩიხტაკოპიან მანდილოსანს. სიკვდილის ადევებული ძალა სულაც არ აკრთობდა მოხუც ქალს და ცდი-ლობდა ღირსებისათვის არა დაეკლო-რა. ბიჭს სურდა, ამ ულმობელი ღირ-სებისაგან დაეცვა დედა და სხეულით გადაეფარა. მომაკვდავმა ორივე ხელი თავზე შემოაჭდო შეილს. დედის თი-თებიდან მოდენილი სიგრილე შორეთ-

ში დაკარგულ განცდასთან აახლოვებდა პატარა ბიჭს და ისიც შიშს უძალიანდებოდა. დედა მთელი ცხოვრება რაღაც აუცილებელს ნატრობდა, რასაც ასრულება არ ეწერა.

„ჩემს შვილებსაც ყრობაში მოუკვდათ დედა“, — გაიხსენა ჩიხტაკოპიანი ბებუის ასაკს მიღწეულმა ელიზბარმა.

კვლავ შეაღვიძა მოგონებები. სამაზრო ქალაქში ჩავიდნენ ისა და მისი მეუღლე. ხმოსნებს უნდა შეხვედროდა. კრამიტებდამტვრეულ სასტუმროში დაბინავდნენ. ოთახში ციოდა და ხელ-ფეხს საძრაობა არა ჰქონდა. ქალი დასაძინებლად ემზადებოდა. პერანგის არშიებიან სამხრებთან ძეწკვი ბრწყინავდა და მკერდში იკარგებოდა. ქალი სარტებს იძრობდა თმის გორგალიდან და შავი თმა ზმორებით იშლებოდა მხრებზე. ქმარი მიუახლოვდა, ფრთხილად ამოსწია ძეწკვი და გიშრის ჯვარი შერჩა ხელთ.

— რას შვრები, გაგიყდი? — გამოსცრა კბილებში. ძეწკვი გაწყვიტა და კარისაკენ გაემართა. საპირფარეშოში შევიდა, წყლის ძალუმმა ჩხრიალმა პირთამდე აავსო იქაურობა. ამ ხმამ ოთახში დარჩენილ ქალს აგრძობინა საშიშროება დროებისა.

მოგონებებით გულდაკაწრულს დაობლებული შვილების სახე დაუდგა თვალწინ. სათოფურებიდან მომზირალულს წაგავდა ცხოვრება და შვილები შეწყალებულ მსხვერპლს.

ჩაეძინა. ძილში იტანჯებოდა და თავდაცვას ლაშობდა.

სამო განწყობილების დამამშვენი დილა გათენდა. ნიკოს რუხი ფერის პიჯაკი ეცვა და ნაკლებ აწუხებდა სურვილების გასრულების შიში. ავტობუსში ვიღაც გოგონამ ყურადღებით შეავლო თვალი. კაცს ეამა. გულში ჩაიღიმილა. სააქტო დარბაზი ხალხით გაზომიმიმებული დაუხვდა. სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული მეცნიერები წინა რიგებში ისხდნენ.

ნიკო დაიმედებული ავიდა კათედრა-

ზე. მკაფიოდ, რაღაც უსათუო მნიშვნელობით გაისმოდა მისი ხმა.

„სამეურნეო მანქანების ელემენტარულ მოძრაობას, მით უფრო, თითოეული ნაწილის კომბინაციურ მსვლელობას, შეეფარდება მხოლოდ ერთი ოპტიმალური სქემა, ყოველივე დამოკიდებულება მუშაობის პირობებზე და მეტ-ნაკლებად ტოლფასოვან გადაწყვეტაზე“.

სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ გამომგონებელთა მზერაში პატივისცემა და თანხმობა იხატებოდა. შინაური კოლეგები წყალობისმოყვარე თვალებით იტყირებოდნენ. ნიკო მათთვის ძალზე შეჩვეული, არაერთხელ დასაქმებული, თავმოწონებას მოკლებული ადამიანი იყო. გარემო ახლა თანაბრად ხმაურობდა. ქვეყნის შფოთვის რაღაც ახალი ხმები შემატებოდა. თითქოს ქაოსი დაწყნარებულიყო და ქეშმარიტებას გზაწვრილი გაერღვია.

ნიკოს ულოცავდნენ, ჯერ სტუმრად წვეულნი, მერე თანამშრომლები — მხარზე ხელის მოთათუნებითა და ცოტა უმძრახადაც.

ისევ დაენთო უფერული დღე. ისევ მოეძალა ნიკოს სიმსუყე ერთფეროვნებისა. იჯდა დაწესებულებაში თავის მაგიდასთან და ელოდა სამუშაო საათების გასრულებას. წუხანდელი გამარჯვება აღარ ახარებდა. აგონდებოდა ცოლთან დილანდელი წაკინკლავება. ესმოდა მისი ხმა, თითქოს მასთან შეყრამდე მოესმინა სოფიოს ფიქრები, რომლებიც წლების მანძილზე ცხოვრებასთან ერთად გამოიჩარხა.

ამ სიტყვებს ახლდა გამოცდილება, ეს სიტყვები გამოხატავდა შულს, ტკივილს და ვიღაცას ქირდავდა უწყინარი სულის განდევნისათვის.

„ალბათ, გულახდილობის წუთებში მითქვამს შენთვის ჩემი კარგამოკეტილი ბავშვობის ამბავი. სხვათა გამოსაჯერებლად, იღბლიანი ბავშვობისაგან ხელნაკრავმა სამეცნიერო ღვაწლისთვის გადავდე თავი და თანდათან გამოიუცხოვდა ოჯახის საქმე. ზოგი მხოლოდ მორთვა-მოკაზმვისა და სიყვარუ-

ლზე ჩივილისთვისაა გაჩენილი. ზოგი მაღალი ხმით მოლაპარაკეა და მოღვაწეობისკენ იმზირება. ზოგი მხოლოდ ცოლობასა და დედობას სჯერდება. ამათზე ამბობენ, რომ გაუჭირდეთ, ნეტათავს რითი ირჩენენო. ყოველთვის მშინოდნა შებრალებსა, ათვალწუნებისა, ამიტომ წმინდა წყლის მამაკაცური თვისებები მოვიხვეჭე და ფულსაც ბლომად ვშოულობ. ყველა ინსტანციასში შემოდნა რიხით შესვლა. შეხედვისთანავე ვცნობ, რა ყაიდისაა ადამიანი და როგორი შეფერილობის სიტყვა უნდა შევეუბნო, მაგრამ მაინც მჭირდება შენ, მჭირდება, რათა ანკეტურ კითხვაზე, „გათხოვილი ბრძანდები?“ — ქალის მთავარი მდგომარეობის შეგნებით მივეუბნო: — დიას, ნიკო გარაყანიძის მეუღლე ვარ, მეუღლე და არა ცოლი“.

მაგიდასთან თავდაკიდებით მჯდარ ნიკოს მწარედ გაეღიმა. როცა ამოიხედა, ეგონა, სოფიოს დაინახავდა. მიწყდა ცოლის ხმა და სამსახურმა უფლებამოსილად დაიკავა კუთვნილი ადგილი. სამსახურმა იაკობივით პირმშობა გამოსთხოვა ნიკოს, როგორ მოხდა ეს, თავადაც არ იცოდა. პირმშობა კანცელარიულ გარემოს არგუნა, იმ ადგილს, სადაც ემძიმებოდა ყოფნა.

„იაკობ იყო კაცი მარტივი, მკვიდრი სახლისა“, — გაიმეორა გუნებაში. ერთ წამს შეშურდა იაკობის სიმარტივისა, მაგრამ ისიც ენიშნა, რომ ამ მარტივმა კაცმა ზაკვით მიიღო კურთხევა.

ისევ მოაწყდა ქვეყნის ყაყანი, ისევ კრიალებდა ნაცნობი ხმა. ამ ხმას შემოჰყვა ოთახში ნიკოს სკოლის ამხანაგი, გაუცინა და თვალთ რაღაც ანიშნა. ნიკომ წამოიწია და შეუმჩნეველად გასხლტა კარებში.

— სადმე მყუდროდ მოვეწყოთ, — თქვა ამხანაგმა, როცა ქუჩაში გავიდნენ.

— ბუდეს თუ გაიკეთებ ხეზე არ

ვიცი და, ისე, მყუდროდ მოწყობდნელია. გადასასვლელთან შეტანილნი დაელოდნენ.

— გახსოვს, შვიდი წლისანი ამ ადგილს სულ იოლად გადავივლიდით, ეხლა მიწისქვეშ და მიწისზემოთაც გაძნელდა მოძრაობა.

— იპ, ოთხმოციანი წლების პეიზაჟს თვალის შეჩვევა უნდა, — დუნედ შეეხმინა ნიკო ამხანაგს.

— ბავშვობის სურვილები ობელისკად დარჩა მეხსიერებაში.

— რამდენი თამაში ვიცოდით, — ფიქრმა შორის წაიყვანა ნიკო: — კოჭაობა, ლახტი, ორი დროშა, ჩიკორის ტრიალი. ახლა ბავშვებს ართობს ტელევიზორი, მაგნიტოფონი, მანქანებით ქროლვა, მტვერსასარტუტის ბლავილი და ასე ერთმანეთის მიყოლებით.

— გახსოვს, კონა მასწავლებელს კაკურიძემ რომ შეღრიალა, მოვა, მოვა მამაჩემი და დაგაჩოქებთო?

— მამამისი ვინ იყო? — გულწრფელად დაინტერესდა ნიკო.

— ერთი შენც, ვინ იქნებოდა, ვინმე საშიშარი თანამდებობისა.

— მერე რა თქვა კონა მასწავლებელმა, ის თუ გახსოვს? — კითხვის გამომხატველი თვალები შეაცეცა ნიკომ თანამგზავრს.

— ძველი პალტო რომ მაცვია, იმიტომ მელაპარაკება ასე, მაგის ოჯახისათვის ადამიანი ძვირადღირებული სამოსია და არა სიტყვა, ცრემლი, ნღობა, სიყვარულიო.

— ჩეხოვი ამბობდა, — შეაწყვეტინა ნიკომ საუბარი, — დაახლოებით ასე ამბობდა, დაუშვებელია, რაღაც გროშებს აძლევდნენ მასწავლებელს, რომელიც მოწოდებულია ხალხი აღზარდოსო.

— მოწოდებულიაო, გესმის? ეგვიც ისევეა დავიწყებული, როგორც ზნეობა. ზოგს გაუჭირდება კიდევ, მოწოდება მასწავლებლისთვის რა საჭირო-

აო. — ნიკომ იგრძნო, რომ საუბარში მელანდებოდა სანუკვარი განცდა და გულოდან დაძრულმა აღტაცებამ ერთი-ანად შეძრა, თავისდაუნებურად წარმოჩნდა სიანკარე კაცობისა.

„გვქონდა გამორჩეული დღეებიც. მასწავლებელი და ორიოდე მშობელი დაგვამწკრივებდნენ და ფეხა-ფეხა ჩავიდოდით რუსთაველამდე. გულამგერებული ველოდით თავისუფლების შუქნიშანს და ასე დამწკრივებულნი გადავივლიდით გამზირს. ჩვენს წინ გადაშლილი უამრავი საფეხური ჩაედინებოდა ქვევით — ზღაპრების კიდობანში. ეკითხებოდა გოცებელი წითელქუდა ჩაჩიან მგელს, ასე რამ შეგცვალა, ბებიას, — ველოდით უნეტარეს წუთს, ყველაზე საინტერესოს, მნიშვნელოვანს, რაც კი ბავშვობაში წილად გვრგებია, რომ სურვილი საცაა ასრულდება, რომ სასწაულს აღარაფერი უკლია; გამოსულრყვენ მსახიობები მავთულიანი თოჯინებით ხელში და გამეტებით დაგვეკრა ტაში. გვიხაროდა, რომ წინ გვედო საფეხურების წყება, მათ გასრულებამდე კიდევ შეგვიძლო გვეოცნება, გვეცინა ნაცარქეჩიას ოინებზე, გულს დაგვთანდრებოდა მისი სიკეთე. იმ კიდობანიდან მოგვეყვებოდა ბებიების, ბაბუების, პატარა ტყეების ხმა, ბულბულების სტვენა და ოწინარის ჭრიალი. მოგვეყვებოდა ბოლო საფეხურამდე და იქ, ქალაქის ფეთქვაში ჩუმად ქრებოდა. იმ გამორჩეულ დღისათვის ისევ ფორმები გვეცვა, ოღონდ განსაკუთრებით სუფთა, გულმოდგინედ დაუთოვებული. ბიჭებს ქამრის ბალთა და დიღები უბრიალებდათ, გოგონებს თეთრი ბაფთები და საყელო აუცილებლად გახამებული ჰქონდათ. თან გვახლდა ჩვენი მორიდებული ბავშვობა, სკოლაში გამოტანებული საუხზე — კარაქქასმული პური და ორი სათადარიგო კალმის წვერი — თერთმეტი ნომერი“.

ნიკო ღელავდა, მთელ არსებას ერთბაშად მოაწყდა ბავშვობის, სიჭაბუკის თუ კაცობაში შესული სიკეთის ძალ-ღონე. განსაკუთრებით ახლა გა-

მოეხატა თვალეში, გამონაკეტულ ყვრიშალებზე მშვენიერება აღაჩინა ბისა. მისი თვალებიდან მონაბერა-ნათლე ამხანაგსაც გადაედო, ახლა ისიც იმ პატარა ბიჭს ჰგავდა, საფეხურებზე რომ ადიოდა და ზურგს უკან მოწყენილი თოჯინების თეატრი ჩამოიტოვა.

— მახსოვს, მამაშენი რომ მოვიდა სკოლაში. მაღალი, შესამჩნევი გარეგნობის, შავ პიჯაკზე გადაფენილი თეთრი საყელო ძალიან შვენოდა, იდგა ანა დმიტრევნას წინაშე და რაღაცას გაუბედავად ამბობდა...

ნიკომ უმაღვე გონების თვალთ გადაჩხრიკა წარსული, ბუნდოვნად ახსოვდა, რომ მამა ერთხელ მოვიდა სკოლაში, იმ ნისლმზვებული მოგონებიდან შეეცადა ამოეკრიბა ელიზბარის სახის მოხაზულობა, მაგრამ მოგონება მასწავლებლის სახის გამომეტყველებას ამკვეთრებდა, მამისას კი არა. თითქოს წყალმა გადაიარა წარსულის სურათზე და თვალებს შეატოვა რაღაც დაფარულის ნაკუწი, მხოლოდ მინიშნება. ნიკოს უცებ ხალისი წაერთვა. წელანდელი გამონაშუქი ადამიანობისა დამდორდა და ძველ გზას გაუყვა.

მიჰყვებოდნენ ქუჩას და ნიკოსთვის ამ წუთში თბილისი მისი ბავშვობის ქალაქი კი აღარ იყო, არამედ ჩვეულებრივი, მოსაწყენი, ყოველდღიურობაში ჩაკარგული ალაგი, სადაც მისი ბავშვობისაგან განსხვავებით, მრავალი უცნობი სახე დაიარებოდა და სადაც ფეხის დასადგმელი ადგილი წინასწარ უნდა მოგეზომა თვალთ.

კაბინეტის კარი რბილად იხურებოდა. სინათლის ხშირი შუქი ეფინებოდა საწერ მაგიდას. აქ დააენა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თავისი ფიქრები, სამეცნიერო ინტერესები, წლების მანძილზე ნაღვაწი. ოთახში პაერი დამძიმებულიყო პატრონის იქ ყოფნის გამო. საწერ მაგიდას ნიკოს მეუღლე — სოფიო უჭდა.

ახლა მეცნიერულ თემაზე არ ფიქრობდა. წუთის წინ გავიდა ახალი თანამშრომელი გოგონა, მრავალი ჭირისუფლისა და მაღალი თანამდებობის პირთა ახლობელი. სოფიო გადაშლილ წიგნში გახაზულ სტრიქონს დააკვირდა, გული ვერ დაუდო და დახურა. ფიქრ-დაჩნეულმა კაბინეტს მოავლო მზერა. სევდა ეპარებოდა და თვალებში წყნარად ბინავდებოდა. თანდათან გადაეცალა სახიდან სამეცნიერო დაწესებულების უფროსის მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვა და კაბინეტის კედლებმა დაინახა ნაღველს შეჩვეული ქალი.

სოფიოს ბავშვობისდროინდელ ამხანაგებს უდარდოდ ვატარებელი წლები ანთებულ ყაყაჩობად მოჰყვებოდათ გვერდში. შინ ძვირფასი ავეჯი, ხალიჩები ეგულებოდათ. ბროლის ქალის ანასხლეტი შუქი ართობდათ და საინტერესო, მოდური ნაცნობებით თავის მოწონება უყვარდათ. ცნობილ სახელსა და გვარს ისე მოქანცული იერით წარმოთქვამდნენ, რომ ჩანდა, ღლიდათ მოჭარბებული იდილია. შესაფერის თანამოასაკეს დაუყოვნებლივ მიიმხრობდნენ და სულ გალობით ეცლებოდათ ხელიდან წლები. უკვე მოზრდილების ხსოვნაში საიმედოდ ინახებოდა ბავშვობაში მოხვეჭილი უპირატესობა და ღირსება.

სოფიოს არ უყვარდა ძველი ფოტოების ნახვა. ქალის წარმოდგენაში მთელი სიცხადით აღსდგებოდა ხანა, როცა გარემოს, ადამიანების, ამხანაგების მიმართ განიცდიდა სიბეჩავეს, შიშს, ზედმეტობას და, რაც მთავარია, უმნიშვნელობას. ახსენდებოდა თეორეულის რეცხვისგან დამბალი პატარა ხელები, საპნისა და სოდის სუნის. ახსენდებოდა, როგორ აჰმევედა ავადმყოფ დედას. როგორ ეღვრებოდა ქალს ბავშვზე ბუღიონი და დღენიადავ ამის შემყურე როგორ ცდილობდა სხვათა წინაშე ძალით გალაღებულყო.

კაბინეტის ფანჯრიდან მოჩანდა ვარსკვლავებით აჭიკჭიკებული ცა. მთვარე ნაღვლიან საქმროს ჰგავდა, მცირე მნათობთა ამაღა კი მაყრიონს. ნიავი

არწვედა შევერცხლილ ჰაერს და მივიწყებულ ჰანგზე ღლინებდა.

მაშა არქივარიუსი ჰყავდა დამაშინებელი მცირე ხელფასის გარჯილობა საწერი მაგიდის მოწყობილობას ეტყობოდა. მისთვის ცოლის ჯანმრთელობა დანომრილი საბუთი იყო და შეილის ყმაწვილქალობაც საარქივო ფურცელზე უნდა დატეულიყო. ბინაში წარმავალობის განცდა სუფევდა და სიძველისაგან დამსკდარი სახლის კედლები ბზარებში ინახავდნენ ნდომას სიცოცხლისას.

წესრიგად ქეტულმა დარდმა ჩაავონა, რომ არსებობს მხოლოდ ჭკნობა და სიყვითლე.

ვერ შეადწინა ტანსაცმლისა და გამორჩეულ ნაცნობთა სატახტოში. ყველამ გინაპირა და როცა საუბარში ჩაბმა მოიწადინა, პირი აუკრეს. თავის მსგავსებთან ამხანაგობას არ დასჯერდა და წყენამ არაერთხელ გადაატარა ძეძენარზე.

ერთხელ იღბლიანი ყმაწვილქალობის მესაკუთრე ნაცნობმა შინაურულად, გულსავსედ მოიკითხა. სოფიომ ისეთი ათვალწუნებით შეხედა, როგორც მას, ბავშვობაში, იმ წრის გოგონებმა შეხედეს. სიამაყით აღკაზმულს სიტყვაც მშვიდი ჰქონდა.

— ჩვენ ახალგაზრდობაში უკეთ ვიცნობდით ერთმანეთს, მაშინ რატომ არ მესალმებოდით? — თქვა და ღიმილ-ღიმილით გაშორდა.

ახალ თანამშრომელ ქალიშვილს მაშინვე შეატყო, რომ გრძელდებოდა ბედით გათამამებულთა დინასტია. გოგონა თავადეროლი დადიოდა დერეფნებში და ყოველდღიური გაწამაწია გოშიას ყეფად ეყურებოდა.

სოფიომ ქედა უჯრიდან მისი საბუთები ამოიღო, სურათს დახედა. გოგონას თავდაჯერებამ გონება აუმღვრია. გაგულისებულმა საბუთები უჯრაში ჩაყარა, ფეხზე წამოდგა, გულით ეწადა, რაღაც უხიაგი ეთქვა, წყენა დაეცბრო.

მოიწვედა წარსული, ახლოვდებოდა და იმ ქვენა გრძნობებს, ქალს რომ



სადღაც გადაეკარგა, წარსული მტვერს აცლიდა, სინათლისკენ უბიძგებდა ყველას სათვალთვალოდ. მაგრამ სოფიოს სიკეთის დროული გულაძგერება შველოდა, რათა ავი ხმები მოეზღუნა.

ხანდახან გულითად მეგობარს შეეყრებოდა და მაშინ გაუხარელი დღეების წყენა სადღაც უჩინარდებოდა. მაშინ გამოჰფენდა სულის სიკეთეს, საუბრობდა გულდანდობილად და მის ბაასში იხატებოდა ნიჭიერება, გონების სიმდიდრე, ადამიანური სითბო. ეს წუთები იყო იმ გრძნეული ხიბლის სტუმრობისა, რაც არაერთხელ აღბეჭვდია სახეზე ყრმობის წლებში. უყვარდა მეგობრის სახელი და გვარი. მათი წარმოთქმისას შიგ აქსოვდა ცხოვრების, ადამიანების სიყვარულს. იმ სიკეთეს, რასაც ბავშვობის ხანაში ადამიანთან შეთვისება, დაახლოება ჰქვია. მაშინ ავიწყდებოდა, რომ ცხოვრება ჰაპანწყვეტაა, რომ ბედი ზოგისთვის ვერაგია, ზოგისთვის კი მადანი. უხაროდა, რომ წლები მთლად უსიხარულოდ არ გაკრფილა.

როცა წარსულის ხილვები, ფერები, სურათები მოაწყდებოდა, ნიკოს სახე რატომღაც ცალკე მიტივტივებდა. ნიკომ მის ცხოვრებაში მშვიდად შემოაბიჯა და თან მოიტანა ძნელადმისაწვდომი, დამღლევი, ქვად ქცეული განწყობილება. ერთხელ და სამუდამოდ დასაზღვრული დამოკიდებულება ცხოვრების აკვარგინობაზე. სოფიო მოქანცა ქმრის ღრმააზროვანმა დუმილმა და თავდაცვის გზა იპოვა, ნელ-ნელა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ უგულისყუროდ მოეკიდა და გაიკლვა დაუწყყო.

მათი შვილი ერთადერთი ადამიანი იყო ოჯახში, რომელმაც ბაბუასავით ცხოვრებას ომი არ გამოუცხადა, მამასავით სულის სიკარიელის არ ეშინოდა და დედასავით არ ჰქონდა გულზე ნაჭდვევი გაუნელებელი ტკივილისა.

მარიკო კმაყოფილი იყო განათლებული მშობლებისა, არასოდეს წაბორძიკებულა, ისე მიედინებოდა მისი ცხოვრება და ბედი აძლევდა უსაზო-

მო საშუალებას ყოფილიყო სულგარმელი, გულლია და ადვილად შესაძლებელია და უწყალობა ისიც, რომ არასდროს თავი არ აეტკივებინა ვინმესთან დაახლოებაზე, მოუწყობელ ვითარებაზე, მასთან ურთიერთობას ეშუბრებოდნენ და ისიც არასასურველ ნაცნობებს ზრდილობიანად განერიდებოდა. ყველას თვალსა სჭირდა მისი ზრდილობა, მნიშვნელოვან საქმეზე რბილად ნათქვამი უარი. მარიკოს ფხიზელი ჰქუა უამრავი ძნელადგასაჩრევი ფიგურებიდან ამოჭრიდა ყველასთვის ნაცნობს, აუცილებელ და საჭირო გამოსახულებას, თვალწინ გადაგიშლიდა და ექვემსაბინი ალარაფერი იყო. მარიკო რამდენიმე ბიჭს მოსწონდა, გოგოს ეს ყველაზე მეტად ალაღებდა, ამოში რალაც თავშესაქცევი იპოვა, მაგრამ ბიჭები გრძნობდნენ, ანდა ცოტათი მაინც ხვდებოდნენ, რომ გონიერებაში შეიძლება გააფაზილოს, ფიზიკური სიმალღეც კი შეიძლება მცირედ მოგაჩვენოს და ამიტომაც ზედმეტ გარჯას ერიდებოდნენ, უხიფათოდ ყოფნა ერჩივნათ. მოწონება თავისთავად ავიწყდებოდათ და იქით მიიწევდნენ, სადაც უცხოობას ვერ იგრძნობდნენ. მარიკოს კეთილმოწყობილი იღბალი სანებლად არაფერს გაუხდიდა და ისიც შეუგნებლად, დაუფიქრებლად ელოდა სიამაყის აღვსების წუთებს. გოგონა პატარის სცემდა დედის საზოგადოებრივ მდგომარეობას და სიყვარულში ხანდახან გამოიღვებდა მძაფრი წუთები ამ გრძნობის სიციხადისა, მამა კი ყოველთვის თანაბარი გატაცებით უყვარდა, თუმცა ერიდებოდა მისი ხასიათის სირთულეში შეღწევას. გოგონა მიჩვეული იყო სიკეთის თანხლებას და სჯეროდა, რომ იგი დაბადებამდე ეკუთვნოდა, რომ ის თავისი არსებობით რალაც მნიშვნელოვანს მატებდა მის უკვდავებას.

ბაბუა თავისი მრავალჭირნახადი ბიოგრაფიით საინტერესო და გარიყული ადამიანი იყო. გოგონას დასაზღვრულ ბედს მასთან სისხლით ნათესაობა გამორჩეული ფერით აელვარებდა. ეს

ფერი შვილიშვილისთვის ცხოვრებისეულ სიბრძნესთან ცოტადენ ნაცნობობას ნიშნავდა, ის დროება მისთვის სულდარაგადაფარებულ ცხედარს წარმოადგენდა. ერთხელ ეჭვმა აიკლო, გოგონა შეაძრწუნა იმის გაფიქრებამ, რომ მისთვის წილხვდომ სიკეთეს იმ დროებაში გამოცდა არ ასცდებოდა. ვინ იცის, როგორ დამახინჯდებოდა მისი წყალობისმოყვარე გული და რას მიაგებდა სანაცვლოდ თავდაუცველ სიკეთეს.

მარიკო ფართოფანჯრებიან ოთახში იჯდა. სხვა თანაკურსელებთან ერთად, მოწაფეობისდროინდელი კომკავშირის ბილეთები უნდა გამოეცვალა. ახალ, მოუდრეკავ წიგნაკში, სტამბის სუნი რომ ასლიოდა, მარიკომ მონდომებით ჩაწერა: „39-ე საშუალო სკოლა...“ და შეჩერდა. ერთხანს დაბნეული დაჰყურებდა შეცდომას. ძლივს წამოღვა, მივიდა თითქმის თანატოლ ბიჭთან — კომკავშირის კომიტეტის მდივანთან და აუჩქარებლად უთხრა:

— შეცდომა მომივიდა...

ბიჭმა მოუტყულოებით თავგაბებრებულ მზერა გადაავლო ნაწერს, ძვირფასი წუთები ხელიდან გამოსტაცეს და ამით გულმოსულმა წიგნაკი უხეშად ესროლა მარიკოს.

— შეცდომა მოგივიდათ, რა ეხლა სწავლობთ წერა-კითხვას, უჯრედიანი რვეული ხომ არ მოგიტანოთ?

— ცოტა გრძელი წინადადება ხომ არ გამოგივიდათ? — დამცინავად შენიშნა მარიკომ.

— მეღავებით კიდეც?

— რა მაქვს სადავო ზოპარკის ბინადართან, ჭკუა კი არ დამიკარგავს.

ბიჭი კიბეზე დაედგნა. რაღაც უწამაწური უნდა ეთქვა, მაგრამ გაახსენდა, რომ არ შეეფერებოდა უხანსობა და უკმაყოფილოდ მიაძახა:

— ისე, მგონი, სიტყვებს შერჩევა უნდა.

— თქვენ ხომ შერჩეულიცა გაქვთ

და დახარისხებულოც, მაგაში ვერგინ შეგეცილებათ. მაგრამ თუ ლექსზე მთაღდა საქმე, იქ კი ხარისხის ნიშნები გერევათ. — გოგონა სიამით შოლტავდა ბიჭს და შეფარული სიამაყე მის სახეს შორეულ სილამაზეს ჰფენდა.

ბიჭი აილანდა და ახლა უფრო გაუცხოველდა სურვილი უწამაწური სიტყვის თქმისა, სიტყვისა, რომელიც რატომღაც ყველას ლანძღვას დაიტევდა.

მთელი დღე აწვალებდა ფიქრი იმაზე, რომ გოგონასთან უნდა ეჩხუბა, და ისე დაემარცხებინა, რომ თავად არაფერი დაჰკლებოდა. უვნებლად დარჩენოდა თავის თავზე შეკოწიწებული შეხედულება.

მეორე დღეს კიბის თავში იღვა და ცდილობდა გულმშვიდი გამომეტყველება შეენარჩუნებინა. დაინახა თუ არა მარიკო, გაფაციცდა. ბიჭის თავლებში მოუსვენრობა და ბუნდოვანი სწრაფვა ასხმარტალდა. მორჩილად გაუწოდა თავის ხელით შევსებული წიგნაკი. მარიკომ გაშალა, წყრომით შეჰყარა წარბები და მიახალა.

— რატომ არ მკითხეთ, მესიამოვნებოდა თქვენი ხელით ჩაწერილი?

ბიჭი მიხვდა, რომ თავდაცვა არ ღირდა. ხელები ოფლით დაენამა და უჩუმრად ჩამოსევა პიჯაკის კალთაზე. მეორე მოულოდნელად წამოიძახა.

— შეიძლება, კინოში დაგაბატოთ? — თავად განცვიფრდა თავის სიტყვებზე.

საიდან მოველინა ეს სურვილი, არ იცოდა. ისე გაცხადდა, რომ გაფიქრებაც ვერ მოასწრო. მარიკო, როგორც გამოსწორებულ მოწაფეს, ისე შესტკეპროდა ბიჭს. თავს არ დაეკითხა, ისე წაჰყვა კინოში, თუმცა რაღაცით შებოჭილი იყო ძალზე ეუცხოებოდა არასახარბიელო მდგომარეობა. უნებურად გაიფიქრა, რომ რაღაც დააკლდა, რომ მის სასურველ ბედს განსაცდელი არ ასცდებოდა. ვერ მიხვდა, რომ ეს განსაცდელი იზიდავდა, ვერ მიხვდა, რომ თავისი თავის გამოცდა ეწადა. სურდა, ბიჭი უხეში პატივმოყვარეობისათვის დაესაჯა.

გრძელი რიგიდან იულონმა (მარიკო წამიერად მისმა სახელმა ჩააფიქრა და დასჯის სურვილი გაუქარწყლა) ვილაც მოსწავლე ბიჭი ამოირჩია და ორთითშუა მოქცეული თუმნიანი გადააწოდა. ოღნავ მოშინაურებული გვერდით ამოუდგა მარიკოს და მხიარულად ჰკითხა:

— გიყვართ კინო? — გოგონამ უგულსყუროდ შეხედა. ერთ წამს მის თვალებში უპარატესობის გრძნობა გახსლტა და აგდებულად მიუგო.

— თუ კარგ წიგნს ჩამოჰგავს, რა უჭირს, ისე ძალიან აურზაურია. იულონმა ველარაფერი თქვა. ხმაშეწყობილი საუბარი ერთხანს მიწყდა. როცა მოსწავლე ბიჭმა ბილეთები გაუწოდა, იულონმა ხელისგულზე დადებული ქაღალდის ფული აიღო, ხურდა კი ბიჭს დაუტოვა და მხარზე ხელის დარტყმით გაამხნევა, აიღე, აიღეო.

შევიდნენ ჩაბნელებულ, ტალანის მაგვარ დაბალჭერიან დარბაზში. კედლებთან გამწყრივებული იყო ათასგვარი გასართობი, ფულის ჩხრიალის ხმა უაზროდ მობორიალე ხალხს ლეკვივით ასდევნებოდა. იულონმა აქაც ვილაც პატარა ბიჭი შეიგულა და ნაცნობივით უთხრა:

— ერთი, მეგობარო, სკამი დამითმე, — ბიჭმა ამოხედა და თაფლისფერ თვალებში გაუგებრობა გამოეხატა. იულონი ცივი ღმილით მისჩერებოდა და უსიტყვოდ იმუქრებოდა. ბიჭი წმარწნით წამოდგა, თან მოულოდნელად გამოცხადებულ პირს შეფიქრია-ნებული შესცქეროდა.

მარიკოს მოეჩვენა, რომ განსასჯელის სკამზე ჯდებოდა. იგრძნო, რომ ლალად საუბარი ტოლისა ტოლთან არ ეწყობოდა და თავის გასამხნეველად გაკილვა მოიშველია.

— რა მაღალი ხმის პატრონი ბრძანებულხარ, ძალიან ქედმაღლურად გამოიყურები.

იულონმა ვერც ახლა თქვა ვერაფერი. ამგვარი შემთხვევებისთვის სარგო წინადადებები არ ჰქონდა. გოგონა რა-

ლაცას მიხვდა. მიხვდა, რომ იულონი მას სწავლობდა, მისი საუბრიდან თიერთდამოკიდებულებიდან ცდილობდა რაიმე წარეტაცა, შეძლებისდაგვარად დაემორჩილებინა. მარიკო გიქცა-ცა სრულიად უცნობმა თამაშმა, უგმანმა დაუშალა უცხო ვითარებასთან დაახლოება, მაგრამ სწრაფვას ველარ გაუძლო და გუშანი უქუაგდო.

თანდათან აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია, რომ იულონს მასზე უნდა ეზრუნა, დახვედროდა გაჩერებასთან, მიეცილებინა სახლამდე და ერთი წუთით უყურადღებოდ არ დაეტოვებინა. გოგონას გადაავიწყდა, რომ ახლახან ცნობისწადილი უბიძგებდა იმ ძნელად აღსაქმელი სამყაროსაკენ, რასაც იულონი ქმნიდა, რომ იგი ახლად გაცნობილი ბიჭის შემწევობით კეთილდღეობას გამძლეობას უსინჯავდა.

სოფიო მუყაითად ირჯებოდა, ალაგებდა ბინას, წმენდდა მტვერს, მიმოდინოდა ერთი კუთხიდან მეორეში და თან გრძნობდა, რომ გულისწყრომა საცაა ვადმოსკდებოდა სხეულიდან და ამოჩემებულ სატივარზე დაიწყებდა ჩივილს. მწყარალად გახედავდა ფიქრებში ჩამყუდროებულ ნიკოს, რომელიც სამყაროდან მოდენილ ხმებს დაეებორკა. ლამობდა ცხოვრებისათვის ყველაზე საჭირო ხმა შეერჩია. იმ ხმაში ამოეცნო მანქანათა ჰორიზონტალური უნიფიკაციისთვის შესაბამისი კვანძი, რომელიც გარემოსთან სიახლოვეში შეეშველებოდა.

შომთხოვნელად გაისმა ზარის ხმა. სოფიომ თმა შეისწორა, კაბას თვალი შეასწორო და კარისაკენ თავაწეული გაემართა. ოთახში იმ თანამშრომელ გოგონას შემოუძღვა, შემწეებად სახელიანი ნათესავეები რომ ეგულებოდა. სოფიოს წამსვე ურყევი გამომეტყველება დაუბრუნდა და ცივი თავაზიანობით სთხოვა დამჯდარიყო. გოგონამ ნიკოს შეხედა, და ერთბაშად მოლომობიერდა. ამ კაცზე მნიშვნელოვანი რამ

სმენოდა და ახლა გახალისებული შესცქეროდა. სოფიო წელგამართული იდგა, თან ოდნავ შეღებული კარისკენ თვალს აპარებდა. იცოდა მამამთილის გატაცების ამბავი, უცნობებთან გამოლაპარაკებისა და თავის მოწონებისა.

ამ გოგონასთან შეხვედრა გულს უსერავდა. გადავიწყებული ტკივილი ნელ-ნელა იღვიძებდა. სოფიო კარგა ხანია დაეპატრონა თავს. შესაფერი თავდაპირველი გამოვლინდა სიტყვაში, ქცევაში, აზროვნებაში. საოცრად შეიტკბო შინაგანი თავისუფლება. ბედსიანი ნაცნობებთან შეხვედრა ხელს უშლიდა პიროვნული სიმაღლის შენარჩუნებაში და მაშინ მის მიერ მოშინაურებული მართებული ქცევა სადღაც უჩინარდებოდა. უწინდელ განცდას ხელში ატატებული გადაჰყავდა წარსულში და გარდასულის სიმძაფრე უმოწყალოდ აჩანაგებდა.

— მე ჩემი ადგილის თაობაზე მოვედი, — გულმშვიდად, უფლებამოსილად განაცხადა გოგონამ და კიდევ ერთხელ შეავლო ნიკოს თვალი. მაშინვე სოფიოს შეადარა და როგორც ეწადა, ისე ვერ იგრძნო თავი.

სოფიო მის გაეღებულ ფიქრს თითქოს ჩასწვდა და აგდებულად შეხედა გოგონას.

— რა ვიღონო, როცა თქვენ, ინსტიტუტის სამეცნიერო პროფილს არ ესადაგებოდა და ამიტომაც შტატების შემცირება თქვენ შეგეხოთ და არა საქმის მცოდნე ადამიანებს.

გოგონა წამოწითლდა, კუთვნილი მდგომარეობის შენარჩუნებისთვის სიტყვას დაუწყო ძებნა, მაგრამ გაბოროტება მოეძალა. მისი განმტკიცებული ყოფა საცაა განქარდებოდა, საუბარში ელიზბარი რომ არ ჩარეულიყო.

— იცით, პატარა ქალბატონო, ერთეულს საყვარელი ასული — თეკლე ბატონიშვილი, იმ ავბედით დროს კალუგას გადასახლეს. დადიოდა ბარონ როზენთან, თხოვდა შეწყალებას, დაპქონდა საჩუქრები. წარმოიდგინეთ, რად უღირდა ეს ბატონიშვილს. თქვენ

კი თქვენივე მიწაწყლის შვილისთვის ვერ გაგიმტებიათ თხოვნა.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ ზოგჯერ შენივე მიწაწყლის კაცი უარესია ბარონ როზენზე და რომ ჩემი მოსყიდვა შეიძლება? — გაისმა სოფიოს მკვახედ ნათქვამი.

— მე ეგ არ მითქვამს სოფიო, მე ვთქვი, რითია ეს გოგონა თეკლე ბატონიშვილზე უკეთესი-მეთქი, — დაყვავებით მიუგო ელიზბარმა.

როიას დაყრდნობილმა ნიკომ გაიცინა ნებას მიშვებულებით. სოფიომ მამა-შვილს შეკრთომით შეავლო თვალი და უცხოობა იგრძნო.

კაბინეტის კართან მდგარი ქალის გამოხედვაში გარდასულთან სიახლოვე და განუყრელობა ენიშნა სოფიოს. ქალმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გამოეხატა, უშუალობა, რაც ყრმობისდროინდელ ნაცნობობას ახლავს, თუ უცხო ადამიანის მოწიწებით ხლებოდა დიდი ხნის უნახავ ამხანავს.

რთული თმის ვარცხნილობა, ხნოვანების კვალი სახეზე, ლამაზად დაწნული ვერცხლის ჯაჭვი კისერზე და ამ იერის მიღმა ჩანდა ძალზე ნაცნობი, ყრმობასთან შერწყმული თვისებები, ჩვევები. თანაკლასელი პროფილით სამსახურს სთხოვდა აბიტურიენტი შვილისათვის. სოფიოს ღიმილი გადაედნო სახეზე. გაახსენდა, რომ ამ გოგოს შემწეობით გაიგო ადამიანის წარმოშობის საიდუმლოება. ზუსტად წარმოსახა ის დღე.

ოდნავ თინჯილავდა. რომელიღაც გაცვეთილი უცდებოდათ მეოთხეკლასელებს. სკოლის ეზოში წარწერებით აჭრელებულ კედელთან გაკანკულები იდგნენ. მათ წინ დამრიგებულებით ეს ქალი იდგა და იღუმალი ხმით ჰყვებოდა მოსამსახურისგან მოსმენილ გამაოგნებელ ამბავს. თავად ამ ამბავს უკვე შეჰკუთვებოდა, ჩაებტქდა გონებაში, გულში გადაეხარშა და ახლა შემრიგებლური კილოთი ლაპარაკობდა. წვი-

მა ნამავდა გოგონებს, მაგრამ ვერც ერთი ვერ გრძნობდა ამინდის გულცივობას. წამოვიდნენ, თითქოს ახლობელი ადამიანის დაკრძალვა იხილეს.

დამოუკიდებლობის შეგრძნება და მოზრდილი ადამიანის თავდაჯერებაც ამ ქალის სახელთან იყო დაკავშირებული. მამის გარეშე პირველად ამ გოგოსთან ერთად წავიდა კინოში, საღამოს სეანსზე.

უზარმაზარ მოხატულ დარბაზში, სადაც კედლებზე დამაგრებული სასანთლები და ბრინჯაოს ბიუსტები ბრწყინავდა, გოგონები ისე იღვინენ, თითქოს ძველებური სიდიადით განათებული დარბაზების მეტი არა უნახავთ რაო, ორივეს გული უფრთხოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდნენ მეტი ღირსება დასტყობოდათ გარეგნობაში. ესტრადაზე შავიკაიანი მელოტი კაცი იღგა და ძველებურ რომანსებს მღეროდა. აქეთ-იქით მორონინე წყვილებს, როგორც არასდროს, ისე ეხატებოდათ სახეზე ერთმანეთთან ყოფნის სიხარული. ჭალებიდან, სასანთლებიდან, შიშველი ქალის ბრინჯაოს ფიგურებიდან მოდენილი შუქი გარს ეხვეოდა ჭგუფ-ჭგუფად მდგარ ადამიანებს. გარეთ, კინოთეატრის შენობაზე, აფიშა იუწყებოდა: „ქალიშვილები ესპანეთის მოედნიდან“. ზოფიოს ქათვისი ერთადერთი კუბოკრული კაბა ეცვა და განიცდიდა ჩაცმულობის სისაწყლეს. კაბა უბიძგებდა იქით, რომ სინათლის აბლაბუდებში დაენახა თავისი ღარიბული ბინა და მოყვითალო კედლები დემისის სახის ფერისა.

ნიკო სკამის საზურგეს მიყრდნობილი, სხეულმოშვებული იჯდა და სივრცისთვის გაემართა მზერა. წყნარ ბაასს წამოძახილები ერთვოდა. ვილაც მოძრაობდა, ვილაც იცინოდა. მრავალსართულიანი სახლის ერთსახოვანი ფასადი ლამის ოთახში შემოჭრილიყო და ერთსახოვან ადამიანებს ამოსდგომოდა გვერდში.

— ნიკო, დღეს განსაკუთრებით მშვენიერად გამოიყურები, — მოესმა თანამშრომელი ქალის სულწასული ხმა. — იმ გამოკვლევის ავტორს ასე უნდა ჩაეცვა, — დასძინა ბოლოს ქალმა და ნიკო გულდაჯერებით აათვალღიერა.

ნიკომ ცერად გახედა. ნართაულ საუბრებს შეჩვეული ზანტად წამოდგა და ფეხბორეული კარისაკენ გაემართა.

— საით, ნიკო, — დაადევნა ვილაცამ.

არ შემობრუნებულა ისე მიუგო: — ცირკში, ამბობენ, მაიმუნები წერენ და კითხულობენო.

გაიცინეს ცოტა ნირშეცვლილებმა. ერთმა არ დააყოვნა და წამოიწყო:

— ჩვენი ბიბლიოთეკარი მივლინებით მიდის მოსკოვს.

— ვინა, კაცო, ის სპექტანსაცმიანი?

— სწორედ ისა.
— ნამდვილად საბიბლიოთეკო საქმის გართულებისთვის მიეშურება.

— ჰკითხე და არ დაგიმაღავს, მადენი არ შეუძლია.

ბიბლიოთეკარს დარეჯანი ერქვა. ხმა-ამოუღებელივ შრამობდა. მუდამ ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. ფიქრმორეული თვალები და ლურჯი ხალათი დილაბინდევით ერწყმოდნენ ერთმანეთს. ნიკოს დანახვისას ქალის სახელამაზად აკრიალდებოდა ხოლმე.

იმ დღეს ლურჯი ხალათი არ ეცვა. უჩვეულო გამბედაობით შემოაბიჯა ოთახში. ერთბაშად მოისხიბა საუბარი და რამდენიმე თვალი მის პირისფერ ძვირფას კაბას მიაჩერდა. დარეჯანი დაიბორკა და ძლივსლა ამოთქვა:

— ვისაც დავალიანება გაქვთ, დააბრუნეთ წიგნები.

— დარეჯან, გენაცვალე, ნახტომისათვის ემზადებით?

დარეჯანმა არც მიხედა ავად მოსაუბრეს, რომელმაც ის იყო ნათქვამის გამეორება დააპირა, რომ ნიკოთი დაინტერესებულმა ქალმა შეაგება:

— შენ და გარაყანიძე დღეს ისე გა-

მოიყურებით, კაცს ეგონება, საყდარში მიხვალთ ჭვარის საწერად.

ბიბლიოთეკარი ისევ მორიდებამ დაიმორჩილა და, კაბა რომ არა, შეუმჩნეველი დარჩებოდა. იგრძნო, რომ თავი უნდა გაეტანა. ეთქვა ის, რასაც მეტწილად ყველა ხვდებოდა, მაგრამ არავინ აღიარებდა.

— თქვენ ყველას გშურთ ნიკოსი, — თქვა გულმშვიდად და განცვიფრება წამოტივტივდა თანამშრომელთა თვალებში.

— გშურდით გამოკვლევამდეც და ახლა მით უფრო. ის, რისთვისაც თქვენ იღვწით, რასაც თანდათან ხვდებით, რასაც ძალისძალიანობით იხვეჭთ და ხანდახან გიმტყუნებთ კიდევ, იმიტომ რომ თქვენ არ გეკუთვნით, თქვენთვის ბუნებას არ მოუმაღლებია, ნიკოს თავიდანვე ბოძებული ჰქონდა. იგი არჩევანის წინაშე არასდროს მდგარა, ეს გავაკეთო თუ ის, ასე სჯობია თუ ისეო. მას შინაგანად ესმის, რაც საჭიროა, მას სხვისი აზრებით არასდროს უცხოვრია, სხვისი გრძნობებისა კი ყოველთვის ესმობდა. ეს უფრო დიდი უნარია, ვიდრე გამოკვლევა, გამოკვლევა ეგებ თქვენც დაწეროთ, მაგრამ ამ უნარს ვერ დაიჩემებთ.

— დედა, ბიჭო, ყველაფერი ეს წიგნებში ამოიკითხე? — გაისმა ვიღაცის ნაძალადეველ კადნიერი ხმა.

ღრმად გულამოჭრილკაბიანი ქალი წამოდგა, შორიდანვე თვალით მოზომა დარეჯანის სიმაღლე და ღრმამაზროვნად დასძინა:

— რითი განვსხვავდებით მე და ნიკო ერთმანეთისაგან?

დიდრონი ხარბი თვალებით უცქერდა დარეჯანს და ცდილობდა შეემჩნია, თუ რა მოეწონებოდა კაცს ამ ქალისა. ბიბლიოთეკარმა იგრძნო, რომ ჰაერმა ფერი იცვალა და ზერელე თავშექცევა ჩუმად გაიკრიბა ოთახიდან.

შეეცადა ფაქიზად გამოეხატა სათქმელი.

— როგორ გითხრათ, ზოგიერთ ადამიანს აღზრდა აუმჯობესებს, ზოგი

კი თავისთავად კარგია და თუ აღზრდა დაერთო, ნიკოსავით გამორჩეულად აღზრდა — თქვენ საიდან იცნობთ ასე ახლად ამ კაცს? — მტრულად უთხრა იმ ქალმა და ჩამუქებულ თვალებში უკეთურობამ გაჟონა. დარეჯანმა დამცინავად შეხედა, ახლა აღარაფრისა ერიდებოდა და გაჭიანურებული მიუღვარებით მიუგო:

— ახლო ურთიერთობა მაქვს და იქიდან...

განცვიფრებულმა დუმილმა დაისადგურა ოთახში.

ქუჩაში მოხვედრილი დარეჯანი კინაღამ ატირდა. შეაძრწუნა საკუთარმა გამბედაობამ, ისეთი რამ თქვა, რაც გაფიქრებისასაც კი აკრთობდა და სირცხვილით წვავდა.

თანაბარი სიჩქარით მიაკაკუნებდა ასფალტზე მაღალქუსლიან ჩექმებს. უცებ გაჩერებასთან მდგარ ნიკოს წააწყდა. ბიბლიოთეკარი შეყვონდა, თვალები აუციაგდა. როცა ნიკოს მიუახლოვდა, თანამშრომელი ქალის დაუდევრად ჩახსნილი გულსპირი დაუდგა თვალწინ და გულნაკლულად გაილიმა.

ტროლეიბუსი ჩამოდგა. ქალმა ასე ლისას ნიკოს ნატვრით შეხედა.

კაცმა ვიღაც გაატარა, მერე მსუბუქად შედგა ფეხი საფეხურზე.

— იცით, დარეჯან, ცოტაოდენი რისკი, ცოტაოდენი სიმსუბუქე, ბევრი ღიმილი და თქვენ გათხოვდებით, — თქვა კაცმა ღმობიერად, თან შიშობდა, ნათქვამი არ სწყენოდა თანამგზავრ ქალს.

დარეჯანის სახეზე დაფენილი სიხარული უცებ განქარდა და იმედგაცრუებამ შოაკითხა. დაცინვაშეკიდებული ხმით თქვა:

— ვიცი და, ხვალიდან გათხოვილი მერქმევა, ბატონო ნიკო.

ქალი ჩავიდა. ნიკომ დაინახა, როგორ მხნედ, გადამწყვეტი ნაბიჯებით გადაჭრა ქუჩა. გაზეთების კიოსკთან მოლოდინე კაცი მის დანახვაზე გამოცოცხლდა, შემოეგება ქალს და ორივე

ხელი დაუჭირა. ნიკო დალონდა. პირი იბრუნა და ცნობადაფანტული მიაჩერდა ვილაცის ტყავგადაკრულ ბეჭებს.

გადასასვლელთან მოხუცი ქალი აედევნა.

— გეთყვავ, სამშვიდობოს გამიყვანეთ, — ყურთან ჩაუნიავა მოახლოებულ ნიკოს. მანქანების ნაკადი შემდგარიყო და ქუჩა წამიერად ისვენებდა. მოხუცებულმა ხელი გამოსდო. ორივე აჩქარდა. თეთრ ზოლთან ისევ დაიძრა ზღვაური მანქანებისა. ქალს თვალები აუჭრელდა. ნიკომ გვერდიდან გახედა თანამგზავრს და შეცბა. მივიწყებული სახის ნაკვთები დაუდგა თვალწინ. ამ სახემ წამოკრიფა წარსულის ლანდები და კაცი პირველად დალონდა შინ და გარეთ, დარდასა და ალტაცებას, მამასა და დედას, მასწავლებლებსა და ამხანაგებს, სიყვარულსა და სამუდამო წყენას შორის ჩაკარგულ სიყმაწვილზე. ცხოვრებამ გადიგრილა და ყველაფერმა: უცბებდმა თუ ნაცადმა, წარმავალმა თუ სამიღლემჩიომ კვალი დატოვა გულზე, სახეზე, გამოხედვასა თუ ტყუილად ნათქვამ სიტყვაზეც. კაცს მოეჩვენა, რომ დაბადებითვე არსებული და თავისთავად სადღაც გაუჩინარებული, დაქსაქსული, ვითარებისგან დევნილი პიროვნული ნიშნები წლების სიმრავლესთან ერთად წამოიშალა, გამთლიანდა და შეერწყა მისი თვალების ფერს და შიგ ჩატოვებულ სიკეთეს.

ამ ქალის პროფილს შესცქეროდა მეოთხე კლასიდან მეთერთმეტემდე. მისი წყალობით კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას. ამ ქალის მიერ ოდესღაც წაკითხულმა სიტყვებმა უეცრივ გამოანათა და უჩვეულო სიცხადემ, აზრის მიწვდენამ გონება სხვადასხვა მინარევებისაგან გაწმინდა და აზრის ნათელმოხილებამ ნიკო დაატყვევა. წუთიერ მოხილვაში მასწავლებლის სახე შეეშველა და მისმა გარეგნობამ ბავშვობის ბუნდოვანი შეგრძნებები ახლა გააცხოველა.

შორიდან მოედინებოდა ანა დმიტ-

რენას ხმა და საიდუმლოს განსაგებნიდა.

«Человеку, который вышел из дому в светлой праздничной одежде, стоит только быть обрызгнута одним пятном грязи из-под колеса, и уже весь народ обступил его, и указывает на него пальцем, тогда как тот же народ не замечает множества пятен на других проходящих, одетых в будничные одежды. Ибо на будничных одеждах не замечаются пятна».

კაცს მოეჩვენა, რომ მღვიმიდან სინათლეზე გამოდიოდა მისი ბავშვობა და გადასარჩენად ხელებს იწვდიდა.

მასწავლებელს შავი ბერეტიდან დატალღული ნაცრისფერი თმა უჩანდა. „ახლა აღარავინ იხვევს ასე თმას“, — გაიფიქრა ნიკომ. ეცვა შავი, მსუბუქი ქსოვილის პალტო. პალტოს სახელოდან გამოვარდნილი კაბის მაქმანები ხელის მტევანზე ეფინა. ამ სიშავეში ყელთან მიბჯენილი ოქროს გულსაბნევი ბრწყინავდა.

ოცდაათი წლის წინ ეს ქალი ახალგაზრდა იყო და მაშინაც შავები ეცვა. სულ ვილაც უკვდებოდა. იქდა თორმეტი წლის ნიკო პირველ მერხზე და თვალანთებული შეჰყურებდა მასწავლებელს. ქალი გატაცებით ლაპარაკობდა მიმართვის მნიშვნელობაზე წინადადებაში. მიმოდიოდა კათედრასა და დაფას შუა. ნიკო უყურებდა მის შავ წინდებში გამოკვართულ ლაქის ფეხსაცმლებიან ლამაზ ფეხებს, ხედავდა, რა ნატიფად იწმენდდა ცარციან ხელს სველ ტილოზე და გული გაუძღისი სითბოთი ევსებოდა. მასწავლებელმა დიალოგი დაწერა დაფაზე, დაწერა იმ ხელწერით, ძველ საბუთებში რომ უნახავს ნიკოს. მერე მიმართვა ახსენა. რუსულიდან ერთბაშად ქართულზე გადავიდა და ოდნავ შემდერებით თქვა.

შუბლზე მებება ხელით და ვერძნობ, ცივია ტილო:

— შვილო, შუბლი გაქვს ცხელი, რა გემართება შვილო!

კათედრიდან დაფამდე მიმოსვლამ, მასწავლებლის ხმამ, მისმა ხელწერამ ააღელვა ნიკო და როცა ლექსიც მოისმინა, გულმა ველარ გაუძლო და ატირდა.

— მასწ, გარაყანიძე ტირის... — ქალმა მწყურალად გახედა მოხალისე დამსმენელს და ნიკოს მიუახლოვდა.

— კარგი დაწყნარდი, მაპატიე, მეც არა მყავს დედა.

ცრემლებიდან მჭვირვალედ ანა დმიტრევნას დაძაბული სახე. ნიკო ხედავდა მის სიფერმკრთალეს, ასე ძალიან რომ მოსწონდა ყოველთვის და ცდილობდა გულაჩუყება მოეთოკა.

ძლივს გამოერკვა ჩვენებიდან. მოხუცებულის იმედწართმეული მზერა ეკალივით ემწყავა.

— გამოცვლილხარ, ნიკო, დალილხარ, ჰგავხარ და კიდევ არ ჰგავხარ მამას.

ნიკოს გონებას მაშინვე მეგობრის ნათქვამი მისწვდა: მოწაფესავით თავდახრილი იდგა ანა დმიტრევნას წინაშე. იგრძნო, რომ ახლა თვითონაც ასე იდგა. სიცოცხლით, სხივმოსილებით, ხაზთა სიმკვეთრით აღსდგა ის დღე. ახლა თვალდათვალ დაინახა მამის სახე, მასწავლებლის მზერაც ენიშნა და უეცრად მართალი, შეგრძნებებს გამოლწეული, ერთბაშად საცნაური აზრი დაეუფლა. ანა დმიტრევნას მამამისი უყვარდა და რათა მიგნებული აზრი არსად გამქრალიყო, რათა მიხვედრას ამაოდ არ ჩაეველო, მსწრაფლ იკითხა:

— თქვენ, იცნობდით მამაჩემს?

ქალი შეკრთა. უცნაურად შემოხედა ნიკოს. მერე ღიმილმა გააკაშკაშა და ნიკომ დაინახა მკვდრეთით აღმდგარი სილამაზე. ანა თვალებით შორეულ მოგონებას ესიყვარულებოდა და ფიქრებში წასულმა წყნარად თქვა:

— გიმნაზიის წლებიდან ვიცნობდი მამაშენს, მაშინ, როცა ყველა ცოცხალი მყავდა.

ნიკო შეეცადა უკუეგლო ამეტყველებული ღუმილი და უმწეოდ გაიღიმა.

იღგა შენობებსა და ხმაურს შორის მომწყვდეული ტანმორჩილი ქალი იდგა შეოცე საუკუნის შუაგულში, დანართოვებული და ნანგრევით სევდიანი. დატალღული ვერცხლისფერი თმა, შავ სამოსელთან ფიქრების შერწყმა, თვლებში ჩაკლული ნატვრა უკან ახედებდა მიღწევებით გაყრუებულ დროყამს.

ამ ქალმა, შემთხვევის წყალობით, სამუდამოდ დაივიანა მოწაფეთა მახსოვრობაში. დროის მოწყალების, ბედის მონაცვლეობის მიუხედავად, შთაბეჭდილება არ გაქარწყლებულა. რა საქმესაც არ უნდა წასდგომოდნენ მისი ნამოწაფარნი, შემთხვევით ისე, აღიარების ვარეშე მუდამ სახლობდა მათ ხსოვნაში და ასევე უჩუმრად შევლოდა ცხოვრებაში. შეიფრთხილა მოგონებამ, ამოიზიდა მახსოვრობის სკივრიდან ამბავი და ნიკოს გული დაეთანალრა.

შემოდგომის მოქუფრულ დღეს, ანა დმიტრევნას გაკვეთილზე ერთმა ბიჭმა მოულოდნელად იკითხა.

— მასწ, თქვენ აკაკი წერეთლის ნათესავი ხართ?

ქალს სიხარულმა ერთბაშად ფერი უცვალა, თითქოსდა ააღაღანა. რაღაც მნიშვნელოვანი, მათი ასაკისათვის საჭირო ამბავი უნდა გაეხსენებინა, მაგრამ იგივე ხმამ გამარჯვების მაუწყებელი კილოთი დარეკა:

რა ჰერქვეშელი ბოლშევიკი ხარ, აკაკის ლექსით თუ იხიბლები:

პროლეტმწერალმა თვით უნდა ზარდოს პროლეტმწერალის პროლეტმკითხველი.

ანას თვლებში გაღვიძებული გაზაფხული ჩაესვენა. ძველმა სატანჯველმა იფეთქა და წალეკა სიცოცხლის უნებური აჩქამება.

კლასი ღუმიდა. წუთები მირაკრაკებდნენ. უეცარ ელდას თანდათან შორდებოდა მოულოდნელობის განცდა და ეჭვი შემპარავად მოირწეოდა. ის იყო ზოგმა ირწმუნა შეუძლებელი, რომ მა-

სწავლებლის ხმაში ფოლადი აქდერდა და სივრცეს დაეპატრონა.

„თქვენ საზოგადოების ის ნაწილი ხართ, რომელსაც არაფრის დაკარგვის არ ეშინია. თქვენი ყმაწვილური გუმბანი გრძნობს უმცირეს რხევას სიყალბისას. როგორ პირობებშიც უნდა აღიზარდოთ, უხეში პრაქტიციზმის, შოვნისა თუ გამოძალვის ატმოსფეროში, თითოეულის არსებაში თავისთავად მოცემულია ერთგულების გრძნობა და ამ ერთგულების გადარჩენისთვის იბრძოდა მთელი სიცოცხლე აკაკი წერეთელი. მისი პოეზია თქვენი მამების, პაპების, შორეული წინაპრების, თქვენი შვილებისა და შვილთაშვილების ყველაზე საუკეთესო სიტყვაა. მისი „განთიადი“ სხვა ეროვნების კაცს ქართველობას ანატრებიინებს და ცხოვრებაში ყველაფერი რომ დაკარგო, ყველა გზა რომ მოგვეკვეთოს, ამ ლექსის გამგონე გაცოცხლდები, გაგაცოცხლებს იმის შეგნება, რომ სამშობლო გაგაჩნია და აკაკი — შენი სამშობლოა.“

მერე აცახცახებული ხელებით გულზე მიიკრა ხელჩანთა და შემოდგომის მოწყენილობაში ჩაინთქა. ბავშვები ფრთხილად გადიოდნენ კლასიდან. როცა იმ ბიჭმა ანა დმიტრევნას ზურგს ჩაუარა, ქალი მოულოდნელად შემობრუნდა და სუსხიანად თქვა:

— ის პოეტი შენი ნათესავია, ბიჭო?

— არა, მასწ, — წაილულულა ბიჭმა.

— გაიგონე, მე შენი მასწავლებელი არა ვარ, და მით უმეტეს არც მასწ. —

ნიკო კვლავ ქუჩამ გაიტაცა. მიჰყვებოდა მალალი ფანჯრების, ფართო სადარბაზოების რიგს, რკინის ხვეულებით შემკობილი სამკუთხა სახურავი რომ შეენოდათ. ხეთა ჩრდილებით აჭრელებული ქუჩის პირას პატარა შინაურული გასტრონომი მიყუყულებდა. ცოტა მოშორებით სიძველის გამო მივიწყებული ფოტოატელი მგლოვია-

რედ იტკირებოდა. ვიტრინიდან ნაკრებმა სახემ კაუჭი გამოსდო ნიკო-ს შეაჩერა.

ამ სახეში ჩადნა ბიჭობა, ახალგაზრდობა, გატაცება. ამ სახესთან აკავშირებდა სულიერი თვითმზილველობის იშვიათი წუთები, რაც მერე და მერე უკვალოდ გაქრა და შესაფერის ეამს ელოდა ხელახალი შობისათვის. ეამი კი არა და არ დგებოდა. ეს თვრამეტი წლის სოფიოს ფოტო იყო.

გოგონას თვალებში ჩაიკრწყლულიყო ასაკის სილამაზე. მთვარიანი ღამის, შხაპუნა წვიმის სიყვარული. მალა აღერილი კისერი, გადაჰიმული თმა, ოდნავ შეტეხილი წარბები, დიდრონი თვალები, მთელი სახე თვალისმომჭრელი სისუფთავით ბრწყინავდა. ნიკო გაშეშდა, თვალებგაფართოებული, მოჯადოებული შესცქეროდა ფოტოს და მრავალი წლის მერე გაცხადდა მის გონებაში ის უეჭველობა, რისთვისაც დაუახლოვდა სოფიოს.

ფოტოატელიეს პირდაპირ ჩუქურთმებმოწნული ვეებერთელა ხის აივნისი სახლი დგდა. სადარბაზოს ერთადერთი კარიც აივნის ხის ფერი იყო და მსგავსი ხვეულები ამკობდა. ამ სახლში მრავალი წლის წინ სოფიო ცხოვრობდა. ნიკომ დაინახა დიდი უშუაბანდიანი ოთახი. დაინახა რკინის საწოლზე დაკრული ავადობისაგან გაღეული ქალის სახე. რომლის უხეშ, ჭადარა თმას დიდი ხანია მოჰკლებოდა ქალური ყურადღება. წელში მოხრილ, მოტეხილი სახის კაცს, უსახელო დაბამბული მოსაცმელი ეცვა და უხალისოდ პასუხობდა ნიკოს კითხვებზე. ნიკო ინსტიტუტიდან მოაგლინეს ამ უბანში მცხოვრებთა აღწერისათვის. კაცი ორივე ხელით მუშამბაგადაკრულ მაგიდას დაყრდნობოდა და ბიჭის ხელის მოძრაობას თვალს ადევნებდა. მაგიდაზე დიდი ნიჟარა იდო და წერისას ბიჭი ხშირ-ხშირად შეხებდავდა ვითომდა ნიჟარას, სინამდვილეში კი მთელი გულისყური ოთახის იმ კუთხისაკენ მიექცია, სადაც დაბალ სკამზე მოკალათებული გოგონა მუხლებზე გადაშლილ წიგნს დაპ-

ყურებდა. თავისი სახელის გაგონებისას გოგონამ წიგნს თვალი მოსწყვიტა და მამას შეხედა. კამკამებდა გოგონას ხორბლისფერი პირისკანი, ბზინავდა თმაში ჩამაგრებული სავარცხელი და ხავერდოვან ფვალბში გონიერება იხატებოდა.

ქუჩაში გამოსული ნიკო სურვილმა შეიპყრო, კვლავ შეეხედა გოგონასათვის, სურვილმა ერთიანად შებოჭა და ისევ სახლისაკენ უკუავადო.

— მამატიეთ, მგონი ფანქარი დამრჩა, — თქვა და გაწითლდა, ფანქარი მიზეზად რომ მოიღო. ისევ შემოხვდა გოგონას ხავერდოვანი თვალები, ისევ დაინახა თმაში ჩამაგრებული სავარცხელი, ძველი ფლანელის კაბა და სიბრაღული იგრძნო.

ფიქრარეული გაუყვა გზას. ქუჩას გრძელი აღმართი ჰქრიდა. აღმართის ბოლოს სკოლის შენობა ჰკუთსდამრიგებელივით იდგა. ანგარიშმიუცემლად შედო სკოლის კარი. აუყვა რკინის განიერ, მოაჯირმოვარაყებულ კიბეს, მხრებგაშლილ უზარმაზარ დერეფანში აღმოჩნდა. სქელ კედელში გამოჭრილ დიდ ფანჯარას ტოტებგაშლილი ჭადრის ხე მიჰყუდებოდა. სკოლა გოლიათურად თვლემდა მოსწავლეთა ჟრიაშლისაგან თავგანებებული.

შეორე დღეს იქ დახვდა სოფიოს. გული ეუბნებოდა, ამ შენობაში ისმენს გაკვეთილს, ამ შენობაში წერს საკონტროლოს და ამ კედლებში ყმაწვილური თვალით შეცნობილ სამყაროს პირვანდელი სიანკარე ჩამოეცლება და სადღაც რწმენის გასაყარზე იპოვის თავის თავსო.

ზარის ჩამორეკვაზე ჯერ უმცროსკლასელები გამოცვივდნენ გარეთ, მერე მეთექვსმეტელებიც გამოჩნდნენ. მოდიოდნენ მტრედის გუნდებად და ასაკის მშვენიერება ყველასათვის მოჰქონდათ ძღვნად. უამრავ სახეთა შორის ნიკომ სოფიოს ნადვლიანი გამოხედვა დაიჭირა და სულ გადაავიწყდა, რომ გუშინმა გაუმართლა. გოგონა მოდიოდა მარტო, ხმაურსა და სიცილს განრიდებული. დაინახა ნიკო და გაოცე-

ბამ სრულიად გარდაქმნა. ნაბიჯი შეაწინა და ისარივით დაერქო ერთ ადგილას. ნიკო დამნაშავესავით მოუხსნა ღრმად. შეხედა და ხმა ველარ ამოიღო. განცვიფრება ჯერ კიდევ ვერ ჩამოეხსნა სოფიოს სახიდან და ორივე ხელი ჩანთის სახელურს ჩაავლო, დაკერებული წინსაფარი დაიფარა. თანაკლასელები შორიასლოს შედგნენ და ლაპარაკი შეწყვიტეს. უცებ სოფიოს ნიშნის მოგების წადილმა ჩამოუქროლა. გასწორდა და გაბედულად შეხედა ბიჭს. ზურგს უკან ამხანაგები აჩურჩულდნენ, ერთმა-ორმა თვალი გაუშტერა ნიკოს ეგებ მოვახედოთ, დავანახოთ, რომ სოფიოზე უკეთესები ვართო. მათ ყოველთვის სჯეროდათ წარმატებისა, სჯეროდათ, რომ არასოდეს დაბრკოლდებოდნენ, რომ კარგი კაბა, კარგი კურორტი, პირველი პრემიერა მათი ხვედრი იყო, რომ ნიკოსნაირი ბიჭი პირველად მათ უნდა მისალმებოდა და არა სოფიოს.

ბიჭი ვერაფერს ამჩნევდა. თვალს არ აშორებდა გოგონას სუსტ მაჩვენებელს და თავის აღებისა ერიდებოდა. ერიდებოდა, დაენახა ეს საუცხოო თვალები. გოგონას ეჩვენებოდა, რომ გვერდით დიდი ხნის ნაცნობი, თითქმის ნათესავი მიჰყვებოდა. გრძნობდა საერთო ზრახვების, ფიქრების, ერთგვარი ცხოვრებისეული მდგომარეობის თანასწორობას.

მალე სოფიოს სახლიც გამოჩნდა. ნიკოსთვის ახლა ეს შენობა მისი სიძველე, გრილი ჩრდილებჩამუქებული ქუჩა ძალზე ახლობელი, განუშორებლად თანამდევნი ეჩვენა, თითქმის არაერთხელ გამოეხუროს ეს მძიმე, ლამაზსახელურიანი სადარბაზოს კარი. შეგრძნებებისგან ძლივსლა გამოფხიზლდა და სახლთან გაჩერებულ გოგონას ჰკითხა:

- მუსიკაზე დადიხართ?
- არა, -- ნაწყენი ხმით მიუგო სოფიომ.
- გერმანულზე?
- არც გერმანულზე? -- ნიკოს სურდა შეჰკითხოდა, ცეკვაზეო, მაგრამ

შეყოვნდა, მიხვდა, რომ ამგვარი კითხვებით თითქოს შეუტარცხყოფდა გოგონას. სოფიო ახლა კი ძალზე დაშორდა ნიკოს და გარიყულად იგრძნო თავი, გული ეტკინა, რომ რამდენიმე წუთის წინ თანამზრახველობის განცდა დაეუფლა ამ სანდომიან ბიჭისადმი.

— შინ ბევრი საქმე მაქვს და საერთოდ, ნულარ მომაკითხავთ, — უთხრა მწყურალად და ნიკო განცვიფრდა, ისე ხანმოკლე ეჩვენა იმ წუთას ეს გოგონა.

იმ მოწყენილ ბინაში რა მოხდა, ნიკომ ვეღარ დაინახა. შინ შესულ სოფიოს თვალში მოხვდა დედის საწოლქვეშ მდგარი ტაშტი, წინაღამით ჩამბალი თეთრეული რომ ეყარა, დაინახა ერთმანეთზე დაწყობილი დაურეცხავი ჭურჭელი, გავიდა შუშაბანდში, დაემხო ტახტზე და გულსაკლავად ატირდა. ავადმყოფმა წარბები შეატოკა, გაფითრდა და მუმიას დაემსგავსა. მომჭირნედ განლაგებულ ავეჯში კი, სოფიოს ვაების გამგონე, ყრუდ აწუილდა ჭია.

ქუჩაში დარჩენილი ნიკო ისევ ფოტოვიტრინას მიუბრუნდა. შემოპურებდა თვრამეტი წლის სოფიოს ფოფინა თვალები, სევდა დაპფარფატებდა ტუჩის კუთხეებთან. ახლადა იგრძნო, როგორ თანდათან დაშორდა მეუღლეს, ახლა გაახსენდა, რა უჭირდა, რა უხაროდა, ხელში შემოაღნა თავისი გულთამხილაობაცა და სოფიოს მოკრძალებული, მშვიდობიანი ქცევაც. მისი შესაშური მიხვედრილობა ახლანდელი, ძალზე შეჩვეული სოფიოს ხასიათი გულდასაწყვეტად უცხო აღმოჩნდა მისთვის. ნიკოს მოეჩვენა, რომ თვრამეტი წლის სოფიო გზად შემოეყარა და გაცნობის სიხარულმა დაიმორჩილა. წინ ჟცნობი სიყვარულის ძნელსავალი ბიოკები შეეგება და თან უკვირდა, რომ ამ შეუცნობ გზას გამოცდილების ნაღველი დაჰკრავდა. ნიკომ რატომღაც დარეჯანი დაუახლოვა ცოლის უწინდელ სახეს, დაუახლოვა და მიხვდა, რომ დარეჯანიც დაკარგავდა პიროვნულ იდუმალებას მის ხელში. დაკარგავდა, რადგან იგი ღირსებისა და მანკიერების

უშფოთველი მოთვალთვალე იყო და მეტი არაფერი.

ნიკოს გაახსენდა, რომ ფოტოგრაფთან უნდა შესულიყო. კარი შეაჭრია-ლა თუ არა, დაინახა, ჭარმაგ კაცს ხელებში ჩაერგო თავი და მაგიდაზე თავდახრილი თვლემდა. ფოტოგრაფმა თვლემას გამოაღწია და ჩვეული საქმიანობისთვის შეემზადა. ნიკოს სიზმრისეული ეჩვენა ეს პატარა ოთახი, ფოტოებიდან მოდენილი ღიმილიც, ამ სახეთა ყალბი დაფიქრებაც და უხეში, კანონიერების ბრმად მოტრფიალე კაცის ხმით იკითხა:

— რატომ გიკილიათ ამდენი წელი ამ გოგოს ფოტო?

კაცმა კარგა ხანს ვერ მოახერხა პასუხის გაცემა. მღელვარებისგან თვალები გაუცხოველდა. მერე აზრი მოიკრიბა. თითქოს სააქაოს დაუბრუნდაო, მიხვდა, რასაც მოითხოვდნენ მისგან და წყნარად, ღრმა ტკივილით დასძინა:

— ეს ჩემი პირველი ფოტოა და კიდევ, თვალს ეამება ასეთი მნიშვნელოვანი სახის ქვერა.

ნიკოს მოეჩვენა, რომ უწილოდ დატოვეს.

ნიკოს თავს არ ანებებდნენ გარეშე ხმები. წლებს ვაპყვა ჭაბუკური ვარამი და მოულოდნელად გაელვებუი სიხარულიც. ცხოვრების ტალღამ გაიტყუა იქით, სადაც მიზანი ყოველდღიურობაში დამკვიდრების საშუალებად იქცა. სადაც ამოჩემებული სურვილები ვეღარ ინავარდებდნენ და სადაც ყველაზე მშვენიერ წუთსაც ჰქონდა გარკვეული ფერი და საზღვარი. მას თითქოს გადაავიწყდა იმ ადამიანთა სწრაფვა, მათთან საუბარი, ვისაც ახალგაზრდა ერქვა და ვისთვისაც შინაგანი ლტოლვის გარეშე არსებობა ამოცბას წარმოადგენდა.

ეკრძალებოდა მიახლოვება ქალიშვილის ფიქრთა სამყაროსთან, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა. იგი დაღლილი კაცი იყო, ბავშვობაშივე მა-

რტოდ შეთენილი მამის შფოთიანი ცხოვრების გამო.

დღეებს კი ჰქონდათ რაღაც ღირსსახვარი. დღეებს ადამიანურ გრძობათა სხვადასხვა ნაჭდევები რჩებოდათ დავლად. ზოგი მათგანი ან მრუმე ფერისა იყო, ან სიხარულით აღდანებულნი.

ყოველი დღე მარიკოსათვის ცხრაკლიტურის თითო კარს ხსნიდა. იულონი გეშაღებული დაჰყვებოდა გოგონას და მასთან საუბრისას მუდამ საამო ფიქრები ეფენებოდა სახეზე. მარიკოს ახარებდა ის, რომ ბიჭი გრძობდა გოგონას უპირატესობას. თვალებით, გამხედვით აღიარებდა ამას და მისი ღირსებები ბიჭისთვის საჩრდილობელს წარმოადგენდა.

ერთხელ იულონმა თავი გაიმეტა და გოგონას თანდასწრებით გზად შემოყრილ ბიჭებს ეჩხუბა. ისინი დაუბრუნებლად შეეჩხენენ ორივეს და მარიკოს სახეში შეჭლიმეს, მხარი გაჰკრეს. იულონი დიძაბა, ერთ წამს შეეყოყმანდა, მაგრამ უეცრად გახელბული, მკერდწაწეული მიეჭრა ბიჭებს.

მერე გამხენვებული მიდიოდა და ფიქრობდა, რომ მის ნაცვლად სხვას ჩაედგა საგულეში ვაჟიაცობა. გამბედაობა იულონს სხვაგვარი გააჩნდა. უკრძალავად მოითხოვდა სხვებისგან იმას, რაც სჭირდებოდა, უცნობ ადამიანებთან ისე მივიდოდა, როგორც შორი ქვეყნიდან დაბრუნებული სახლიკაცი. ამ ჩხუბს ბიჭობა ერქვა. ერთხანს დაეჭვებული თავისი გულმაგრობის გამო, ახლა თავს აჯერებდა, რომ ვაჟიაცობა სულაც არ ყოფილა მისთვის უცხო. მარიკო მონადირებული იდგა და სიხარულისგან აფორაჯებულ თვლებში თანაგრძობა იხატებოდა.

ერთ დღეს, მისდა მოულოდნელად, უამრავ სახეთა შორის ბიჭის ნაცნობ გამოხედვას წააწყდა. მიდიოდა დაფიქრებული და უსიამო განზრახვა აღბეჭდოდა სახეზე. გოგონა თვალს აყოლებ-

და მის საქმიან ნაბიჯს, ათვლიერებდა საგულდაგულოდ გვერდზე გადავარდნილ, მუდამ შესწორებულ თმას, რუხი ფერის პიჯაკში ჩამჯდარ სხეულს და იულონის არაერთგზის ნაცადი იერი ძალზე მარტივი და ამავე დროს ადამიანურ თანაზიარობისგან თავისუფალი ეჩვენებოდა. მარიკოს გული დასწყდა, რომ ასეთი ბიჭი მოსწონდა. იულონს უცხოვდ, გარეშესავით სურდა გვერდით ჩაეელო, მაგრამ გოგონას ხმამ შეაჩერა. ბიჭი თმენაშეკავებული შედგა და დაელოდა, როდის მიუახლოვდებოდა მარიკო.

— ლექცია მიცდება, წავიდეთ რა სადმე, — განზრახ მხიარული კილოთი წარმოთქვა გოგონამ.

— შენ რა, ამხანაგები შემოგელია თუ რა მოგივიდა, მე სასეირნოდ არა მცალია.

მარიკო სახეგამშრალი იდგა და ვერაფერი მოხებრებინა. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იულონს შეეძლო ასე მიემართა. იგრძნო, რომ რაც უნდა ეთქვა, რაც უნდა მოემოქმედა, უსუსურად, გამტყუნებული ადამიანის საცოდაობით გამოუვიდოდა და ცივად შებბრუნდა.

თვითონაც ვერ გაეგო, საიდან მოველინა ასეთი უმეტრული სიამაყე, საშუალება არ მიეცა ბიჭისთვის რომ განშორებოდა. ისწრაფვოდა კვლავ დაებრუნებინა გულის მაამებელი ზეგავლენა. გრძობდა, რომ მოითმენდა უარეს სიტყვასაც, ოღონდ არავის ეთქვა, ეს გოგო იულონს უყვარდათ და წარსულში გადაეტანა ყოველივე. მონდომებით ჩაებლაუჭა ბიჭს, დამარცხების მოლოდინი იხატებოდა მის მოქმედებაში. ბიჭს კი უცთომელი გუმანი ჰქონდა, ამა თუ იმ მოვლენაში სასარგებლოსთვის გამოეკრა ხელი და დაუყოვნებლივ დაჰპატრონებოდა.

გამოხდა მცირეოდენი ხანი მათი ურთიერთობისა და მარიკომ შეიტყო, რომ იულონი სხვებსაც მოსწონდათ. ცდილობდნენ მასთან გამოლაპარაკებას, შეხვედრას. ახლა მარიკო იღვწოდა ბიჭის მომხრობისათვის, თავს აწონებდა, ხე-



რხიანად მოქმედებდა. მას უკან დიდი დრო არ გასულა და რასაც იულონი განიცდიდა და ვაინჩარობდა მარიკოს მოხიბლვისათვის, ახლა ყოველივე პირიქით ხდებოდა, თითქოს გოგონას პირვანდელი წარმატებისთვის პასუხი უნდა ეგო.

მარიკოს ნაცნობი გოგონა გამორჩევით თამამობდა და ხშირად ელობებოდა იულონს გზაზე. დადიოდა საზეიმო განწყობილებით სახედამშვენებული. მარიკომ ვერ გაიგო, როგორ ააშფოთა ამ სახემ, როგორ დაუბნია თავგზა. თვალისკ რომ დაეხუჭა, მის სანადიმო ღიმილს ხედავდა. მარიკოს ეჩვენებოდა, რომ გოგო საცაა სულს შეუბერავდა, ოდნავ დაყოვნდებოდა, რათა მეტოქის ნამუხრევი გაფანტულიყო და დამპყრობელივით გაივლიდა მის წილხვედრ გზაზე. შეეცადა გაეხსენებინა ყველა საუკეთესო თვისება, რაც კი გააჩნდა: ზრდილობა, თავდაჭერა, მიტევება, რათა უწინდებურად დაემორჩილებინა. შეეცადა შინაგანი ამღვრეულობა არ დასტყობოდა, მაგრამ რაც უნდა ელონა, იულონის დაკარგვის შიში უძლიერდებოდა.

და გამოსახივა მარიკოს დამოკიდებულებიდან იმ მოუხელთებელმა ცოდნამ მართებულნი ქცევისამ, იმ ბუნებრივმა სილამაზემ განცდებისამ, რაც იულონს ანცვიფრებდა და რისი მიწვედნაც ვერ შეძლო. ბიჭი დაიბორკა და ცოტა შერბილდა მისი ათვალწუნება. გოგონამ იდროვა და იულონი შინ დაიბარა. მარიკომ ახლავდა იგრძნო წესისა და ჩვეულების საჭიროება და აუცილებლობა.

ომი ნაწილობრივ მოგებულნი იყო და იულონი გოგონასთან სტუმრობისას თავს ისე გრძნობდა, თითქოს წარჩინებას ელოდა. აკრთობდა სოფიოს გვერდით ჯდომა. მარიკოს სახე გულგრილობას გამოხატავდა. ფეჭობდა, რა მრჯიდა, რისთვის მოვიყვანე შინ იულონიო. ისე უფრთხოდა ბიჭის მიდრეკილების შეცნობას, როგორც მორევში

შესვლას, სადაც უცილობლად დაბრუნება ელოდა.

ბიჭი უხეიროდ ლაპარაკობდა და პირველად იგრძნო, რომ მისი კაბინეტური თვისებები ზოგან უადგილოა და წყალგადანავლებ ცეცხლსა ჰგავს. ელიზბარს ეყურებოდა მისი ხმა და გული გამაფრთხილებლად უქვენსოდა. ეს ხმა თავისკენ მოუხმობდა, რალაც დაფარულის, საიმედოდ შენახულის, ხსოვნაში ჩარჩენილის გამოსავლინებლად.

საზოგადოებრივი აზრი, რომლის გარეშე მარიკოს სიცოცხლე არ შეეძლო, ახლა გლოვის ხმად ჩაესმა და ვიდრე ბაბუა ოთახიდან გამოვიდოდა, სურდა, დაეძახა, „წადიო“, მაგრამ ვერ მოასწრო, ელიზბარი უკვე გამოდებულ კართან იდგა.

სოფიო წამოდგა და მშვიდად თქვა.

— გაიცანი, მარიკოს საქმრო.
— იულონი, — დაკდემით თქვა ბიჭმა. დაინტერესება ჩამყუდროვდა ელიზბარის თვალებში.

— რა გვარისა ბრძანდები?
— უჭმაჭურძიქ.

სიცივემ დაუარა მოხუცს სხეულში. ავად გამოხედა ბიჭს და ძლივსლა ამოთქვა.

— პაპაშენს რა ერქვა?

ბიჭმა განცვიფრებითა და ცოტაოდენი სიზვიადით მიუგო.

— ბარნაბა.

ასაკი და დრო დაინაცრა. თითქოს სიბერე ერთი წუთითაც არ სტუმრებოდას ამ წუთისოფელს. ცხოვრების მდინარე მიექანებოდა. ხან თვალმერცხავა ბიჭის სახეს გაამჭვირავლებდა ტალღებში, ხან საპატიმროს ურდულს ამოსტყორცნიდა, ხან ხალხის მხრებსა და თავებს გადაარბენდა ალიველივებულ წყალზე. ყომრალი კაცის ჩაციებული მზერა გუშავობდა წარსულის ხილვებს. ყომრალი კაცის ხმა ყურებში ედგა.

„ასე მოგიწევს ჯდომა, ასე გაუნძრევლად, სანამ რამეს იტყოდე...“

ელიზბარი და ის კაცი თანამოსასკენი იყვნენ. გულმრუდობას მოწინააღმდეგე აღრევე დაებერებინა. თვალებში ჩაჰყურებდა დამარცხებულს. ტყავის

შვი ლაბადა აღარ ეცვა და ელიზბარს
ეჩვენებოდა, კაცს კანი გადაეძრო სხე-
ულიდან.

შავლაბადიანის მზერა ჩაინავლა და
ახლა ყმაწვილი ბიჭის თვალები შემო-
აცეცდა. ყმაწვილი ძველი მტრის შვი-
ლიშვილი იყო. თითქოს გათხრილი სა-
ფლავის სიგრილე იგრძნო, თითქოს
სიკვდილის მაცნედ კიაფობდა ფარნის
შუქი საშინელ ყიამეთში.

მრავალი წლის გასრულების შემდეგ
უეცრად იგუშანა, რომ დამარცხებუ-
ლიც, შელანძღულიც, უარყოფილიც,
სჯაბნიდა შავლაბადიანს. ქვეშეცნეუ-
ლად, მისდა გაუგებრად, ალბათ, მოწი-
ნააღმდეგესაც ეს ახელებდა. ამიტომ
მძულვარება გაჰყოდა მის თვალებში
ელიზბარის დანახვისას. შეკუთრებდა
ბიჭის წყნარ, უსიტყვო მზერას და ფიქ-
რობდა, რომ დროებაც დაწყნარებუ-
ლიყო. როცა მიზნისთვის იბრძოდა, მი-
კერძობდა შესწამეს, როცა წარსულის
დაცვა მოიწადინა, კაცობა შეუღანძ-
ლეს. მაშინ მარტოღმთენილს უტყუარ
შემწყედ მაღლი სულისა მოველინა და
შავლაბადიანმა ვერ წაწყმიდა მისი ღი-
რსება.

— მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ
კაცი... — აღარ დაასრულა მოხუცმა.
— უღმერთო იყო პაპაშენის სიკვდი-
ლი. ციებამ შემოუტია. თავისსავე ცო-
ღვებმა დაუწყო ქიშპობა. შიში შეეყა-
რა, განკითხვის შიში. ისე შიშის ციება
განსაწმენდელის მაგვარი იყო მისთვის.
გული დააჯერა, რომ „ბნელეთის მოცი-
ქულებისგან“ უნდა ეხსნა ქვეყანა. ჩუ-
მად, გულსაც რომ არ გაეგო, იმეორებ-
და. „დიდება შენ, ღმერთო, უფალო
ჩვენო და მეუფეო სამყაროსავ, რომ
არ გამაჩინე მე პირუტყვად მონად, ქა-
ლად“. თუ გახსოვს, ესენინა აქვს ასე-
თი სტრიქონები:

Стыдно мне, что я в бога верил.

Горько мне, что не верю теперь.

— ნეტა პაპაშენსაც გაეგონა ეს სი-
ტყვები. მისი სადარდებელი მხოლოდ
ის იყო, რომ სიკვდილს ვერაფერს გა-
მორჩებოდა. ისე, ცოდვა კაცზე დიდ-

ხანს ცოცხლობს, სიკვდილიც ვერა
ფერს აკლებს.

ბიჭი წამოდგა, ციებმა ოფლმა დას-
მა სხეული. ამ კაცის მსჯავრმა დაანახ-
შირა პაპამისის ცხოვრება და კვამლში
გაახვია. კვამლი თვალებს უბუგავდა.

— მოიცა, ისე მომეყურა, თითქოს
ჩემი მარიკოს საქმრო უნდა იყო, —
გაახსენდა ელიზბარს და გაკვირვება
წამოუხტა თვალებში.

— მე, სამწუხაროდ, ქმრობისთვის
არა მცალია... — ცივად თქვა ბიჭმა და
შესწორდა.

— კიდევ კარგი, რომ არა გცალი-
ათ, — შეაგება მოხუცმა.

მარიკო სახედაღვრემილი იჯდა და
ტივილის ნაკაწრები აჩნდა თვალებში.
ხელებს დასცქეროდა, ფიქრობდა, ჩე-
მია თუ სხვისიო. მერე თითქოს ვარა-
უდს ამოწმებდა, მაგიდაზე დააწყო და
უნდობლად შეხედა.

ბიჭი კარისკენ გაემართა. ცდილობ-
და სიმშვიდე შეენარჩუნებინა. თავს
აძალებდა და უფრო ღელავდა, რო-
გორც იქნა, მიაღწია კარს და იქ მომ-
ლოდინე სიბნელეში ჩაიძირა.

— გესმის, შვილო, სიყვარულისთვის
არა სცალია, ვერაგობისთვის კი ყოვე-
ლთვის მოიცლის.

— თვის ბოლოს ქორწილი უნდა ყო-
ფილიყო, — ჩამორეკა რძლის ხმამ.

— იქნება, ყველაფერი იქნება, თუ
გულით გინდათ, მაგრამ ერთხელ მაინც
დაჰკითხებიხარ, შვილო, გულს, ღირს
თუ არა?

უცებ ჩაესმა მჟახე, შესაზარი ხმა;
შენს ათი წლის გოგოს ნამუსს ავხდიო.
ჩაესმა და გეგონებოდათ, გული გადა-
უფხრიწვეს, ისე გაიბრძოლა. ელიზბა-
რი შეეოვნდა, ძალა მოიცა. თითქოს
მოწინააღმდეგე შემოაბრიალა სისხლ-
მოწყურებული თვალები, მაგრამ მო-
ხუცმა დაასწრო მტერს და ვიდაცის
ეკვის გასაფანტავად წამოიყვია:

— ჩემი ქალიშვილი ოცდაორი წლი-
სა დაქვრივდა, ერთ ღღელამეში გაუ-
თეთრდა თმა, ჯავრმა დაშრიტა და იმ-
სოფლად წაიყვანა ქვრივობიდან ერთი

წლის მერე. ვინ იცის, ეხლაც ანათებს საფლავში ახალგაზრდა ქალის თეთრი თმა.

ისარგაყრილი ღუმელი ეგდო ოთახში. ელიზბარი კედელ-კედელ მიიწვიდა თავის სენაკისაკენ. ოთახში შეაღწია თუ არა, საწოლს მიესვენა. ვილაციის მზრუნველი ხელი უნანავებდა. წამოვიდა ფერთა ნიაღვარი, მერე ჯვარედინად დაესო სისხლიანი კვალი, მერე ყველაფერი ჩამოჰყვა და ნელ-ნელა ჩამოცურდა ალმასის ქინძისთავით შუბლდამშვენებული ჩიხტაკობიანი მანდილოსანი — ელიზბარის გამზრდელი ბებია. საწოლთან ჩამოუჯდა, გაისწორა ქართული კაბის სარტყლის ბოლოები, ბეჭდებიანი ხელები კალთაზე დაიწყო და ხმადაბლა მოჰყვა:

„მეფე გიორგი XIII ერთ დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბრძანებულა და სწვევია ერთ დარბაისელს საქართველოს ერთგულ მოხუცებულ აღაღარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზედ და მეფეს უკითხავს აღაღარისთვის, — ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელ საქართველოში, ეხლაც იმისთანანი აღარ გამოდიან, რა იქმნენ ის უწინდელი ცხენები?“

— იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, — უპასუხა თურმე გულმოჯდომით მოხუცმა აღაღარმა“.

ბეჭდის თვალიდან გამოტყორცნილი სხივი გადატყდა და ჩიხტაკობიანი მანდილოსანი ჰერისკენ აცურდა.

ერთბაშად ჭახჭახა სინათლემ გაიტკაცუნა და ელიზბარმა ვარსკვლავებდად აკინძული მშვენიერი ღიმილი დაინახა.

მერე ვილაცამ აკრიალა და აკრიალა ხმა.

უცვლელი, საუქნო,
ქვეყნად არაფერია,
ბედის წიგნი განგებას,
ასე ჩაუწერია...:

ნიკო შინ დაბრუნდა. შემოსასვლელში საკიდთან მდგარს მამის ძველი კრაველისსაყელოიანი პალტო სველი მოეჩვენა და შიშნულად შეეხო. სიცივემ დაუთარა სხეულში და გარდუვალობა აგრძნობინა. ღუმელი აკენესდა, ღია კარებში გასრიალდა, გაშალა თავისი ყორნისფერი ფრთები და ნიკო შიგ გაახვია. შორიდან მოფარფატდა მამის ახალგაზრდობის დროინდელი ჩვენება და ყრუ კენესას დაემუქრა. ელაგდა ელიზბარის ჭაბუკური ცეცხლით ანათებული თვალები და ვილაც ქალი ამ თვალებისთვის ტიროდა.

ელიზბარს მრავალჯერ შემოსწყრა ბედი. წაჰკლიჯა სიყვარული, მისწრაფება, რწმენა, ძალა. მაგრამ ცხოვრების სიივეს არასდროს დანებებია, არ გაბოროტებულა და სხვათა სიყვარულის, სიკეთის მოძულედ არა ქცეულა. ნიკომ იგრძნო, რომ იმ მრავალ ხმათაგან მას რომ თან სდევდა, ფეთქავდა ძალა თვითრწმენისა, მოუკვდინებელი ადამიანური სითბოსი, რაც ტანჯვის საფასურად ერგო მამისაგან.

იწვა სიცოცხლეს გამორიდებული ელიზბარი და სახეზე ყმაწვილური განცვიფრება შერჩენოდა. ოთახს, ჰერს, კედლებს, ელიზბარის ნივთებსაც უკვირდით, რომ კიდევ რალაც დარჩენოდა მათ პატრონს ამ წუთისოფელში განსაცვიფრებელი.



დაშორიელდა სანახები, თვალს რომ სწყურია
თუ ბერდები და თავს არ უტყდები;
მანქანის ღია სარკმელიდან მოჩანს გურია,
სახლები — ლურჯად შეღებილი ბინა ფუტკრების.

სიტყვა — ენაზე გამობმული, აღარ გეხსნება,
მაგრამ ბოლომდე დაურვება არ ჩანს იოლი, —
როცა მეგზურად მთვარე გახლავს — ანას ლექსები
და ნასაკირალს მზე ამშვენებს — გალაკტიონი.

გზა უდელტეხილს ვერც გავიგეთ ისე მიაღვა,
თუ გაგახსენდა, დაღმართებით როცა დავჭროდით, —
ფიცი — ნათქვამი, მარტოხელა მაგნოლიასთან, —
შეუსრულებლად დარჩენილი აგერ აქამდი.

აწი ყოველი ერთფეროვან დღეთა ტყვე არის, —
წუთისოფელი სათავიდან ასე ჭრელია;
გულს რომ აჩნია — ნაკაწრია თუ ნატყვიარი, —
აღარასოდეს განკურნება არ უწერია.

ეს — დუმილიდან მოწვევრავს სხივი
თუ ლაბირინთის იხსნება ფარდა;
თვალს ვაპატიოთ — გონება ცივი
თუ ამჩნევს რასმე წყვდიადის გარდა.

შეშფოთებული მარტოობით,
ძვირფასო, დედა —
მიწათ — ჩემო სისხლო და ხორცო;
ჩემს გარდა რაკი ვერავის ვხედავ, —
მეც სიზმარი ვარ თუ მართლა
ვცოცხლობ?!

ავჯანყებივარ სინამდვილეს —
ძველისძველ მოდელს,
ყოფნა-არყოფნის ტკივილით სავსეს;
ხმა მეწადმართა, მასმიე ოდეს
და მტერის სამოსით მოგადექ კარზე.

ვდარაჯობ მერე
მღუმარების ბაიბურდიდან
ამოსულ მზეს და ამოსულ მთვარეს;
მახურავს თავზე
ცა — ვეება ფაიფური და
ციცხლად ქცეული კომეტები
მიდაღავს თვალებს.

ამოქსოვილი აბრეშუმის
პარკია სივრცე,
დედაო ჩემო,
შენს სახელზე მე რომ მეღირსა;
და რადგან მინდა
უუშორეს ვარსკვლავებს მიეწვდე,
დროდადრო უნდა ერთმანეთი
მხრებზე შევისვათ.

შემოდგომის ქარი — ჩალა, —
დასაზვინად შენაფენი;
სხვისთვის იქნებ არ ღირს ჩირად,
ჩემთვის არის ყველაფერი.

რაზეც ახლა გული მტკივა,
ანდა ხვალე მეტკინება,
შემოდგომის ქარი — თივა
მჩატედ გადაეფინება.

რახანია მეჩვენება,
როცა ვადრი მარტის ქარებს, —
თავისთავად ეშველება
ვაზაფხულის სატკივარებს.

ამას უნდა ჩვენგან უფრო
ნუგეში და გვერდში დგომა, —
დაყვავებით ვესაუბროთ
ქარს — გარდაცვლილ შემოდგომას.

ფრთები რომ მოგვცა

ვაითუ მართლაც
პირბადეა მარტის ატმობა
და უძლურების
გვინდა შენიღბვა;
დაბადებიდან გაგვიმეტა
აღბათ პატრონმა
და სამუდამოდ მიაჯაჭვა
მიწას ჩვენი ხმა.

იქნება დღემდე
სიზმრის კოშკის იყო სტუმარი,
რასაც ჩვენ-ჩვენი
ერქვა ცხოვრება;
აჰა, სიცოცხლე, —
ეკლის ჭირკის თავსასთუმალი
და გამოგონილ
სამოთხესთან გამოთხოვება.

ჩამოძაბული ღრუბელია
მხრებს რომ ამძიმებს
თუ ჩვენი დარდი აზიდულა
ცამდე აფრებად;

ფრთები რომ მოგვცა,
კიდევ ერთხელ გავიმანძილებთ
და უფლისმიერ სამყაროსკენ
ვისინჯავთ აფრენას.

მაგრამ სად არის? —
გზა რომ გაიხსნას
ბედი გვჭირდება
უვიცობით კარჩაკეტილებს;
ეს მაშინ, როცა,
წყვიდილიდან დედის ზარის ხმას,
თავზესაყრელი იმედებით
გამოვეტირეთ.

ერთადერთია! —
საკუთარი ფესვის ფერება,
მარადიულთან წილნაყარი
სხივის ნათება;
უნდა ვიკმაროთ
წუთიერი ბედნიერება
და უხილავეთან
უნებლიე შეკამათება.

ქების ღირსია ზამთრის ამინდი, —
ხვალ შეიძლება ბრჭყალიც გვანახოს;
ჯერ კიდევ ხარი ტყეში დამიდის
და ლილო-ჭრილო მინდვრით ბალახობს.

დამეზოგება ჩალის მარაგი,
თუ თებერვალმაც ასე ინება;
შემოუძღვება ლორთქო ბალახი
ტყის ყვავილების გამობრწყინებას.

მკლე სხეული — გაჩეხილი ტყეები,
სადაც არის დაგვედება სასჯელად;
დადგა უამი, როცა სამოთხეების
არსებობა ზღაპარშია არ სჯერათ.

მაგრამ ვისაც მდუმარება იტაცებს
და ჩანჩქერებს დაატარებს თვალებით,
რა სიმჩაბით დააბიჯებს მიწაზე, —
შემოსილი მგონსურ იდუმალებით.

უხმო ალერსით მათობელი რთველობის თვეა,
შემობზარულა მინანქარი, ბროლი, ბალახში...
ჰაობებიდან ბოლო წეროც მიდის და მიაქვს
სითბო — საგზალი ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში.

ამჩატებულა სანახები ცის თავანებით,
მზის ნატერფალზე სინანულმა გაიზარნიშა;
ნეტავი ეს დღე ვის დავანებოთ,
რომ პლანეტიდან ასაფრენად თავი ავიშვათ.

ელვის ნერვიულ ნათებიდან გამოიხატა
დამუხჯებული სინამდვილის თრთოლვა ფარული;
რჩება მიწაზე გაუვალი ტვერი ნიღაბთა,
ძმობა, ლალატი, სიძულვილი და სიყვარული...

და მეც აქა ვარ, ცა მახურია
აქდერებული ხეივნების მჩატე სამოსით...
ეს ერთგულება მხოლოდ შენი სამსახურია
და მოლოდინი — ერთხელ მაინც ფეხად ჩამოსვლის.

ჩვენს შორის ზოგჯერ — სიფრიფანა წვიმის მესერი,
ზოგჯერ პირიქით — გაუვალი რამე წყვდიადი,
სწორედ ასეთ დროს შემახსენებ მინდვრის ხელწერით
თავს და ხელახლა ინათლები ცის სიღიადით

არის — წამისად ამოხედვას შევიძლებ როცა,
გამიმთვარისებ გაორებულ ფიქრებს დროებით;
შენს მესენაკეს ბედმა ხელში კელაპტრად მომცა
ძილგატეხილი იმერეთის საღამოები.

თვალდანდობილი
უნდა ვიყოთ გარეშემოზე —
მთავართა შორის,
უმთავრესი არის ღირსება,

და გვევალება,
მოხლოდნელ ავდარს შემოვწყურეთ,
ვიდრემდე იგი ბედისწერად
გადაიქცევა.

დღესაც თავნება ქარია —
ცაში — ფოთლების ფარფატი;
უკვე მესამე ღამეა
სიზმარშიც ქარებს ხატავდი.

ბუჩქნარებს ეფერებიან
ჩამოცვენილი ფოთლები;
ხეები გებრალებიან, —
დამუხჯებული მშობლები.

უცხად გაგიარს, გულს არ ჰკითხავს — ჟრუანტელია,
თუ გულისკოვზთან იწყება და ჩვენ ვერ ვგებულობთ,
თვალში გიყუროს, კაცისათვის ამ დროს ძნელია,
წუთებო, მხოლოდ იძულებით შერიგებულო.

მჯერა, ვერავინ ვერავისთან ახსნა აქამდე,
(თანმიმდევრობას შემთხვევისას ბევრი იცავდა),
ცისკენ ხეები თავდაყირა როგორ გაქანდნენ,
თუ ერთხელ მაინც თავის თავზე არ განიცადა.

...თურმე ყოველი შენს გარშემო ისევ ის არის,
შავი კი არა, ისევ ოქროს სახე უჩანს მწვანე;
მიმსვლელ-მიმსვლელთა ნალოლიავ-ნათილისმარი
წამომდგარხარ და დარცხვენილი დგახარ ქუჩაზე.

გამოვიხურავ ღამეების კარებს და წავალ,
გამაცილებენ ახლობლები მზერით — მგლოვართ...
ჯერ მლოცველივით მუხლმოყრილი თქვენს შორის ვდგავარ,
რომ თქვენის ნებით შევღალადო ცას სათხოვარი.

ღიმილის სიო მოძიებას მოითხოვს სანთლით,
ზამთრების გლოვა გაძლებას და რწმენას მოითხოვს...
ვთქვი და წავაგე?.. რა მოვიგე როდესაც არ ვთქვი? —
ვინ დამარიგოს — ხელი რომელ ცეცხლზე მოვიტბო.

უბერავს ქარი, ხეივნების შემკრთალი ჩრდილი
ბინდების ჭრიალს მოუძღვება და დღე იღვევს;
რად, რად იქცევა ის, რაც ქარვად ფასობდა დილით
ან ციმციმებდა ცვარშეუშმრალ ვარდყავილებად?

ისეირებენ ღამეებით ჩვენი გულები,
თუ დაამძიმებთ დუმილის ლოდი?..
არ ვიცი ვინ ზარ, მე რომ ახლა გეჩურობები,
მაგ ბაგე-პირზე მზე ბრდღვიალებს თუ წარღვნა მოდის?

ვერ ამოვიცნობს ქირომანტის გაშლილი კარტი,
ვერც ხელისგულზე დაყრილი ფეტვი;
შემხვდება კაცი, საზიარო რომ გვკლავდა დარდი,
სახადშეყრილი ვეგონები და ნუგეშს მეტყვის.

გამოვიხურავ ღამეების კარებს და წავალ,
გამაცილებენ ახლობლები მზერით — მგლოვართ...
ჯერ მლოცველივით მუხლმოყრილი თქვენს შორის ვდგავარ,
რომ თქვენის ნებით შევღალადო ცას სათხოვარი.

მ ი ხ ა კ ე ბ ი

სარკის წინ გამხდარი, აწოწილი ქალი დგას და კოხტავდება. საეარძელში კაცი ზის, ფეხი ფეხზე გადაუდვია და პირმოქუშული უთვალთვალებს: ქალი მალლა იბრებს წამწამებს, შავი ფანქრით იხატავს მწვანე, გადმოკარკლულ თვალთა შემოგარენს, შუაზე იყოფს მოკლედ შეკრეჭილ, ცეცხლისფერ თხელ თმას, წითლად იფეთქავს დაწვებს, სისხლისფრად იღებავს ტუჩებს, ორი თითის ჩამოსმით ნაზად იწმენდს ოფლით დაცვარულ მოკაუჭებულ ცხვირს, იცვამს მოკლე შავ ქვედაკაბას, უსაყვლო შინდისფერ ჯემპარს, ჯემპარზე — გრძელბეწვიან ჩალისფერ მოკლე ქურქს... იხურავს მწვანე ფრთებით მორთულ-მოკაზმულ ქვაბურა ქუდს... ოდნავ უკან იწევს და კმაყოფილი იერით ათვალთვალებს საკუთარ გამოსახულებას.

„ამ ქურქსა და ქუდში მაინც, მთლად სირაქლემას ჰგავს... უფრო სწორად, ჩვენს ერამდე არსებულ რომელიღაც მტაცებელ ფრინველს... და ეს ფრინველი არის ჩემი მეუღლე, ჩემი შვილების დედა და ჩემი ცხოვრების მეგობარი, — ღვარძლიანად ფიქრობს პირმოქუშული მამაკაცი. — ეს მახინჯი ბოლოქანქარა რქებს მადგამს მე, იტყუება ყოველ წუთს, ყოველ წამს, იტყუება შინ თუ გარეთ...“

— ლილიმ თუ დარეკოს, უთხარი, რომ ციალასთან ვარ, — აწყვეტინებს ფიქრს ქალი. — წავედი, აბა, გვიანობამდე ვერ მოვალ.

— ვისთვის გამოიპრანჭე ასე, —

კბილებში სცრის მამაკაცი და ფეხზე დგება, — მაშ ციალასთან მიდიხარ, არა?! ციალასთვის გამოიპრანჭე ასე, არა?!

ქალი ცალ წარბს მალლა წკიპავს და ცივად და გაკვირვებით ათვალთვალებს კაცს.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, გენაცვალე?!

— ახლა არ გავეიჟებულვარ პირველად... პირველად მაშინ გავეიჟედი, როცა შენ მეუღლე გიწოდე და ჩემი შვილების დედა დაგარქვი, — მოჭიდავესავით ნელ-ნელა უახლოვდება მამაკაცი. — მაშ ციალას გულისათვის გყავს ბავშვები დედაშენთან... მაშ ციალას გულისათვის ირთებოდი ამდენ ხანს არა?!

— იცოდე! — თითის აწევით აფრთხილებს ქალი, თან უკან-უკან იხევს, — ეს პირველი შემთხვევა არ არის და გაფრთხილებ, — აღარ გა-პა-ტი-ებ!

— აახ! მაშ აღარ მაპატიებ, არა? მაინც, რას მიზამ? — ჩახლეჩილი ხმით ეკითხება ქმარი და ხელი ქალის მოშიშვლებული ყელისაკენ მიაქვს. — ერთხელაც იქნება, წაგახრჩობ! ერთხელაც იქნება, მე თვითონ აღარ გააპატიებ!

— არ მომეკარო! — ხელზე ხელს ურტყამს და წივის ქალი. — არ მომეკარო, მხეცო! ნადირო! გამოუსვლელო! შენ გინდა, ჩემში მოსპო აღამიანი, შენ გინდა, ჩემში ჩაკლა პიროვნება, ჩაკლა თავისუფალი სული! შენ გინდა, დამიბრიყვო და დამაბეჩავო! მაგრამ აარა! მე არ დაგემორჩილები,

მე ადამიანი ვარ, თავისუფლების მოყვარე ადამიანი და როგორც მერცხალს ვერ აუტრძალავ ფრენას, ისე მე ვერ ამიკრძალავ სახლიდან გარეთ გასვლას, საზოგადოებაში ტრიალს... მე...

— მაშ საზოგადოებაში ტრიალისათვის იპრანჭები და მამა აბრამის ბატკანი ხარ, არა?! — ღრიალებს კაცი.

— ვაარ ბატკანი! ვაარ ბატკანი და შენ ცილს მწამებ! შენ, თვითონ უზნეო, შენ, თვითონ ამორალური, თვითონ...

— ნუ ყვირი! ნუ ყვირი! ნუ აგებიანებ მეზობლებს, გელაბარაკები, — ძლივსდა ხავის თვალეზში სისხლმოწოლილი კაცი. — ძალიან კარგად ვიცი, რა ბატკანიცა ხარ, ძალიან კარგად მომეხსენება შენი ამბები.

— ვიყვირებ! ვიყვირებ! მარტო მეზობლებს კი არა, მთელ ქვეყანას შეყვირი და შენ კი არ დაგიტომობ იმას, რაც ღმერთს დაუმაღლებლად მოუციია ჩემთვის, — თა-ვი-სუ-ფლე-ბას! ვეერა, ვერ დაგიტომობ! ათასჯერ რომ დავიბადლო, ათასჯერვე შენი ცოლი რომ ვიყო, თავისუფლებას ვერ წამართმევ, ვერა! შენ დაგიტომობ, შვილებს დავეტომობ, დედას დავეტომობ, მამას დავეტომობ, თავისუფლებას კი ვეერა! ვეერა!

— ქალო!

— ვინ არის შენი ქალი; ქაჯო, გლეხო! როგორ, როგორ მიკრძალავ მეგობართან წასვლას?! ცხოველო, რად გინდოდა შენ ჩემნაირი ქალი, ძნელია, ხომ, ძნელია ლამაზი ქალის მოვლა-პატრონობა?! თავიდან უნდა გეფიქრა, თავიდან! თუმცა არც ახლა გვიანი, გაგშორდები, გაგეყრები, მოიყვანე მერე შენი შესაფერისი სოფელელი, ხალათიანი დედაკაცი, დასვი დილიდან საღამომდე სამზარეულოში და ახეზინე გამჭვირტლული ქვაბები, მაშინ ხომ აღარ იეჭვიანებ, მაშინ ხომ იცხოვრებ მშვიდად... მაშ მე ვტყუი, არა? მაშ მე ციალასთან არ მივიდივარ, არა? მაშ მე... წყალი..

კედელზე პლაკატივით აკრული ქალი ნელ-ნელა ეშვება იატაკზე და

გულაღმა იზხლართება. ფრთებით მორთულ-მოკაზმული ქუდი გვერდზე მიგორავს.

შეცბუნებული მამაკაცი ხელში იტატებს ქალს, ტახტზე აწვენს და სამზარეულოში გადის წყლის მოსატანად.

— ჩემო ანგელოზო, ჩემო სიხარულო, ჩემო ბატკანო, ჩემო კუდმაკრატელა მერცხალო... მაპატიე... წადი, წადი ციალასთან, მე თვითონ გამოგყვები, მე თვითონ მიგაცილებ...

— დათვო, მტარვალო... — ხმადაბლა ქვითინებს ქალი და მეუღლის ფართო მკერდს ეყუყუბა, — ერთხელ მაინც მეთქვა შენთვის ტყუილი, ერთხელ მაინც... რომ შემეხვეწო, ისედაც აღარ წავალ ახლა... ისე წამიხდინე ხასიათი, ისე წამიხდინე...

„მართლა მხეცი ვარ, მტარვალი... — კაცი ქურთუკის ღილებს იკრავს, საყულოს იწევს და სადარბაზოდან გამოდის. ატირებული მეუღლე, როგორც იქნა, დაამშვიდა და ახლა სამსახურში გარბის, რომ ღირექტორს დაეთხოვოს, — ცოდოა მარტო, კინოში მაინც წავიყვან... ხალათიანი დედაკაცი მოიყვანეო, კი, როგორ არა... ათას ხალათიანში არ გაცვლი, გენაცვალე, ათას ხალათიანში... ეეპ, ჩემო ძმაო, შენ თუ ასე გააგრძელე, ცოლსაც დაეარგავ და შვილებსაც... აგიჩემებია „მატყუებ, მატყუებ“, ყველა ვიგინდარას შენ უჯერებ, შეჭამე ეჭვით საწყალი ქალი, შენცა ხარ, რაა, იმის მაგიერ, ღმერთს მაღლობა შესწირო, რომ ულამაზესი ქალი გიზის ცოლად...“

— გამარჯობა! — ესალმება მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ხელჯობიანი მოხუცი, ცალი ხელი ქუდისკენ მიაქვს და ნაბიჯს უნელებს.

მამაკაცი უღვაშის ბოლოს აწევით უბრუნებს სალამს და გზას შეუჩერებლად აგრძელებს.

„ჰოო... რაზე ვფიქრობდი?... საყვავილეში უნდა შევიარო, ყურადღებაა, სიტბოა, სილამაზეა... სხვანაირი ქა-



ლია, ძმომ, მაღალი სულის, მაღალი ინტელექტის, ქვაბების მხეხავი დედა-კაცი ხომ არაა მართლა და მართლა...“
 მამაკაცი გულმოდგინედ არჩევს ოცდაათ ცალ მიხაკს და გამყიდველს ფულთან ერთად აწვდის. გამყიდველი ქალი სათუთად ახვევს ხასხასა ყვავილებს და მამაკაცს უბრუნებს.

— თუ გყავთ ვინმე, ისეთი, რომ ეს ყვავილები წავაღებინო? — ყოყმანით კითხულობს კაცი.

— სიამოვნებით, — პასუხობს გამყიდველი, — დამატებით სულ რამდენიმე კაბიკის გადახდა მოგიწევთ, — და იღუმალი ხმით ეკითხება — წერილთან ერთად?

— უწერილოდ, — ლალად იცინის მამაკაცი, — ინკოგნიტოდ. ისედაც მიხვდება. აი, მისამართი, მაღალი, ლამაზი ქალია.

— აჰ, რაღა თქმა უნდა, ულამაზოებს ყვავილებს არ უგზავნიან, — კეკლუცად იცინის ქალი და მისამართს კითხულობს — სულ ახლოს ყოფილა, ათ წუთში თქვენი ყვავილები ადრესატს ჩაბარდება. რაფიცი!

„ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ტანჯულო... ერთ ბოთლ შამპანურსაც ვიყიდი და პატიებას გთხოვ... მე მჯერა შენი! მე მჯერა!“

მხრებზე შალშემოხვეული მეთღმე ფანჯარასთან დგას, ცხვირი წითლად აბღღვრიალებულ მიხაკებში ჩაურგია, და სახეაღწილი, იღუმალი ღიმილით გაჰყურებს ქუჩას.

„მე მელოდება, ვერც კი გაიგო, ისე წამოვადექი თავს“, — გამხიარულებული მამაკაცი შამპანურის ბოთლს ზურგს უკან მაღავს და ხმამაღალი სტვენით იწყებს ჰერცოგის არიას „რიგოლეტოდან“.

— საძაგელო, — შემკრთალი ქალი მეთღლისაკენ ატრიალებს მაღალ კისერს, სიხარულისგან ალექწილ სახეს ისევ მიხაკებში რგავს და ღრმად ისუნთქავს ყვავილთა სურნელს. — საძაგელო, როგორ შემარცხვინე, ციალას უფიქრია, ალბათ ავად გახდა, რაკი არ მოვიდაო და თვითონვე მოიბრბინა მიხაკებით ხელში. წარმოგიდგენია? ოცდაათი ცალი მიხაკი ამ შუა ზამთარში! ესე იგი, როგორ უნდა უყვარდე კაცს, რომ ეს გააკეთოს... ამწუთას იყო, არ შეგხვედრია? ეჩქარებოდა და ვერაფრით ვერ დავესვი.

ჰერცოგის ძლიერი ბარიტონი სასოწარკვეთილ სოპრანოში გადადის, შამპანურის ბოთლი გრუხუნით სკდება იატაკზე.

მ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა

შემოდგომის გვიანი ღამეა. კედელს აკრული დარეჯანი გაფაციცებით აყურადებს მაზლის ოთახში ატეხილ ხმაურს: ლაწალუწით იმტვრევა ავეჯი, წკრიალ-ზრიალი გაუდის იატაკზე დახეთქებულ ჯამ-ჭურჭელს, ისმის კენესა, სლუკუნე, გმინვა... პერანგის ამარა დარეჯანი სირაქლემასავით გარბის სამზარეულოსკენ, იქიდან ცარიელი ბოთლი გამოაქვს და ყელით ადებს კედელზე. ბოთლის ყელი ერთად აგროვებს მუზობელ ოთახში დარხეულ ხმებს და პირდაპირ დარეჯანის ყურისკენ მიერეკება. მაზლს, ორმოცს გადა-

ცილებულ, ცოლთან განშორებულ მამაკაცს, ვიღაც უყვირის ამაზრუნენად, თავზარდამცემად:

— არ გაპატიებ, ბეჟან, იცოდე! არ შეგარჩენ, ბეჟან, იცოდე!

„დაგიდგა, არა, აღსასრულის დღე. დაგიდგა...“ — ფიქრობს ბოთლოსან. რძალი, ჭირის დღესავით სძულს მაზლი და სიხარულით აღარაა. — „მიდი, მიდი, შენ გაგახარებს ღმერთი, მიდი, გააფრთხობინე სული მაგ საგონჯეთსა, მაგ სამარცხვინოსა, მაგ ბაღლინჯოსა...“

— ოოხ, შე პირუტყვო! ოოხ, შე სა-

ქონელო... გასჩუმდი, არა?! გასჩუმდი!
ჩაიგდე ენა, არა?! ჩაიგდე! აღარ ემე-
გელება ხმა; არა?! აღარ ემეგელება!

„შენი ჭირიმე, რაი ჩაიღინა ნეტავა?...
ა, საგონჯეთო, საგონჯეთო, აფსუსი
არაა, ჩემი ინჟინერი ქმრის ძმა როა ეს
შემარცხვენელი? გაგიყდება ლევარსი,
რო გაიგებს... ეს გაუნათლებელი, ესა...
ეს უტვინო, ესა... რაია, კაცი ხო არ
მაკლა, ნეტავა?... გაუჭირდებოდა, თუ?!
ვინ იცის, ვინ მაკლა, სად და როდისა...
ჩაჰვლავდა სადმე... ა, ცოდვიანო, ცო-
დვიანო... ა, დედამიწის დამამძიმებე-
ლო... ეს ვინდაა, ნეტავა, რო უყვი-
რის, ნაცნობი ხმა კია... როგორ ჩაიგდა
ენა, გეგონება, გული უგრძნობს, მე
რო ვუსმენ...“

— ბეჟან, ნუ გადამრიე, ბეჟან, ნუ
გამაგიყე, გამეც პასუხი!

— მარტო იმისა კი არა, ჩემი ცოდ-
ვაც გადევს, ბეჟან, კისერზე... გასკდა
ეს ოხერი გული, დაიღია ეს საცოდა-
ვი გული იმის შემდეგა და საშველი
კი აღარ ჩანს... ავაჰმე! რაი შაძლება
ჩქონია, კაცო?!

— ეხლა რო ჰგიყდები და ამტვრე-
ამსხვრევ, ეხლა რო ირევი და კე-
დელს ურახუნებ თავს, მაშინ რატომ
არ დაჰფიქრდი, მაშინ? მაშინ რატომ
არ დაჰფიქრდი შე სწორთ მისაშორე-
ბელო... შენი თავი თუ არ გებრალე-
ბოდა, მე რასლა მერჩოდი, მე — უდა-
ნაშაულოსა და ალაღ-მართალსა!

— მარტო მე გადავწყვიტე, მაშა?
მაშ, შენ არაფერი გცოდნია და მე გა-
დამიწყვეტია მარტო, არა?! — აყვი-
რდა უცებ ბეჟანი. — ძალიან კარგა
იცოდი, ძალიან კარგა იცოდი და ხმას
არ იღებდი!

— ვინ არ იღებდა ხმასა, ვინა? მე
არ ვიღებდი ხმასა, შენი დედა კი ვა-
ტირე, შენი! რამდენი მე თავი წამოგ-
ყავ და გკითხე, — რას სჩადი-მეთქი,
იმდენი შენ მიღრიალე, ოხერ-ტიალო,
შენი საქმე არაა და დეეტიე შენს აღ-
გილზეო. თქვი, თქვი... მიპასუხე, თუ-

და შეგერჩა ვაჟკაცობა, განა ეგრე
იყო?!

„ა ქალაჩუნაო, როგორ ტირის...
ეგვი, ეხლა იტირე და იცოდვებრალე,
დაიგე შენა ჭირის ლოგინი... ვინ მაკლა
ნეტავა... აახ, მაგნიტოფონი მაინც მქო-
ნდეს, ჩამეწერა... შენ გგონია, სასამა-
რთლოზეც ესრე იტიტიკებს?“

— ეეხ, ბეჟან, ეეხ, — ხმა ნამტირა-
ლევით უთრთის მოწინააღმდეგეს. —
არ დამიჯერე და იყავ ეხლა და იტირე...
იტირე... გადაიფხრიწე ეგ მკერდი,
ამაილე ეგ მოლაღატე გული, დაძიგ-
ნე, დაფლითე და დაუყარე ყვავ-ყორ-
ნებსა... რაიც გინდა ქენ... თუ გინდა,
მაგაზე უარესი ქენ... მკვლელი ხარ,
მკვლელი და მორჩა! თანაც ორი ადამი-
ანის მკვლელი! რადლა გინდა სიცოც-
ხლე, ცარიელაი, უაზრო, უმთვარ-უმ-
ზეო... რადლა გინდა!

„ვაიმე, თანაც ორი მოუკლია... ვა-
იმე, რაილა ვქნა, ლევარსი არ გარიც-
ხან პარტიიდანა ამ გათახსირებულის
გულისთვი, ამ მკვლელის გულისთვი,
წადი და უმტიციე ქვეყანასა, რო მთე-
ლი ცხოვრება მე და ჩემი ქმარი ამ ბა-
ღლინჯოს გზაზე დაყენებას ვუნდებო-
დით და ამის ოჯახის მაწესრიგებასა.“

— ანგელოზივით იყო, წყნარი, სან-
დომიანი, მოსიყვარულე, — ხმაში ცრე-
მლი გაერია ბეჟანთან მოჩხუბარს. —
აარა, ბეჟან, არ გიყორდა, არ გიყორ-
და, თორო ამას არ იზამდი.

— მიყორდა... შენც კარგა იცი, —
ოხრავს ბეჟანი და ოდნავ გასაგონად,
ისე რომ ბოთლში ძლიეს ისმის, ამა-
ტებს: — მიყორდა, მიყორს და მეყო-
რება.

„ეტყობა, დახოცილებიდან ერთი ქა-
ლია. ა, ტყიურო, ტყიურო, იცი კი შე-
ნა, რაია სიყვარული? ვინ იყო ნეტა-
ვა ის უბედურ დღეზე გაჩენილი...“

— არ მახსოვს, შინ შამოვსულიყავ
და გაცინებული არ დამხვედრიყო...
არ მახსოვს, რაიმე დამეშავებინა და
იმას ესაყვედურა... ერთხელ ცარიელ-
ტარიელი დავბრუნდი ყოზლარიდანა, —
თითზე გადასახვევი ძაფიც არ შამა-
რჩინეს, მატყლიან-ფუღლიანად გამცა-

ლეს ქურდებმა მთვრალი... წელი მწყდებოდა კარს რო ვალებდი შინ შესასვლელადა, თავდახრილმა მოვუყუევ სიმართლე... გაიცინა და გულში ჩემეკრა — რაც მთავარია, სუყველაზე დიდი სიმდიდრე ხო მშვიდობით მაიხვეო... არადა, სკამი რო სკამია, ისაც არ გვედგა ოთახში, ისე ვიყავით გაჭირვებულები...

„ვაია... თავის ნაცოლარი მარიამი მოუკლია... დიდება შენდა, ღმერთო! მძუკლია და ეხლა ტირის... ვაი, ვაი... მეორე ვინლაა ნეტავა, ალბათ ვინმესთან წაასწრო... დახვრეტა ეგრევე ზედა აქვ ამ უბედურსა“.

— ცხოველი ხარ, ბეჟან, ცხოველი!

— ერთხელ კიდევ, ცხორი მყვანდა გარეკილი... სულმთლად გადაკარგულჩი, მთის წვერზე... პური მარტო იმდენი მქონდა წაღებული, რამდენიც ჩემს რიგზე მეყოფოდა... არ ამოვიდა დანიშნულ დროზე ილო... უპატრონოდ ხომ არ მივატოვებდი ფარასა... ვზივარ მშვიერ-მწყურვალი, ლამისაა, ვიტირა... ნისლია, თანაც წვიმს, წვიმს, რო, ცა ჩამოდის ფეხადა... გავიხედე და გამოვიდა ნისლიდანა როგორც ღვთისმშობელი. ნაზი, ალერსიანი, გაცივებული... სველი თავიდან-ფეხებამდე... ან კი როგორ მიპოვნა...

„ქალო, რაია სიკვდილი?! ღვთისმშობელივითლა არ ეჩვენება ის საცოდავი მახინჯი ღედაკაცი, ჰა?!“

— ჩემმა ძმამ საკარტოფილე მიწა რო წამართო, — ამოიგმინა ბეჟანმა, — და ზედ მეწველი ძროხაც რო მიაციოლა, — დანას წამოვავლე ხელი, კისერზე ჩამომეკიდა ის ანგელოზი, — ჯერ შე მომკალ და შემერე შენს ძმას მოუღირე დანაიო!

— ფუი, შე არაკაცი! — ხმამალა გადააფურთხა ბეჟანის მოწინააღმდეგემ.

„სახეჩი შააფურთხე, სახეჩი! ვაი, დადადაი, დადადაი, ლევარსი!.. ლევარსი!.. — დაუსისინა დარეჯანმა ქმარს. ქმარი პირაღმა ამოტრიალდა და ხვრინვა გააბა.

— რომელი ერთი გავიხსენა... ერთ-

ხელ, დაღლილი ვაარ და ვწევარ... ჩემს რძალს ჰგონია, რო გახეთქილი მთვრალი ვგდივარ, აივანზე გელამა... რაკება მარიამსა, არიგებს, — რას უზიხარ ეს მშვენიერი ქალი მაგ მახინჯსაო, აღარ მაგწყინდა მაინცა მაგის ცალი თოლის ცქერაო, აღეკ და გაშორდი, რომელი შვილები შენ აგიტირდებიანო... ჩუმად უპასუხა მარიამმა, არ ვიცი კი რაი, შამოვიდა შინა, დამიჯდა სასთუმალთანა, დამიწყა მფერება... არ გამიხელია ეს ჩემი ცალი თოლი, ვიწვევ გასუსული და პატარას ბალღივით ვლრიალებდი გულჩი...

„ა, ჩასაძაღლებელო, როგორ გაუგონია... მართლა მთვრალი მეგონა. ვარიგებდი, — არადა, მამა უტხოხნდა, ტყუილად ვარიგებდი, არ დამიჯერა და ეგდას ეხლა გაყინულ მიწაჩი გულზე ხელებდაკრეფილი...“

—და ეგეთი ქალი გაავდე, ბეჟან, არა?

— ჰო, ეგეთი ქალი გაავდე, ბეჟან, ეგეთი!

„ვინაა ნეტავა, ამასაც ბეჟანა ჰქვინებია, ჩვენ სოფლელი არ უნდა იყოს... აი, ხო ზედავ, ჯერ გააბუნძულა, შემერე მაკლა და ეხლა „ანგელოზიო“, გაიძახის. გაგვანგელოზებენ შენა, განახვებენ შენა ჩქარა საანგელოზოს კარსა! მეორე ვინლა მისიკვდილა, რო აღარას ამბობს...“

— აი, ესრე დაგვხოცე ორი აღამინი, ბეჟან... აი, ესრე დაგვხოცე და დაგვასამარე შენი რძლის მაგონილი ქორების გამოთა.

რაიო? მამა, მამა, მანამდე არ აგიღვით გვერდები თქვენა, ეხლა ის უნდათ, რო მე დამაბრალან. — ლევარსი! გაიღვიძე, შე კაი კაცი, რა დროს ძილია, ქვეყანა ინგრევა, ორი კაცის მკვლელობას გვაბრალებენ და შენ გამალეებული ხროტინებ!“

— ჰა? რაი? ვინა? სადა? ვინ მოუკლიათ? — გიჟივით წამოვარდა ლევარ-

ზალო კონიაზილი
მოთხრობები

სი და დაჰყვებილი მიაჩერდა კედელზე აკრულ მეორე ნახევარს.

— მაიცა, მაიცა... — ჩაუსისინა დარეჯანმა და ისევ გაფაციცდა.

— ეხლა რასლა აპირებ, უბედურო? თავს იკლავ, ეხვეწები, მუხლებზე უჩოქებ და მაინც არ გირიგდება. აღარც შაგირიგდება, ბეჟან, იცოდე, აღარ წამაგყვება, რამდენიც გინდა ეცადა. აღარ ღირს ჩვენი ერთად ცხოვრებაო! აღარ ღირს, რაკი შენ ჩემზე ეგეთი რაიმე დაიჯერეო! ისევ ისე მიყვარხარ, მაგრამ მაინც აღარ გამაგყვებიო! სწორია, რას ერჩი... ვიყოთ უხლა მარტოკები, ვიარათ ამ ოთხკედელშუა, — მე მკვდარმა, შენ ცოცხალმა და ესრე ბედნიერად გვატარათ სიცოცხლე... როცა იქნება, ხო ჩავძაღღდებით!

— ა, მამაძაღღებო, მამაძაღღებო, ამასლა, როგორ ტყუილად გამატეხინეს ღამე... არ მოუკლია, არა! — ბოთლიანად მოუტრიალდა გაშტერებულ ლევარსის სახტად დარჩენილი დარეჯანი. — იმ მახინჯს მისტირის ისევა, იმ მახინჯს მისტირის... ნახე შენა, თურმე როგორ დაძვრება და როგორ ეხვეწება, შამირიგდო. იგმინე და იკვნესე შენა, აპა, ხვალ დილით სამსახურჩი ვარ წასასვლელი და ამასლა, რაი მიყო?! ის ვინლაა ნეტავა, ის სულელი, „მკვდარი ვარ“, „მკვდარი ვარო“, და მთელი ღამე კი ენას ატარტარებს, შენი ჭირიმე, ეგეთი რაიმე თუ გინახია, რო მკვდარი რატრატებდეს... რას სულელივით ზიხარ შენცა, დაწვე, დაიძინე, — დარეჯანმა ისევ ყელით დაასო ბოთლი და გაჩქურდა.

ოთახში უცებ ბოთლის გარეშეც გარკვევით გაისმა ცემა-ტყეპის და რა-

ხართხის ხმა. ლევარსიმ თვალები მოიფშენიდა, ჯერ დარეჯანს მიაშტერდა, მერე სმენად იქცა და უცებ აყვირა:

— ვინაო? რაიო? ბეჟანს სცემენ? ვინა სცემს?! მე მოვუვლი, უპატრონო ხო არ ჰგონიათ?... მაიცა... გამაგრდი... მოვდივარ... მოვდივარ, ძმაო!

დარეჯანმა ბოთლი იღლიაში ამოიჩარა და საცვლების ამარა გავარდნილ ლევარსის კისრისტეხით გამოეკიდა.

— სად გარბიხარ, შარში არ გეხვია, ეგრეც გიუივით ლაპარაკობს ვინდაცაა, არ შამააკვდე, მაიცა, კაცო...

— ძმა ჩემი, ძმა... შენი დედა კი ვატირე, შენი! — კიბეზე დაკოტრიალდა ლევარსი, მერე ისევ წამოხტა და თვალის დახამხამებაში ბეჟანის აივანზე ამოჰყო თავი.

— ჯერ შაიხედე მაინცა, შაიხედე, იარალი არ ჰქონდეს, — ქოშინით აპყვა კიბეს დარეჯანი.

ლევარსი კარს დაეჯაჯურა, მერე ფანჯრისკენ გაიქცა, შუქზე ხელი მოიჩრდილა და გაფაციცებით მოათვალიერა ბეჟანის ოთახი.

დამტვრეულ-დამსხვრეულ ავეჯს შორის ბეჟანა იდგა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ირტყამდა მუშტებს ცხვირპირში და თან ბლაოდა: — არ შავარჩენ, ბეჟან, იცოდე! არ გაპატიებ, ბეჟან, იცოდე!

— ბეჟან! ბეჟან! ხო არ გაჰგიედი, კაცო! — დაარახუნა მინაზე ლევარსიმ: — გამილე კარი, რაი მაგივიდა, შე ჩემ თავმკვდარო!

ბეჟანი გამოერკვა, მინაზე აკრულ ძმას საწყლად გამოხედა, მერე საწოლზე დაემხო და ხმამალა ატირდა.

ხ მ ი თ ნ ა ტ ი რ ა ლ ი

შუადღეა. მოდიან და მოდიან მეზობელ-ნათესაეები ნიკალას ოჯახში მისასამძიმრებლად, ნიკალას უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად... ერთ-ერთ საჭირისუფლო სკამზე თამარაც ზის, გა-

დაიხსნის შალს, გაიშლის გრძელ, თეთრ ნაწნავს, მოემზადება ნიკალას დასატირებლად, წაავლებს მკლავზე ხელს ნიკალას ქვრივი ელენე. ეწყინება თამარას, დაიწნავს თმას, მოიხვევს შალს,

ჩამოეყრდნობა ჯოხს და ჩააშტერდება იატაკს... შემოვა რომელიმე მოტირალი, ხმამალა მატირებს ნიკალას: „სად მიდიხარ, მშრომელო, ტკბილო, კეთილო კაცო...“ „ოოო“, — ქვითქვითით აპყვებთან ჭირისუფლები, დადგება ისევ მოთქმის ხასიათზე თამარა, გადაიხსნის შალს, გაიშლის ნაწნავს, წაავლებს მკლავში ხელს ისევ ელენე, ანიშნებს, ეხვეწება, ხმა არ ამოიღო.

— რაი გინდა, ადამიანი არა ხარ? სამი დღეა ტირილი მინდა და ხმას არ მალებინებ, მატირე ჩემი ნათესავი, — ველარ მოითმინა თამარამ და ისევ მოემზადა თმის გასაშლელად.

— გაჩუმი, თამარავ, გეხვეწები, დაანებე თავი, არ შეგიძლია ჩუმი იტირა? — თავის აუწევლად უპასუხა ელენემ და რომელიღაც ახლად შემოსულ მოტირალს ბანი მისცა.

— გიორგი ცუდად ვიტირე? — ჰვითხა თამარამ ელენეს, როგორც კი ქვრივმა ქვითქვითს უკლო.

— ძალიან კარგა იტირე.

— ეჰ, ტკბილი კაცი იყო და ტკბილადც ვიტირე, — ამოიოხრა თამარამ. — უბედური გიორგი.

ოთახში ნიკალას ბიძაშვილი დარიკო შემოვიდა, პირდაპირ ნიკალას მიამუხრა, ჩამოაშალა ზედ თავისი ჭალარა-შერეული თმა, გაშალა ცხვირსახოცი, აიფარა სახეზე და თავის აქეთ-იქით ქნევით მოჰყვა ხმამალალ მოთქმას:

— ცოდვაა შენი დაკარგვა, ჩემო ძმაო და ბიძაშვილო, ცოდვაა შენი დაკარგვა ოჯახისა და სოფლის დიდო იმედო... ბარს ცელო და მთას ნამგალო... კარგის გვარისა და ჭიშ-ჭილაგისაო, გმირო, ციხის ნაშალო... დიდი შრომისაო, დიდი ამავისაო, მუხლჩაუხრელო და მკლავმოუღლელო. შენი პურ-მარილი ზღვაზე ხიდად არის გადებული... სნოს აქებდიან შიოლეთ ბათირასა, შენ, საფერო იმისაო, არშას აქებდიან ხულელთ ჯუღღურასა, შენ, საფერო იმისაო... წადი, წადი, იქ დაგხვდებიან შენი კარგი მამა-ძმანი, კარგი ქართველები, ნამდვილი დევამირები... იქ დაგხვდება შენი დედა,

დედაბოძი... კარგი გვარის ქალი, კარგი შვილების დამზრდელიი...

— გენაცვალე, დარიკო, შენა, გენაცვალე... — მიუტირა ელენემაც და მუხლებსა და თავში წაიყო ხელი.

— სატირალი გაქვს, რძალო, სატირალიი... — მიუბრუნდა დარიკო ელენეს და თვითონაც თმაზე გაიკრა ხელი, — სატირალი გაქვ, ჩემო რძალო, სატირალიი... მუხლებიც უნდა ჩაიქვა-ვა და თმებიც უნდა ჩამაიღა ძირსა ამისთანა ქმრის დამკარგავმა... მაგიკვი შენა, რძალო... ფრთამოტეხილო და მხარჩამოგარდნილო, ვუკაცი ქმრის დამკარგავო... ეხლა შენა ხარ შენი შვილებისთვი დედაცა და მამაცა... უღელში ცალად დარჩენილო, ჰაანს მარტოკას შაჭიდებულო, როგორ უნდა გაუძლა ამოდენას დარდსა, როგორ უნდა გაუძლა ამოდენას ტვირთსა, მაგიკვი შენა, მაგიკვი, რძალოო...

ქალებმა ერთხმად შეუწყვეს ხმა ბოლო „ოოო“-ს და ნელ-ნელა მიჩუმდნენ. დარიკომ თვალები ამოიმშრალა, ცხვირი მოიწმინდა, შალი დაიხურა, დაჯდა და თავჩაქინდრული, მუხლებზე ხელუბდაწყობილი ხმადაბალი ზუზუნით მოჰყვა აქეთ-იქით რწევას.

— მე კი არ მატირებენ, ჩემო ნათესავო, მე კი არ მატირებენ... — გაისმა უცებ სიჩუმეში თამარას ხმა და ვიდრე ელენე ხელის წაავლებას მოასწრებდა, თამარა თმაგაშლილი გადაეფოფრა ნიკალას. — მაინც ვიტირებ, მაინცა, თუმცა არა ხარ კი სატირალი...

— თამარავ! დაჯე, თამარავ! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან ქალებმა, ნინამ ხელიც გაავლო თამარას დასასმელად, მაგრამ გაჭიქებულმა მოტირალმა იდაყვის გაკვრით მოიცილა და განაგრძო:

— მართლის თქმა არ გიყორდა, იმიტომ არ გიყორდი, რაი ვქნა, ვერც ეხლა გეტყვი ტყუილსა... „ციხის ნაშალო“, დაგიტირეს, — რაის „ციხის ნაშალო“, ციხის შიგნიდან დამანგრეველო, კარგი დედ-მამის არ დამფასებელო, კარგი ცოლ-შვილის არ დამფასებელო, მეზობლისა და მოყვრის მაგინებელო, ჩემო ბეჩავო ნიკალაავ...

მებრალეები, კი მებრალეები, დაღალული მზის მადლმა, ეგრე გალიე ცხოვრება, ფხიზელი თოლით არ დაგინახია ეს ლამაზი ცა, ეს ლამაზად დახატული დედამიწა, ეს შენი ლამაზი ცოლ-შვილი, ნიკალააავ... სულ გულხელდაკრეფილს გიყორდა ჯდომა, სულ წარბშეკრულს გიყორდა ლაპარაკი, ეხლაც ეგრე სწევხარ, მაგიკვდი შენა, სიცოცხლის არ დამფასებლო ნიკალააავ.

— თამარავ!

თამარამ ორივე ხელი ჩაავლო კუბოს ფიცარს და უფრო მოუმატა:

— დამანებეთ თავი, ქალებო, დამანებეთ, ორი სიტყვა ვუთხრა ჩემს ნათესავსა, ორი სიტყვა დავაბარა სულეთის გზაზე მიმავალსა... განა მეჯავრებოდა, გული მიკვდებოდა, გული მიკვდება, ეხლაცა... რაი ვქნა, რაი ვქნა, დაცინვა მგონია ლამაზ-ლამაზი სიტყვებით რო გატყუებენ, გმირს რო გიწოდებენ და სოფლის იმედსა... იქ მაინც ნულარ იქნები უშრომელი, იქ მაინც ნულარ გაუხეთქ გულსა შენ ნაჯაფარ დედ-მამასა, იქ მაინც გახსენ შეკრული წარბი, იქ მაინც მიიღე გალიმებულმა სტუმარი, იქ მაინც გაიცინე, გენაცვალე, ნულარ გადაიმტერებ მეზობელ-ნათესავსა... იქ მაინც დაუჩოქე მუხლებზე, იქ მაინც ემთხვეი კალთაზე, იქ მაინც სთხოვე შანდობა ქრისტე ღმერთსა...

ვილაცამ ნიშადურის სპირტი მოარბენინა და გულწასული ელენე მოასულიერა. თამარა, როგორც იქნა, დასვეს.

საღამოა. მინავლულ ღუმელთან თამარა ზის საქსოვით ხელში და გარედან შემოსულ ხმას აყურადებს. კიბეზე ვილაც ამოდის, ხენეშით, სვენებ-სვენებით ჭოხის რაკარუკით.

— შინა ხარ, ბიძაშვილო? — ისმის ლუკას ხმა და კარიც იღება.

— შინა ვარ, შინა, აბა სად ვიქნები. ისევ დალიე, შე მიწადასაყრელო? — თამარა საქსოვს გვერდზე დებს და შე-

მოსულს ეგებება, — მოდი, აქ დაჯექ. ლუკა ძიდის და ჯდება. კარგად მოსწონება ზის თავჩაქინდრული, მწარედ ჩაფიქრებული, მერე თავს მალლა სწევს, დაკვირვებით ათვალეირებს თამარას და მოჭტული თვალებით ეკითხება:

— წავიდე აქედან, დაო?

— სად უნდა წახვიდე, შინა? — მშვიდად უბრუნებს კითხვას თამარა და ღუმელში შემას უკეთებს. — დაჯექ პატარა ხანსა, რაი გაჩქარებს?

— შინ კი არა, ამ სოფლიდან წავიდე, დაო? — ღრიალებს მოულოდნელად ლუკა და იატაკზე ჯოხს ურახუნებს, — წავიდე ამ სოფლიდანა, მე შენ გეკითხები!

— ვაი ჩემ თოლებსა! — შეეშინდა თამარას. — სად უნდა წახვიდე, რაისთვი უნდა წახვიდე?

— შენი გულისთვი უნდა წავიდე, შენი გულისთვი, რო შენ არ დამიტირა! — რაც ძალი და ღონე აქვს ყვირის და მაგიდაზე ურახუნებს მუშტს ლუკა. — ხვალვე წავალ, ხვალვე გადავიკარგები... ეგეთ ადგილას გადავიკარგები, რო ეშმაკამაც ვერ მიპოვნის... ქვესკნელში წავალ, ჭურღმულში ჩავალ, იქ დავიმალები და შენ კი არ გაგახარებ, შენ კი არ გატირებ ჩემზე!

— ვაი, ვერ გასახარებო, შენა, აბა! გული არ გამიხეთქა? — ძლივს ამოისუნთქა თამარამ. — ნეტაი-მეთქი რამ ბზიკმა უკბინა... დაიცა, დამაცადე, ქვესკნელში რაილა მიგარბოლებს დასამალავადა, იქნებ მე კვედები შენზე აღრე.

— აარა. — მკერდზე გამხმარი მუშტი დაიბაგუნა ლუკამ. — ტყუილია, მაგ იმედით ვერ ვიქნები, შენ ჯერ არა გეტყობა რა წამსვლელისა, შენ ჯერ მე გამისტუმრებ და თუ დროზე არ ვუშველე თავს, ვიცი შენი ამბავი, ვიცი, როგორც დამაფასებ და როგორც წვრილ-წვრილად ჩამამითვლი ნაირ-ნაირებსა... რაი ხარ? აპუ, ვეღარ მაგიშორეთ, კაცო?! სიკვდილისა არ გვეშინიან ეგრე ამ ხალხსა, როგორც შენი.

— რაისთვი, ლუკავ? — გაჩქარებ-

და თამარა — თავი გონჯა ვიტირე? შამშე გონჯა ვიტირე? ისიდორე გონჯა ვიტირე? სალომე გონჯა ვიტირე? გიორგი გონჯა ვიტირე?!

— ეფრემი კარგა იტირე? ლუარსაბი კარგა იტირე? ასანალე კარგა იტირე? ბაბედო, სანდრო, ფარნაოზი, შიო, ნიკალაი, კარგა იტირე?!

— ვინც როგორ სატირალი იყო, ეგრე ვიტირე. რაი გინდა ეხლა შენა ჩემგა, პა? რას მამივარდი ამ შუალამის დროსა სიკვდილის მოციქულებითა? გონჯი რო კარგა ვიტირა, კარგი როგორღა უნდა ვიტირა და რაისღა პირითა, პა? გარჩევა არ უნდა იყოს, შე დალოცვილო? თუ, გგონია, რო სიკვდილი სუყველნაირად ათანასწორებს ადამიანებსა?!

— და, არ შეგიძლია, რო მარტო კარგები დაიტირა და გონჯებს თავი დაანება?

— ვაი, ვაი, რას სისულელეს ამბობ, ლუკავ, აპუ? გონჯი უფრო სატირალი არ არის, შე კაი კაციო? გონჯი უფრო არ უნდა დაარიგა უკანასკნელ გზაზე მიმავალი?!

— ფუი! — ხელი ჩაიქნია დაბნეულმა ლუკამ და თავი ჩააქინდრა. კარგა ხანს აკაკუნებდა ჯოხს იატაკზე, კარგა ხანს ბუობდა რაღაცას გუნებაში, მერე თავი ასწია და გაუბედავად იკითხა.

— მე გონჯი ვარ, თამარავ?

— ვინ გითხრა, ბეჩავ? — გაიოცა თამარამ. — რაი გჭირს, გონჯი რაისთვისღა ხარ?!

ლუკამ ისევ რაღაც ასწონ-დასწონა გუნებაში, ცალი წარბი ეჭვით ასწია, უღვაწზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და უცებ ხვეწნით სთხოვა თამარას:

— მიადი ეხლავნე დამიტირე, თამარავ, პა?

— კაცი, ხო არ ვაპყობი შენა? — გაბრაზდა თამარა. — რას გადასცემ-გადმასცემ, ამ ხნის კაცი ხარ და არ უნდა დაუფიქრდე, რას ლაპარაკობ?

— აღამიანი არა ხარ? ჩემი ყურითვე მამასმენინე, რასაც მემრე იტყვი ჩემზე. მამასმენინე, გეხვეწები.

— არა, არა, — ხელები გადასავსავ თამარამ. — ცოცხალი აღამიანი ხარ, რილი რაიღაა, შენი მტერი და ავადმახსენებელი გამიხდეს დასატირებელი, შენ ჯვარი გწერია... სუ, სუ... ფუი, ეშმაკსა.

— დამიტირე, თორო ინანებ! — თითი დაუქნია ლუკამ. — ამალამვე გავიპარები და წერილს დავადგებ, — თამარაის შიშით ვსტოვებ ეს დროული კაცი მშობლიურ სახლ-კარსა-მეთქი. სუყველაი, სუყველაი და, ქსენიას რასლა პასუხს ვასცემ, იმასაც ვნახავ.

— ლუკავ, მთვრალი ხარ ეხლა შენა და სისულელეს ნუ ლაპარაკობ, წადი შინა, დაწვე და დაიძინე.

— არა ვარ მთვრალი, მთვრალი კი არა, ამდენი ხანია შენი შიშით ვერ ვკვდები კაცი, — აყვირდა ლუკა. — სწოროთ მოვშორდე, დედამიწის მადლმა, დამიტირე, თორო, იცოდე, ამალამვე დავადგები გზასა.

— ბეჩავ, რაისა გეშინიან, შე დალოცვილო, რაი გაქვ გასაქცივეი, — თითები ჩამოსათვლელად გაამზადა თამარამ, — უშრომელი შენ არა ხარ, ბოროტი შენ არა ხარ, კარგი შვილების გამბზდელი, კარგი მამა, კარგი მეზობელ-მოკეთე, სოფლის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი...

— დალევა რო მიყორდა?

— მემრე რაი? ჯერ შენი გამწარებული არც შინ მინახია ვინმე და არც ვარეთა.

— ჯუღას რო ყური ჩამოვახხე ჩხუბის დროსა, იმას იტყვი?

— ეგ ხო შემთხვევით მაგივიდა.

— პო... ბევრი კი ვინანე მემრე, მაგრამ აბა რაიღა გამოვიდოდა, სინანულით ხო არ მიეყვრებოდა იმ ბეჩავსა... მარკოზას რო ცხვირზე უკვბინე?

— ეეჰ, ეგ მთელმა სოფელმა იცის, რო სიყვარულით მაგივიდა, მთვრალე-ბი იყავით ორივე და...

— ფერმის გამგე ეფრემი რო ვეეეე?

— საუფუი იყო და შეეეე... დაწყნარდი ეხლა, აბა რაი გაქვ ასაღლელებელი და

გასაქცევი... ეგეთ რაღაცებს არც ვიტყვი.

— ვერ დავწყნარდები, თამარავ, მაინც ვერ მოვკვდები მშვიდადა, ვიდრე მე თვითონ არ მოვისმენ რასაც დამატირებ... თუ არადა, წავალ, იცოდე.

— აჰუ, აჰუ, რაი ხარ?! შამჭამე, შამჭამე... აი, ეგე, ეგეთი ჯიუტი იყავ მთელი ცხოვრება, რასაც პატარაობისას შენ გირტყამდა ცხონებული ბიძაჩემი და მაინც ვერ გამაგასწორა... წამოდი, წამოდი არ მაგასვენა შენა ჩემმა სალოცავენმა, დაწვე, დეეგვე აგე იმ ტახტზე და დაგიტირებ.

— ჩექმები გავიხადა?

— გაიხადე, მათ, შენი ხნისა ვარ მეცა, პატარაი კი არა, მაგის რეცხვის თავი მაქვ?

ლუკამ ხენეშით გაიხადა ჩექმები, კოხტად მიაწყო გვერდზე, ჯოხიც იქვე მიიყუდა და კვნესით გაწვა ტახტზე.

— თმაც გავიშალა?

— ჰო, ჰო, ჩემო დიავ, მიყორს შენ რო თმას გაიშლიკე... ბეჩავი შამშე როგორ კარგა დაიტირე. გარედან გიგდებდით კაცები ყურსა და ცოტაილა გვაკლდა თავების დახოცვასა... აჰუ, რას სიტყვებს ამბობდი, — ლექსი იყო ლექსი, ტირილი კი არა...

— ეჰჰ, კარგი ახალგაზრდაი დავჰკა-

რგეთ, კარგი. მართლა მზის შვილი იყო და მართლა მთვარის დესპანი, განათლოს იმის სული ღმერთმა... გულზე რაისთვი არა გაქვ დაქრფილი ხელები, ეგრე ცოცხალი მეგონები და არ შემეტირება.

ლუკამ გულზე დაიკრიბა ხელები და თვალები დახუჭა.

თამარამ თმა გაიშალა და ის იყო, მოთქმის დაწყებას აპირებდა, რომ დაინახა, გაუხელია ლუკას თვალები და დააღუპით მოსდის ცრემლი.

— ეიშე, სად გავგონილა, რო მკვდარი ტიროდეს?! — გაბრაზდა თამარა.

— მაიწმინდე ეხლავნე ცრემლი. მშიშარაი კი იყავ ბალღობიდანვე.

— შემებრალა ჩემი თავი, თამარავ, დროული კი ვარ, მაგრამ მაინც მეძნელება, — შერცხვა ლუკას. — აჰა, დაიწყე... მშიშრობაზე კი ნურაფერს იტყვი, თუ ჩემი დიდი ხარ, მაინც არაა ღამაზი ვაჟკაცისთვი, ხო იცი...



წვიმს... სოფლიდან გადაკარგვას აღარ აპირებს და ამიტომ ნელა-ნელა მიჰყვება შინისკენ მიმავალ გზას ჯოხზე დაყრდნობილი ლუკა.



ხინდახან, როცა ქვაფენილების
 ყალბი ხმაური გამომაფხიზლებს
 და მხიარული კაცუნების უძლური
 მზერა
 კაუჭივით მეღება გულზე,

ვფიქრობ, დროა დავხურო კარი,
 რომ მარტომყოფმა და ბედნიერმა
 დაბადების დღე გადავუხადო
 ჩემს ახალგაზრდა
 ოცდაექვსი წლის ღამეს...

როცა არ გინდა, სწორედ მაშინ გაგახსენდება
 ფრია ღრუბელი, მწარე ალხით გაწამებული,
 ზღვიდან აჭრილი ქარებით რომ მოიდევნება,
 და უმოწყალოდ სწურავს თავის თავს,
 ეწვეება ჩვენს გამშრალ მზერას,
 ძველი კოცნების სიტკბოება რომ შეგვიანახოს,
 და იმ კოცნების მწვანე ფერი გადაგვიჩინოს.
 როცა არ გინდა, სწორედ მაშინ გაგახსენდება, —
 ცალ-ცალკე დგანან სიტყვები და ტუჩები ჩვენი,
 ვერ მიაგნეს ერთიმეორეს,
 ვერ ჩაიხუტეს ერთიმეორე
 და ღრუბელივით საკუთარ თავს სწურავენ ასე...

ნუ მიენდობი ჩემს ცრუ ღიმილს, აგი კარია,
 რომლის იქით, ცივ სიბნელეში
 მაგიდას უზის მობუზული კაცი და როგორც
 ჰორიზონტზე ჩამავალი მზე
 მხოლოდ საკუთარ თავს ანათებს.

შენ უბღბლს ახეთქებ კედელს, რომელიც
 დიდი ხანია აღარ არსებობს,
 შენ კოცნი ქარებს, რომლებმაც უკვე
 მოისმინეს ფოთოლცვენის ცივი სიმღერა
 და მინდვრებს იქით გადაიკარგნენ,
 მათი უჩინარი ნაფლეთები შემოდგომის ხეებზე
 კანკალებს.

შენ გიყვარს ღამე, დიდი ხნის წინ გათენებული
 და მის შავ წყალში
 ფოთლებივით ჩაცვნილი შენი ხელები.
 არ დამთავრდება ეს სიცრუე,
 მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ,
 რომ სიზმრის ლურჯი ჭუჭქრუტანიდან
 ცხოვრებას აფრთხობ და ენას უყოფ.

მაგრამ საღამომ
ვერა და ვერ დაიმახსოვრა,
რომ ჩვენც იმისი ობლები ვართ,
უტკბეს ძილში გადახვეწილნი
და სამყაროს გულის გასახეთქად
წმინდა ვარსკვლავებს გვინთებს ზემოდან,
იუპიტერის ჩუმი ბრწყინვით გვახარბებს ზეცას,
რათა ბნელში თავჩარგულებმა
და დამფრთხალებმა უიმედო სიზმრების დევნით
მწარე-მწარე სიტყვების ნაცვლად
ის ვარსკვლავები ამოვიყვიროთ...

დაბლა იწევა ცა და კაბები,
ჩიტები და მუხლისთავეები თბილ სიბნელეში იხიზნებიან
შენ კი არ იცი საით წახვიდე,
გულს გიხვრეტს წვიმის ურცხვი ქირქილი
და მობეზრებულ პეიზაჟსაც თვალს ააყოლებ:
ლედის ხე, რუხი კრამიტები, რომელთა გულში
ნაღველი ჩამდგარა, როგორც წებოვანი ოქრო.
შენ კი არ იცი, საით წახვიდე,
თავბრუ გეხვევა ვარსკვლავების უხმო ყვირილში
და ყვავილის წითელი ბაგე
ესაუბრება შენს ძველ ჭრილობას...

მიწიდან ნელა მოდის ზამთარი,
დაბლა იწევა ცა და კაბები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მე გამოვედი ეკლესიიდან,
რომელშიც არ შევსულვარ.
მე მოვისმინე უძრავი ზარების რეკვა,
რომლებმაც გამახსენეს
ღალატის და შურის ქვემოთ,
იმედების და სიზმრების ქვემოთ
ყვავილებში ჩაძირულ ტბაზე
მობანავე ანკარა ქალწული.
ბროწეულის ხე დელავდა
იმის სუსტ ნეკნებზე,
აღმოდებული, როგორც ვნება,
ჯანსაღი, როგორც მიწა.
მე შემეშინდა ქვემოთ ჩამოსვლის
ხელის შეხების და უძრავი ზარების ხმაზე
ტბის ჭვირვალ სარკეს ჩავაცქერდი და დავინახე
ბავშვი, რომელიც სიბერისგან გარდაიცვალა.

რას გვეტყვის წყალი
 ან ღრუბელი რით დაგვამშვიდებს
 თბილი სიწყნარით გაბრუებულებს,
 თბილ სილურჯეში მობანავეებს...
 სად გაიხიზნა ჩვენი დიდი სიხარულები,
 სად გაეღვიძათ ჩვენს დიდ სიზმრებს, რომელ ნაპირზე
 ჩამოგვსვეს, რომელ ტალღას შერჩა ჩვენი ძახილი...
 თითქოს ჰაერის იქით ყვავის მწიფე ლიმონი,
 ჰაერის იქით ადრიატიკის ლურჯი წვიმები
 ასველებენ ჩვენს გრძელ ღამეებს,
 ჰაერის იქით წყნარად ირწვიან გონდოლები,
 წყნარად მოცურავენ სასახლეები და ქვაფენილები,
 ჩვენ გავიხედავთ აღმოსავლეთის დიადი წყლებისკენ,
 აღმოსავლეთის მაღალ ვარსკვლავს ვეამბორებით
 და გვეჩვენება, ჰაერივით ვიფანტებით ოთხივე მხარეს
 და ჰაერივით არსად ვმთავრდებით.

რად ქრები ასე, ჩემო ვარსკვლავო,
 ვინ გეძახის სამყაროს შიგნიდან,
 რომ სიხარულით დაჩხვლიტოს შენი პატარა გული.
 მე მომავალში ვიცხოვრე უკვე,
 ჯერ დაუძვრელი ქარების შიშით,
 ჯერ მოუსვლელი წვიმების შიშით,
 ჯერ დასარეკი ზარების შიშით,
 და წვრილი სხივიც იმ ქარიშხლის ხმაზე მაფრთხილებს,
 იმ წვიმების ხმაზე მაფრთხილებს,
 იმ ზარების ხმაზე მაფრთხილებს,
 შენი საღამო თენდება, მგზავრო!

„ყველანი ცვივით...“

რ. მ. რილკე

მთვარე ისე მწუხარედ ჩადის
 აღარასოდეს ამოვა თითქოს
 და ერთადერთი უძრავი სხივი
 ჩვენს დაღონებულ გულებს ეცემა.
 ჯერ არ წვიმს —

მაგრამ გაიჟღინთა ხეები წვიმით,
 ჯერ შემოდგომა არ მოსულა —

ფოთლები კი ცვივიან უკვე
 და ვარსკვლავების მწარე სურნელში
 ჩვენი ხმა უფრო შორიდან გვესმის...



ბ ი ო რ ბ ი ა თ ო ნ ე ლ ი

ჰეპტალოგიიდან — „შვილი გიორგი“

რ ო მ ა ნ ი

წ ი ნ ა ბ ზ ე

ქვე-ჰანანას ზედა

კვლავ ჰამდნენ ერთმანეთს:

ადამიანი და მიწა,

მიწა და ადამიანი,

დედა-მიწა და შვილი-მიწა.

ჯერ შვილი ჰამდა დედას — გახელე-ბით, განილაგებით, ყოველ დღე, იჯრებით. რეცა, იმისთვის დაბადებულყო, მიწა ეჭამა და ჰამდა გარდასახულ მიწას და არც ეგონა, არც ეფიქრებოდა, თუ ჰამა მისი იყო ჰამა მიწისა. არც ეგონა და არც ის იცოდა, რომ მიწის მჭამელი, მიწისმჭამლობით, თვით იყო მიწა.

ხოლო, მიწამ ყველაფერი იცოდა. იცოდა და ეცინებოდა. ეცინებოდა, რადგან ხედავდა როგორ კორტნიდა, კერძავდა და თერძავდა მის ტანს შვილი მისი, დედის-მჭამელი.

და იცდიდა მიწა, იცდიდა, ეცინებოდა და, ოდეს ყოველივე ეს მოსწყინდებოდა და მოყირჭდებოდა, თვითონ შეჭამდა თავისსავე შვილს, ანუ თავისსავე სხეულს.

თუმცაღა ყველა როდი იბადებოდა მხოლოდ მიწის მკერძველად და მიწის კერძად. არამედ, ამინ გეტყვი შენ — იბადებოდა ვინმე, „ვითარცა მილიონ ერთ“, რომელსა შიგან ზესთასოფლური ანუ ღვთაებრივი უფრო სრულად დაივანებდა, ვიდრე „თ ვ ი თ ო ნ“, ანუ საკუთარი მიწიერი „მე“.

ზე-ჰანანას ზედა

ზეცას, ირმის ნახტომის შუაგულზე, ანუ საქართველოს ბედის ვარსკვლავთა საფიხვნოზე, ყველა ვარსკვლავი შეკრებილიყო უხუცესიდან უმრწემესამდე.

უხუცესი — ვარსკვლავი ქართლოსისა.

უმრწემესი — ვარსკვლავი თვალშენიერ არსუკისძისა.

ხოლო მათ შორისად ბედის ვარსკვლავნი: ფარნავაზისა, ფარსმან ქველისა, ნინო განმანათლებლისა, მირიანისა, პეტრე იბერისა, ვახტანგ გორგასალისა, გუბაზ მეფისა, ძმათა დავით და კონსტანტინესი, არჩილ მოწამისა, კონსტანტი კახისა, გრიგოლ ხანძთელისა, გობრონ წამებულისა, დავით კურაპალატისა, ეფთვიმე ათონელისა.

და ისხდნენ სავარსკვლავო საფიხვნოზე, საქართველოს დასწვრივ, ქართულ სულთა ბედისვარსკვლავნი.

ისხდნენ ზეცის უღელტეხილზე, სხივდაღლილნი და თვალმოწყენილნი.

თითქოს ერთმანეთი მობეზრებოდათ. თუმცა უერთმანეთობა არ შეეძლოთ.

უერთმანეთობა არ შეეძლოთ-მეთქი, რადგან გარშემო უთვალავი, დაუსაბამო და დაუსაზღვრავი, უცხო თესლის სავარსკვლავო საკრებულონი ზიმზიმებდნენ.

და იყო მოწყენილი ქართული ბედის საფიხვნო...

და უცებ, სრულიად ახალი, ცინცხალი, მანამდე უცნობი და უხილავი ვარსკვლავი შემოიჭრა, გასაოცრად ჰვირვავალი სხივცემით.!

შურით და სიყვარულით შეაცქერდნენ ახალმოვლენილს ძველი ვარსკვლავნი.

ერთდროულად შურით და სიყვარულით-მეტეი, რადგან იმ სავარსკვლავო საფიხვნოელთა სული აკი ქართული იყო!..

(ქართული სული — დაუდგრომელი უფლისწული შურისა და სიყვარული-სა)...

— ვინ ხარ შენ? — ჰკითხა ახალმოვლულს საფიხვნოს მახვშმა, ქართლოსის ვარსკვლავმა.

— მე ვარ ბედის ვარსკვლავი იმა ყრმისა, რომელიც დღეს დაიბადა და რომელშიც დმერთი უმეტეს წილ დაივანებს, ვიდრე „თ ვ ი თ ო ნ“, ანუ მისი საკუთარი მიწიერი „მე“.

— და იგი დაიბადა საქართველოში?

— ამინ, საქართველოში!..

პარი პირველი

შუბლი

ხოლო, იგი დაიბადა იმ წელს, რა წელსაც ჰაბუკ ხუროთმოძღვარს, თვალშეწინიერ არსუკისძეს, ქუთათისში ბაგრატ მეფისგან ნაბრძანები ტაძარი დაესრულებინა და მაშინვე სვეტიცხოვლის აღმშენებლობას შესდგომოდა.

ყრმა დაიბადა ოდეს მოწვევულ იყო არე გაზაფხულისა და ბუნებაც იღვიძებდა შიშველ ბარძაყთა ზმორავით და თრთოლვით.

თრიალეთის მინდვრებზეც ყვავილობდა ძუძუნე გაზაფხულისა.

და ახალშობილ ყრმას სახელად დაარქვეს გიორგი.

სოფელი, სადაც იშვა — ტონთიო.

მამა, რომელმან შექმნა — იაკობ.

დედა, რომელმან იტვირთა და შვა მარიამ.

ქართული
ენისწილობა

●
შუბლზე ახალშობილს ჯვარსახოვანი ნაქეცი დაჰყვა.

და მარჯვნივ საფეთქელზე, ძარღვი კათოლიკე, ცისფრად კლაკნილი, რომელიც თითქოს სამ ასონიშნად წაიკითხვოდა — „კახ“.

პირველ დარწვევისთანავე უცნაურმა სურნელმა მოიცვა აკვანი მისი.

— ესე არს სურნელება სიბრძნისაი, — თქვა ბუჯარამ, განთქმულმა თრიალეთელმა ულუკმა, მერამდემ დაღაზარინელმა.

— სწორედ, სურნელება სიბრძნისაი, — გაიმეორა განცვიფრებით და ბოლოს დასძინა დაბეჯითებით:

— მზისწული მისი — მზისწული სიბრძნისა და სათნოებისა.

ხოლო ცა იმ დღეს, ახალშობილის სახლის დასწვრივ, ფუტკრის მანანას აფრქვევდა მიწას.

●
იმ წელს კიდევ ერთი ყრმა დაიბადა — დიდი აბულახტარების ოჯახში. დაიბადა ყრმა იგი ჭაობისფერი პერანგით.

დაიბადა და საშოითგან მუქით მწვანე ლორწო გამოიტანა.

და კიდევ — დაბადების უამს მხოლოდ ამქმელმა დედაბერმა მოჰკრა თვალი, როგორ გაშხორკალდა ღრიანკალი მშობიარეს სარეცლის გასწვრივ, გაშხორკალდა და კედლის დანახეთქში გაუჩინარდა.

— მშობიარემ შობა იგი, თუ თავისით იშვა? — გაუელვა გაშეთებულ ამქმელ ქალს და მწვანე ბალყთაგან ახალნაშობის განბანვა განაგრძო.

სახელად დაარქვეს — ქირქიშ.

— მუქით რომ დედის საშოითგან მწვანე ლორწო გამოიტანა, ესე არს ნიშატი ავისხილანობისა და ცოდვიანო-

ბისა, — უბრაღ ჩაითქვა გულში ქირ-
ქიმ აბულახტარის საწუთისოფლო ბე-
დისმწაფელმა.

ხოლო, ცა იმ დღეს, ახალშობილის
სახლის დასწვრივ, მეხის წიწილებს
უშენდა მიწას.



ისევ გიორგის აკვანს მივუქციოთ გო-
ნება ჩვენი.

პირველი ნაბიჯი ჩვილისა მზის
სხივმა აიყოლია.

მზე იმ დღესაც ისე შევიდა სარკმ-
ლიდან, შევიდა და აკვანში შეუწვა.

გაიღვიძა მზით ნამბორევემა.

გაიღვიძა, გაიბრძოლა და არტახნი გა-
ნიყარნა.

და პირველი, რასაც ხელით შეეხო,
იყო აბოს კბილი, ავი თვალის უკუ-
საგდებად და უკუსაწბილებლად დედის
ხელით აკვანზე დაკიდული.

და დაქვეითდა.

პირველად დაქვეითდა და დაემყარა
მიწამყარს.

და გადადგა პირველი ნაბიჯი.

გადადგა მეორე..

და გაიარა.

და ეს პირველი გავლა იყო გავლა
მზის სხივის გასწვრივ.

კიდევ ორი წელიწადი უცნობელად
მიელტვოდა მზის სხივისკენ და ცეცხ-
ლის ალისკენ, მიელტვოდა სინათლის
ძალთა მხოლოდ მგრძნობელი და კვლავ
ვერმცნობელი.



მერე დაიბადა პირველი სიტყვა,
რომლისგან გონებად იქმნა გონება მი-
სი.

და სიტყვა ესე, ნარუქად შობილი,
იყო — საქართველო.

რეცა, ზეციდან ჩაესმა და ჩაესხეუ-
ლა სიტყვა იგი. ჩაესხეულა და ჩაენა-
წევრა:

საქართველო,

ქართველო,
რთველო,
ველო,
ელო,
ლო,
ოოო..

— მამა, რაი არს საქართველო?

— საქართველო სამშობლოა ჩვენი.

— დედა, შენ მითხარ!

— საქართველო ღმერთია.

— ღმერთი?!

— ჰო.

— თვითონ ღმერთი?

— ღმერთი... ღმერთი ყველაფერია.

— ?!

— მერე შეიტყობ...

— მამა, დიდია საქართველო?

— დიდი, ძალიან დიდი.

— დედა, შენ მითხარ!

— პატარაა, აი ასე მცირე და პატა-
რა! — და თავსაფრის ყური გამოუწო-
და დედამ შვილს.

დედის თავსაფრის ყურივით მცირე
ყოფილა საქართველო, — გაიფიქრა
მწარე ფიქრით ყრმამ და ისევ მამას მი-
უბრუნდა.

— შენ კი რად მითხარ, საქართვე-
ლო დიდი არისო?

— მე სხვა სიდიდე გითხარი, შვილო.

— რაის სიდიდე?

— საქართველოს სულის სიდიდე.

— სული? რაი არს იგი?

— მერე, შვილო, მერე შეიტყობ...

...საქართველო!

სამუდამოდ ჩაუდგა, ჩაეკირა და
ჩაესხეულა ჩვილის გონებას, ვითარცა
საძირკველი სრულად შემდგომი საწუ-
თისოფლო არსებისა და არსებობისა;

პირველი ხსოვნა — ყოველი სამო-
მავლო ხსოვნისა;

პირველი სიტყვა — ყოველი სამო-
მავლო სიტყვიერებისა;

პირველი აზრი — ყოველი სამომავლო
აზროვნებისა;

პირველი ფიქრი — ყოველი სამომავ-
ლო ფიქრთმეტყველებისა.

შემდგომად იყო ხმა ძელის კვრისა სოფლის სამრეკლოთგან, უამსა მიმწუხრისასა.

— ძელი მწუხრისა! — თქვა მაშინ მამამ და უმაღვე ისახა ჯვარი.

მერე თავისი თვალით იხილა გიორგიმ ძელი იგი, ურთხლის ხისა, რვალივით უღპოლველი და სააღდგომო ზენიშანივით სისხლისფერი.

და სამუდამო სახსოვრად იძრა ყრმის სულში ეს შეგონება:

— ძელის ცემა მარადიული სიცოცხლე და სიფხიზლეა კაცთა მოდგმისა.

და კიდევ ახალი რყევა სულისა, როცა ყრმა იგი პირველად შესულიყო ნასხლავ ვენახში.

ვენახი ტიროდა.

მიეახლა ვახსა მტირალსა, თითით ცრემლი მოჰხოცა და დაიღო ენას.

და იგრძნო მანამდე განუცადებელი რაღაც უსაზღვროდ საამო გემო, რომელმაც შეუტრყია სრულად სხეული, ყოველი ძარღვი, ყოველი სახსარი.

„და, რაი არს გემოი ესე, რომელთან შეტოლებით ყოველივე სხვაი გემოი არს ოდენ გელმატო?“

და მივიდა კიდევ ვახთან და მოსწოვა რქაი მტირალი.

კიდევ სხვას.

კიდევ.

„გემოი ესე არს არარას მსგავსი, მხოლოდშობილი, გემოი ვაზისა“.

და ამიერიდან გიორგიმ შეიყვარა გაზაფხული, არე ვაზის მტირალობისა.

ერთხელ დამით ყრმას გარედან სიმღერა მოესმა, სიმღერა ობოლ ბიჭისა:

სიკვდილმა ჩამოიარა,

ობოლი დახვდა წინაო, —

სიკვდილო, მე წამიყვანე,

ობოლმა მომეწყინაო.

და მაშინ პირველი ცრემლი ჩაექცა სულში...

შვიდი წლის გიორგი ტაძრის ნეს წაიყვანეს, მის უფროს დასთან, თეკლასთან, რომელსაც უკვე დიდი სახელი დაეგდო წმიდა ცხოვრებით, სწავლით და ღვაწვებით.

— უბადლო და უსწორო არს უბიწოება სხეულისა და სულისა თეკლასი, — იტყოდა საბაია, მოძღვარი ტაძრისის დედათა სავანისა.

იტყოდა და გველივით უძვრელ თვლებს მიაცივებდა შავად მოსილი ყმაწვილი ქალის ქარვისფერ სახეს.

ტაძრისში მოსულ ყრმა გიორგის კვართი მოჰყვა, თეთრი კვართი, დედის ხელით მოქსოვილი და გულზე ჯვარამოქარგული.

ჯვარი ესე თვითონ შვილის შუბლიდან გადმოესახა დედას, მარამს.

კვართი ესე, უკერველი, მუჭშიგან მოიმწყვდევოდა, ხოლო ყრმის ტანზე ჩაცმული, ყრმასთან ერთად იზრდებოდა.

და ვიდოდა წლები თვინიერ ნებისად ადამიანისა.

და იზრდებოდა ყრმა.

და იზრდებოდა კვართი უკერველი და აოცებდა და აშეთებდა ტაძრისელ მოწესეებს ეს უცნაური, ჯვარშუბლიანი „ვერძი ღმრთისაი“, რომელიც საკვირველი სისწრაფით და სისრულით სწავლობდა საღვთო წერილთა, წიგნთა და წიგნთა ნაწევართა ყოველთა.

და იუფლებდა უფლისადმი სიყვარულს გიორგი, — იუფლებდა ყოველითა გულითა თვისითა, ყოველითა სულითა თვისითა, ყოველითა გონებითა თვისითა.

— მკვირცხლ და მძლეთამძლე არს გონება მისი, ვითარცა იყო გონება მოსესი სიჩაოით-სიყრმითგანვე, — ამბობდნენ ერთობილად ტაძრისელი მონაზონნი.

— მაშ, შენი სახელი საიდანა იცის იმ ბოროტმა ეშმაკეულმა?

— არც ეგ ვიცი, სახიერო.

— მაშ, არც შენი სახელი წაუღია ჩიტს იმ სატანისთვის! — შხამიანმა ღმიღმა დაუსერა სახე საბაიას.

— რაის გულისად მეუბნები აგრე სასტიკად, დედაო საყვარელო? კვალად გეტყვი — არცა ჩიტისა ვიცი და არცა ადამიანის შვილისა. ღმერთია მხედვარ, ღმერთი — ჩვენი გულისა და თირკმელთა გამომეძიებელი! — შეჭლალადა თეკლამ.

— საბაია საშოდახშულოო! — დაარისხა ბიჭმა მოულოდნელად, მიმწუხრისას, ისევე ყაყაჩოს მინდვრიდან.

მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩანთქმულიყო, ის ერჩია თეკლას, ამის გამგონეს.

ასეთი საშინელი ფერი, საბაიას რომ ადგა სახეზე, თავის დღეში არ ეხილა ქალს. რა ფერი იყო ეს — მიწისა თუ ნაცრისა, ყორნისა თუ მგლისა, ნადგომარი ჭაობისა თუ ნაშემოდგომარი ფოთლისა — კაცი ვერ დაარქმევდა სახელს.

ღმუილი თუ ყმუილი აღმოხდა საბაიას. ალბათ, ცოფით ხელდარეულ ავაზას თუ ექნებოდა ესევეთარი ხმა.

— შეხედე, შეხედე, რაი მჭირს შენგან, კიღობანო საცთურისა! — ამოიხრიალა და ფრჩხილები აილეს-დაილესა საბაიამ.

— მე რაი მიძლავს, დედაო სახიერო, ვინათგან ვარ უსუსტეს ქსელისა ფსუენისა.

ეს უსაზმნოდ აღმოხდა თეკლას მკრთალი ხმით, რადგან საბაიას აღარც გაუგონია, ისე საოცარი სისწრაფით განშორებოდა იგი იქაურობას და გაუჩინარებულყო, ფრჩხილების კაპუნით.

ეკვდერში, სადაც ყრმა გიორგი ცხოვრობდა, ესვენა ჯვარი, მკლავებდახრილი და ქალის თმებით შეკვერთხილი.

— კმა არს, კმა-მეთქი, ვინათგან ცივ არს სისხლი თქვენი, ცივ არს სხეული თქვენი და ცივ არს სძე, რომელმან განგაძლო თქვენ, — სთქვა საბაიამ ცივი ხმით.

გველებმა რძიანი ტაშტაბრაიგიდან თავები აიღეს და შიშველი, იისფერი ხმლებივით შეიმართნენ.

მივიდა საბაია და, ჯერ ერთს, მერე მეორეს — ყელიდან შუა მუცლამდე ჩაუტარა თითოჯერ შავი ფრჩხილებით წაგრძელებული თითები.

გველები წამსვე მიწას განერთხნენ და გასრიალდნენ.

— თეკლააა! — ყოველ დღე, მზის აღმოხდენისას იძახდა ბიჭი მდინარის გაღმიდან.

იგი მწყემსი იყო, ცხვარ-ძროხას აძოვებდა და სალამურსაც უკრავდა ჟამ-ჟამ.

მერე ყაყაჩოებით აალებულ მინდორში ამართულ ხეზე აცოცდებოდა, ძირა მსხვილ ტოტს ცხენოსნური გადალაჯვით გადააქდებოდა, ზედ ხელს უტყაპუნებდა და ძალუმი ხმით დაჰყიოდა:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,
გველი გაძვრა ლობეშია,
ტაძრისის და მტკვარის წყალი
ყველა ერთად ამაშია,
თეკლა გოგო ტაძარშია,
მისი გული ღაღარშია,
საბაია ნაცარშია,
გველი უწევს კალთაშია,
ძუძუ უღევს ხახაშია.

— თეკლააა!!! — კიდევ გლეხის სადილობის ჟამს დაიძახებდა მწყემსი ბიჭი. კიდევ მესამედ, მზის ჩასვენებისას დაარისხებდა.

— ვინ არის იგი სატანის მართვე? — ეკითხება საბაია თეკლას.

— აბა, მე რა ვიცი, დედაო სახიერო?

— არც სახელი იცი?

— არა, დედაო. ჩიტი ხომ არ მომიტანდა მე იმის სახელს?

გიორგი იმა ჯვრის წინაშე განასრულებდა ყოველივე საღვთო სალოცველს.

განასრულებდა, იმ ჯვარს ამბორს-ჰყოფდა და გასაოცარ, ზენასოფლურ სურნელსა და სითბოს შეიგრძნობდა და შეისხულებდა.

●
ღღე განიდევნა.

ტაძრისის მორჩილმა მოწესემ მიმწუხრის ძელი შემოჰკრა მძიმედ.

„ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა“, — გახმაინდა გიორგის სულში.

შავი მლამიობი გადაეფარა დედამის სრული ირგვლივით.

ზეცამ წითელბატონები გამოიფინა.

გულაღმა იწვა ძველ ნასაყდრალზე, საიდანაც ყრმას შეჰყვარებოდა თვალთვალი ცის ტანისა..

...რაი არს ესე ყოველივე ესევეითარი, რაიც სუფევს თვითოფერითა უთვალავითა ჩემი თვალისა და გონების მისაწევარზე? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა ყრმა იგი თავის თავს შინაჩაკითხვით, შინაჩაძიებით და შინაჩაკიებით.

რაი ვარ მე?

ანუ ვინ ვარ?

რაისთვის ვარ?

ანუ რაი არს „ვარ“?

„ყოფნა“, გინა „ყოფიერება“?

„არყოფნა“, გინა „არყოფიერება“?

რაი არს თვითონ „არს“?

არსი? არარსი?

რაი არს ესე — მე რომ ვსიტყვაობ, მე რომ ვფიქრობ, მე რომ ვიაზრებ, მე რომ მეღმის, მე რომ მეამება, მე რომ ვწუხვარ, მე რომ ვჰხარობ, მე რომ... და კიდევ რამდენი „მე რომ...“

რაი არს იგი, ჩემ-ვარგევან, ჩემ-მიღმიერ არსი ყოველი და არარსი ყოველი, ჩემი „მესაგან“ მიღმიერი აღუთვალავი „მე“, აღუთვალავი „იგი“ აღუთვალავი „სხვა“, აღუთვალავი.. აღუთვალავი რამდენი „სხვა“!

აჰა, ესერა, მე!

აჰა, ქვეყანა და ზეყანა. ქვეყანასოფელი და ზენასოფელი, ქვეყანა და ზენაარი.

ანუ — ქვეყანა ესე დაუსაბამო და დაუსრულებელ, ხოლო მე მასში...

მე მისი ნაწილი?

ნაწილაკი..

ნა-წი-ლა-აკი..

წი-ლააკი..

კი...

ხოლო, შემოქმედი ყოველივესი — ყოველთა დიდთა და მცირე სხეულთა, დიდთა და მცირე სულთა, დიდთა და მცირე ქვეყანათა, ზენასოფელთა და ქვენასოფელთა — ღმერთი, უფალი, საბაოთ, ყოველივეს მაარსებელი და მაცოცხლებელი!

ხოლო, მე... ისევ მე...

აჰა, ესერა, ვარ მე!

მაგრამ სწორედ „ვარ“? იქნებ ეს ჩემი „ვარ“ არც არის ყოფნა. იქნება იგი სინამდვილეში არყოფნა, მე რომ აწამდე ყოფნა მგონია? ანუ — ვინ მითხრას და დამარწმუნოს დაბეჭითებით — რაი არს „ყოფნა-ყოფიერება“ და „არყოფნა-არყოფიერება“?

მე რომ ვეხები, მე რომ ვხედავ, მე რომ ვიაზრებ — საკმარისია ყოფნა-არყოფნის ჰეშმარიტების თვითდასარწმენად?

ოო, შემოქმედო, მე რაისთვისღა განმასხეულე, რაისთვისღა ჩამიდგი სული, რაის საწუთისოფლოდ მომიწოდე იმ უხსოვარი არყოფნიდან ამ უცნობელ ყოფიერებაში? ან — იმ უხსოვარი ყოფიერებიდან ამ უცნობელ არყოფნაში?

აჰა, უფალო, გონება ჩემი კნინი, რომელმან ვერა ძალიდვას შემეცნება ყოველივესი, რაიც სუფევს ჩემში და ჩემსმიღმიერში.

უფალო, უფალო, მისაჯე მე და საჯე სჯა ჩემი და მეოხმეყავ, რათა შევიმეცნო ყოველივე, რაიც არს შესამეცნებელ, უკეთუ მიწიერსა ადამის ძესა შენის ნებით უფლება აქვს შეიმეცნოს სკნელი ყოველი — შინა-სკნელიც და

გარე-სკნელიც, ზე-სკნელიც და ქვე-სკნელიც, წინა-სკნელიც და უკანა-სკნელიც.

მისაჯე მე და საჯე სჯა ჩემი, უფალო! იწვა და ფიქრობდა, ფიქრსა და ღამეში ჩაძირული, იღუმალი წყვდიადით მოცული, წითელბატონა ზეცის ქვეშ მწოლარე, და ფიქრი მისი იყო მხურვალე, მშფოთვარე, ბორგენული და ცხოველმოსილი.

ოფლისა და ციური ზრიმლის ნაზავ ღვეღვს დაეფარა სახე ყრმისა ფიქროსანისა.

სიჩუმე იწვა მის გარშემო, სიღამეში განზავებული ოღონდ ტაძრისისწყალის კრძალული ლაკლაკი და შორეული ღამისმხმობარის ხამუშხამუში შეიკვლევა ჰკვეთავდა სიმყუდროვეს.

— ხვალ სიკვდილი შესრიალდება ყაყაჩოს მინდორზე, — მოესმა ჩუმი ხმით.

გიორგიმ მოიხედა.

ორ ნაბიჯზე თეკლა იდგა.

— შენ როდის მოხველ?

— მცირე ხანია. შენ ვერ შეიტყვე ფიქრს ჩაყოლილმა.

— რად არა გძინავს?

— ძილი მეც ფიქრმა შემიჭამა.

— მაინც რა ფიქრმა შეგჭამა, დაო?

— სიკვდილზე ფიქრმა, ძმაო.

— სიკვდილს რას ჩააცივდი!

— ვიცი სიკვდილი გაისრიალებს.

— მერე, უკეთუ წინასწრობილად ვიცით, წინასწრობილადვე აღვკვეთოთ იგი.

— ბედისწერას როგორ აღკვეთ, როცა ბედისწერისა კაცმა არარა იცის?

— დიახაც, არარა ვიცით და ამიტომ არც ის ვიცით, სიკვდილი როდის გაისრიალებს, — გამოაჯავრა ეს ბრლო სიტყვა ძმამ დას.

— აგრემც ყოფილიყოს. ოღონდ მე ჩემმა სხეულმა მითხრა.

— არ ეგების, სული სხეულის ნახმევად იქცეს.

— აგრეა, მაგრამ ვგონებ მაინც ყვე-

ლაფერი ისე არ ვიცით, როგორც გვგონია რომ ვიცით.

მართალი სთქვაო, გაიელო გიორგიმ და მერე ხმამალა უთხრა: — წადი, თეკლა, წადი და დაიძინე!

— მე თვითონ მინდა დავიძინო და ის ფიქრი დავივიწყო.

ძმას აღარაფერი უთქვამს.

აღარც დას უთქვამს რაიმე, ისე წავიდა მორჩილად.

კიდეც დიდხანს იწვა და ფიქრობდა გიორგი.

გარშემო ისევე იდგა სიჩუმე და ისმოდა ხმაური სიჩუმისა.

ანუ, იქნებ ეს იყო ხმაური მისი ზრდისა?

— ცაო, ცაო, წითელბატონა, მაუწყე მე, რაი არს წიალში შენისა და რაი არს მიღმა წიალისა შენისა და მიწილადე ცოდნა იმა მიღმიერისა!..

ფიქრის თოვანში ჩაეძინა.

ღამეს ესმოდა ხმა მისი ზრდისა.

მთელი ღამე აღარავის მოუკრთხავს.

არც არასოდეს არავინ კითხულობდა, ვინათგან იგი იყო ტარიგი ღმრთისა, ხოლო ღმერთმა თვითონ უწყოდა, როდის უნდა მოეკითხა ტარიგი თვისი.

ღამე გათხელდა და გაიწურა.

ღღე შემოვიდა.

გიორგი ტაძრისისწყალზე ეშვებოდა. თუმცაღა ისიც ახსოვდა, საბაია რომ აფრთხილებდა გამუდმებით — მდინარეზე არ ჩახვიდე მარტოდმარტო, არ ჩახვიდე, ვინათგან მდინარეს ეფარვის მაცდური ყოველი, მაგნე ეშმა და ეშმაკეული. მდინარეში ლამაზად მოვა და ბოროტად წაგიყვანს ბოროტი სულიო.

მაგრამ მაინც მიდიოდა გიორგი მდინარეზე, მიდიოდა, რადგან სული თვისი ეშმაკისაგან შეუღწევლად ეგულვებოდა და ეიმედებოდა.

მდინარეს მიაღდა და შევიდა შიგორი ნაბიჯით, კოჭებამდე.

მზე თითქოს ამას უცდიდა და ერთბაშად თბილი, შუქმფინარე კრეტსაბმელი ჩამოაფინა ნალამევი წყლის სარკეზე.

ყრმა დიდხანს, გარინდებით დასცქეროდა ნაირფერი შუქებით მორიალე წყლის მდინარებას.

აჰა, ესერა, განუწყვეტლივ და განუცადებლად არის მდინარე, მარადიულად არსებულიც და არარსებულიც, ძველიც და ახალიც, მომდინარეც და წარმდინარეც და, არავინ უწყის სად არის საზღვრისი ძველისა და ახლისა, გარდასულისა და ახლადშობილისა, ნარუქისა და დრომოკმულისა, წარმდინარისა და მომდინარისა...

— გიორგი! — გაისმა ანაზღაითად მდინარის მეორე მხრიდან.

გიორგიმ გაიხედა.

გაღმა ბიჭი იდგა. იცინოდა. კბილებს აალმასებდა.

— მეც ბიჭი ვარ შენსავით. გამოდი და მეზაფხულე! — გამოსძახა ისევ, საკვირველად კამკამა, ნანარი ხმით.

გიორგი უცქერდა, უხზოდა.

— გამოდი, რისა გეშინია? — დაუძახა ისევ იმ ბიჭმა.

— მე ჰრ მეშინია, — გაეპასუხა გიორგი, ნაწყენი სიმშვიდით.

— მაშ, გამოდი!

— რაისთვის?

— ისე, — ბიჭები ვართ და ერთად ვიყოთ, ერთად ვიზაფხულოთ.

— ვიზაფხულოთ?

— ჰო, ყაყაჩოს მინდორზე გავიდეთ ერთად, ვირბინოთ, ვითამაშოთ, ვიმდეროთ, ვიშაიროთ.

ყაყაჩოს მინდორში სიკვდილი გაისრიალებსო, — გაუელვა გიორგის თეკლას ნაწუხანდღევემა ნათქვამმა.

— ვერა, ვერ წამოვალ, — გასძახა მცირე ფიქრის შემდეგ.

— მშიშარა ყოფილხარ, — გულდაწყვეტით გამოსძახა გაღმელმა ბიჭმა.

მშიშარაო? ძალიან, ძალიან ეწყინა გიორგის. მე მხოლოდ სიკვდილზე ვი-

ფიქრე, თორემ შიში გულსაც არ გამკარებიაო, და მაშინვე გასძახა:

— კარგი, მე მოვდივარ!

მაგრამ ფეხის მონაცვლებაც ვერ მოასწრო, ისე დაეძგერა ზურგიდან დაძახილი:

— არ გაბედო!

ისარცემულივით შემობრუნდა გიორგი.

ფერდობი ჩამოეთავებინა საბაიას.

ზემოთ, მოშორებით თეკლა იდგა.

უფრო ზემოთ, ტაძართან ახლოს, მონაზონი ქალები იდგნენ, ყორნისფრად ჩაკორომებულნი და ერთიანად თვალებად გადაქცეულნი.

— იცო-ა ვინა არს ყრმაი იგი, ვისკენაც მიელტვი შენ? — მკაცრად ჰკითხა საბაიამ.

— ვიცი, მოყვასია უბრალო, ჩემსავით მოყვასი, — უპასუხა გიორგიმ.

— მოყვასიო? აბა, შეხედე! — და ხელი გაიშვირა გაღმისკენ მონაზონთა მოძღვარმა.

გიორგიმ გაიხედა და, ის ბიჭი იქ აღარ იდგა, არსად ჩანდა.

— აჰა, ესერა, სახელი მისი არს ეშმა, გინა სატანა! — ნიშგებით შესძახა საბაიამ.

გაქვავებული იდგა გიორგი.

ნუთუ მართლა ეშმაკეული რამე იყო, სახეზე რომ ისეთი საკვირველი ნათელი ადგა იმ ბიჭსო, — გაიფიქრა, მაგრამ თითქოს ნაფიქრალი შეუტყო საბაიამ და ჩაუჭრა ფიქრი:

— ამინ, გეტყვი შენ, — იგი სატანა იყო, გარდასახული კეთილსახიერ ყრმად; ხოლო, ჭეშმარიტი მოყვასი შენი და მხსნელი შენი იყო სპეტაკმოსილი ანგელოსი, მაცხოვრისგან წარმოგზავნილი.

— ანგელოსი? მე არ მიხილავს იგი! — გაოცდა გიორგი.

— ვაშა შენს სულსა! სატანა იხილე, ხოლო ანგელოსი ვერა იხილე! — ისევ ნიში ჩაუგდო საბაიამ და ფრჩხილები

ლევან სანიძემ
გიორგი ათონელი

ფრჩხილებს ჩამოჰკრა მწყრალად. მაშინვე მკლავში ხელი ჩაავლო, წავიდეთო, გაატრიალა და ფერდობს შეუყენა. ის იყო ტაძარს მიუახლოვდნენ, რომ გაღმოდან ხმა გამოვარდა მოულოდნელად:

— მაღაზნებო, საშოდაცრუებულე-ბოო!

ქალთა ყორანა კორომი შეირყა, აიშალა და არუზრუზდა. ზოგს ვითომ წყველა აღმოხდა, — ენის კლიტე რად არ გაგინმებაო — ზოგსაც ერთი ახარხარება რამედ უღირდა, მაგრამ საბაიას შიშით შავ კუბასტში იმაღავდა უხმო ქირქილს!

— საშოდანშულეებოო! — გაისმა ისევ ყაყაჩოს მინდვრიდან.

საბაია ისევ გიორგის მიაშტერდა და უთხრა ყრუ ხმით: შეხედე, ვითარ შეგვაჭირვებს ის შენი სატანის თესლიო.

ჩემი რად იქნებაო, გაოცდა გიორგი. ის ბიჭი, მე რომ მდინარეზე ვიხილე, ვიღაც სხვაა და ეს კიდე უცილოდ სულ სხვა არისო; ეგ სწორედ ის მწყემსი ბიჭი უნდა იყოს, ადრეც რომ გამოგვანხოდა გაღმოდანო.

გაოცდა საბაია, ასე მღელვარედ და ასე თავის მართლებით, არასოდეს ულაპარაკნია ყრმა გიორგის.

— ძუძუდაშრეტილებოო! — ისევ გამოვარდა ხმა გაღმოდან.

ქალობადაკვეთილმა ქალებმა კაბლათანჩებში ჩაძირული ძუძუები მოისინჯეს, ერთმანეთისგან ნამალევად.

— საშოდამშეულეებოო! — ყვიროდა ბიჭი დაუცხრომლად.

მკერდიდან ქვემოთ, თეძო-ბარძაყისკენ გაუზრბოდათ ხელები ქალობადატრგუნვილ ქალებს.

— უუჰ, ბიჭო, ბიჭო, შენ კი ვახში, შე არ გასახარებლო! — ჩურჩულებდნენ პირგამშრალნი.

— რად უსმენთ და რად უცქერთ, იქედნეს შვილნო! — შეჰკვივლა საბაიამ და, როგორც ერთი, ისე მოწყდა და გაუჩინარდა მონაზონთა შავი კორომი.

და სწორედ მაშინ დაარისხა „იმ არ გასახარებელმა“:

— საბაია საშოდატრწყულეებლოო! სახე სულ ჩამოუღამდა საბაიას. თეკლა სულ გათეთრდა სახეზე. და ისევ უთხრა სახელამიანმა სახე-დლიანს:

— შეხედე, შეხედე, რაი მჭირს შენგან, კიღობანო საცთურისაო!

— ახლა მაინც რაღას მერჩი, დედაო, ახლა მაინც არ ვუხსენებიათ იმ დაწყვეტილ ბიჭს! — აღმოხდა თეკლას.

ეს ითქვა და, იყვირა „იმ დაწყვეტილმა“:

— თეკლაა! გამოდი, თეკლა, ყაყაჩოებში დაგელოდები!

— აჰა, ვაშა შენს სულსა! გული გწყდებოდა და დაგიძახა! — გველის ნაფურთხივით მიუგდო სიტყვა საბაიამ და ტაძრის კარში გაუჩინარდა ფრჩხილების კაპუნით და კაბლათანჩის ფართხუნით.

თეკლა სენაკში შევიდა და შეიკეტა სულშეძრული და ცრემლებადრული.

● გველებმა რძე ტაშტაბრაიგიდან სულ ამოსვლიპეს ენის რისინით, და შეიმართნენ შიშველი, იისფერი ხმლებივით.

საბაიამ ყელიდან მუცლამდე ფრთხილად ჩაუტარა ფრჩხილოსანი თითები, ჭერ ერთს, მერე მეორეს, და აჩურჩულდა:

— ყური მიგდეთ, ხატულებო...

● გიორგი გაღმა გასულიყო და უკვე ბეჭობზე გადადიოდა. ბეჭობს იქით დიდი, ტრიაშელი მინდორი გაშლილიყო. მინდორი იგი წიფელბატონა ყაყაჩოებს მოეცვა.

დაიჩოქა და აკოცა გიორგიმ ყაყაჩოს. მეორეს აკოცა, მესამეს, კიდეც სხვას, კიდეც, კიდეც. მიდიოდა ჩოქვით, კოცნიდა და, ნეტარძი ყველა დამაკოცნიანო, ნატრობდა.

შუა მინდორს რომ მიატანა, გულიც და მუხლიც ერთბაშად გაერინდა. სწორედ მინდორის შუაგულში ადამიანის სიგრძეზე ყაყაჩოების ბორცვი იყო გაწვართული, სისხლით გალუმპული საფლავის მინამსგავსი.

ყრმას მოეჩვენა, რომ ბორცვი იგი იძვროდა, თითქოს სუნთქავდა და სუნთქვით წითელი სხეული აუღრჩაუდიოდა.

გიორგიმ ჯერ უცქირა, მერე წაიჩოქა, პირი ყაყაჩოს ბრჯას მიუახლოვა და რაც ძალა ჰქონდა შეუბერა. კიდევ ორჯერ მოუნაცვლა და ყაყაჩოს ფურცლები ერთმანეთს აჰყვნენ, აედევნენ, ყველა ერთად თითქოს მზის სხივთა ჰავლს აეცვა და სისხლისფერ ღრუბლად გაფრინდა ცისკენ.

— შეხედე, შეხედე, რა ძლიერი სუნთქვა ჰქონია! — გადაიკისკისა გოგომ და სიცილი მისი გაისმა, ვითარცა მზის სხივთა წქარუნი.

გოგო მიწაზე გულაღმა იწვა, ყაყაჩოს საბნისგან განძარცვული, სადგებით შიშველი — არცა პერანგი, არცა როპანაგი.

იცნო გიორგიმ: ამ დილით რომ მდინარეზე ბიჭად ეჩვენა, გოგო ყოფილა! გოგო თითქოს ფიქრს მიუხვდა და ისევ ისე, ქვემოდან, დარეცილმა, ტანის გაუნძრევლად ამოსძახა:

— ჰო, მოგატყუე და მოგიტყუე. ამბობდნენ გოგოების ეშინიაო, ამიტომ ბიჭურად მოვირთე და ისე გეჩვენე. მწადდა ახლოს მენახე. მართლა ჯვარი გქონია შებლზე, ჯვარი. თვალები ლურჯი გაქვს. მარტო თვალები კი არა, მაცადე... მგონი წარბებიც ლურჯი, ღმერთო დიდებულო!

გიორგის კი აღარაფერი ესმოდა. უეჭველად სიზმარში ვარო, ფიქრობდა. პირველად ჰხედავდა იგი ასე დედისობილად შიშველ გოგოს. და სიზმარში ჰხედავდა? მაგრამ ვაი თუ ცხადი იყო ეს! მაშინ, მაშინ... ღმერთი?! ნუთუ ღმერთმა დაუმჭირვა ასეთი

ცოცხალი თვითონ ღმრთისავე ტარიგის სულში?!

— გელოდი და ვიცოდი მოხვიდოდი, — მოესმა ისევ, და ეს უკვე აღარ იყო ძილისშორისი. გოგო ნამდვილად იყო. გოგოს ხმაც ნამდვილი. გოგოს ხილვაც ნამდვილი... მაგრამ იგი არ იყო გოგო მიწიერი. იგი ჯვარსახოვნად ესვენა, ხელებგანრთხმული და ფეხებმირთხმული.

თეთრი, აკალიფადურად ქათქათა ჯვარი წითლად დაჩითულ მწვანე მინდორზე!

ჯვარი ესე — კვლავაც პირველად მონაცენი თმებით შეკვერთხილი.

ახლადნაშობნი ძუძუნე უთრთოდა ჯვარს, სინგურისფერი ყაყაჩოებით თავდარქმეულნი.

მარცხენა ძუძუ გამორჩეული სიხოველით იძვროდა, ვინათგან მის ქვეშ უჩინრად რაღაც იბრძოდა ძალმოსილებით.

„ძუძუნი უმჯობეს ღვინისა, მუცელნი ვითარცა ხვავი იფქლისა“, — გაუელვა გიორგის საღდაც გაგონილმა თუ ამოკითხულმა და მაშინვე ფიქრიც ჩაუქრა სრულებით. უსაზღვრო, მანამდე განუცადებელმა წადნიერებამ მოიცვა მთელი მისი არსება. ლამის კათოლიკე ძარღვიც ამოუვარდა საფეთქელიდან.

— მოდი, დაწეკი და ვიყოთ ერთად! — ისევ მოესმა.

და ისიც დაჰყვა ამ ხმას. დაჰყვა და ჩაჰყვა ყრმა იგი ფიქრდაკარგული. შავი ბურნუსი და თეთრი ჯვაროსანი კვართი ერთად გაიძრო მთრთოლვარე ხელებით და გადაჰყარა. წამით შარვალიც და როპანაგიც ერთად ჩაიძრო, დაჰყარა, და გოგოს გვერდით მიუწვა, შიშველი შიშველს.

და ჯვრის ზმანებაც მაშინვე გაჰქრა. ჯვარს ახლა მხოლოდ გოგო ჰხედავდა, ბიჭის შებლზე აღბეჭდილს.

გარშემო ყველაფერი წამიერად დაიძირა და დაინთქა საღდაც და წამიერადვე მის სანაცვლოდ სხვა აღმო-

ცენდა, სულ სხვა სკნელი იშვა, გან-
სხეულდა და განეფინა ირგვლივად.

ამბორიც აღარ იყო ამბორი, არა-
მედ, აღმათ, ეს იყო კოცნა, მანამდე
შეუგრძობელი და შეუცნობელი.

ცეცხლიც აღარ იყო ცეცხლი, მხო-
ლოდ სხეულის დამფერფლავი და ნახ-
შირმყოფელი; არამედ იყო სულ სხვა რა-
ღაც, ცეცხლზე უფრო ცეცხლოვანი —
გინა უ-ცეცხლ-ო-ვა-ნე-სი — მაგრამ
სხეულისა და სულის ამაღორძინებე-
ლი და განმაცხოველებელი.

ერთმანეთს ჰკოცნიდნენ და ეგონათ
მზეს ჰკოცნიდნენ.

და ჰკოცნიდნენ მზენი ერთუროს-
და იწვოდნენ ცეცხლითა უნივთოთა.

— იცოდე, სხვა არაფერი, მხოლოდ
ასე, ოდენ... მხოლოდ, — კენესოდა და
ჰკოცნიდა გოგო მზეს.

— ჰო, არაფერი, სხვა არაფერი, —
გმინავდა ბიჭი და ჰკოცნიდა მზეს.

და ჰკოცნიდნენ მზენი ერთუროს,
წითელბატონებით მოსარათულ მიწაზე.

და არავის შეეძლო ეთქვა, რამდენი
დრო გავიდა ამ გაუცნობიერებელ
ზესთასოფლურ ტრფიალებამში, დიდი
დრო თუ პატარა დრო, არავის შეეძლო,
რადგან დროის გარეთაც გაღწეული-
ყვნენ მოტრფიალენი, მათ გარეშე
დროც გამდნარყო და გამჭრალიყო
საესებით.

და უცებ, ღვთისრისხვასავით:

— თეკლააა!!!

და ამ ძახილმა ერთბაშად ისევ
აღადგინა დროც და ყოველი სკნელიც,
რაიც მანამდე ძველთაძველ, შინაბერას
მძალე სუნთქვით სუნთქავდა ამ ქვეყა-
ნაზე.

ფეხზე წამოვარდნენ.

— ჩემი ძმა ეძახის შენს დას, —
სთქვა გოგომ, და კაბას დასწვდა.

გიორგიმაც სასწრაფოდ გადაიკვა
კვართი.

(კვართი იგი საზარდულამდე და-
მოკლებოდა გიორგის).

გოგომ ახლადა შეამჩნია თეთრ კვარ-

თზე, მარცხენა ძუძუს ქვემოთ ამო-
ქარგული ჯვარი.

— ეგ უნდა მომცე! — ეჩინანად
უთხრა ვაჟს.

გიორგიმ უმაღვე კვლავ გაიძრო და
გაუწოდა კვართი უქერველი.

— აჰა, კვართი ესე, დედას მოქსოვი-
ლი, ჯვარიც დედის ამოქარგული.

— დილილმე, სიხარულო! — შესძა-
ხა გოგომ, წამსვე კვართი ჩაიკვა და
ყრმას კისერზე შემოეჭდო.

— ხოლო, შენი? — ჰკითხა გიორგიმ.

— მე არსოდეს არა მქონია მე აწამ-
დე განკვართული ვიარებოდი, ხოლო
აწიდან სიკვდილამდე ვიქნები კვარ-
თოსანი. მხოლოდ შენთან თუ გან-
ვიკვართები მე, — გაიცინა გოგომ და
გასაქტევედ შეიძარბა.

— რა გქვია შენ? — დაასწრო გი-
ორგიმ.

— ანამიასა.

— ანამიასა?

— ჰო, მაისში დავიბადე და იმიტომ.

— კარგია, რომ მაისს ყოფილხარ
დაბადებული, თვესა ულამაზესსა.

— არ ვარგა მაისს დაბადება, — თქვა
ანამიასამ.

— ?!

— მაისი მხოლოდ თავისი სილამაზის
მოტრფიალეთა და შურიანი, მხოლოდ თა-
ვისი სილამაზეზე მზრუნველი. და მის წია-
ღში დაბადებულნი უფრო სძულს,
ვიდრე უყვარს. აჰი მაისის მზე ცუდზე
ცუდია ლამაზ სახისთვის. მაისი თვითონ
ხარობს და სხვას არ ახარებს. ამიტომ
არის, რომ მაისში ნაშობნი მალე
კვდებიან.

გაშეთებული ისმენდა გიორგი.

მწყემსი კი მღეროდა ხევს გაღმიდან:

ლოპე, ლოპე, ლოპეშია,
გველი გაძვრა ლოპეშია,
ტაძრისის და მტკვარის წყალი
ყველა ერთად ამაშია.
თეკლა გოგო ტაძარშია,
მისი გული ლადარშია,
საბაია ნაცარშია,
გველი უწევს ყალთაშია,
ძუძუ უღვეს ხახაშია.

— ანამისა, წადი და გააჩუმე! —
უთხრა გიორგიმ.

— წავალ, ოღონდ ჭერ მაკოცე!
გიორგიმ აკოცა.

— ხვალ კიდევ მოვალ აქ, ამ
დროს, — შესძახა გოგომ და გაიქცა.

რეცა, თეთრი ქერუბიმი მიფრინავ-
და წითლად მოლივლივე მინდვრის
ტბორზე.

თვალს მიეფარა.

უსაშველოდ დაწყდა გული მარტოდ
დარჩენილ გიორგის. თან გაუკვირდა
მარტოობის მოტრფიალეს, ახლა რომ
ასე ატკინა გული მარტო დარჩენამ.

თითქოს, სული დაემშა.

შავი ბურნუსი შემოიცივა. წელზეც
საკვერთხელი შემოიკვერთხა.

— ანამისა! — წაიჩურჩულა და წა-
მოვიდა ნაბიჯაშლილი.

მწყემსი ბიჭის ხმა აღარ ისმოდა.
ანამისამ გააჩუმაო, იფიქრა გიორგიმ
და ფეხს აუჩქარა.

მოდირდა და ფიქრობდა ყრმა გაოგ-
ნებული: იყო ეს მრუშებიანი? არა, არა.
იყო ესე სიყვარული ზენასოფლური.

ტაძრისისწყალიც ისე გადმოიარა და
ფერღობიც ისე ამოვლო, რომ ერთხე-
ლაც თვალი არ მოუტრავს ზემოდან
გადმომდგარი საბაიასთვის. და უცებ
კი შეეჩხება გულისყურწართმეული გი-
ორგი მონაზონთმთავარს.

თქმა არ უნდა, თვითნებურ წასვლას
არ შემარჩენს და შემომიტევს ბალა-
ნაშლილიო, გაუელვა გიორგის, მაგრამ
გაოცდა, რომ საბაიამ საყვედური კი არა,
თითქოს რაღაცნაირი დიდსულოვნე-
ბით გაუღიმა და ლოყაზეც ხელი მოუ-
გლასუნა. მერე ხელით უზიძგა და მი-
სი სენაკისკენ ანიშნა, შედი დაისვე-
ნე შენთვისო.

გიორგი სენაკში შევიდა, თმით შეკ-
ვერთხილ ჯვარს მიეახლა, მუხლი მოი-
ყარა და გულმხურვალედ ემთხვია.

და გაშრა ყრმა. გულიც თითქოს სულ
გაუდნა და გაუქრა მკერდში: ჯვარი,
რომელიც აქამდე ყოველ ამბორზე
ზესთასოფლურ სითბოსა და სურნელს

აზიარებდა, ახლა ცივი იყო, ისეთი ცი-
ვი, როგორც საფლავი ორმოცი 
გარდაცვლილისა...

სოხანეზე დაცემულ, ცნობაწართ-
მეულ ყრმას აღარ გაუგონია შემზარავი
ყვირილი მდინარის გაღმიდან.

ხმა იყო ერთდროული და ორმაგი —
ბღაველი ვაჟისა და კივილი ქალისა.

არც ის გაუგონია გონწართმეულს,
საბაიამ რომ დაისისინა:

— გარეთ ფეხის გამოდგმა არვინ გა-
ბედოს, იქედნეს თესლნო!

როცა მწყემსებმა გველთაგან დაგეს-
ლილი და-ძმა წაიყვანეს, მაშინდა შე-
უშვა საბაიამ თეკლა გიორგისთან.

ქალის შორეული გოდება მოჰქონდა
ჰაერის რხევას, გულისმომწყვლევი და
ძვალ-სახსართა დამადნობელი:

ღღეო, გაღღიდი, ნუ დაჰლამდები,
შუო, დაღე და დაჰვიანდი!
შვილები მეყრებიან
ცხელსისხლიანები,
ცივი გველ-გესლით ნაგებნიანები!
ვაი მე, დედას ძუძულამწვარს, მაინც
ლამდები,

მაინც საფლავიდან ამოდის წყვილიაი!
ლამეო, შენამც გენაცვლები,
შენამც ჩემ დარდი გაგიგია,
ძალიან მწარედ ვიტრინია,
ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრია!
სიკვდილო დამისფერო,
მე, დედას, ძუძულამწვარს
შვილები დამიბრუნე.
შენი შვილი მე ვარ და მე წამიყვანე.

შვილებო, შვილებო,
ადექით, გათენდა!
დღლაო ვერცხლისაო, შენამც გენაცვლები.
შენამც ჩემი დარდი გაგიგია,
ყაყაჩოს ყვავილებზე
ცვარ-ნამი ცრემლად დაგიღვრია!..

ჩემ შვილებს რად უნდა სამოსელნი, —
მიწის სამოსელნი შეუკერეთ,
სარჩულად ტირილი დაუღვეეთ,
ღიღებად ცრემლები დაუკერეთ,
სამარეს პირი გაუკერეთ
ჩემის ცრემლების ძაფებითა,
ხავერდოვანის ბალახითა...

სამარეც, პირი დაიბანე
მგლოვარი დედის ცრემლებითა.
მიწაო, შვილები შამინახე,
შენ შამოგტირი ვედრებითა.

მზეო, დაიცა, არ დაბრძანდე,
მზეო, დადექ და დაგვიანდი,
შვილები დედას ეყრებიან,
შენი სამზეოდან განკვეთილნი,
შავეთის უღელში ებმებიან.

სოფლის ცრემლმა ტაძრის ცრემლიან
სწინაქებშიც შემოაღწია.

მონაზონ-მოწესენი საფლავებიდან
თავდახსნილი ლანდებივით დაბორი-
ალებდნენ, უბრადა, უმძრახადა.

სრულმა კაეშანმა მოიცივა ქალობა-
დაკვეთილ ქალთა სულელები. ამიერიდან
შორიდან ნასროლი კვიმატიანი სიტყვაც
აღარ შეაშფოთებდა აღარც მათ დამ-
შრალ ძუძუს, აღარც მათ დახშულ სა-
შოს.

გამოხდა კიდევ ერთი მსგეფსი.

შვიდი დღე-ღამე გიორგის უმარი-
ლოდ მოხარული ქორაფისა და ჯიშ-
კილას მეტი პირთან ლუქმა არ გაუტა-
რებია.

შვიდი დღე-ღამე განუწყვეტლივ და
განუტადებლად კითხულობდა, ლოცუ-
ლობდა, ლიტანიობდა.

— ყოვლად წმიდაო ღვთისმშობე-
ლო, გვაცხოვნენ ჩვენ! გარემოცული
მრავალთა განსაცდელთაგან, შენდა მო-
ვილტვი, ჰოი, დედუფალო... და ვითხოვ
წყალობასა, ჰირთა და ურვათაგან მიხ-
სენ მე, მხსნელო და მაცხოვარო გან-
წირულთაო. შემაშფოთებენ მე ვნებათა
კვეთებანი, და მრავლითა ურვითა
აღავსებენ სულსა ჩემსა, მშვიდობა
ყუდრო მომადლე, სძალო, ძისა და
ღვთისა. შენისა ვედრებითა. ღვთისა
მაცხოვარისა მშობელო ქალწულო,
შენგან ვითხოვ მე ჰირთაგან განთავი-
სუფლებასა, და სულსა და გონებასა
ჩემსა, შენდა-მომართ აღვიპყრობ,
საგალობელო. ჰირთა შინა და განსაც-

დელთა შეყენებული, მოხედვასა შენსა
და ზრუნვასა ღირსმყავ, ღვთისმშობე-
ლო, ვითარცა სახიერისა ღვთის მშო-
ბელმან, სახიერმან და მოწყალემან...

შვიდივე ღამე ძველ ნასაყდრალზე
გაათია.

იწვა და სიჩუმესთან სიჩუმით საუბ-
რობდა.

„არა, არ იყო მრუშები“.

„იყო ოდენ სიყვარული ზესთასოფ-
ლური“.

თეკლა თუ მოაკითხავდა, გამუდმე-
ბით კაეშინანი და თვალნატირალი.

ერთხელ საბაიაც მოვიდა პირველ
მამლისყვილიზე.

ეს ქალი ბნელში უკეთ ჩანს, ვიდრე
სინათლეშიო, გაუელვა გიორგის, როცა
ბერბეც ღამეში ქალი ყორნისფერ ლან-
დად დაადგა თავზე.

— ჩვენ ყველანი სიკვდილის ეშვზე
ვეკიდვართ, — თქვა საბაიამ ისე, გულ-
სგარეთ.

გიორგის ხმა არ ამოუღია, თითქოს
ვერც გაეგონოს.

— უსიამო ამბავი კი დატრიალდა
ჩვენი ტაძრის სიახლოვეს, გარნა რა
გაეწყობა, — სადაც უფლის სახლი და-
იდგმის, იქვე სატანაც დაიდგამს ხოლ-
მე უხილავ კარავს.

ყრმა ისევ სდუმდა.

— რად არას იტყვი, შვილო ჩემო?

— არ ვარ მწადნელი სიტყვიერები-
სა, დედაო სახიერო, — თქვა გიორ-
გიმ წყნარად, მაგრამ სრული სიმტკი-
ცით და სიტყვაშეუქცევლობით.

საბაია მღუმარედ გაშორდა.

დიდ ხანს არ გაუვლია და ისევ თეკ-
ლა მოვიდა ძმასთან.

— აკი უტყუარი გამოდგა ყოველი-
ვე, — წაიჩურჩულა მოსვლისთანავე.

— რა? — გამოერკვა გიორგი.

— სიკვდილი.

— ჰო, სიკვდილი, უტყუარი... სიკ-
ვდილივით უტყუარი.

— ნუთუ ღმერთს ასე სურდა?

— ღმერთს ეძინა.

— ლმერთს ეძინაო?! — შეძრწუნდა თეკლა.

— ადე, ადე, წამო დავიძინოთ, ძმაო! — მიეძალა ყრმას, რომელიც გულაღმა მწოლარე ჩაცვიებით უცქერდა ზეცას.

— შენ წადი და დაიძინე, დაო.

— მაინც რას ეძებ და რა უნდა იპოვნო, ერთთავად რომ ცას მიშტერებინარ, ძმაო?

— სინათლეს.

— სინათლეს?!

— ჰო.

— ამ სიბნელეში?

— სწორედ.

— რას ამბობ, გიორგი? — შეშინდა თეკლა.

— ნუ გაიოცებ და ნუ შეშფოთდები, დაო ჩემო. ხშირად ღამეში უფრო ნათელი სამზეო დგას, ვიდრე მზიანი დღის სინათლეში.

— და შენ ახლა იქ სინათლეს ჰხედავ? — ჰკითხა თეკლამ და წყვილიადით საესე ზეცისკენ აირთხა ხელი.

— მე ვერ ვხედავ და ჩვენი უმწეო თვალები ვერც გაუძლებენ ზესთასოფლური სამზეოს ზილვას. მაგრამ მე ვგრძნობ, უტყუერად ვგრძნობ, რომ ამქვეყნიური დღის ნათელი ზესთასოფლურთან შეტოლებით ისე მცირეა, ვითაცა კვარი ამსოფლურ მზესთან შეტოლებული.

ეს თქვა გიორგიმ და კვლავ გაჰყვა ფიქრს ცაზედეთისკენ.

მეტი კითხვა ვეღარც თეკლამ შეუბედა და უხმოდ გაშორდა ძმას.

ღამე კი იყო ისევ უსამველოდ გამძლე და ხანიერი. თითქოს დღელამ-სწორების ანგარიშიც დარღვეულიყოს და ღამეებს რიცხვით დღეებზე ექარბები-ნოთ.

იმ ღამით კი საბაია მოკვდა.

დაძინების წინ, ლმერთს შეევედრა, აღარ გამალვიძოო.

და შეისმინა ლმერთმა მისი ვედრება.

ტაძრისის სადღეო სამარტვილეში დაკრძალეს იგი.

მოიცრემლეს, მოიგლოვეს, მორჩნეს და იკითხეს: ვინ უნდა იქნეს საგანის ახალი მოძღვარი?

— თეკლა, — თქვა ერთმა დაბეჯითებით.

ხოლო, თეკლასაც, ვითარცა ადამიანს, მით უფრო ჰკვიანს და სახიერს, ჰყავდა მოშურნენი და სთქვეს ამა მოშურნეთა: წესი არ არს, ორმოც წლისაზე ახალგაზრდა ქალი მონაზონთა მოძღვარი იყოს!

არც ის შეიძლება, ათ წლამდე რომ ქალი შეამონაზვნო, მაგრამ თეკლა შეიდი წლიდან არს შემონაზვნებულ. ამიტომ მხოლოდ თეკლა არს ღირსი მოძღვარ იქმნას საგანისათ, — აყვირდნენ თეკლას მოყვარულნი.

და ამჯერად მოყვარულებმა სძლიეს მოძულეებს.

და შეიქნა თეკლა მოძღვარი ტაძრისის სადღეო საგანისა.



ქარი, მძლავრფრთოსანი, შემოიჭრა მტკვრის ხეობაში. სამი დღე-ღამე არყევდა და აზანზარებდა ქვეყანას აჯანყებული ჰაერი. მეოთხე დღეს, როგორც იქნა, დაიძინა ქარმა. ჰაერმაც დაისვენა, ადამიანმაც.

მზე ახალი აღმოხდენილი იყო, როცა გიორგიმ ძილისგან აღსადგომელი ლოცვა მოითავა, სენაკიდან გამოვიდა და ტაძრისისწყლისკენ ჩამავალ ბილიკს ჩაუყვა.

მაგრამ დის თვალს მაინც ვერ გაექცა. სად მიხვალო, კითხვა დააწია თეკლამ. სასაფლაოზე მივდივარო, უბასუხა გიორგიმ.

— სასაფლაოზე?

— ჰო.

— რომელზე?

— სოფლისაზე.

თეკლამ იყუჩა მცირე ხანს და მერე უთხრა ძმას, გამკრთალი ხმით:

— ერთი ყვავილი იმა ყრმის სამარ-

ტივლეზე დასდევ, მე რომ სახელიც არ ვიციოდი.

მარად დაბრმავებული კვირტის გოდება მოესმა გიორგის ქალობადახშული დის სიტყვაში.

თავი დაუქნია, თბილი ღიმილით, და გზა განაგრძო.

ტაძრისისწყალი განვლო და ყაყაჩოს მინდორზე ავიდა. მინდვრის შუაგულზე იდგა კარგა ხანს, მღუმარი და უძრავი. მერე დაიჩოქა და ემთხვია იმ მიწას, რომელმაც მას განაცდევინა ძალმოსილება მანამდე განუცადებელი სიყვარულისა.

ისევ იგრძნო, თითქოს მიწას კვლავაც არ დაჰკარგვოდა სურნელება იმდღევანდელი ტრფიალებისა.

წამოდგა და ყაყაჩოების კრეფას შეუდგა. სწრაფად კრეფდა, რადგან ბევრიც უნდა მოეკრიფა და დაჰქნობისთვისაც შიშობდა.

მოკრეფილ, ანუ სიცოცხლეგაყრილ ყვავილთაგან ყაყაჩო ყველაზე ადრე ჰქნება და კვდება, ისევე, როგორც კალმახი სიცოცხლემოჭრილ თევზთა შორის, ხოხობი დაჭრილ ფრინველთა შორის, ფოთრი დაკოდილ ნადირთა შორის და, საერთოდ — ვითარცა ყოველი უშეშენიერესი ქმნილება სიცოცხლეწართმეულ თანამოჯიშეთა შორის.

ყაყაჩოს ვეება ხელეური გაიტანა და გავიდა მინდვრიდან. ნასწრაფევი ნაბიჯით მიუახლოვდა სოფელს.

სოფელს და მის სასაფლაოს.

ანუ — სასაფლაოს და მის სოფელს.

ეს სულ ერთი იყო, ვინათგან — როგორც მარად ერთადმყოფელი სიკვდილ-სიცოცხლე — აქაც სასაფლაო და სოფელი ერთად იყვნენ. ერთად იზრდებოდნენ და ერთიმეორისკენ მიილტვოდნენ.

სოფელშიც ჩანდნენ ახალმოსახლენი და სასაფლაოზეც.

გიორგიმ სასაფლაოს ახალმოსახლეთა უბანს მიაშურა.

წინ ერთი შავითმოსილი მოხუცი ქალი შემოხვდა და იმას ჰკითხა, გველ-

თაგან დაგესლილი და-ძმის სამარტვილოებს ვეძებ და როგორ მივაგნებო-ვაი მათ დედასო, მკერდში მჯილი ჩაიკრა დედაკაცმა და მისაწყავლა, სადაც უნდა მოეძია ძიებული სამარტვილენი.

მივიდა გიორგი და დააქცერდა საფლავის ქვებს.

ძმის ქვაზე ეს ამოიკითხა:

ვინც იტყვი რო მე ვარო

მეც ვიტყვი რო მე ვარო

ყველა ასე წამოწვება

ახლა მე რო ვწევარო.

ხოლო, დის ქვაზე:

ამა ლოდ ქვეშე

სხეულითა დანერგულ ვარ

გარნა ნერგი სულისა ჩემისა

კვლა შენთან ჰკეთეს.

ძმის ქვაზე ერთი ყაყაჩო დასდო,

თეკლასგან ჩათქმული ყვავილი.

ანამაისას ქვა სრულად დაჰფარა ყაყაჩოებით და სამარტვილე ახლა სულ იმ ბორცვს დაემსგავსა, მაშინ რომ იხილა გიორგიმ მინდვრის შუაგულში — ანამაისას ტანზე დახვავებული ყაყაჩოს ბორცვი.

ესეც მოეჩვენა ყრმას: მაშინდელივით ყაყაჩოს ბრჯა თითქოს ახლაც იძვროდა, თითქოს სუნთქავდა და წითელი სხეული აუღჩაუღიოდა.

გიორგიმ დაიჩოქა და სამარტვილეს ემთხვია, ფერხთა მხარეზე.

— ცეცხლითა უნივთოთა დავიწვი მე შენთან და შენგნით, — წაიჩურჩულა და წამოდგა.

იგრძნო, დაპალუბით სდიოდა ცრემლი, მაგრამ ავდრიან თვალეებში მაინც სიმშრალე ედგა. მიხვდა, გარეთ კი არა, შიგნით, გულში ექცეოდა ცრემლი. (სისხლივით შინაგან ჩაქცევა სცოდნია ცრემლსაც).

ცოცხლებს უჭირთ, ძალიან უჭირთ საფლავებთან დიდხანს დგომა, თუნდაც გარდაცვლილი საკუთარ სიცოცხლესაც ერჩივნოთ.

ფეხი აიჩქარა გიორგიმ.

სასაფლაოდან რომ გამოდიოდა, ის დედაბერი იქვე დახვდა და კითხვაც შემოაგება მოუთმინარი ხმით: რანი არიან შენთვის ის უბედურებიო.

არცრა, უბრალო მოყვასნი არიანო, უპასუხა გიორგიმ.

— შენ თვითონ ვინდა ხარ, ყრმაო კეთილო? — არ მოეშვა ქალი.

— ერთი მწირი ვინმე ვარ, დედაო კეთილო, მდაბალი, უნარჩვევისი და უხმარი მონაი ღმრთისა.

ისევ აავლჩავლო თვალი ქალმა თავით ფერხამდე გიორგის, მის ჯვალოს ბურნუსს, კანაფის საკვერთხელს და შიშველ ფეხებს. ხამლები მაინც ჩაგეცვა ფეხზეო, — ამოიგმინა.

ეგეც ღვთის ნება არისო, აგრე ფეხ-შიშველამ უნდა ვიარო მთელი ჩემი წუთისოფელიო, მკრთალად იღიმებოდა გიორგი.

ქალს ღმილიც ეუცნაურა და ყრმას სახეზე მიაშტერდა. ღმერთო დიდებულო, ჯვარიო და მაშინვე თვითონაც ისახა პირჯვარი.

გიორგიმ შუბლზე უნებურად მოისვა ხელი.

— არა, არა, ნუ წაშლი, ნუ! — ეცა და ხელი შუბლიდან ჩამოუშალა ქალმა.

— ნუ შიშობ, დედაო კეთილო, დედის შუკლიდან დამყვა მე ჯვარი ესე.

დედის მუცლიდანო?! სულ შეიშალა ქალი იგი.

— ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, აკურთხე დედა იგი, რომელმან იტვირთა, შვა და აღზარდა ძე ჯვაროსანი! — შეპლადადა, მუხლებზე დაეცა და ცრემლთა თხევით დაუკოცნა ორივე ხელი.

ძლივს წამოაყენა ფეხზე გიორგიმ მოხუცი დიაცი, დაამშვიდა, მადლი მიუძღვნა, შუბლი და მარცხენა მხარი დაუამბორა.

— იცი-ა, შვილო, ანამაისას სწორედ მაგნიარი ჯვარი ესვენა პერანგზე ამოქარგული. ბოლო სიტყვადაც ეგ მოუსწორია მაგ ბედდამწვარს: პერანგი ესე არ გამხადოთ, მასთან ერთად ჩამასვენეთ სამარეშიო, და შეუსრულეს კიდეც, — სთქვა ქალმა გულადუღებით.

გული გაუნდა საგულეში გიორგის,

ამის გამგონეს და სხეული ისე გაუცივდა, საკუთარ კოცონზე დამწვარიც რომ ვერ გათბებოდა.

წამისად გატრიალდა და გაიქცა. სახტად დარჩენილმა ქალმა მანამ უცქირა, სანამ ასე საკვირველად გაქცეული ყრმა სულ არ გაუჩინარდა.

გიორგი ისევ იმ ყაყაჩოს მინდორში მივიდა, ისევ იმ ნატრფევ ადგილზე თავდამხედ დაირეცა, ჯვარსახოვნად განერთხო და ატირდა.

დიდხანს იტირა. ჩემი კვართი იმასთან წევს, მეც იმასთან ვწევარო, — ეს ფიქრი უელავდა და უსხეპავდა გონებას.

წამოდგა. წამოვიდა. ტაძრისისწყალს მოადგა, ტანთ გაიხადა და შიგ ჩაეშვა. წყალმა ძარღვები დაუწყწარა, გული განუმტკიცა, გონება გაუმკაცრა.

ნათვლა არ ახსოვდა და ისე იგრძნო, თითქოს ახლა მონათლულიყოს.

წყლიდან ამოვიდა საოცრად გამსუბუქებულნი.

ესეც იგრძნო: ახლა სულ სხვა იყო, სხვა სულიერ-ხორციელი, ვიდრე წყალში შესვლამდე.

და სულმტკიცედ წარემართა მონასტრისაკენ.

— არა, არა, იყო ოდენ სიყვარული ზესთასოფლური!..

●
ის ღლეც განესრულა. ძელი მიმწუხრისა შემოჰკრეს ტაძრისის სავანეში.

ისევ აღმოხდა საფლავიდან წყვილი და მოიცივა ყოველივე მიწასა და ცაზედეთს შორის.

ღამის განზოგებამდე ლოცულობდა და ლიტანიობდა გიორგი. მერე სანთლები პირით მოაქრო (ეს წესად ჰქონდა) და დაიძინა.

დაიძინა და ნახა უცნაური ძილისსურისი.

იყო ქვეყანა და ქვეყანა იგი მოეცვა სრულიად ეკალსა და ბარდს, ძეძესა და

წიწვს, ნარსა და ღიქს, თრიმლსა და თუთუბოს.

მზე — სინათლის გაცემის შურიტ აღდსილი და გახლებული, მდულარე დორბლს ანთხევდა ქვეყნიერებას. იდგა გვალვა, ხვატი, ხორშაკი.

ცა ჯიქანგამშრალი ძროხასავით გარდათხმოდა დედამიწას, რომელსაც დასდებოდა ფერი, მსგავსი მანამდელი არა ფერისა.

და ქვეყნის შუაგულსა, ჯერაკუმისა, იდგა ტბა ერთი, ტოლი ფარავნისა თუ ტბაწყურისა. ხოლო, წყალი ტბისა იყო დამპალ-დამყაყებელი, საგსე მწვანე ბალყით და ყლარტით, შმორით და ქოჭით; თუმცაღა, ტბა იგი მაინც იყო შემეცველი სიგრილისა და სინოტივისა.

და მიილტვოდნენ ტბისკენ ადამიანნი, მიილტვოდნენ თავდავიწყებით, ვინათგან თვითონ მიწაც ვეღარ იმაგრებდა ადამიანებს უსაშველო მხურვალეებით აფუტკრულ ტანზე.

და მიჰქროდნენ, მირბოდნენ, მიბარბაცებდნენ, მირაცრაცებდნენ, მიჩლახუნობდნენ და მიფორთხავდნენ ტბისკენ სიციხით, შიმშილით და წყურვილით გაშეთებული ადამიანნი.

და ეშვებოდნენ წყალში ბლავილით, ხავილით, ღმუილით, ყმუილით, კვენესით, გმინვით, კმინვით, ვაით და ვიშით.

წყალში ეშვებოდნენ ადამის ძენი, წყალში ჩაინთქმებოდნენ და ერთბაშად წყლის ზედაპირზე უცხო სახედ ამოინთქმებოდნენ.

და აღარ ჰქონდათ ადამიანებს სახე ადამის ჯიშისა. უზარმაზარი თავები გამოსხმოდათ, თავები ჰიპოპოტამისა, წინ გადმომსხდარი ჩასისხლული თვალებით, უფსკრულოვანი ცხვირის ნესტოებით, ყურებამდე ჩახეული ლაშებით, ჰიტა ყურებით და... სავეებით უშუბლოდ, უშუბლოდ-მეთქი!

ტანი კი, რეცა, ადამიანისა შერჩენოდით ჰიპოპოტამებს, მაგრამ ტანი დამცრობილი კიდურებით, დანადრისებული ჩალამკალამა ხელ-ფეხით, ჩაღრმა-

ვებული ვიწრო მკერდით და უსაშველოდ გაბერილი, ქეშელა მუცლით და ზიმზიმებდნენ მწვანე ჰიპოპოტამნი მწვანე ტბაში თუ ნატბეურში, ერთმანეთს მწვანე ენებს ურისინებდნენ, უღონო ხელებს ერთმანეთს უშლაპუნებდნენ ხან ჩუბუტოში, ხან უშუბლო თავში (უშუბლო!), ერთმანეთს ანერწყვავდნენ უსახო სახეში (უსახო!). ბაყაყებს იყვანდნენ ბლუჯაბლუჯა და ერთმანეთს ატენიდნენ ჰიტა ყურებში და ხითხითებდნენ ჩაბჟირებულნი.

ხოლო, სიცილი ღმეჭით მოციხართა, ისმოდა როგორც ყინვის ჩხრიალი. უხაროდათ, რაღაც ძალიან უხაროდათ, ალბათ ის, ერთად რომ იყვნენ, ერთმანეთი რომ უყვარდათ ვითომ და ერთმანეთი რომ სძულდათ მართლ ა.

(რა კარგია, რომ ერთად არიან ადამიანნი, — მაშ, ვინ უნდა შეიძულონ, ერთად თუკი არ იქნებიან?!).

ერთად იყვნენ, დიხაც ერთად. მაგრამ ყველა იძახდა „მეს“:

მე მშობის,
მე მწყურის,
მე მსურის,
მე მშურის.
და არავინ ამბობდა —
ჩვენ გვშობის,
ჩვენ გვწყურის,
ჩვენ გვსურის,
ჩვენ გვშურის.

სიტყვა „ჩვენ“, თითქოს მეტყველების დასაბამითგან არა სცოდნოდეთ, ან ოდესღაც მცოდნეთ დავიწყნოდეთ და უხმარქმნოდეთ.

ერთმანეთს პურს რომ თხოვდნენ, — აჰა, პურიო, მაგრამ პური კი არა, ჰვა იყო იგი. ერთმანეთს თევზს რომ თხოვდნენ, — აჰა, თევზიო, მაგრამ თევზი კი არა გველი იყო იგი.

ერთმანეთი სძულდათ უსაზღვროდ, მაგრამ ვერ სთმობდნენ მაინც ერთმანეთს, ვინათგან იყვნენ გულჩუკენნი და უკიდურესად ეშინოდათ მარტომყოფლობისა.

ერთმანეთს მტრობდნენ და მაინც ერთად იყვნენ, ვინათგან ერთმანეთის მტრობაში მაინც მხოლოდ ერთმანეთის იმედით იყვნენ და ერთმანეთისგან ელოდნენ შველას.

ამიტომ იყვნენ ყველანი ერთად, ერთმანეთის მოშიშარნი და ერთმანეთის მოიმედენი. იყვნენ ერთმანეთისგან განუშორებლად, ყველა ცალკე „მე“.

(და, მართლაც, უკეთეს ერთად არ იქნებოდნენ, ვინ უნდა სძულებოდა ამდენ ცალკე „მეს“!).

და ვართ ჩვენ ადამიანნი!
და უნდა ვიყოთ მარადილად ერთად!
და ვართ ჩვენ ერთად!

ტბის გარშემო კი სჯულის ფიცრები ეყარა, დაბზარულნი და დამსხვრეულნი, სჯულის მცნებათა ნაფლეთებით: ცალკე ერთგან —

„არა

„არა

„არა

„არა

„არა

ცალკე მეორეგან —

კაც კლა“,

იმრუშო“,

იპარო“,

ცილსწამო“,

გული გითქმოდეს
ცოლისათვის მოყვასისა შენისა“.

ზიშინებდნენ ჰიპოპოტამნი, ყარყაშებდნენ, ჭიხვინებდნენ, ყეფდნენ, ღრუტუნებდნენ, ღლიცინებდნენ, ბუყბუყებდნენ მძვინვარე მწვირეში და დახშული იყო ყურთასმენა ცასა და მიწას შორის მათი უგვანი ფორიაქისგან.

ამაოდ იტანჯებოდა გიორგი. უნდოდა სიზმარი სიზმრად დაეჯერებინა და ძილისგანაც თავი დაეხსნა, მაგრამ ვერარა გაეწყო. მისთვის ახლა ძილი არ იყო ძილი და სიზმარიც არ იყო სიზმარი. იყო მხოლოდ სიცხადე, საშინელი სახილველით განივთებული და დაქეშმარიტებული.

კანიდან ძვრებოდა გიორგი, ეწადა

მისულიყო ტბასთან და ეყვირა ხმითა საშინელითა, თუმცა თვითონაც ვერ იცოდა რა უნდა ეყვირა, მისვლა და ყვირილი კი უსაშველო წადილით ეწადა. მაგრამ მუხლები ისე მოჰკვეთოდა და მოშლოდა, ფეხი ადგილიდან ბეწვის ტოლაზე ვერ დაეძრა, სიტყვაც გულგვამში ისე ჩაჰკეტოდა, ყელიდან კრინტიც ვერ ამოეგდო. ანუ სიტყვის ფუძე მოშლოდა, ანუ ხმაც თითქოს სულ გადასწვოდა.

და უცებ, წადილი იგი, რომელიც ყრმა გიორგის ისე მწველი სახმილით სწავდა და სიტყვა იგი, რომელიც მის სულს ახრჩობდა — ციდან ჩამოიჭრა და გამაყრუებელ ქუხილად დააცხრა დედამიწას:

— უშუბლონო!

სამარეულმა სიჩუმემ მოიცვა ქვეყნიერება.

მდუმარება ჩამოწვა და ჩამოლბა ტბაზე:

— უშუბლონო! — კვლავ დაარისხა ზენაარმა ხმამ.

სდუმდნენ შიშით ზარდაცემული ჰიპოპოტამნი, ვინათგან ვერ გაეგოთ, რაი არს „უშუბლონი“, ვინათგან არც ჰქონდათ და არც იცოდნენ რა იყო შუბლი.

გიორგის კი ზეციდან ხმა ისე განივთებულად ესმოდა, ასე ეგონა, ხელსაც შეახებდა იმ ხმას. უთუოდ ცხადში ვარ და არა სიზმარში, თორემ ეგზომ მძლავრი ხმა უეჭველად გამაღვიძებდაო, — ესეც გაიფიქრა გიორგიმ და საბოლოოდ მინებდა ძილისშორისს.

და ისევ ხმა ზეციური:

— ვინა ხართ, თქვენ?

და მაშინ კი ტბამ ერთხმად ამოიყეფა:

— ადამიანნი, ადამიანნი, ადამიანნი!

ამოიყეფეს, ვინათგან ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ დავიწყნოდათ ჰიპოპოტამებს.

— ადამიანნი? — გაიოცა ზენაარმა ხმამ.

— სწორედ, სწორედ, ადამიანნი! — ისევ იგზუტვლეს უშუბლოთა.

— მერე, ვითარ ხართ ადამიანი?

— იმით, რომ —

ჩვენთან არს მუცელი ფაშენიერი,
ჩვენთან არს ჩუბუტო ცხიმოვანი,
ჩვენთან არს საშოი განპებული,
ჩვენთან არს საურველი
განუპობელი.

— ხოლო, შებლი?

— შებლი? არ ვიცით, არ გვახსოვს,
არა გვსმენია.

— სული?

— სული არს მუცელი, სული არს
ჩუბუტო, სული არს საშოი, სული არს
საურველი.

— აზრი?

— აზრი არს ჩუბუტო, აზრი არს
მუცელი, აზრი არს საშოი, აზრი არს
საურველი.

— სიტყვა?

— სიტყვაი არს:

მშისი,
მწყურის,
მსურის,
მშურის.

— და თქვენა ხართ მარილი ქვეყა-
ნისაი?

— ჩვენა ვართ, ჩვენა ვართ მარილი
ქვეყანისაი.

მაშინ მზემ თავი მისცა ერთბაშად
შეყრილ კუნაპეტ ღრუბლებს, ცა წამი-
ერად მოშავებდდა, ვითარცა ძაძაი ბალ-
ნისაი, და იგრიალა სრულის სხეუ-
ლით. იგრიალა და ყოველის მხრიდან
ასხლეთილი ექო და ანტიექო ზედ ტბის
თავზე შეასკდა ერთურთს.

და განიხვნა სარკმელნი ზეცისანი
და გადმოეშენნენ ძენი ქუხილისანი, და
დააცხრა დედამიწას უთვალავი მეხის
წიწილა.

„და შეიძრნენ მთანი ქუეშე ფერ-
ხთა მისთა და დელენი დადნენ ქუეშე
მისსა და ვითარცა ცვილი წინაშე ცეც-
ხლისა და ვითარცა წყალი გარდამომ-
ვალი გარდამოსაქანელს მისსა“.

„რამეთუ მე ესერა განვაბტკიცო ქუ-
ხილი და დავპაადო სული და მიუთხრა
კაცთა ცხებულნი მისი. შევექმენ ცისკარი

და ნისლი და შევიდე სიღრმესა ქუა-
ყანისასა. უფალი ღმერთი ყოველისა
მპყრობელი — სახელი მისი“.

და იძრა იძვრისი და უძვრისი ყოვე-
ლი. მეხის წიწილა წებმის დელგამ
და ლეშმა შეცვალა. მერე თითქოს ზე-
ცამ რისხვა ჩაიცხრო, მაგრამ მაინც და-
დინჯებით განაგრძო დედამიწის დარ-
წყულება და დანათვლა. დიდხანს
წვიმდა. უამქამად ისევ მეხთატება და
ელვათა კრთომა აზანზარებდა და აფო-
რიაქებდა გარემოს.

დედამიწამ, გამაძღარმა, გაგრილე-
ბულმა და დარწყულებულმა, დაივიწყა
შიმშილიც, სიცხეც, წყურვილიც. და
ტბაც, ირგვლივად მოვარდნილი წყალ-
ვარდნილებით, ერთბაშად ამოიზარდა,
პირთამდე აივსო და დასავლით მხა-
რეს, მანამდე დამშრალი და დავიწყებუ-
ლი კალაპოტისკენ გაქანდა.

ახალი წყალი, ლურჯი და კამკამა,
დაუთმობელი სიაფთოთით ერეკებოდა
ძველს, დამპალსა და დაშმორებულ
წყალს. სულ მალე ტბა იგი იყო სავე-
ბით ახალთახალი, სუფთა, სპეტაკი და
გამჭვირვალე, ზეციური წმინდა ცრემ-
ლით ნახსური და ნაკურთხი.

უცებ წვიმა მოწყდა და მოიკვეთა.

ცამ გადაიწმინდა და გადაიდარბაზა-
არიელიც დაშვებულყო — ახ-
ალნაშობი ძე ჰაერეთისა.

ცინცხალმა მზემ მოაფინა ქვეყნიე-
რებას ჩვილი სხივები.

და არიელს, ძესა ჰაერეთისასა, საო-
ცარი გალობის ხმა ჩამოჰყვა ციდან.

ზე აიხედა გიორგიმ და იხილა გუნ-
დი თეთრი, ფრთოსანი ქერუბიმებისა,
რომლებიც გედების გუთნის მინამ-
სგავს წყობით, მზის სხივს მოჰყვებოდ-
ნენ და ოსანას მღეროდნენ. ხოლო, წინ
ანგელოსთა სპეტაკ გუთნეულს თეთრი
ასული მოუძლოდა, მარჯვენა ხელით
წმიდა სამება ესახა, მარცხენაში ჯვა-
რი ეპყრა ვაზისა, ფრთებდახრილი,
თმით შეკვერთხილი, ტანზე თეთრი
ქათქათა კვართი ემოსა, გულზე ჯვარ-
ამოქარგული.

რეცა, სადღაც ენახა ადრე ეს ღვთის ქალი გიორგის და ახლა ვერაგზით ვერ გავხსენებია.

— ესე არს ასული ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ! — გაისმა გრგვინვა და გრგვინვა იგი განეფინა ცისად-ცისად და სხივად-სხივად სრულ სამყაროში.

ნეტარების ცრემლით აევსო გული გიორგის, ყოველივე ამის მხილველს და მსმენელს.

— ოსანა, ოსანა ასულსა უფლისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა! — შეჰღაღადა ყრამამ და მოირთხა მუხლი.

— უფალო ღმერთო, სად მინახავს ეს ანგელოსი? — იტანჯებოდა იგი.

ტბას გაუსწორდა ციური გუნდი და მაშინვე გუნდი იგი თვითონ გაუჩინარდა სივრცეში, ხოლო ასული იგი მარტოდმარტო, ნელი რონინით ეშვებოდა ტბისკენ.

ტბას გაჰხედა გიორგიმ. ტბა იყო წყნარი, უძრავი, უხინჯოდ სარკოვანი, თვითონ ლურჯი და საკუთარ სილურჯეში მომცველი ლურჯი ცის სრული სახოვანებისა.

ახლა შეამჩნია გიორგიმ: აღარსად იყვნენ ტბის უცნაური მობინადრენი, მუცლოვანნი და უშუბლონნი. გამჭრალიყვნენ ჰიპოპოტამნი. ტბის გარშემო, ხმელეთზე ახლა ერი იდგა, ჩვეულებრივი ადამიანნი, კაცნი და ქალნი, ჩვილნი და მსცოვანნი. იდგნენ მდუმარედ, გაცქნაფულად, შიშრეულნი და ზარდატეხილნი.

— ნუ გეშინის! — გაისმა ხმა ციური ასულისა. რომელიც ტბის ზედაპირს შვიდ წყრთეულზე დაახლოებოდა და ნელი რხევით შემდგარიყო, უხილავ ჰაერწულზე დამყარებული.

— ნუ გეშინის, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქვენ! — გაიმეორა ასულმა და ჭვარი გარდასახა ხალხს.

— შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ

არს სასუფეველი ცათაი! — მესამედ გაისმა ხმითა საოცრად ამოდსამენეულითა.

ერთბაშად ერი მოისხლიტა, მუხლებზე დაეცა და მოჰყვა პირჯვარის წერას და სახვას.

ზენაარი ქალი კი განაგრძობდა, უხილავ ჰაერწულზე დამყარებული:

— დედაო ღმრთისაო, მარიაჲ, სუნ-ნელებისა მშვენიერო სამკვიდრებელო, ლოცვითა შენითა ერი და ქვეყანა შენი წილხვდომილი რჩეულად გამოაჩინე, რათა ზიარ იქნეს სიწმიდეთა საღმთოთა ძისა შენისათა აჲ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

— ამინ! — იბღავლა ხალხმა და ისახა ჭვარი ცრემლების თქემით.

— გული წმიდა დაბადე მათთანა ღმერთო, და სული წრფელი განუახლე გვამთა მათთა!

— გული წმიდა დაბადე ჩვენთანა, ღმერთო, და სული წრფელი განგვიახლე გვამთა ჩვენთა! — გაიმეორა ერმა ზენაარი ნაკარნახევი.

— აღსდექით, განიფრთხვეთ ძილი და იყავით მარად მღვიძარედ — მკაცრად დაარისხა ქალწულმა — ამინ გეტყვით თქვენ, ძილს განერიდეთ, ვინათგან ძილი ნელ-ნელ მიჩვევაა სიკვდილისა!

— ამინ, ამინ, ესერა, ძილი ნელ-ნელ მიჩვევაა სიკვდილისა!

— ძილის ნება არა აქვს ერს რიცხვით დამცრობილს; არც ნება აქვს ურთიერთში მტრობისა და სიძულვილისა. ამინ გეტყვით თქვენ, მხოლოდ ურთიერთ სიყვარულს ძალუძს იხსნას ერი, რიცხვით მცირე, უეჭველი დაღუპვისაგან. ამინ, ამინ, დაე გიყვარდეთ ერთმანეთი, ქართლოსის ძენო!

— დაე, გიყვარდეს! — ბლაოდა ხალხი.

— ნუ სტკივა ქართველს ქართველისაგან! — განაგრძობდა ქალწული, მაღლა, უხილავ ჰაერწულზე დამყარებული.

— ნუ სტკივა!

— ნუ ჰშურს ქართველს ქართველი-
სადმი შურითა შავითა!

— ნუ ჰშურს!

— ნუ სწყურია ქართველს ქართვე-
ლისაგან!

— ნუ სწყურია!

— ნუ ჰშია ქართველს ქართველისა-
გან!

— ნუ ჰშია!

უცებ გიორგისკენ შემობრუნდა
ქალწული, მისკენ ჯვარი განაპყრო და
ხალხს შესძახა:

— აჰა, ესერა, შეხედეთ, შეხედეთ!

ვითარცა ერთი ერთსხეულოვანი, ისე
შემობრუნდა სრულიად ერი და ყრმას
მიაშტერდა.

— ამინ გეტყვით თქვენ, აჰა ესერა,
ტარიგი ღმრთისა და შუბლი თქვენი,
ქართლოსიანო! — გიორგის შუბლს
მიუშვირა ჯვარი ასულმა.

და ყველამ ერთად, კაცმა და ქალმა,
ყრმამ და მცოვანმა, გიორგის ჯვა-
როსან შუბლს მიაპყრო მზერა.

— ღმერთო მაღალო! — აღმოხდა
ერს და ისევ ისახა პირჯვარი მუხლ-
მოყრილმა.

გიორგი კი ქალწულისაკენ მიილტვი-
და. მიილტვოდა მოკვეთილი, დუნე
მუხლებით, მღელვარე გულით, ოფლის
ქცევით და სისხლის თქარუნით.

ტბის პირს მიატანა გიორგიმ. მიმოი-
ხედა. ადამიანთა შველა უნდოდა დაღ-
ლილ-დაქანცულს, იმ ქალწულთან რომ
მიეყვანათ, მაგრამ ადამიანის ჭაჭანება
აღარსად იყო. აღარც ჰიპოპოტამებს
უცდიათ შემობრუნება. მხოლოდ ბუ-
ნება განზოგებულიყო საკუთარ სიმშვე-
ნიერესა და სიმარტოვეში.

დამსხვრეულ და დაფანტულ სჯუ-
ლის ფიცრებსაც თავი მოეყარათ, შე-
ერთებულიყვნენ, შემტკიცებულიყვნენ
და ახლა ისევ ერთად, თავმოყრილად
და სიტყვაშეყრილად ეწერა:

„არა კაც კლა,“

„არა იმრუშო,“

„არა იპარო,“

„არა ცილისწამო,“

„არა გული გითქმოდეს ცოლისა-
თვის მოყვასისა შენისა.“

ხოლო ქალწული იგი ჰაერწნულიდან
დაშვებულებით და ზედ ტბის სარკვე
ვიდოდა ნებიერად, შიშველი, უზენაე-
სის ნათალი ფეხებით და რაღაც ღრმა
საზრუნავით დატვირთული, გასაოც-
რად სათნო სახიერებით და ხატიერე-
ბით.

— ანამისა, ანამისა! — შეჰლაღადა
გიორგიმ.

ქალწული შედგა, გიორგის მოჰხედა
და სთქვა წყნარად, წყნარად:

— სახელი ჩემი — ნინო.

— ნინო?!

ქალწულმა უხმოდ, ოდნავი თავის
დადრეკით დაუდასტურა და განაგრძო
რონინი წყალსა ზედა.

— ოო, ყოვლად სახიერო დედაო
ჩვენო, ქალწულო, მოციქულთა სწო-
რო, წმიდაო განმანათლებლო, ქნარო
სულისა წმიდისა! — შეჰლაღადა და
ჯვარი ისახა გიორგიმ.

ქალი კი ვიდოდა წყალთა ზედა,
უცხო რონინით, ვიდოდა ლალი, ღმრთი-
ვზიარი და ბუნებაზიარი. ხოლო წყა-
ლი, არამტყუ არ უტყდებოდა და გა-
ნერღვეოდა ფერხთა ქვეშე, არამედ
გლუვად, განურღვეველ სიმყარედ ეღ-
მოდა ყოველ მის ნაბიჯს.

განცვიფრებული და გაოგნებული
უცქერდა ყრმა წყალზე უცხო, არამი-
წიერი მიმოხრით და რხევით მთარულ
ღვთაებრივ ქალწულს.

სული აუთრთოლდა და აუცახცახდა
გიორგის.

— ყოვლად წმიდაო დედაო სახიერო
და ნათელო დაუღამებლო! — აღმოხ-
და მას.

ქალი შედგა, შემობრუნდა, თვალი
მიაპყრო და სიტყვა მოჰბერა:

— რაი გსურის?

— მე მსურის შენთან! — შესძახა
გიორგიმ.

— მოვედ ჩემთან! — მშვიდად მოს-
ძახა ქალმა, ჯვრის ნელი მორხევით.

— ვითარ მოვიდე? — გაიოცა გიორგიმ და წყალს დაჰხედა.

— გულპყრობილ იყავნ, ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ და სიტყვაი ჩემი არს! — სთქვა ი ქალწულმა დინჯად, მტკიცედ, და განაგრძო სვლა ისევ საკუთარ იღუმალ ფიქრში ჩაღრმავებულმა.

— მაშ, მოვდივარ მე! — თვითდაჯერებით ჩაითქვა გიორგიმ და წყლისა და მყარის მიჯნას მიადგა.

„მე ახლა მივდივარ წყალზე და არ შევდივარ წყალში, რამეთუ წყალში შესვლა ბადალია წყალში ჩავარდნისა, ხოლო წყალზე გასვლა იგივეა, რაიც წყალზე გავლავა“.

და ჩაიჭედა გონებაში, და ჩაიფესვა სულში:

„მე არ შევდივარ წყალში“.

„მე მხოლოდ წყალზე გავდივარ, წყალზე“.

და ვერ გააღწია ათი ნაბიჯიც, რომ წყალმა სახარდულზე შემოჰკრა.

„მე წყალზე მივდივარ, წყალზე-მეთქი, და არა წყალში!“

ვერ იქნა და ვერ ააშორა ფეხი ტბის ფსკერს და როცა წყალი მკერდზე მოერტყა, მაშინ კი შესძახა მშფოთვარედ:

— მე ვიძირები!

შემოტრიალდა ქალი უკვე ყელამდე დაძირულ ყრმას წარბშერტყმით დააკტერდა და ჩასძახა რისხვეულად:

— მცირედ მორწმუნეო, რაისად შეორგულდი? |

— სახიერო, აკი წყალი ნივთია რღვნადი?

— გარნა იგივე წყალი არის განურღვევადი.

— როგორ, როდის აქეთ?! — გაჰკვირდა გიორგი.

— ოდეს იწამებ სიტყვასა ღვთაებრივსა.

— მე მუდამ მწამს! — მხურვალედ სთქვა ყრმამ.

— გარნა, თუ გწამს რომ გწამს? — დაბეჯითებით ჩაჰკითხა ნინომ.

— მწამს, სწორედ მწამს რომ მწამს!

— ჩემი სიტყვა თუ იწამე შენ?

— ვიწამე, ნათელო დაუღამებლო, წრფელად ვიწამე!

— ცთომილ ხარ, რამეთუ იძირები.

— ?!

— მე ვითხარ: „მოვედ ჩემთან“, მაგრამ ჩემ სიტყვაზე უღერეს შენ გაჰყევ ცოდნას წყლის რღვნადობისას. და, აჰა ესერა, შენს სულში ცოდნა რწმენაზე აღამაღლე და იმიტომაც ჩაიძირე.

— განა უმჯობეს არა არს — შევიმეცნო, რათა ვიწამო? — იკითხა ყრმამ კრძალვით.

— არა, უმჯობეს არს გწამდეს, რათა შეიმეცნო, — მტკიცედ თქვა ნინომ და, სანამ გიორგი სიტყვას მოიბრუნებდა, ისევ განაგრძო:

— ამინ გეტყვი შენ, იმად იძირები-მეთქი, რომ შენ მონა ხარ იმ ცოდნისა, რომელმა ცოდნამ შენ ჩავინერგა წყლის თხევადობა და განრღვეულობა, ხოლო ეპვი შეიტანე და შეორგულდი ჩემი სიტყვისადმი, — სიტყვისადმი, რომელმან შენ მოგაწოდა, ცოდნის მონობა გადმოგელახა და რწმენის თავისუფალ საუფლოში შემოგელწია.

— მაშ, ცოდნა მონობაა, ხოლო რწმენა თავისუფლება! — ჩაილაპარაკა გიორგიმ, მძიმედ ჩაფიქრებულმა.

— ცოდნა ხილული ქვეყნისგანაა, ქვენასოფლური სამყაროსგან ნაკარნახევი, ხოლო რწმენა — უხილავი, ზესთასოფლური, რომელიც ცოდნით არ აღიქმების.

— მეც მიფიქრია, მე — ცოდვილს: იესოს ჯვარცმა ცოდნა-მეთქი, კაცთა თვალით ხილული და დამტკიცებული, მაგრამ მისი მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება ცასა ზედეთსა — რწმენაა, რწმენა კაცის თვალთაგან ხილვისა და ცოდნის მიღმიერ.

— ხოლო, ცოდნის გარეშე, რა გზით უნდა ავმაღლდეთ რწმენად? — ფიქრის შემდეგ იკითხა ყრმამ დართუენვილი ხმით.



— სიყვარულით — მხურვალედ შეს-
ძახა ქალმა — მხოლოდ სიყვარულითა
ზენაართა ზესთასოფლურითა! გახსოვ-
დეს, ყრმაო კეთილო, რწმენა და სიყ-
ვარული მარჩბიენი არიან — მარჩბიე-
ნი, განწიადებულნი სასოებაში. გაიხსე-
ნე პავლე მოციქული: — „ხოლო, აწ
ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაი, სასოებაი
და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფ-
როის ამათსა სიყუარული არს“.

— სიყვარული... სიყვარული! — ჩა-
ურთო გიორგიმ ღვეღფიანი ხმით, და
მის სულში რაღაც, მანამდე განუ-
ცადებელი ქნარი აქლერდა.

— ღმერთი სიყუარული არს და რო-
მელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერ-
თი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა
თანა.

— და პირადი ბედნიერებაც სწორედ
მოყვასისა და ზესთასოფლურის სიყ-
ვარულით და რწმენით იშვების, —
განაგრძო ნინომ ფიქრი ყრმისა.

— სიყვარულით და რწმენით... ყო-
ველივე სიყვარულით და რწმენით იშ-
ვების, — გაიმეორა გიორგიმ.

— მაშ, იწამე? — გაისმა ქალის ხმა.

— ვიწამე, ვიწამე, ქნარო სულისა
წმიდისა.

— გწამს, რომ იწამე?

— მწამს, რომ ვიწამე.

— რაი იწამე რწმენითა რწმენისა?

— სიტყვაი შენი.

— სახელდარქმევით?

— სახელდარქმევით ვიწამე, რომ
წყალი არს არათხევად, მყარ და არა-
განრღვევად.

— მაშ, მოვედ ჩემთან! — ისევ მო-
ესმა ყრმის ზენაარი ხმა.

და ველარ იცნო მან თავი თვისი.

და განციფერდა გონება მისი.

და განცხოველდა სული მისი.

და განმსუბუქდა სხეული მისი.

და, თითქოს ილიეებში ქარი შეუ-
ვარდა, ქარი მყარი, და ციცივ ამოის-
ხლიტა წყლიდან. ამოისხლიტა და ისე
გაიარა ტბის ზედგანზე, ვითარცა ზურ-
მუხტისფრად მოლივლივე მდელიოზე.

და მივიდა გიორგი ნინოსთან.

და მოიყარა მუხლი მის მუხლთანა
ნაშე.

და ეამბორო მის კვართის კალთას.

და იგრძნო საოცარი სინორჩე სუ-
ლისა.

და იგრძნო ირგვლივ ახალთახალი,
ცინცხალი ძვრანი ყოველი იძვრისისა
და უძვრისისა.

— აღსდექ! — უბრძანა ქალმა.

გიორგი სწრაფად წამოდგა და უკუ-
დგა სამ ნაბიჯზე.

ნინომ ისევ განაპყრო ჯვარი მისკენ
და გაიმეორა:

— აჰა, ესერა, ვითარცა ითქვა, შუბ-
ლი ჯვაროსანი, შუბლი ქართლოსის
ძეთა, ესმსა შუბლისა უპოვრობისასა.

— არა ღირს ვარ! — ამოიგმინა გი-
ორგიმ.

— მისმინე, ყრმაო, — მკაცრი ხმით
გააწყვეტინა ქალმა — შუბლი და მკლავი
საქართველოს ისე მძაფრად არა-
სოდეს დასჭირვებია, როგორც ესმსა
ამასა აწინდელსა.

— დედაო განმანათლებელო, შემინდე
კითხვა კადნიერი და უძლურება გონე-
ბისა ჩემისაი, მაგრამ რა აზრი იფარ-
ვის მიღმიერ ამა სიტყვათა?

— შუბლი წმინდანისა და მკლავი შე-
მოქმედისა.

— შუბლი წმინდანისა? — შეძრწუნ-
და გიორგი — წმინდანისა!

— ჭეშმარიტად!

— მაგრამ მე ცოდვილი ვარ, ღვთა-
ებრივო, და ღელვამან ცოდვისამან მო-
მიცვა მე!

— შეჩერდი და მისმინე, ყრმაო, —
შეაწყვეტინა ქალწულმა — სატანამ
აღრე დაამწიფა შენი სხეული, მაგრამ
ღმრთისაგან ბოძებულმა შენმა სულმა,
ჯერ რომ ჩვილ არს, ჩვილმაც კი შეძლო
მისი დათრგუნვა, ვინათგან ტრფი-
ლება შენი იყო ზიარება ზენაარისა,
რწმენისა, და ზესთასოფლური სიყვ-
არულისა.

— მაგრამ მაინც მიწიერი ვარ, ყოვლად
წმიდაო, და მასხურე წყალი ნათლო-
ბისაი, შენის ღვთაებრივი ხელით მას-

ხურე! — შექლადადა და ისევ მოიყარა მუხლი გიორგიმ.

— იყავნ ნება შენი და, აჰა ესერა, გასხურებ შენ წყალსა წმიდასა და გაგწმიდავ ყოველთაგან არაწმიდებთაგან შენითა, და ყველა შენთა კერბთაგან გაგწმიდავ შენ და მოგცე შენ გული ახალი და სული ახალი ჩაგიდგა შენ! — სთქვა, სამჯერ დაიხარა, სამჯერ აღიღო წყალი პეშვითა და ასხურა დაჩოქილ ყრმას ასულმა ცითმოვლენილმა.

და იგრძნო გიორგიმ გული ახალი და სული ახალი.

და რალაც უსაზღვროდ სანეტარო გალობა ისმოდა მთელს მის არსებაში, რალაც უცნაური, მანამდე განუცადებელი და განუაზრებელი სიტყვა მომწიფებულებითა მის გონებაში, მაგრამ ვერც მღერად და ვერც მეტყველად ვერ განეხვნა ბაგენი პირისა.

და უცებ გაისმა ხმა ცისკროვანი:

— ჩვენ გავფრინდით!

— ?!

— გულპყრობილ იყავნ, ნუ გეშინნ, შუბლო ქართველთა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სთქვა და აცურდა, ალივლივდა ცისკენ ქალწული.

ყრმამაც მაშინვე კამარა შეჰკრა და აჰყვა ზეცად.

დიდხანს მისრიალებდნენ ცისად-ციხსად, გასაოცრად ჰვირვალ, უკიმირო ჰაერეთში.

ქალი მიხვდა, როგორ ეწადა ყრმას ეკითხა, საით მივფრინავთო, მაგრამ კითხვას ვერა ბედავდა და უთხრა თვითონ:

— თქმულა მრავალგზის მრავალთაგან — „თვალი დედამიწისა“, ან „ჭიპი დედამიწისა“, ხოლო ოდესმე ვინმეს სმენია „შუბლი დედამიწისა“?

— შუბლი დედამიწისა? არა, მე არ მსმენია.

— აწცა ისმინე, აწცა იხილავ.

სთქვა ქალმა და ყრმას ნეტარების მოლოდინით აევსო გული.

მიფრინავდნენ, მიჰქროდნენ, მისრიალებდნენ, მისრიალებდნენ ცისად-ციხსად.

და ირხედნენ სარკმელნი და საქანელნი ზეცისანი.

მიფრინავდნენ ჯვარსახოვნად ვანრთხმულნი.

მიფრინავდნენ გასაკვირველი ფერთა კონაში: თეთრი — ღრუბელი, ლურჯი — ზეცა, მწვანე — მზის სხივი.

და უეცრად ერთი ფერიც შემოერია და შემოესხეულა მანამდელ ფერთა შეკონებას — ფერი რახსისა.

ხოლო რახსისფერი იყო ორბი, რახსისფერი და ბოლოთეთრი.

ეტბაშად მოიჭრა, ყვილით და თვალთა ღუზღუზით.

მოიჭრა და მარჯვენა მკლავზე დააფრინდა გიორგის.

უსაშველოდ დაუმიძიდა ყრმას მკლავი. ვერც ორბის ჰანგთა მკვეთლობას გაუძლო. მარჯვენა მოეკეცა და დაუვარდა, დაბალთული და დაბოშებული.

საშინელი ხმით იწივლა ორბმა, ქვასავით მოწყდა და დაინთქა ქვემოთ მიმცურავ რძისფერ სამყაროში.

— ძლიერ მკლავს ეძებს, მძლეთამძლეველ მკლავს, ხუთასი წელიწადი ეძებს და ვერ უპოვნია, — სთქვა ქალმა.

გული დაწყდა ყრმას.

მაინც რა სიმძიმე უნდა ჰქონოდა ორბის ტანს, ან რა სიბასრე მის ჰანგებს, ჰაბუკის მკლავმა რომ ვერ გაუძლო?

ცხენის ნალის გამართვა ძალედვა გიორგის მარჯვენს, ორბის სიმძიმეს კი ვერ გაუძლო.

ქალი კი განავრძობდა:

— ხუთასი წლის წინ იშვა ეგ ორბი ნილოსის პირას, ზეციდან ჩამოვარდნილი ცხელი კვერცხიდან. ხუთი წლის წინათ დაიხსნა თავი ხუთასწლოვანი სიბერისაგან და ახლადლორძინებული, კვლავ განჰაბუკებული, ეძიებს იგი კაცთა შორის ღვთაებრივ მკლავიანს.

ლევან ხანიკიძე
გიორგი ათონელი

„რომელმან ადავსო კეთილთა მიერ გულისთქუმაი შენი, განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე შენი“, — განმიანდა გიორგის გულში და მაშინვე ჰკითხა ქალწულს:

— ვითარ ხდება განჭაბუკება ორბისა დაბერებულისა?

— ოდეს წელთა სიმრავლით ორბს ფრთენი დაუმიმდეს, ჰანგი და ნისკარტი დაუჩლუნგდეს და თვალთა შუქნი დაუმოკლდეს, მაშინ ზეცისკენ აჭრილ ქარს აჰყვება ბებერი იგი, ქარიდან მზისკენ აიჭრება, მზისთვალს მიერქმევა უკანასკნელ ძალთა მოკრებით, ტანს გაიხურებებს მზის მხურვალეებით და იქიდანვე ათვალულ ცივ წყაროში შთაფარდება ნამზეური ტანით, სამგზის ამოევლება და ჩაევლება, ბებერ ფრთებსა და ბებერ კანს ჩატოვებს წყალში, თვითონ კი ახალის ფრთებით, ახალის კანით, ახალის ჰანგ-ნისკარტით, ახალის შუქმძლავრი თვალეებით და ახალის გულით, იწყებს ცხოვრებას განახლებულს, განჭაბუკებულს.

გული სიხარულით აევსო ყრმას, განჭაბუკებული ორბისა გამო.

და გული სინანულითაც აევსო ყრმას, მკლავის სისუსტის გამო, — განჭაბუკებული ორბის სიმძიმე რომ ვერ იტვირთა მისმა მარჯვენამ...

მიცურავდნენ ჯვარსახოვნად განრთხმულნი.

და უეცრად მთების ლაშქარი ამოიჭრა ღრუბელთა ოკეანედან.

რძისფერი ზეწარი დაიბეს ტანზე და აღიმართნენ საკუთარი სიშიშვლით გამაყებულნი.

და იღგნენ მარად საოცარნი და მარად მაოცარნი.

გუნდ-გუნდად.

დას-დასად.

კორომ-კორომად.

ზვინ-ზვინად.

ხომლ-ხომლად.

დვრილ-დვრილად.

უღიადესნი, დიდნი, ქვედიდნი, სა-

შუალონი, ქვესაშუალონი, მცირენი, უმცირესნი.

და ყველანი ერთად — ერთფეხვანნი, ერთსხეულოვანნი, ერთსისხლოვანნი.

მშობელი დედამიწისგან გაქცეულნი და ზეცის ძუძუთა მაწოვარნი.

ციურ ჯიქნისგან ძუძუმტენი.

და იღგნენ და მღეროდნენ ციური ძუძუმტენი.

მღეროდნენ, თუმცა ქვენასოფლელთა არ ესმოდათ მათი სიმღერა. არ ესმოდათ, ვინათგან სიმღერა იგი იყო ოდენ საღმრთოი, ზესთასოფლური.

ოდენ ღმერთებს ესმოდათ სიმღერა მიწიდან გაქცეული მთებისა.

და იღგა ასე კავკასიონი, ვითარცა ჯერაკუმია დედამიწისა.

იღგა ცას შეცმული, ცის ძუძუმწოვარი, ცასთან მომღერალი.

— აჰა, ესერა, კავკასიონი — შუბლი დედამიწისა! — უთხრა ქალმა ყრმას, და უმაღვე ცამ გამოსცა მგრგვინავ ნახმევადა:

— ამინ, ამინ, შუბლი დედამიწისა!

— ...შუბლი დედამიწისა! — იხმო და შეიხმო თვითონ კავკასიონმა.

— შუბლი კათოლიკე! — დაასრულა ქალის ხმამ.

და წამით მღუმარებამ მოიცვა სკენელი ყოველი.

— ხოლო შენ — შუბლი ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნისა! — სთქვა ნინომ და ისევ განაპყრო ჯვარი გიორგის შუბლისკენ.

მიეახლა და ემთხვია ჯვარს გიორგი. ქალის ნედლი თმის სურნელი შეიგრძნო თმით შეკვერთხილი ჯვრის ამბორისას და მიხვდა: ანამაისას სურნელი იყო!

და სულში ცრემლი ჩაექცა ღვარად. და ისევ ზენაარმა ხმამ გამოაბრუნა:

— გახსოვდეს, შუბლო ერისაო, გახსოვდეს ერი შენი, სხეულით სისხლნადენი და სულით განრღვეული!

— არა ღირს ვარ! — იბღავლა გიორგიმ.

— იქმენინ ღირს! — შეაწყვეტინა მკაცრი ხმით ნინომ.

— ღირს მყავ! — შეჰღალადა ისევ გიორგიმ.

ქალი კი განაგრძობდა ხმითა უკვეთელითა:

— უფალმან მოსცეს ძალი ერსა ჩვენსა, უფალმან აკურთხოს ერი ჩვენი მშვიდობით!

— ამინ, თვალშეუდგამი ნათლის მფენელო!

— რამეთუ არა დამდაბლდეს მიწამდე სული ერისა ჩვენისა, და არა აღეკრას ქუეყანასა მუცელი მისი!

— ამინ, ნათლითა დაულამებელო!

— ურნატნი მისნი დაათრვენ, უფალო, გაამრავლე ნაყოფი მისი, ცუარითა ცისითა მხიარულ იყოს ჭეჭილი მისი!

— ამინ ამინ, ქალწულთა თვალო! მცირე ხნით შედგა ნინო, ჯერიანი მარჯვენა ზეცისკენ აირთხა და უთხრა გიორგის:

— აჰა, ესერა, გზაი შენი წუთისოფლისა: ზრუნვა ჩემი განათლული ერისათვის! და აღამალე ერი შენი, ხოლო რამეთუ აღამალო, უწინარესად შენ აღამალე სული შენი, აღამალე იმ სიმაღლისად, შენი ვარსკვლავი შენს ქვეშ მოექცეს!..

ისევ დუმილი ჩამოწვა და გახანიერდა. და ისევ ქალის ძლიერმა ხმამ დაარღვია მდუმარება იგი:

— აჰა, ესერა, შუბლი დედამიწისა და დიდაზროვნებითა და დიდსიტყვაობითა შენითა, დაეწეროს მასზედა — „ნათესავი ქართველთა“!

და როგორც იქნა, დასძრა ენა გაოგნებულმა ყრმამ:

— სული ჩემი ჩემ ხელთა არს და, ღმერთთა მხედვარ, ღვთისა შეწვევითა, შევეცდები იქნეს იგი ჩემზე უმაღლეს, მაგრამ ჩემი ერისანი... ჩემი ერისანი ჩემნი არიან?

და მაშინვე მიუგო ნინომ:

შენნი არიან,
რომელნი არიან
და რომელნი კვალად
მოსვლად არიან.

და, ბოლოს, კიდევ ეს უთხრა:

— რომელმან შენი ისმინოს და შეიწყნაროს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

და გაქრა.

და მარტო დარჩა ორი შუბლი: შუბლი დედამიწისა და შუბლი ქართლოსიანებისა.

●
რალაც საკვირველმა, მანამდე განუცადებელმა ხმამ გამოაღვიძა გიორგი. რეცა, უცხო სიმღერა უნდა ყოფილიყო.

სიმღერა სინათლისა, ღამესა შინა.

●
გათენდა.

კვლავ შემოიჭრა მოზვერი თეთრი, ვერცხლისმფრქვეველი, მაძგერებელი და მაშქერებელი შავი მოზვრისა.

გიორგი გათენებამდე ამღარიყო, უცნაური ძილისშორისით შეძრული და გაოგნებული.

გამოვიდა და ცისკრის მინავლებამდე იარა ფეხშიშველმა ცვრითა და ზრილით დაღვაფულ დედამიწაზე.

ეკვდერში დაბრუნდა და დიდხანს ილოცა — ლოცვა ძილისგან აღდგომისა სამაძლობლად, ლოცვა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისადმი და ბოლოს ტროპარი წმიდა ნინოსადმი: „სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებლო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

ლოცვა რომ მოითავა საამბოროდ მიეახლა ჯვარს. ერთხანს მდუმარედ და შიშრეულად უცქერდა, — იმ სიცი-

ვისა ეშინოდა, ანამაისასთან შეხვედრის შემდგომ რომ პასუხობდა ჯვარის ყრმის ამბორს.

შიში განიგდო, მივიდა და ემთხვია ჯვარს.

და ისევ პირველქმნილი, ზენასოფლური სიტბო და სურნელი შეიგარძნო და შეისხნეულა ქალის თმით შექვერთხილი ჯვრისგან.

— გამაღობ შენ, უფალო! — შეპლალა და დაეცა მუხლებზე.

როცა ეკვდერიდან გამოვიდა, მზე შუბის ტარს უკვე ასცილებოდა.

გამოვიდა — მუხლით მტკიცე, გულით მხნე და სულითა ამაღლებულითა.

თეკლასთან მივიდა და, ვითარცა ჩვეოდა, ისე უბრალოდ და ლიტონად უთხრა, უკვე წასასვლელ გზას ვადგივარ და უნდა გამოგეთხოვო.

— საით მიდიხარ, ძმაო ჩემო? — თვითონაც უბრალოდ და უშფოთველად იკითხა თეკლამ.

— ჯერ ის გზა უნდა გავიარო, მოციქულთა სწორმა ნინო განმანათლებელმა რომ განვლო.

— მაშ, ფარავნისკენ და მერე, ფარავნიდან მცხეთისკენ, არა?

— ჰო.

— მერე, მცხეთიდან?

— მერე, იქიდან არ ვიცი, საით, მაგრამ ეს კი ვიცი ნამდვილად: წავალ ჩემს იქით.

— შენს იქით?! — უსაზღვროდ გაიოცა თეკლამ.

— სწორედ ჩემს იქით წავალ, — მშვიდად უპასუხა ძმამ.

სიჩუმე ჩამოწვა.

და ისევ თეკლამ ამოიღო ხმა, როგორც იქნა:

— არ ვიცი, რას ნიშნავს წასვლა „შენს იქით“, მაგრამ ის კი სრულის რწმენით მწამს, რომ შენ, ტარიგი და ნათლული ღვთისა, ახვალ სულ მაღლა, ისე მაღლა, შენი ვარსკვლავი შენს ქვეშ მოექცეს.

სიზმარი გაახსენდა გიორგის. ეს ერ-

თი ნათქვამი უკვე ამიხდაო, გაიფიქრა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს ნასიზმრეზე.

მხოლოდ ეს სთხოვა ძმამ დას, — სანამ ტაძრის არ გავშორდები, ნურავის ეტყვი ჩემს წასვლასო.

ეს უთხრა და მოეხვია თეკლას.

დიდხანს არ გაუშვა დამ ძმა. ამბორსყოფდა და ლოცავდა ცრემლთა თხევით.

ერთმანეთს დაშორდნენ.

ორას ნაბიჯზე ერთხელ კიდევ მოიხედა გიორგიმ.

ისევ იქ იდგა ქალი ფიჩოსანი, სადაც დატოვა.

და იქვე იდგა ტაძარი, დროემისგან გვემული ტანით და დაკაწრული ყელით, დაწვებით.

ორი დღე-ღამის შემუსვრის შემდგომ, მივიდა ფეხშიშველად გზის მღუწველი ყრმა ფარავნის ტბაზე.

ტბა იყო ლურჯი, წმიდა ნინოს თვალების ფერი, მოსარკული, ოდნავ მორთოლვარე.

გაახსენდა სიზმარეული ჰიპოპოტამნი, მწვირე მძვინვარე, დამსხვრეული სკულის ფიცარნი, დახლეჩილი მცნებანი, და შეენანა ცხადადა ხილული სიმშვენიერე ფარავან-ტბისა.

ჯავახეთის მთებს გააზნდა და ინიშნეულა, რომ ახლაც ისევე, როგორც ნინოს საკვირველი მოვლინების ყამს, მთები „იყვნენ სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა“.

მაშინ მწყემსები დახვდნენ ნინოს. ახლა კაცის ჰაჰანებაც არ იყო თვალსაწვდომზე. მწყემსის მიტოვებული კარავი კი იხილა, სწორედ იქ, ტბის გასაღინართან, სადაც შვიდასი წლის წინ ღამეს ათევდა ქალწული, გამნათლავი საქართველოსი.

კარვის წინ დიდი ქვა იდო. ზედ ჩამოჯდა და ფიქრში ჩაესვენა.

მზეც ჩაესვენა.

საღლაც შორს მწუხრის ძელი შე-

მოპკრეს — ერთხელ, მეორედ, მესამედ, კიდევ, კიდევ...

და გახშირდა გიორგის სულში:

ძელი მწუხრისა, ძელი მწუხრისა,
ხმა ზენაარი, ფიჭვი უფლისა...

მალე დაღამდა, ძალიან მალე.

(ისედაც — თითქოს, ღამეებმა რიცხვით დღეებს გადააჭარბეს).

კარავში შევიდა ღამის სათვეად და, ნინოსავით, „დაიდგა ლოდის სასთუნალ, დაწვა და დაიძინა“.

ეგონა, იმ ღამესაც ისეთსავე სიზმარს იხილავდა, როგორც ნახა იქ, ტაძრისში, უკანასკნელ ღამეს. მაგრამ ასეთი უსიზმრო და უშფოთველი ღამე აწამდე არც განუცდია ყრმა გიორგის.

დილით, სისხამზე, ორბის ყვივლმა გამოაღვიძა.

სული აუყიყინდა გიორგის და ფიცხლად გამოიჭრა გარეთ.

ზედეთს აპხედა.

კარვის სწორად ირაოზე ბრუნავდა ორბი, რახსისფერი და ბოლოთეთრი.

— ღმერთო დიდებულო, ის არის, ის! — გაუელვა გიორგის და მარჯვენა მკლავი განიმკლავა წინ.

ფრინველმა შვიდჯერ დაჰკრა წრე გიორგის გარშემო, ყიპყიპით და თვალთა ბრიალით, მაგრამ ბოლოს, თითქოს გადაიფიქრა, კამარა შეჰკრა და გასროლილი ისრის სისწრაფით გადაიკარგა ცისგვამიდან.

— ისევ დამიწუნა! — გული შეეკუმშა ყმაწვილს.

და იგი გულდამძიმებული დაადგა ტბის გასადინარის გასწვრივ მიმავალ საცანდალო გზას.

ეს გზაწვრილი, ნინოს ნატერფალით, მას გაიყვანდა მცხეთის დიდ გზაზე.

და ისევ გაისმა ორბის ყვივილი.

და თვისით, გონების უკითხავად განემკლავა მარჯვენა მკლავი გიორგის.

დააცხრა ორბი და დაუვარდა მკლავი ყრმას, მტკივნეულად სახსარმოშოლილი.

იწივლა ორბმა, ირაო შეჰკრა, ცა გადაჰკვეთა და გადაიკარგა.

— არიელ!!! — შეჰბღავლა გიორგიმ
— გარნა, რატომ „არიელ“, ვინ მისწავლია მივლინა ეს სახელი? ვინ მიკარნახა, რომ სწორედ ეგ ორბი არის იგი — არიელ, ძე ცაზედეთისა, მე რომ მარჯვენა დამაგდებინა?!

ბარბი მემორი

ორბი

— უკეთუ არ მომეწონა, იცოდე, მარჯვენას დაგაგდებინებ! — უთხრა ერთხელ სვეტიცხოვლის მშენებლობაზე მოსულმა ბაგრატ მეფემ თვალშეწინიერ არსტუქისძეს.

მეფეს მკრთალად ეღიმებოდა და ხუროთმოძღვარმაც სიცილით შეჰკადრა პასუხი:

— ყველას მოსაწონი რა აშენებულა ცისქვეშეთში, მეფეთმეფეო?

ერთბაშად ბაგრატს რისხვამ დაუბნელა ნათელი სახე.

— მე „ყველა“ ვარ, შე კადნიერო?

— შენ ყველაც ხარ და ერთადერთიც, მეფეთა მეფეც, — არ დაიხია თვალშეწინიერმა.

რისხვა წადნიერებამ გადაუშმინდა სახიდან მეფეს.

— მაინც რაი არს ჩემი „ერთადერთობა“ და „ყველაობა“, ასე ცალცალკე სანიშნეულოდ, თამამო ჰაბუყო?

— ამ ათას ხუთასი წლის გასწვრივ, ვინ დათვლის რამდენი მეფე და მთავარი ჰყოლიათ ნათესავთა ქართველთა, მაგრამ შენ ერთადერთი ხარ, რომელმაც ხელახლა შეჰკარ და გაამთლიანე საქართველო, ფარნავაზიდან — ათას სამასი წლის შემდგომ, გორგასალიდან — ხუთასი წლის შემდგომ. შენ მესამე გამაერთიანებელი ხარ ქართლოსიანთა ქვეყნისა, დიდო მეფეო...

— მაგრამ ტფილისი? — შეაწყვეტივნა ბაგრატმა გულამოხვინჩვით — სანამ ტფილისში არაბი ამირა ზის, მანამ საქართველოს ერთობილობა ვერ დაერქმევა.

— მალე ისეც მოხდება, ტფილისს მდგარ არაბობას ან ქართული ხმალი და შუბი მოინელებს, ან ქართული ენა და სული.

— მე უკეთ ვიტყვი, — ისეც ჩაუჭრა მეფემ — თუ ჩემი ხმალი ვერ მოინელებს, შენი ტაძარი მოინელებს, — და ხელი გაიშვირა სვეტიცხოვლისკენ, რომელიც უკვე ფუძიდან ათწყრთეულზე ამომართულიყო, ქვისმთლელებით, ქვათამტვირთველებით, ხუროებით და კირითხუროებით გარსშემოჯარული.

— მადლობელი ვარ, ხელმწიფეო, მაგრამ ჩემი რა არის, — სვეტიცხოველიც ხომ შენია, რადგან არც ის იქნებოდა, თუ არა სწორედ შენი გონითი განაზრახი და ბრძანებითი განსრულება. შენ რომ არა, არც ქუთათისის ტაძარი იქნებოდა, არცა ბედია, არცა მოწამეთა, არცა კაცხი და არცა ნიკორწმინდა.

— სიტყვა სხვა გეზით ნუ წაიყვანე, — ისეც ღიმილით გაწყრა ხელმწიფე — ყველას მოსაწონი ჯერ არაფერი აშენებულაო, ამბობდი შენ.

— ისეც გავბედავ და კვლავ პირდაპირ გავიმეორებ, მეფეთმეფეო: არც არასოდეს არც რამ აშენდება, არც რამ ითქმება და არც რამ დაიწერება, ყოველი კაცის მოსაწონისი-მეთქი.

— მერე, შენი მეფე ასე „ყველაში“ გასარევი რატომ გახადე-მეთქი?

— ოდნავ გულშიც არ გამივლია, მირონცხებულო გვირგვინოსანო, მაგნაირი განუსჯელი და უმართებულო კადნიერება. ეგ რომ მეფიქრა, მაშინ მკლავი კი არა, თავის გაგდებინების ღირსი ვიქნებოდი, აუცილებლად!

— თავს რას ვერჩი? რა ხელმწიფე და ქვეყნის პატრონი უნდა იქნეს ისეთი კაცი, რომელიც მაგნაირ თავს ქვეყნის სასიკეთოდ არ მოიხმარს, მოჰკვეთავს, გაახმობს და გადაავდებს, — ისეც გაიცინა და თავზე ხელი დაადო მეფემ თვალშვენიერს. მერე ხელი თავიდან ბეჭზე ჩამოუტარა, ბეჭიდან ილა-

ყვამდე და სიქვა რაღაც შორიდან მონადენი ხმით:

— მე მკლავი ვთქვი მხოლოდ.

— და... მკლავს მომკვეთავ? — საჭრეთელი დაავდო და მტევანგაშლილი მარჯვენა მალა აირთხა თვალშვენიერმა.

— უკეთუ არ მომეწონა-მეთქი სვეტიცხოველი, — გაიმეორა მეფემ.

მოწყვეტით ჩამოივლო მარჯვენა არსუკისძემ და თქვა მწარე ღიმილით:

— ჩვენში საშიში არც ეგ არის.

— ?!

— საშიში ჩვენში მხოლოდ კარგის კეთება.

მეფე ისეც გაკვირვებული მდუმარებით უცდიდა ხუროთმოძღვარის სიტყვის გაშლას და დასრულებას.

— დიახ, მეფეო, ჩვენში შეიძლება მხოლოდ კარგის აგებისათვის მოგჭრან მარჯვენა.

— ვისთვის მომიჭრია, კადნიერო, მე მკლავი უსამართლოდ? — ისეც გაურისხდა სახე ბაგრატს.

— შენ ერთი ხარ და შენამდე მთელი ქვეყანაა, ხელმწიფევე ჩემო; და კვლავაც ვიტყვი: ჩვენში ყველა ფიქრობს: მე უკეთ ავაშენებდიო, მე უკეთ დავწერდიო, მე უკეთ ვიტყოდიო, მე უკეთ ვიქმოდით, მე უკეთ ვისარდლებდიო, მე უკეთ ვიმეფებდიო. და ამიტომ მარადიული შური მძლავრობს ნათესავი ქართველის გულში, მაგრამ შური არა ვინმე უცხო თესლისადმი, არამედ მხოლოდ და სწორედ საკუთარი თვისტომისადმი, თანაზიარი სისხლ-ხორცისადმი. ასეთია ნათესავი ქართველი — უცხოსგან აშენებულ ფენისადგილს ამჯობინებს ქართველისგან აგებულ ტაძარს; უცხოსგან ნათქვამ, ათასგზის ნაღწე სიბრიყვეს ამჯობინებს ქართველის ცინცხალ სიბრძნეს; ასეთია ნათესავი ქართველი — არასდროს საკუთარ თავზე ფიქრით იმდენს არ იხარჯება, რამდენსაც მეორე ქართველზე ფიქრით, მისი სიკეთის, მისი სიმადლის, მისი გამარჯვების ჯავრით,

ბოლომით, მძულვარებით. მე არ ვიცი, იქნებ შური ქართველ კაცს მისმა ბედისმწაფელმა მხოლოდ იმად დაუდგინა, რომ მუდამ ფხიზლობდეს, არ თვლემდეს, გული არ უგრილდებოდეს და შური თ ადვისილი მუდამ რაღაცის სამოქმედოთ ე-შუ რ-ებოდეს. მაგრამ ეს კი აშკარად ვიცი, რომ ქართველი სწორედ ქართველის დასაჩაგრავად და დასამდაბლებლად ე-შუ რ-ება გასაოცარი ძალისხმევით და ძალის მოკრებით. ქართველს ქართველი ოდენ მანამდე ითმენს, სანამ მის გვერდით მიაბოტებს და სანამ მის წინ თუნდაც ერთი გოჯითაც არ წაიწევა. ამიტომ ეხარბებიან და ემტერებიან ქართველები ქართველთა თვალებს — მათ მოსათხრელად. ამიტომ ეხარბებიან და ემტერებიან ქართველები ქართველთა მკლავებს — მათ მოსაკვეთად. — გეტყვი, მეფეო, შენ ერთადერთს: როცა ქვეზე ჩუქურთმას ვჭრი, მოხდება ხოლმე, მარჯვენა მკლავი, ბუკით მტევნამდე, მთელს სიგრძეზე, ყრუოლას დამიწყებს, ისეთ ყრუოლას, რეცა ძარღვებში კრახანები მიმოქრიათ ნესტართა ცემით, და ვიცი, რომ სწორედ მაშინ, ჩემს მაცქერალ ხუთას წყვილ თვალში ოთხას ოთხმოცი წყვილი მაინც შურის მზერით მიკბენს სისხლს და სჭამს ჩემს მარჯვენას. ამიტომ ვამბობ, მეფეთმეფეო, ჩემს მკლავს მოკვეთა მხოლოდ მაშინ დაემუქრება, უკეთუ ჩვენი სათაყვანო სვეტიცხოველი მისი სადარი დიდებულებით განესრულება; ხოლო, უკეთუ არსუქისძის მკლავი გაცუდდა, დამერწმუნეთ, გაცუდებულ მკლავს არამც თუ მოკვეთა არ დაემუქრება, არამედ კიდევ შეაქებენ მას, შეაქებენ და სახობტო დიდსიტყვაობით გააფუფებენ.

მეფე მღვმარედ ისმენდა, მღვმარედ მიმოდიოდა, მოკლე ნაბიჯით და ტანის მსუბუქი მიმორწვეით. მერე არსუქისძის წინ შეჩერდა, თვალებში ჩააცქერდა და ჰკითხა:

— შენ ეს მითხარ, ყმაწვილო, ვინ

თქვა შეგონება ესე — შური არს წუხილი მოყვასისა კეთილსა ზედალთა — ბასილი დიდმა კესარიელმა, — სწრაფად მიუგო თვალშეწვიერმა.

— და უფრო მართებულ იქნებოდა, ამიერიდან ასე გვეთქვა: შური არს წუხილი ქართველისა ქართველის სიკეთესა ზედა! — სთქვა მეფემ მკვუნვარებით.

მკვუნვარებამ მოიცვა არსუქისძის სრული არსებაც.

მკვუნვარებამ დაისადგურა სრული ირგვლივით.

უცებ ორბის ყვილიმა გამოაფხიზლა ორივენი.

ცას აპხედეს, ორივემ ერთწამიერ.

ორბი სწორედ მათ დასწვრივ ბრუნავდა საირაოზე.

არსუქისძის მცირე სახლაკის წინ, — სადაც ახლა მეფე და მისი ხუროთმოძღვარი იდგნენ — გარაბადზე სახლის პატრონის სანადირო მშვილდი და ისრებით სავსე ნიჯგორი ეკიდა.

— ახლა გაირკვევა, თვალშეწვიერო, ბედისწერას საით მივყევართ! — შესძახა მეფემ რაღაც უჩვეულო სიცილით და ჯერ მშვილდი ჩამოიღო, მერე ნიჯგორიდან უგრძესი, ფრთებმაღალი ქეიბურჩი ამოარჩია და მშვილდზე გამართა.

მეფე ხელუცთომელი მოისარი და მონადირე იყო. ორბიც ისე ახლოს დასტრიალებდათ, კარვად უჩანდა ნისკარტიც, ჭანგებიც, ტანის რახსიც და კუდის სითეთრეც. და არავითარი ეჭვი არ იყო, ორბი მის ლალ საირაოს წამში მკვდარი მოეხსნებოდა.

— შენ გიბრიალებს თვალს, არსუქისძე, მკლავის წართმევას გიპირებს ალბათ! სთქვა მეფემ ისევ სიცილით, მშვილდი მოზიდა, გაპხედა, წამით გაქვავდა და... ისარმაც იწვილა.

ორბმა, რეცა, აინუნშიაც არ ჩაავდო დედამიწიდან ნატყორცნი სიკვდილის მაცნე. მხოლოდ ერთხელ იყვილა რალაცნარიი ჯანდიანი ხმით და კვლავ განაგრძო ფრთების ლივლივით რწევა უშფოთველი.

მეფეს კი მიწისფერი ელო სახეზე. არსუკისძესაც უსაზღვროდ სტყენოდა გული.

— ერთიც სცადე, მეფეთმეფეო! — შესძახა და ნიჯგორს ეცა ახალი ისრის ამოსაწვდენად.

— ხელი არ ახლო! ბედისწერამ ერთი გასროლის უფლება მარჯუნა მე, ხოლო ბედისწერას ღმერთებიც ვერ მოუშლიან ნაბიჯს.

— მაშინ მე მომეც ნება, მეფეო! — წაეტანა არსუკისძე მშვილდს, რომელიც ბაგრატს ჯერ ისევ ეპყრა მოშლილად დაშვებულ მარცხენა ხელში.

— როგორ, კადნიერო, მეფეს უნდა გაეჭიბრო და... აჯობო? — ისევ სიცილით თქვა ბაგრატმა და თვალშეწიერმა იგრძნო, რომ სიცილი იგი თავშეკავებული მძვინვარებით იყო აღსავსე.

— შემინდე, ხელმწიფეო! — ამოიგმინა არსუკისძემ, უფრო მეფის წუხილით შეძრულმა, ვიდრე მისი რისხვით შემკრთალმა.

— არ გაბედო, ვინათგან ჯვარი არს იგი.

— ჯვარი?!

— აბა, შეხედე! — და მეფემ მშვილდით ანიშნა ცისკენ.

არსუკისძემაც აიხედა და იხილა — ორბი მართლა ჯვარს ჰგავდა, ჯვარსახოვნად ფრთავაშლილი და ცად განრთხმული.

— მე ჯვარს ვესროლე და ვინძლო შენც აღარ ესროლო ჯვარს. მე ამ ცოდვისთვის დავისჯები და ვინძლო შენც აღარ დაისაჯო, — დაასრულა მეფემ.

იგი ნელი ნაბიჯით მივიდა და გარაბადზე დაჰკიდა მშვილდი. და როცა გამობრუნდა. თვალშეწიერს უკვე დამშვიდებული ეჩვენა ის. მაგრამ ისიც მოეჩვენა, თმა-წვერი რეცა უფრო გათეთრებოდა მანამდეც ჰქადარა ხელმწიფეს. ძალიან კი შვენოდა განსპეტაკებული თმები ისედაც ახოვანსა და სახიერებით განთქმულს.

— რაც მოხდება, მოხდეს, ყველა

სიკვდილის შვილები ვართ. სიცილიც ხლეც სხვა რაი არს — დაბადებთვე სლვა სიკვდილისკენ! — თქვა და მხარზე ხელი დაადო მეფემ ხუროთმოძღვარს.

ისე იგრძნო არსუკისძემ, თითქოს მკვდრის ხელი ეტვირთა ბეჭზე.

— რა ბრძანებაა, ხელმწიფეო! შემთხვევაა და სხვა არაფერი.

— შემთხვევაო? ჰო, შემთხვევა, მაგრამ შემთხვევაა კაცის გაჩენაც, მისი საწუთროც შემთხვევების ჯამია და სხვა არაფერი, შემთხვევაა მისი სიკვდილიც.

— ნუ ინებებ სიკვდილზე ფიქრსა.

— სიკვდილზე ფიქრი მამშვიდებს მუდამ, — შესძახა მეფემ და მოახტაცხნს.

გალმა, არმაზის მხარეს, ამაღა უცდიდა, მისივე ბრძანებით ჩამოკვეთილი და დატოვებული. მელქისედეკ კათალიკოსიც იქ იყო, გიორგი ბატონიშვილიც, ზვიად სპასალარიც.

ერთხანს სვეტიცხოველს უცქირა მეფემ მდუმარედ. მერე მიუბრუნდა და უთხრა თვალშეწიერს:

— ამასაც მშვიდად გეუბნები, მშვიდად, მაგრამ შეურყევლად და შეუცვალებლად: სვეტიცხოველის აღმშენებლობას არ დაეძინოს და ძილით სიკვდილს არ მიეჩვიოს!

— უძილოდ და უსიკვდილოდ აღესრულება, მეფეთმეფეო! — შესძახა ხუროთმოძღვარმა.

— შენ კი რასა მთხოვ, თვალშეწიერო?

— ჩემი თხოვნა ერთადერთია.

— სთქვი!

— ფიქრს ნუ დაუთმობ ფრინველის ჯვარსახოვნებას, ჩემო მეფეო, რადგან ანაგებით ჯვარია ყოველი ყოფიერი — ფრინველიც, ადამიანიც, ყოველი სულდგმულიც და არასულდგმულიც. ქვეყანას რომ ოთხი მხარე აქვს, ეგვეც ჯვარია. ყოველ ხილულში ჯვარი იხილვების, ყოველ უხილავშიც, გინა წარმოსახვითში ჯვარი წარმოსახვის.

ჯვარია სიბრძნეც, ჯვარია სინათლეც...

— კმარა! — ხელი აიქნია მეფემ —
ეგ ყოველივე იქნებ მეც ვიცი, მაგრამ...
ჯვარს არ უნდა ესროლო-მეთქი!

თქვა მეფემ და ქუსლი ჰკრა ცხენს.
ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა და
უკანასკნელი სიტყვადი მიმოქცევა იყო.

იმ წელიწადს მეფე ბაგრატ მესამე,
აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის მოვლი-
სა და მანდაურ საქმეთა განსრულების
შემდგომ, სამხრეთ საქართველოსკენ
წარემართა. ტაო და ბასიანი იქაურ
აზნაურთა ღალატისა და „ღადრობის“
წყალობით, ბიზანტიელებს ეპყრათ,
აგერ, თოთხმეტი წელიწადი. კეისარი
ბასილი მეორე ბაგრატ მეფესთან „მე-
გობრობას“ არ ელეოდა, მაგრამ ტაო-
ბასიანის ქართულ მიწებზე ხელის პო-
ტინსაც არ იშლიდა.

და ჩავიდა მეფე ბაგრატ მესამე
ტაოს.

ფანასკერტის ციხეში დადგა-
მისვლისთანავე სპასალარი ზვიად
ერისთავთერისთავი ერთგულ აზნაურ-
თა შემოსაყრელად გაგზავნა.

ზვიადი რომ მობრუნდა, საღსალამა-
თად დატოვებული მეფე სარეცლად
დახვდა დარეცილი.

და მიიცვალა იმ ღამით.
აღესრულა საქართველოს მესამე გა-
მაერთიანებელი.

ზვიად სპასალარმა ფანასკერტიდან
წამოასვენა საყვარელი მეფის ცხედარი.

ლიხის მთაზე შეიყარნენ მგლოვიარ-
ე ამერ-იმერნი.

დაკრძალეს ბედიის ტაძარსა შინა.
(არავინ კაცთა ჯიშთაგან ისეთი დაკ-
რძალვა და დატირება არ იცოდნენ,
როგორც ქართველთა).

გლოვობდნენ საქართველოს მოყვა-
რენი — ქართველნი და არაქართველნი.
ზეიმობდნენ საქართველოს მომტე-
რენი — არაქართველნი და ქართველნი.

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და
უწერტილოდ. მიჰქროდა ძველ ფრთა-
თა განყრით, ახლად ასხმული ცინცხა-

ლი ფრთების ქნევით, ფათქუნით,
დგაფუნით. მიჰქროდა კაცთა და
ხავად. კაცთა მოდგმას კი ისევ ეგონა,
დრო ვიდოდა კაცთა ჭკუისად.

დროს თავის ჭკუისად მიჰყავდა
დროგადასულნი.

და მოჰყავდა დროს დრომოსულნი.
ახლა საქართველოს ტახტზე მეფე
გიორგი პირველი იჯდა, ბაგრატ მესა-
მის იამავარი ძე.

ტახტზე ასვლისას იგი იყო თორმეტი
წლისა.

მუღამ მძიმე ქართული გვირგვინი
კი დღითი დღე უფრო მძიმდებოდა.

და ღამეებიც უფრო და უფრო სჭარ-
ბობდნენ დღეებს.

მაგრამ ქედი მძლავრი დაჰყვა „ყმა-
წურილ“ მეფეს.

და იყო ყრმობითვე გულუძვრელი,
„ახოვან და ყოვლითურთ უშიში, ვითარ-
ცა უხორცო“.

და „სავსე ყოვლითა სიკეთითა“.

საქართველოში კი ღალატი ჰყვავდა.

ღალატი — თანასისხლიერის შურისა
და სიძულვილს საძირზე დამყნილი.

სინდისსაც, საკუთარ სინდისსაც რომ
ეკითხა მოღალატისთვის, რად ჰღალა-
ტობ-თქო, ვერც კი გეტყოდათ ღალა-
ტის აზრს.

ეს იმას ჰგავდა:
„რადა მღერი“? — ეკითხებიან მომ-
ღერალსა!

„მემღერების და ვმღერივარ“, —
პასუხობს მომღერალი.

„რად ჰღალატობ?“ — სინდისი (სა-
კუთარი სინდისი) ეკითხება მოღალა-
ტის.

„მეღალატების და ვღალატობ“, —
პასუხობს მოღალატე.

ღალატი ჰყვავდა და ბარტყობდა
საქართველოში.

და იმ დღეს, რა დღესაც ქუთათისში,
ბაგრატის ტაძარში, გიორგის მეფედ-
კურთხევა განესრულა, აღმოსავლეთ
საქართველოდან პირველი საშფოთარი
ამბავი მოიჭრა: „განდგა ქუეყანა ჰე-
რეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურ-

თათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კულადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველად აქუნდა იგი“.

ბრაზით შესჰამა ჯავრი ყმაწვილმა მეფემ. ჰერეთ-კახეთის საქმე დრომდე უნდა გადადებულიყო. ქართული სისხლის დაქცევით არ უნდა დაეწყო ხელმწიფობა ქართველ ხელმწიფეს.

ჯერ მას სამხრეთულ-ქართული მიწები ეძახდნენ — ტაო და ბასიანი.

გიორგის მეფედკურთხევის დღეს კიდევ მოხდა ერთი საკვირველი ამბავი, რაიც ხუროთმოძღვარს, თვალშეწიერი არსუკისძეს გარდახდა თავს.

შუა წელზე იყო მოყრილი სვეტიცხოველი, ხუროთმოძღვარს რომ ხარაჩოზე სიარულისას მძიმე ხიფათი შეემთხვა. ფიცართა გადაბმაზე მთავარი ჯიბუკი ლუსმარი ცთომილად ჩაეჭედა ხუროს. არსუკისძე რომ გადადიოდა, სწორედ მაშინ გამოეცალა ლუსმარს სამაგრი ძალა, ფიცარიც ფიცარს აღარ შეეფიცრა, წამისად ორივე ჩაყირავდა და გღმა-გამოდმა გალაჭული კაციც უკვე უსაყრდენო სივრცეში ჩაინთქა.

მხოლოდ იმის გააზრებადა მოასწრო თვალშეწიერიმა, თავით არ დავეცეო, კედელს ფეხი სცა, ჰაერში ირმიცულად გაიჭრა და მიწას მარჯვენა მხარით დაენარცხა.

მძიმედ კი დაირეცა. ბეჭი კვირისტავიდან ამოუვარდა. უსაშველო ტკივილმა ცნობა წაართვა.

მიეარდა გესლაისძე, თუში გალატოზი, და აღარ დაზოგა სათაყვანო ოსტატი: მარცხენა მხარეს გადააბრუნა, მარჯვენა თეძოზე ფეხი დააბიჯა, ამოვარდნილ მკლავს დასწვდა, მაღლა აზიდა და ბეჭი საბეჭე კვირისტავში უქანვე ჩაუგდო.

ტკივილმა ისევ დაუბრუნა ცნობა არსუკისძეს. სანამ მის სახლაკში მისვენებდნენ, მკლავი გაუსივდა და ფრჩხილები გაულურჯდა.

გარეთ დამაწვინეთო, თვითონვე ითხოვა, ბანზე, საიდანაც ფუძიდანვე ჩანდა სვეტიცხოველი.

მეფე და კათალიკოსი ისევ ქუთათისში იყვნენ — ტაძრულით, დარბაზეულით, მსახურეულით.

ავადმყოფ ხუროთმოძღვარს, ყრმობით ობოლს, ხეკორძელი ქალი უვლიდა, სეფელია, დედის სწორი დიაცი, თვითონ უშვილძირო და უთვისტომო. ის ურეცხავდა და უკერებდა, ის უცხოზდა და უხარშავდა.

ახლა გესლაისძე შემოდოდა ხშირად. სახვევებსა და საფენებს უცვლიდნენ მკლავზე ავადმყოფს. დინდგელის, მრავალძარღვას, ზმილაკის, უზვერულისა და ყაყაჩორას ნახარშით უზელდნენ, უსალბუნებდნენ და ცხელი კუპრიელით უარტახებდნენ მარჯვენს.

მერე გესლაისძემ თუშეთის ცვრიან სამოვარზე და ბიცოვან წყლებზე ნაზარდი მოზვერი დაკლა და მის მხურვალე სისხლში აბანავა ხუროთმოძღვარი, მანამ აბანავა, სანამ სისხლი ტანზე არ შემოაცივდა ავადმყოფს.

მაგრამ საშველი მაინც არ ჩანდა. არც სიმსივნე ცხრებოდა მკლავზე, არც დამორგუნველი მხურვალეება ტოვებდა გათარანებულ სხეულს.

და ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ტკივილითა და უძილობით განაწამებ სნეულს ჩაეძინა, ორბი მოფრინდა, რახსისფეროვანი და ბოლოთეთროვანი.

ნისკარტი და ჭანგები სისხლით ჰქონდა გაღველფილი, ახალი, ოხშივრიანი სისხლით.

და დააჯდა სნეულ მკლავზე ორბი იგი არსუკისძეს, დააჯდა და ნისკარტით არტაშანი შემოაგლიჯა ფიქრზე უმაღლესად, და ჭანგით კანი ჩაუჭრა. და იჭექა შირილობიდან ჩირქმა, თხრამლმა და შალალმა.

აცალა ორბმა და, როცა გალახული სისხლი და წბოლი სრულად დაწდა და დაიწურა, ნაჭრილობევეში ნისკარტი ჩაჰყო და შიგ ჩაასხა პირითა და ჩინჩა-



ხვით ჭუმლად ნაგროვი უცხო სისხლი უცხო ფრთოსანმა.

ტკივილმა, სიკვდილის ავმა ჩაფარმა, უცებისად აიკრიფა გავარვარებული შანთები და განივლტო მისგან ნაწამები ადამიანის ტანისაგან. და უსაზღვრო ნეტარებამ მოიცვა არსება სურთომოდღვარისა. ჭერ შიშობდა თვალის გახე-ლას, — ვაი თუ ოდენ სიზმარი მეზმა-ნება და სინათლის ხილვამ ტკივილე-ბით აღსავსე სიცხადე უქანვე დამიბრუ-ნოსო.

მერე ის იფიქრა თვალშეწიერმა, იქ-ნებ ეგზომ უსაზღვრო ნეტარებას სწო-რედ სიკვდილის კარიბჭეში შევყავარო და თვალეზი განახვანა ნასწრაფევიად.

და იხილა ჭერ უხილავი სახილველი სვეტიცხოვლის აღმშენებელმა: მარჯვე-ნა მკლავზე ორბი აჯდა და დაუინებით უცქერდა მის თვალეზს. ალბათ, ამ თვალეზმა გამადვიძეს და გამომამბრუნეს სიკვდილის კარიბჭისგანო, გაივლო და თვითონაც მზერა გაუშართა ორბის თვალეზს თვალშეწიერმა.

ჩემსავით თაფლა თვალეზი ჰქონიაო, გაუელვა ადამიანს.

ჩემსავით თაფლა თვალეზი ჰქონიაო, თითქოს „უელავდა“ ფრინველსაც.

ორბი ფერად რახსი იყო და ამან კიდევ უფრო განაცვიფრა და გააცბუნა თვალშეწიერი, — რადგან რახსი იყო ისიც, იქ ქვემოთ, მცირე ვაშკარანში რომ ესვენა რუდუნებით...

დიდხანს უცქერდნენ ერთმანეთს თვალუძვრელნი და ურთიერთ მზერა-განწონილნი.

ადამიანის გუმანისა და გონებისათვის შეულწიველი და შეუცნობელი რამ შეიგრძნო კაცმა ფრინველის ამ უძრავ თვალთა მიღმიერ. ველარ გაუძლო და წამით მზერა ორბის თვალეზიდან მის სისხლიან ნისკარტზე, ჰანგებზე და ბუმბულზე ჩამოატარა. უცქირა, უც-ქირა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მიხ-ვდა რა სულიერისა. უნდა ყოფილიყო ეს საკვირველი მაკურნებელი და მა-ცოცხლებელი სისხლი —

ზესკნელურისა, თუ ქვესკნელურისა?

ფრთოსანისა, თუ რქოსანისა?

მიწაზე მცორვალისა, თუ ფეხზე მდგომარეობისა?

ჩლიქ-განპებულისა, თუ ჩლიქ-განუ-პობელისა?

მცობნელისა, თუ არამცობნელისა? ძუძუმწოვრისა, — თუ კვერცხისმღებ-ლისა?

შინაური ხვასტაგისა, თუ გარეული ნადირისა?

და დარწმუნდა თვალშეწიერი, რომ არ იცნობდა არა სულიერს, რომელ-საც ასეთი ფერის სისხლი ექნებოდა — სისხლის, ლაყვარდის, ბროწეულისა და ყაყაოს ფერებით შეზავებული.

ერთხელ კიდევ მიუსვმოუსვა ნისკარ-ტი ნაჭრილობეგს ორბმა-დასტაქარმა, ერთხელ კიდევ აუარჩაუარა და მსუ-ბუქად დაუბრჯალა და დაუბალთა მკლავი ბეჭიდან მტევნამდე.

გამორჩევით კათოლიკე ძარღვი მო-ურყია ჰანგებით.

და აფრინდა ორბი, აფრინდა მცირე კმინვის მინაგვარი შეყვილებით, აფ-რინდა, მწოლარე კაციშვილის თავზე, სამჭერ წრე შემოხაზა, უცებ ცაში აიჭ-რა და საირაოზე დატრიალდა ჭვარად გაშლილი.

— რა გქვია შენ? — შებღავლა არ-სუქისძემ და წამოიწია მარცხენა მკლავზე დაბჭენილმა.

და თითქოს პასუხად რაღაც ჩამოჰ-ყვილა ორბმა, სამმარცვლოვანი დაყვი-ლებით.

„ა-ი-ე!“ — ამოიკითხა ამ დაძახილში თვალშეწიერიმა.

წამსვე გონებაში გამოაკობიტა და უმაღვე დაიქუხა:

— არიელ!!!

და წამსვე უცნაური, მანამდე კაცის-თვის უსმინარი ხმით იყვილა ორბმა ჭვარსახოვანმა, ჭვარი ელვასავით დაბ-რუნდა, ბორბლად იქცა, ისევ გასწო-რდა, ისევ იყვილა ძალმოსილი, გულმა-რიხიანი ყვილით, კამარა შეჰკრა, ცა გადაჰკვეთა და გაუჩინარდა.

— არიელ, ძე ჰაერეთისა, ვინ მო-მივილინა მე იგი და ვინ მიკარნახა სა-ხელი მისი?!

ფიქრ ზბდა გაოგნებული ადამიანი.
მესამე დღეს, სისხამზე, ფეხზე დაღ-
ვა თვალშვენიერი. ისე მხნედ იყო,
თითქოს, ავადმყოფობას არასოდეს არ
გაველოს მის სხეულში.

მკლავიც სახეებით გამოთლებოდა.
მხოლოდ ნაჭრევი სამი თითის დადე-
ბაზე უჩანდა მკრთალად.

ქალაქს ჯერ ისევ ეძინა, ფეხზე რომ
ადგა.

საყვარელ შავრა ცხენზე შეჯდა და
ხეკორძისკენ გაქუსლა.

ხეკორძულას მიადგა, ცხენიდან გარ-
დახდა, ტანთ გაიხადა და გადაეშვა
წყალში, თავისი ყრმობის გამნათლავ
ემბაზში.

მანამ იბანავა, სანამ ახლად აღმოხდე-
ნილი მზის სხივმა არმაზის მთა არ
გადმოლახა და ხეკორძულას ტალღებს
არ ჩამოეჭრა.

და ამოვიდა მდინარიდან კვლავ გა-
ნათლული და სულიან-ხორციანად გა-
სალკდევებული.

და უცებ, კვლავ მოიჭრა ორბი იგი,
ყვილით და ფრთების დგრილით.

— არიელ, არიელ!
მარჯვენა მკლავი გამართა თვალ-
შვენიერმა.

და დააჯდა ისევ მკლავს ფრინველი.
და ისევ აუარჩაუარა ბეჭიდან მტევე-
ნამდე, აუარჩაუარა და ფრთების ცე-
მით, კრინვით და კმინვით, დაუკაწრა,
დაუჭანგა, დაუბუბნა და დაუბალთა.

გამორჩეულად, ისევ კათოლიკე
ძარღვი დაურყია და დაუჭგვლიმა
ფრინველმა ვაჟკაცის მკლავს.

მიმოდინდა მკლავზე ზემოდან ქვე-
მოთ ორბი იგი და თან ნისკარტით უნე-
რწყვავდა და ულოპრავდა ბროწეულის-
ფრად აყვავებულ კუნთებს.

და ლობრი იგი გამოსცემდა სასწაუ-
ლად საკვირველ სურნელს, უფრო ახ-
ლად ნაძუძური ჩვილი ბავშვის ხსენის
მსგავსებულს.

მარცხენა ხელი წაატანა ორბს არსუ-
კისძემ, მარჯვენაც მოიმშვილდა. და
ორივე მკლავით ატაცება მოუწინდომა,

მაგრამ არ დაჰყვა ფრინველი ნებას
ადამის ძისას.

არც მისი ალერსი იალერსა.
არც მისი ფერება შეიფერა.

არც თვითონ გაიმეტა კაციშვილის
მკერდისთვის, ან სახისთვის ლობრი
იგი სასწაული, ნაძუძური ჩვილის ხსე-
ნივით სურნელოვანი.

ისე ჩანდა, მხოლოდ არსუკისძის მარ-
ჯვენა მკლავისთვის ემეტებოდა ცით
მოტანილი იდუმალი მადლი ორბსა
რახსისფეროვანსა და ბოლოთეთრო-
ვანსა.

და აფრინდა, და გაფრინდა ორბი
იგი ხაფიანი ყვილითა და გულმარხი-
ანი ყიპყიპით.

თვალი გააყოლა თვალშვენიერმა და
გული დაწყდა, რომ არიელის სიმალ-
ლიდან არ შეეძლო ქვეყნის დანახვა.

გაფრინდა ორბი და დატოვა მარჯვენა
სვეტიცხოვლის აღმშენებლისა, აღესი-
ლი საკვირველი ძალმოსილებით და
იდუმალი გრძნეულებით.

●
ამის შემდგომ ყოველ მესამე დღეს,
გამთენიანზე, მიდიოდა შავრაზე ამხედ-
რებული თვალშვენიერ არსუკისძე ხე-
კორძულაზე საბანაოდ. ყოველ მესამე
დღეს, სად იყო და სად არა, გამოჩნდე-
ბოდა ორბი იგი ბოლოთეთროვანი და
რახსისფეროვანი, ფრთებს დაიკეცავდა,
შურდულივით დაეშვებოდა და დააც-
ხრებოდა წყლიდან ახლად ამოსული
ვაჟკაცის მარჯვენს.

დააცხრებოდა და დაუკორტინდა, და-
უბუბნავდა და დაუბალთავდა ნისკარ-
ტის, ჭანგებისა და ფრთების ცემით.

ცემდა, წაფავდა და აალმასებდა არი-
ელი მარჯვენას სვეტიცხოვლის აღმშე-
ნებლისას — გამორჩევი, ძარღვსა
კათოლიკესა.

და მიფრინავდა.
და მოფრინავდა.

და ასე ყოველ მესამე დღეს.

და არსუკისძეს, მკლავგრძნეულსა და
მკლავსასწაულს, მხოლოდ იმაზე წყდე-
ბოდა გული, არიელის სიმალლიდან
რომ არ შეეძლო ქვეყნის დანახვა.

ნაზი ჭეღია

მივაბარე თესლი მიწას

მივაბარე თესლი მიწას,
გაზაფხულით გამთბარ მიწას,
და დამძახეს თავზე იმ წამს,
მზეწვიამ და ჩიტმა წიწკნამ,
აწ ნურაფერს ნუ შიშობო,
აწ ნურაფერს ნუ დარდობო, —

დანარჩენი შენზე უკეთ,
დანარჩენი შენზე უწინ,
იცის ოდით მაღლიანმა,
ქართლის მზემ და ქართლის მიწამ...
მივაბარე თესლი მიწას...

ნატვრა

სიცოცხლეზე ვფიქრობ როცა,
ვნატრობ ყველგან, ვნატრობ მუდამ,
ჭიანჭველას ღონე მოგვცა,
ფუტკრის შრომის უნარი,
შეშურდება მაშინ ჩვენი
თვითონ დროსაც, დიახ, დროსაც

და სიცოცხლეც გახდებოდა მარად
გაუხუნარი,
ჰო, სიცოცხლე დარჩებოდა ქვეყნად
გაუხუნარი,
ჭიანჭველას ღონე მოგვცა,
— ფუტკრის შრომის უნარი...

ნანა დავითაშვილი

მთვარის მკრთალი სხივებით
ოცნებები ავკინძე,
ღელავს იასამანი —
მზემ შეუხსნა საკინძე.

ღამე, ზამბახის ფერი,
ყვავილების ფანტელი,
გული, უზარმაზარი
სიყვარულის დამტევი...

იასამნის სურნელით
სასთუმალი დავქარგე,

ფეხქვეშ მრავლად გაგიშლი
მარგალიტებს და ქარვებს.

სული დაამებული
ღვთაებრივი ჰანგებით,
ხელი უფაქიზესი
ბროლის ციხის ამგები...

მიღღერებლე, უფალო,
(არაფერი დამიკლო),
ანგელოსთა ფრთის ფერი
ოცნებათა აკიდო!

წუხდა უვიწყარა...
მთელი ღამე წუხდა...

ვეღარ დაივიწყა გუშინდელი დილა, —
მთიდან მოვარდნილმა მღვრიე
ნიაღვარმა

მისი მეგობარი წელში გადაწყვიტა!

წუხდა უვიწყარა...
მთელი ღამე წუხდა...

ზია-ზია მანა

— რომელ მხარეს გაფრინდები
ჭია-ჭია მანა?
— მე იმ მხარეს გავფრინდები
სად აპრილის ქარია.
— მე რას მეტყვი? ამ ჩემს გზაზე
წვიმაა თუ დარია?
— დარი არის! ერთი ბიჭი

შეგიყვარებს ძალიან.
გაზაფხულდა და ბუნება
გაზაფხულით მთვრალია,
ხელისგულზე მიზის ნაზად
ჭია-ჭია მანა.
ჩემი ტკბილი მარჩიელი
ჩემი კარგი დაია.

თამარ სოჭოლავა



ჩემს სარკმელთან გაზაფხულის
ლაშე მოდგა,
ჩემს საწოლთან გაზაფხულის მთვარე
ნათობს.
ჩემს სარკმელთან გაზაფხულის ქარი
შფოთავს,
მე კი ვზივარ ჩემს ოთახში

მარტოდმარტო.
გაზაფხულზე მარტო რატომ მიმატოვე,
მარტოობით სული რატომ მომიქანცე,
მოდო, თორემ გაზაფხულის შმაგო
მთვარე
თავის შუქში გამახვევს და
მომიტაცებს.

ოლერა გიგინეიშვილი



მზისგულზე ვზივარ და თასმებს ვიკრავ,
ასამგზავრებლად მზადა მყავს ეტლი.
შენკენ ვისწრაფვი, ამ გაზაფხულზე
მომაქვს მზისფერი სიცოცხლე შენთვის.

და მომეახლე თვითონ, მნათობო,
შენს სინათლის წინ დავპატარავდი,
შენ უზადო ხარ, და ლოცვა გშვენის
უკუნისამდე, აწ და მარადის.



მე გადავსახლდი მზისფერ მინდორზე,
ქველისქველ გუთანს მოვკიდე ხელი,
ყაყაჩოსფერი მაცვია კაბა,
ყაყაჩოებით მოვთესე ველი.

მზემ მომიკითხა და სული მთხოვა,
ვერ შევყოყმანდი, მზეს სული მივეცე,
მერე ავტირდი, მომენატრე და —
თვალჩაშავებულ ყაყაჩოდ ვიქმეც.



აალებული ფურცელი როკავს
ყვავილის, კენტის.
მინდა მოვწყვიტო და ნდომას თოკავს

სურვილი ერთი:
იზარდ-იფურჩქნონ, ყვავილები
რომ იყოს მეტი.

უუნაზესი ნისლები დილის,
ყვავილთ სურნელი და თუთის ჩრდილი.
ფრთოსნის გალობა ამო ხმოვანი

და ხეივანი ხშირფოთლოვანი...
ღარიღან წყაროს რაკრაკი მესმის
და თავისთავად მწყურია ლექსი.

ციმციმებს ცისფრად ტელევიზორი,
მე ვითვლი ციფრებს...
ოცდამეერთე საუკუნე არაა შორი,
რით განგვაცვიფრებს?!
ტროლეიბუსი,
თვითმფრინავი,
ავტომობილი...
ვერ ჩამოვთვალე...

ამ საუკუნის მრავალი კიდევ შობილი,
ისევ შობს ხვალე...
კვალი ნათელი,
გავლებული კოსმიურ რაშის,
იმისთვის რჩება.
ადამიანი წინ გადადგამს უფრო დიდ
ნაბიჯს,
არს მისი ნება!

მშვენიერ მიწის, ზეცის
უუშვენესო გზაო.
ვეფხვის და ლომის გეცვას
ფერი ზედაზნის მთაო.

შენი ჰაერით სუნთქვა
ბედნიერი ვარ, მერგო.
უფრო ხშირი ტყე მსურდა, —
ამოიყარე ნერგო!

არის გორები,
მინდორ-ჭალები,
წყარო,
ლეღე და
აკაციები.

რა ლამაზია ღმერთო, თვალები
ია-იების.
მინდორში ფერი სოსან-ლალების,
უნელბელი ტრფიალის ცეცხლი.
რა ლამაზია ღმერთო, თვალები
მშობლიურ ზეცის!

როცა ქარი ქრის
და ფოთლებში დაშარიშურობს,
ისე ჟღერს, თითქოს
ეოლოსის ქნარია სურო.
მე არასოდეს არ მსმენია
ხმა მისი მსგავსი...
თეთრ თუთის ხეებს გასჩენია
სურო და ხავსი.
ტყვედ ჩაუგდიათ ტკბილნაყოფა,

მაღალი თუთა.
მებაღეც,
ასე ნუ ამყოფებ,
დიდხანს,
გულს მითუთქავს.
ხომ არ გაკვირდი, —
რას ექნება, ვითომ ზიანი?
— ქნარი კი მატკბობს,
მედარდება ხე ხავსიანი.



საქართველოს მწერალთა ყრილობის წინ უშრალ „ცისკრის“ რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა ახალგაზრდა მწერლებს ერთ ნაწილს. ვაპყენებთ მათ პასუხებს.

1. როგორ გეხმით ცნება თანამედროვეობა და რა კონკრეტული გეგმები გაქვთ დასახული ჩვენი დღევანდელი წარმოსაჩენად?

2. რას თვლით თქვენი შემოქმედების უმთავრეს საგნად, — რა პრობლემა გაღვლებთ ყველაზე მეტად? რამდენად შესძელით დღემდე ამ პრობლემის მხატვრული დამუშავება? როგორია სამომავლო გეგმები? რას მიიჩნევთ თქვენი მწერლური ბუნების თავისებურებად?

3. რა მიგაჩნიათ თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის ღირსებად და უმთავრეს ნაკლად, როგორ გესახებათ მისი მომავალი?

4. რამდენად ხილრმისეულია ეროვნული ქართული მწერლობის უმდიდრეს ტრადიციებთან თანამედროვე ქართული მწერლობის დამოკიდებულება, რა ჯრისა ხართ თქვენი თანატოლების — ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებაზე ამ თვალსაზრისით. ხდება თუ არა რაიმე საგულისხმო ცვლილება ტრადიციებთან დამოკიდებულებაში?

მერაბ აბაშიძე

1. თანამედროვეობა მრავლისმომცველი ცნებაა. აგი თავის თავში აერთიანებს ყველაფერს, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება. დღეს კი ბევრი რამ ხდება, როგორც პიროვნების ცხოვრებაში, ასევე მსოფლიო ისტორიის განვითარების გლობალური მასშტაბების თვალსაზრისით. ეს არ უნდა გავივოთ ისე, თითქოს ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან არაფერი ესაქმება. პირიქით, ისინი მჭიდრო კავშირში და ისეთივე მემართებაში არიან ურთიერთთან, როგორც წყლის პატარა შენაკადი ოკეანესთან. რაც შეეხება ჩემს კონკრეტულ გეგმებს, ეს არის თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიის უფრო ღრმად წვდომა და უფრო ნათლად წარმოჩენა ადამიანის იმ თავისებებისა, რომელსაც სიკეთე და მსუყვის სიყვარული ჰქვია.

2. მწერალს არ შეიძლება აღვლებდეს ერთი რომელიმე პრობლემა და მას მიუძღვნას მთელი თავისი შემოქმედება. მწერალი იგივე მემეტანია თავისი დროისა და ამიტომ ყოველთვის მისი შემოქმედების მთავარი საგანი — თანამედ-

როვე ადამიანი უნდა იყოს. სწორედ ეს უნდა აღვლებდეს მას. რაც შეეხება ამ პრობლემის მხატვრულად დამუშავებას, დიმილით უნდა ვთქვა, რომ ცდა არ დამიკლია, ხოლო როგორი გამოვიდა, ამაზე პასუხის გაცემა მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემს სამომავლო გეგმებზე უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება ჩემი მწერლური ბუნების თავისებურებას, მე მგონი ეს გახლავთ პოეტურობა და ლაკონიზმი.

3. თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის უმთავრეს ღირსებად ძიების დაუცხრომელი წყურვილი მიმჩნია; იმ ძიებისა, რომელმაც ბევრ ჩვენს თანამედროვე პოეტსა და მწერალს აპოვინა საკუთარი თავი და დიდ სამწერლო ასპარეზე გაიყვანა. რაც შეეხება ნაკლს, მოგეხსენებათ, შუქი ჩრდილის გარეშე არ არსებობს, სწორედ ამ წყურვილის ნაკლებობა მიმჩნია. მათი მომავალი კი, რა თქმა უნდა, პოზიტიურად მესახება, რადგან შეუძლებელია, რომ ამ ორ ურთულეს ფენომენს, რომელსაც დღეს ამდენი მკვლევარი, გულშემატკივარი და მკითხველი ყავს, მომავალი არ გააჩნდეს.

4. ტრადიციებთან ზერტული დამოკიდებულება, მე შგონი, დღეობისთვის გამოსვლიდან, რისგანაც შორს დგას დღევანდელი ქართული მწერლობა. რაც შეეხება ძირითად ცვლილებებს, ამ საკითხზე პასუხი ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. ჭერ ვთქვათ, რა არის ტრადიცია? ჩემთვის არის, ეს არის, ერთგვარი (ამჟამად ლიტერატურული ღირებულებების) კრიტერიუმი, რომელიც ჩამოყალიბდა საუკუნეების განმავლობაში. ეს არის ეროვნული განძი, რომელიც ამ ყველაფრის მიუხედავად დოგმა არ გახლავთ და რომელსაც შეგვიძლია მივანებოთ ახალი ფორმა და შეთავაზოთ ახალი სული. მაგრამ, ძალიანაც რომ არ გვინდოდეს, ჩვენს შემოქმედებს ფუნქციები მაინც ძველ, ქართულ ნიადაგში უდგას და ისეთივე ტრადიციულია, როგორც ის ენა, რომელზედაც ვწერთ და ვაწროვებთ. ამდენად, მე შგონი, ძირითად ცვლილებებზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ის, რასაც თანამედროვე ქართველი მწერლობა და კერძოდ ჩვენ, ახლავართა მწერლები ვქმნით, კიდევ ერთი მორიგი ეტაპია ტრადიციული ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ნია, მაგრამ მას ჭიკუტად ხეირა, რომ ადამიანს უნდა გაიმარჯვოს, ადამიანი უნდა ადამიანი უნდა დაიბადოს, ადამიანი უნდა აღდგეს, სხვათაგან ის ვერ იარსებებს, ვერ იცოცხლებს.

ხანდახან იმ ადამიანს ჰგონია, ძალიან გვიან მოვიდა ამქვეყნად, რომ ის სიმშვიდის კაცია, სიწყნარის, გარკვეულობის კაცია, ცხადი და ნათელი ურთიერთობების კაცია... მას ხშირად წინა საუკუნეების ბურჟუანი (რომანტიკა სეველას ჰგვრის, როგორც სუველას, და იმ საუკუნეების ზღაპრებიდან ის უფრო განსხი და აღორძინებული გამოდის, როგორც უკვდავების ბლახ-წასმული... და ამას უბრალოდ ტრადიცია და წარსული კი არ ჰქვია, არამედ ის იქ არის სანახევროდ, ზოგჯერ მთლიანად, იმის წყლებში, იმის ბალახებში, იმის წაქოტში — და თუკი დირისი არ არის, წამებული ტანტალოსივით წაურვილს ვერ მოიკლავს, როცა მიწისქვეშეთში ყოველმე წყალში დგას, ნაყოფს ვერ მოსწყვეტს, როცა მის თავზემთ ხლით დახუნძმული ტოტები ჰყვავიან...

მე მიხარია რომ ჩემს თაობაში (თუ დავა-ზუსტებთ— 25-30 წლის ასაკს ვგულისხმობ) ვხედავ რამდენიმე პიროვნებას, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი პიროვნული სინდისით, წერენ ამ სინდისისა და გულის კარნახით და, რაც მთავარია, ცხოვრობენ მთელი არსებით.

თამაზ ბაძაღუა

მე მინდა ვწერო ადამიანზე, მის ტანჯვასა თუ სიხარულზე, მისი რწმენისა თუ უიმედობის, მართობისა თუ სიცარიელის, წამიერი ბედნიერებისა თუ სასოწარკვეთის მტკივნეულ წუთებზე... არ შეიძლება მწერალი დღეს რაღაც კონკრეტულად შტამპებით აწროვებდეს. როცა დედამიწა თითქმის აღსასრულის წინაშე დგას, როცა ადამიანი შიშით იღვიძებს, როცა სიცოცხლის სიმი თითქმის გაწყვეტამდე დაქუმული და მისი ზუზუნს სუველას გვესმის, არავის აქვს უფლება და მით უფრო მწერალს, იმედისა და რწმენის მცირედი უქმი მაინც არ უწილადოს ადამიანებს, რადგან იმედისა და რწმენის გარეშე ალბათ, ყველაზე ლამაზი სხივი კვდება ადამიანში. ხოლო ეს იმედი და რწმენა ადამიანის ძარღვებში ჩაღვრილი სიცოცხლის პირველყოფილი სიწრფელიდან და სიკეთიდან უნდა დაიძრას.

ერთი ბრძნული მითი მოგვითხრობს, რომ ტანტალოსს მარადიული შიში სტანჯავდა. იგი ეკიდა ჰაერში მოქანავე კლდის ქვეშით, ამ კლდის ჩამოვარდნას კი ყოველ წუთს ელოდა, მაგრამ კლდე არ ვარდებოდა და ტანტალოსი სიკვდილის მოლოდინში გამუდმებით იტანჯებოდა... მე ასე ვხედავ იმ ადამიანს, რომელზედაც ვწერ და უფრო ხშირად ის ადამიანი მე ვარ. და იმ ადამიანმა იცის, ყველაფერი ისე ლამაზი არ არის, როგორც ვხედავთ, ყველაფერი ისე გარკვეული არ არის, როგორც ჰგო-

ლეილა ბეროშვილი

1. თანამედროვეობა. რა იგულისხმება ამ ცნებაში? იქნებ დრო, რომელიც ჩვენს თვალწინ მიჰქრის ყველაფერზე გავლით, რაც ფაქტულია და რაც პირობითი, ერთი შეხედვით (მხოლოდ ერთი შეხედვით) აფერხებს ცხოვრებას.

ყველა დიდი მწერალი შემაძრუნებლად თანამედროვეა. ერთადერთი და მტკიცე მოსაზრებით: ადამიანი არ შეცვლილა (შეცვლილების მიუხედავად) თანამედროვედ არავის უყვარს, თანამედროვედ არავის სძულს, თანამედროვედ არავინ უყრის ბაწარში თავს.

დღესაც ისევე, როგორც საუკუნეების წინ, სიკეთეს, სიმაღლეს, სიმართლეს, უცოდველობას ვერავინ გამოუგონებს თავის შემოქმედებს. მშვენიერიან რადგან ეს იმდენა სრულ გარანტიას ან გახედე ყველა დროის თანამედროვე ან დიდი ტკივილის ფასად (თუ საამისოდ გეყო ლიტერატურული სინდისი) დასთმო ასპარეო — ახეთი მარცხი ხანდახან საკუთარ თავზე გამარჯვების ტოლფასია. რაც არა ნაკლებ მშვენიერია, რადგან მთავარი მაინც ადამიანობაა.

2. რაკი სინდისისა და პატიოსნების გარეშე სულის თავისუფალი მოძრაობა ფერხდება, რაკი საქართველოს მფარალტა ყრილობის შესახებდებრად

სულის თავისუფალი მოძრაობის გარეშე არა-
ფერო იქმნება ღირებულები, ვცდილობ ავლაგმო
საკუთარი თავი.

ჭრჭერობით ანეთ სურვილით გაცამტვერე-
ბული უფული გარს ქართულ მწერლობას.

8. პოეზიის და პროზის ავტორიანობის საზო-
მი დასაბამიდან შეუცვლილია. არც ქართული
პროზა და პოეზია ამ მხრივ გამოწველია.

ნამდვილი ლექსის ან ნამდვილი მოთხრობის
კითხვისას უზენაესთან კავშირს გრძნობ და პირ-
იქით.

ჩემის აზრით ამასში მდგომარეობს ლიტერა-
ტურის ღირსებაც და ნაკლიც.

4. სერიოზული მწერალი ალბათ არასოდეს
ფიქრობს იყო ტრადიციული, ან არა ტრადი-
ციული. ეს გაუცნობიერებლად ხდება.

ნისლს დაუფარავს მამკოდა
უტრებია გულითა,
მე ისიც გამახარებდა,
ზევი თუ გადაუვლიდა
იქ მოკლეს დედობაჩემი
ლაშაში ტანის შურითა.

ეს ლექსი ქართულია ყველაფრის გაუთვალის-
წინებლად. ეს ლექსი, სადაც გინდა გადააგდე,
რომელ ხეზეც გინდა ჩამოჰკიდე, რაც გინდა
დააბრადე, ქართულია და ქართული, ჩვენი მი-
წისა და ცის კეთილი ცრემლი.

ლალი ბრეგვაძე

1. ცნება თანამედროვეობა ჩემთვის გაიგივე-
ბულია პროგრესულის ცნებასთან, ყოველივე
მოწინავესა და მისაღებთან, მაღალ მოქალაქეობ-
რიობასთან. ლიტერატურის ფუნქცია ბოლოს
და ბოლოს ცხოვრების ასახვა მხატვრულად,
იქნებ ოდნავ შელამაზებულადაც, რადგან მწე-
რალი მის გვერდით მცხოვრებ ადამიანებს უნდა
აზიარებდეს ამაღლებულს, ტრადიტულობი-
საგან თავისუფალ წოგადადამიანურ სიხარულ-
საც და წუხილსაც.

ყველა საკუთარი ღირსება-ნაკლოვანებიდან
უყურებს სამყაროს. ეპოქა ძალიან ჰგავს მის
შვილებს და, პირიქით, რადგან ჩვენ განყენებუ-
ლად როდეს ვარსებობთ, არამედ დროს განვასა-
ხიერებთ.

მწერალი ორმავადაა თანადროულობის პირ-
მშო, მისი სუნთქვის მოყურადე. ნეტავი მას,
ვისაც სმენა არ უღალატებს.

2. ჩემი შემოქმედების უმოავრესი საგანი ადა-
მიანია, მინდა ადამიანებს ერთმანეთი უყვარ-
დეთ. ამაზე დიდი სურვილი არც გამაჩნია. რამ-
დენად შევძელი დღემდე ამ პრობლემის მხატ-
ვრულად დამუშავება, ვერ ვიტყვი, რადგან იმათ
რიცხვს ვეკუთვნი, ვისთვისაც „ბედნიერება შე-
ნებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში“.

სამომავლო გეგმები წუსტად არა შექვს ვა-
საზღვრული. ერთი კი ვიცი: უნდა ვეცადო და-
წერო უკეთესი მოთხრობები, ვიდრე ამჟამინდ-
დაწერილია. ჩემი მწერლური ბუნების თავისე-
ბურებაც ალბათ ესაა. ამიტომ ყოველ ახალ
ნაწარმოებს ისეთი კრძალვით ვიყვებ, თითქოს
პირველად დავფიქრდი საკუთარ თავზე, საკუთარ
შესაძლებლობებზე. შესაცნობი ობიექტი არას-
დროს აღმიჭვავს გარბობის საგნად, მწერლის-
თვის იგი ბევრის ხილსა ჰგავს.

რომ მკითხონ, რის შეცნობას შეიძლება შეა-
ლოო სიცოცხლეო, გულწრფელად უპასუხებ-
დი, საკუთარი თავისას უმთავრად.

8. კარგი მწერლები შემთავრებად კარგი ადა-
მიანები არიან. ცუდი ადამიანი იშვიათად თუ
შექმნის ღირებულ ნაწარმოებს, ასე იყო, ალბათ,
ყველა დროში, ასეა და ასე იქნება მუდამ.

4. ტრადიცია ის ეტაფეტაა, რომელმაც ერის
სახე უნდა შემოუნახოს მომავალ საუკუნეებს.
სახედნიეროდ, შეგვიძლია ვიშაყოთ ჩვენი
ეროვნული მწერლობის უმდიდრესი ტრადიციე-
ბით, რომელთანაც ყოველ დღევანდელ მწე-
რალს ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგო-
რი დამოკიდებულება აქვს თანამედროვეო-
ბასთან.

ლიტერატურული მიმკვიდრეობა ამდღერებს
და აკეთილშობილებს შთამომავლობას. ყველა
ჩვენი ღირსეული წინამორბედის ნაფიქრი და
ნაღვაწი ჰვეცნობიერად არსებობს დღევანდელ
პატოსანი ბუნების მწერალში, მიუხედავად
რანგისა და შესაძლებლობისა, მიუხედავად
იმისა, თვითონ რამდენად ხელეწიფების, თუნ-
დაც მცირედ მიუმატოს სახელოვან წინამართა
შიერ დავარჯილ სულიერ საგანძურს.

მე, პირადად, ტრადიციად არ მესმის მარტ-
ოდენ გარდასულთა ლიტერატურული მიმკვიდ-
რეობა. ტრადიცია ჩემთვის თვალწინ იქმნება.
უფროსი თაობის პირადი მავალით ცოცხალი
სურათია იმისა, რასაც მიმკვიდრეობით მიიღებს
ახალგაზრდა მწერალი. ამ თვალსაზრისით, თანა-
მედროვე უფროსი თაობის მწერლები სამ კა-
ტეგორიად შეიძლება დაიყოს.

პირველი. ობივტატივები ანუ ლიტერატურის
ბიზნესმენები, საკუთარი კეთილდღეობის გარდა
არაფერი რომ არ ეკითხებოთ. შთი ცხოვრების
წესი ასეთია: ჩემ შემდეგ ჰქა ჰქაზე ნუ დარჩე-
ნილა!

მეორე. ნარცისნი, — შედარებით ნიჭიერი,
მგარამ საკუთარი ლიტერატურის იქით რომ არ
იხედებიან, არავინ და არაფერი არ აინტერე-
სებთ.

და მესამე. ქართველ მწერალთა უფროსი თაო-
ბის ჯანსაღი, ნამდვილად შემოქმედებითი იყნა,
რომლის ლიტერატურული-ღვაწლი და აგრადი
მავალით ცოცხალ ტრადიციად შეიძლება მი-
ვიჩინოთ და ბევრი, ძალზე ბევრი კარგი ვის-
წავლოთ მისი წარმომადგენლებისაგან.

ვსურვებდი ახალგაზრდა მწერლებს, რომ, როცა დადგება დრო და მათაც უფროს თაობად მოიხსენიებენ, მაგალითის მიმცემი უფლებიყვნენ უმცირესი თაობისათვის.

ყოველ ახალ დროს ახალი სატიკიარო მოქვს, ახალი პრობლემები, რაც, უპირველესად, მხატვრულ ლიტერატურაში უნდა აისახოს. ამდენად, საქმროს ხდება ახალი გამოშახველობითი საშუალებების მიგნება, თორემ გატკბანილი გზებით სიარულზე ადვილი არაფერია.

ტრადიცია ზოგიერთ მესვეურს (ვის ხელშიცაა პუბლიკაციის საქმე) სამწუხაროდ, ზოგჯერ რუტინად ეხმის. შტამში ურჩევნია სიახლეს, ამიტომ დაგაბრუნებს, შენი სტილი არ არისო. პირადად მქონდა ასეთი პატივი მწერალ-რედაქტორისაგან, ვინაც სახელი ვერ დაიხსოვა ჩემი დროსა თავისი წიგნი მისახსოვრა, ნანი ზრეგვაძესო, წამწერა. შეიძლება მას ჩემი სტილი ცოდნოდა? იგივე ნაწარმოები კი სხვა რედაქციაში სიხარულით მიიღეს.

წინააღმდეგობის გარეშე ცხოვრება არ არსებობს. ახალგაზრდობა არ უნდა შეუშინდეს დროებით მარცხებს, სიახლეს უნდა მოიხანოს.

ვინც მწერლობა აირჩია უპირველეს მრწამსად, უნდა სწამდეს, ღირს იგი ტანჯვად და მოთმინებად.

თმარ თურმანაული

1. თანამედროვეობა, ალბათ, დღევანდელი საზოგადოება, ზოგადად დღევანდელი ადამიანია, თავისი განსაკუთრებული, განსხვავებული დამოკიდებულებით გარესსამყაროსთან და პირველ რიგში თავის წინაგან სამყაროსთან, საერთოდ ბუნებასთან.

დღევანდელი ადამიანი, გუშინდელ და ხვალისდელ ადამიანთან შედარებით, დროის სხვა წერტილში დგას. შეიძლება გუშინდელ და დღევანდელ, დღევანდელ და ხვალისდელ დღეს შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ ეს სხვაობა მანც ირეკლება სხვადასხვა დროში მცხოვრებ ადამიანთა ხასიათში, იმათ საქმება და სიტუაციაში. ვფიქრობ რომ სწორედ ამით გამოირჩევა ერთი თაობა მეორისგან, აწმყო — წარსულისაგან და მომავლისგან. თვით უცვლელი და „უცვლელი“ ღირებულებანიც კი, როგორცაა სიყვარული, სიხარული, მწუხარება, ვაჟკაცობა და სხვა, სხვადასხვა დროში მცხოვრები ადამიანებისათვის, სხვადასხვა კუთხით წარმოჩინდებიან, სხვადასხვა ფორმით გამოიხატებიან მათს ცხოვრებაში, მათს ურთიერთობაში...

რამე კონკრეტული გეგმა ჩვენი თანამედროვეობის, ჩვენი დღევანდლობის ახსენისათვის წინასწარ არასდროს შემიძლია. განა სხვა რა შეიძლება ამოწარდოს დღევანდლობის სიტ-

კბო-სიმწარით ნაკვები ადამიანის სულიდან თუ არა ისევ დღევანდელი ადამიანის საფუძვალ-სატიკიარი, მისი სიხარული და მწუხარება.

შეიძლება ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები კონკრეტულად არ ასახავდეს რამე საზოგადოებრივ მოვლენას, პირდაპირ არ მიუთითებდეს მასზე, ანუ როგორც ხშირად ამბობენ „დროის ბეჭედი“ არ აჩნდეს, მაგრამ თუ კი ნაწარმოები ნამდვილად ფასეულია, თუ კი იგი ტეშმარიტი შემოქმედის ხულის ნაყოფია, შეუძლებელია მისში დროს არ ჩანდეს, რადგან „დროის ბეჭედი“ ყველა ჩვენთაგანის სულს დამადა ამჩნევია და მისით გამოწვეული ტკივილია მიზეზი, შემოქმედის მიერ ხელში კალმის აღებისა.

2. ვფიქრობ, რომ შემოქმედების, ყოველგვარი შემოქმედების უმთავრესი საგანი ადამიანია. ადამიანი სხვადასხვა დროში, სხვადასხვა სიტუაციაში, ადამიანი საკუთარი თავთან და სხვებთან მიმართებაში. ამოუწურავი და უსასრულოა ადამიანის სულიერი სამყარო და, იგი, თვითშემეცნების ძნელ გზაზე შემდგარი, როგორც ფიქრობენ, სულ უფრო მეტ და საინტერესო თვისება-შესაძლებლობებს აღმოაჩენს საკუთარ სულში.

ადამიანის პრობლემა დღესდღეობით ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ამ მხრე ვერც მხატვრული ლიტერატურა ამოუწრავს თავის საქმეს, რადგან, ყველამ ვიცით, რომ ადამიანი არ არის გაქვავებული ბუნება, ის თვითშემეცნების პროცესშივე იცვლება, მადლდება საკუთარ თავზე და კვლავ და კვლავ, ხელახლა უბდება უკვე მიკვლეული, უკვე დადგენილი ტეშმარიტების ექვემდებარება, მათი ხელახლა ძიება, პოვნა და ასე უსასრულოდ; ამიტომ ყველა შემოქმედი ზოგად ადამიანს შეიხეცნებს დროსთან მიმართებაში, შეიძენებს თავის თანამედროვე ადამიანს... ჩემი მიზანი ჩვენი დროის ადამიანის ლირიკული სამყაროს წვდომაა, ხოლო რაც შეეძება ჩემი მწერლური ბუნების რამე თვისებურებას, ვფიქრობ, რომ მასზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია...

3. ჩემთვის ე.წ. „დამწეები ავტორისთვის“ ძნელია და უხერხულიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ღირსება-ნაკლავანებზე პრიტენზიული მიხედობა. მე ჯერ თვითონ ბევრი რამე მაქვს გასარკვევი და დასაფასებ-გადასაფასები.

საიმიდო საყრდენი ჩემთვის, ამჟამად არსებული მხატვრული ლიტერატურის მრავალფეროვან, შეიძლება ითქვას, უნაპირო ოკენეში, ქართული ხალხური ლიტერატურაა, ხალხური პოეზია და პროზა. ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს, განსაკუთრებით პოეზიას, ამ პოეზიის სასოშით ვუბრუნებ. ამაში, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ხალხური პოეზიის გამოშახველობით ხერხებს თუ მისი ლექსის დაკანონებულ ფორმებს. ხალხური პოეზიის სასოში ვგულისხმობ სწორედ იმას, რითაც ეს პოეზია პოეზიაა, რითაც იგია დიდი და მნიშვნელოვან-

ნე: ეს არის ამ პოეზიის სიღრმე და სიღამაზე, ეს არის ამ პოეზიის სისხლადვე და მოქნილობა, მისი სიმართლე და უტყუარობა.

სადაც არის სიყალბე, ყალბი პათეტიკა თუ ცრუფალოსოფიობა, იქ, ხელოვნებაზე დაპარაკიც კი წედმეტობა. სიმართლე და გულწრფელობა, ჩემის აზრით, პირველი და აუცილებელი პირობაა ხელოვნებისთვის. თუმცა ამ თვალსაზრისით რომ ვუყურებ დღევანდელ ქართულ ლიტერატურას, ბევრი კარგის გვერდით ბევრი რამ შეჩვენება ყალბი. მინახავს ისეთი დიქსიო თუ მითხრობა, რომლებშიც აშკარად იგრძნობა ავტორთა სურვილი თვეან რაიმე, ოღონდ რა, მათთვისაც არ არის კარგად გარკვეული. გარდა ამისა არის ე. წ. „საშუალო დონის“ ნაწარმოებებიც, რომელთაც თითქოს არაფერი სჭირს დასაწუნი, ყველაფერი თავის აღვილზეა, მაგრამ ახალს არაფერს გვეუბნებიან, ძველი სიმღერის ხელახლა გადამღერება, ძველი, ათაქერის ნოქვამი სიტყვების გადმოტრება, ნაცნობი პეიზაჟების ხატვა, ყურს შეჩვეული ოხვრა თუ სიხარულის წამოძახილი, ამით კი არაფერი ემატება ლიტერატურას...

4. ვფიქრობ, რომ პოეზიას არც რითმა ქმნის და არც ურითმობა, პოეზია ალბათ ცხოვრებისეულ სინამდვილის, თუნდაც ყველაზე უარესი სინამდვილის დასახვა და მისი ისე გადმოცემა, რომ შეითხველმაც იგრძნოს იგივე ტკივილი, იგივე სიხარული, დაინახოს იგივე და განიცადოს იგივე, რაც პოეტს თუ მწერალს დაუნახავს და განუცდია. როგორ, რა ფორმით მოახერხებს ამას ავტორი, პოეტური პროზით თუ რითმიანი ლექსით, ეს მისი უფლებაა.

ზოგს ტრადიცია ესმის როგორც ქართული ლექსის დაკანონებული ფორმები თუ უკ. ცნობილი, გამომსახველობითი ხერხები და ტრადიციებთან ერთგულმდებაც ამ ფორმების და ხერხების დაცვა ჭგონია. ამ მხრივ თუ გადავხედავთ დღევანდელ ქართულ ლიტერატურას, მოგვეჩვენება, რომ საგანგაშო ამბავი ხდება, ირდევია ქართული ტრადიციული ლექსი და წყდება კავშირი ქართული პოეზიის მონაპოვრებთან. მაგრამ უფრო დიდი ნოვატორი და უფრო დიდი „დამრღვევი ქართული ლექსის ტრადიციებისა“, ვიდრე გალაკტიონი იყო, ქე-რაც არ გამოჩენილა...

რაც შეეხება ჩემს თანატოლ ახალგაზრდებს და მათ შემოქმედებას, ჩვენ, რომლებიც ჭერ კიდევ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ამ გზაზე, ძნელია რაიმე გულდაჭერებით ითქვას, გარდა თითო-ორი ბედნიერი გამონაკლისისა, რომელთაც უკვე ე. წ. სერიოზული, იმედიანი განცხადება გააკეთეს. მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ, არცთუ ისე იშვიათად, ლიტერატურულ პრესაში დგება სიანტიერესო დებიზუტი ახალგაზრდა ავტორებისა, რაც ყველას იმედს გვაძლევს რომ ქართული ლიტერატურის ტრადიცი-

ებს ღირსეული გამგრძელებლები გამოვრდებო-ბიან.



ზაურ კალანდია

1. ცოტა შორიდან დავიწყებ. მეცხრამეტე საუკუნისგან განსხვავებით, თანამედროვე მწერლობა, თუ შთლიანად არა, წილობრივ მაინც „სხვა დანიშნულება“ შეიძინა. თვით შემოქმედი აღამიანი დღის ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება, ხშირად — გლობალურ მოვლენათა პასიურად აღმქმელ სუბიექტადაც კი, რაც იმ დროის მწერლებს არამც და არამც არ ებატებოდათ და, ვგონებ, ამის გაფიქრების უფლებაც არ ჰქონდათ. ვერაფერს იტყვი. ჩანს საყოველთაო დეფინიცია მოხდა, მწერალმა მხოლოდ მწერლობა იტვირთა, მხატვრმა — მხატვრობა, ისტორიკოსი — ისტორიის ერთ მონაკვეთს იკვლევს და სწავლობს, სხვა საუკუნეებში ისე, სასხვათაშორისოდ თუ გადაიხრება... რაც დრო გადის, მით უფრო ვიწროვდება ხელოვნისა და მეცნიერის არეალი. მე არ ვიცი, ეს ახეც უნდა მომხდარიყო თუ, საშუალოდ, აღარ გვეყვანან დიდი ილიას, აკაკის, ვჟას, გოგებაშვილის, ჭავჭავაძის დარი ატლანტიბი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღევანდელი მწერლობა ამავე ტიტანთა არამარტო პირდაპირი მეგვიდრეა, დვიძლია, არამედ — თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის უტყუარი გამგრძელებელი, კვლავ ერის „მაქის შემოქმედებარია“ ჩვენი ერთიანი და დიდი სახლის ბინადარნი და, ძალუმს თუ არ ძალუმს, მწერა ჭერ „სულიერ მამებს“ უნდა მიაპყროს და თვალის მომავალს ისე უნდა გაუსწოროს. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ყოველთვის ახსოვდა და ახსოვს ქართულ მწერალს, მათ დიდ ფორუმს და ერიც, ალბათ, დღესაც ამ რწმუნით შემოქმედს.

ვგონებ არახალია, თუ ვიტყვი, რომ ყველა დროის მწერალი შეტანაკლებად აირკვლავს დრო-უამის მაქისცემას, სოციალურობას, მოქალაქეობრიობას, თუნდაც ისტორიულ თუ ფანტასტიკურ ნაწარმოებს გვიქმნიდეს ის.

2. რთული, მცოთუნებელი, „შობლგამომშლელი“ კითხვაა ახალგაზრდა კაცისთვის. მაინც ვიტყვი. თავიდანვე მაფიქრებდა და ახლაც მაფიქრებს ის ამბავი: მე ვწერ, თუ მე-ც ვწერ? თუმცა მუშაობის პროცესში „ც“ ნაწილად არ ფიგურირებს. პირაქით, ყოჩაღად ვარ. როგორც კი დავმთავრებ ნაწარმოებს, სულად ვითერთებ, მანქანაზე საკუთარი ხელით გადავებებ-ღვ, სათაურს წემოთ, მარჯვენა კუთხეში გამოკეთილად ვაწერ ჩემს სახელს და ვვარს და დილის იმედით მივარბენინებ რომელიღის რედაქციამ. აი, დაბეჭდვამდე ან დაბეჭდვის შემდეგ იწყება ხოლმე ჩემი წამება... ისე, ვერ დავფარავ და, საოცრად მინდა: მე ვწერდი!

მ. თქვენი ნებართვით, მესამე-მეოთხე კითხვას გადავადგილებ და შეიძლება გავაერთიანო კოდექსი.

ჩემის აზრით, ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებები (და არამარტო მათი) დღითი დღე მკარგავს სიტყვაკაშმულობას, მონუმენტურობას, ვიწროალურ მომხიბვლელობას, პოლიფონიურობას და ყველაზე მთავარს — იდეალურ გმირს. მართალია, წოგჯერ აქა-იქ გაივლებს ხოლმე ისეთი ნაწარმოებები, სადაც ე. წ. „იდეალური გმირები“ — სახლობენ, მაგრამ მსგავსი „სახლობა“ მტყწილად ხელოვნურია და პირველყოფილ სურნელებას მოკლებულია. თუმცა, ამჯერად იქნებ სახედნიეროდ, თანამედროვე მწერლის უპირველესი თვისება გახდა — გაბედულება. რაში გამოიხატება იგი? ყოველ შემთხვევაში ის ცდილობს თქვას: „მევე რომ“ ან „მან ფერდობით სავსე პალიტრა გადადო გვერდზე და დასტაქრის დანა მოიმარჯვა — იდეალური გმირი ხომ რენაშანსიაში ჰყავს, ოღონდ ისევე გმირად კი არა, ერთი უბრალო და გულღრმად, ნათელი და „სამყაროს მტვერის“ სული რომ ჩაუდგას, თან მისი — როგორც რთული ფენომენის წარმოჩენა უნდა. ორსახოვანი იანუსი (და არა ორგული) უფრო იზიდავს მას, ვიდრე რომელიმე კეთილი ან სასწაულომოქმედი ღმერთი.

„გონება თავისი ბუნებით ქრისტიანია“. — ამბობს იოანე ოქროპირი. ჭეშმარიტად! მაგრამ ისევე გონებაში არ შექმნა ისეთი ატომური ბომბები, სამყაროს კატასტროფით რომ ემუქრება! თანამედროვე ლექსსა და მოთხრობაში გრძნობ სიძაფრეს, მისი აჩქარებული სუნთქვა მოხვიარაობით გცემს ხოლმე სახეში, თითქოს აღესილი დანის პირზე გედოს საჩვენებელი თითი და შედარებულ ფრთხილად ატარებდე... ის იმდენად შეკუმშულია და ექსპრესიული, გონიანი, უკვე მისი კუპიურებაც მოხდა ამ საუკუნის კვალდაკვალ და სამომავლოდ!

თანამედროვე ნაწარმოები ყოფიერების ფრაგმენტებით, იმპრესიონისტული ფერებით, შინაგანი მონოლოგებით, ინტელექტით ხასიათდება. ხშირად, დანაწევრებულ აზროვნებას, სუბიექტურ შემეცნებას, გულისხმასა მწერალი შედგებად მიწოდებოდა. ეს ტენდენცია ქართულ კინოსა და თეატრშიც შეინიშნება.

კარგია ეს თუ ცუდი? ერთიცა და მეორეც! ცუდი იმიტომ რომ, თითქოს ყველაფერი რიგზე მრავალ ნაწარმოებში. უფრო სწორად, დეკორატიული ბაღივით ნატიფია იგი, მაგრამ რად გინდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნევა, შორიდან ტყეისავით ღამაზად იმზირება, მაგრამ ყველაზე დაავადებულა თითქოს, არც ჩიტი გალობს შიგ, გგონია, ფოთლოც არ ერხება... ყველაზე მთავარი კი: ვერ მიმხვდარხარ, რატომ და რისთვის დაიწერა, ანდა, თუ მიმხვდარხარ, იმდენად ბუნდოვანად, საბოლოო აზრი ვეღარ გამოგიტანია. არადა, რატომ და

რისთვის წერს მწერალი? რით არის იგი ვალდებული? მწერლის ყველაზე დიდი მოვალეობა, ალბათ, ის არის, შეითხველს დაუბრუნებლად რომ უთხრას სიმართლედ, ბოლოს და ბოლოს, სად უნდა დადგეს იგი — ისევე ეშმაკს გაუწოდოს ნეკი თუ უკვე დროა ქველი საქმეებისკენ მიმართოს თავისი გონი და ძალი.

რახან შეითხველი ვახსენეთ, თუ შედგება გობედულებად არ ჩამითვლით, წოგჯერ შეითხველიც ღალატობს მწერალს!

ოთარ კილაძეს, რეზო კვიციანი, გურამ გეგუშიძეს, გურამ დოჩანაშვილს მთელი თავიანთი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე არ მიუღიათ, ალბათ, შეითხველისგან იმდენი წერილი და გამოხმაურება, რამდენიც ახალგაზრდა მწერლის ან მხეიძის მოთხრობამ — „არჩევანები“.

მე სულაც არ მინდა ანა მხეიძის მოთხრობა დავამცირო, უდავოდ საინტერესო ნაწარმოებია, მაგრამ როგორ გავიგოთ ახლა, წოგჯერ შეითხველსაც ვენდოთ?

ჩანს, ცნება „შეითხველის“ დეფინიციაც არის საქირი!

შეითხველსა და მწერალს შორის უშუალოდ კრიტიკოსს ევალება. ჩვენი კრიტიკოსები კი რატომღაც ერთ-ორ ახალგაზრდას და რამდენიმე „ძველგაზრდას“ წლობით შემეყურებენ ხოლმე, სხვები კი არ ახსოვთ, ანდა, როგორც „სულად მხელვების“ ისე შეავლებენ ხოლმე ლმობიერ მწერას და ეგ არის. წინა რიგს ვინ რას ერჩის, ეს ასეც უნდა მოხდეს, ცხადია, მაგრამ როცა ასე არ არის! იქნებ იმაზეც დავფიქრდეთ, მათგან მორთმეული და მზისკენ გაწველი ბაჭალლო ოქრო ხომ არ გაშავდა და მოულოდნელად მუქშიც ხომ არ ჩაუნახშირდათ...

საზღვარგარეთულმა ლიტერატურათმცოდნეობამ ერთი აზრი ჩვენშიც თითქმის დააკანონა. სახელდობრ: მწერალი მარტოკაცი უნდა იყოს, სუფთა ქაღალდის წინაშე, წელის გაშუქებაზე სკამზე დალურჯებული, თავის ცინებარბაზში, საკუთარი დროშითა და მანიფესტით.

კარგია ეს თუ ცუდი? ერთიცა და მეორეც!

ვინაიდან, მცირერიცხოვანი ერის შვილს, რამეთუ შენი ქვეყანა ხმალია და ლექსს შემოუნახავს, წოგჯერ ეგ ფიქრიც ხომ გაგვეწვავს გულში — ხმელთაშენის დიდ ტაძარში, საკურთხელობისკენ, ხმ საერთო საშინაღმოსთნ კი არ მიაქვს მარტოხელა მწერალს მკერდზე ფაქიზად მიხუტებული სანთელი, არამედ — ბნელი და უჩინარი კუთხისკენ მიარბენიებს, თან ხელისგული ისე სათოფად აქვს მისი ციმციმისთვის ამოფარებული, გრძნობ, რარგ ეშინია — ისევე მოქმედებს არ ჩამიქროსო...

ბევრი ნიჭიერი, იმდენიმე მცემი ახალგაზრდა მწერალი გყავს, ბევრიც, ალბათ, ხვალ-ზეგ დაამახსოვრებს შეითხველს თავს, მაგრამ ისეთ,

დროს წინ რომ უსწრებდეს, თან სამ დროში — წარსულსა და აწმყოშიც ერთდროულად ცხოვრობდეს, ნამდვილად ვერ დავასახელებ. არ ვიცი, იქნებ არიან და მე ვცოდავ, თვლიც საამისოდ ჭერ არ ამხელია, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, რაბომღაც მჭერა — რედაქციების კიბეებზე თუ გამომცემლობების ვიწრო ღერეფნებში დღესდღეობით იშვიათად ვხვდებით მათ, ისინი ხომ ჩვენსავით მსუბუქად და მოქნილად ვეღარ მოძრაობენ...

ნინო ქუთათელაძე

1. ყოველ დროს რაღაც სიახლე მოჰქონდა და მას თანამედროვენი ქმნიდნენ. ასეა დღესაც. თანამედროვეობა, უპირველესად ყოვლისა, სიახლეა და შემდეგ ბრძოლა მისი დამკვიდრებისათვის.

გეგმა ბევრია... უახლოეს გეგმებზე მოგახსენებთ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და, ალბათ, ბოლომდე მივიყვან საქმეს — გამოვცე პოეტური კრებული, რომელშიც მინდა ვაჩვენო სწორედ ჩემი თაობის დამოკიდებულება წარსული ომებისადმი, დღევანდელი ომებისადმი, საერთოდ, მტრობისადმი, თემცა დამოკიდებულება ალბათ ნათელია... წიგნში სხვადასხვა ტიპისა და ერის კაცის თვლით უნდა შევსადგინო ყოველი მოვლენა, გამოიკვეთოს ერთმანეთის გამომრიცხავი თვალსაზრისი და, რა თქმა უნდა, ბეშმარტება.

განზრახული მაქვს გამოვცე წერილებისა და ნარკვევების კრებული. მასში საუბარი იქნება ახალგაზრდობაზე, ჩვენს მეგობრებსა და თანამდგომებზე, რომლებიც უპრეტენზიოდ, უმშაუროდ, ყოველგვარი ამბიციების გარეშე აკეთებენ საკუთარ საქმეს, გამოირჩევიან ტრადიციითა და დიდი პასუხისმგებლობით ერისა და ქვეყნის წინაშე.

2. პრობლემა... ამ საკითხზე იშვიათად ფიქრობს შემოქმედი. გეწერება და წერ.

უპირველესი მანაც ადამიანთა შორის ურთიერთობათა ღრმად წვდომა და გაგებაა. ეს გულისხმობს, როგორც პირად ურთიერთობებს, ასევე ურთიერთობას გარესამყაროსთან და შემდეგ უფრო რთულ ფენომენსაც — ურთიერთობას ერთა შორის, სახელმწიფოებს შორის და ა. შ.

განა საინტერესო არ არის — შენს გვერდით ცხოვრობს ორი დადებითი პიროვნება და ერთნაირი არ უყვარს. იქნებ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა თვლით უყურებენ სამყაროს; იქნებ იმიტომ, რომ ერთმანეთის დანახვა არ უნდათ; იქნებ იმიტომ, რომ საკუთარი თავის შემეცნება უჭირთ და იმისთანა კეთილ თავისებებს მიაწერენ თავს, რაც არასოდეს არ ჰქონიათ...

არის კიდევ მეორე პრობლემა, პრობლემა, რომელიც უფრო ფორმას შეიძლება, ვიდრე შინაარსს.

3. ნ. სკრიპინი ცდილობდა ბგერით, მისი გრძლივობითა და სიმადლით ფერი გამოეცა. მე კი მინდა სტრიქონში თუ სტროფში ბგერათშეთანხმებით, სიტყვათა განლაგებით გაღმოვცე მუსიკალური ბგერაც, ფერიც, ემოციაც და თუკი ეს შესაძლებელია, განწყობის შესაბამისად დავხატო შინაგანი თუ გარეთა სამყაროს სურათიც...

ვითომ ასეთი იოლია ამ პრობლემათა დამუშავება, რომ დღემდე მომსწრო და ამერიკა ეს უმძიმესი ლოდი?

ჩემი მწერლური ბუნების თავისებურება გულწრფელია, თუ ეს თავისებურება შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ეს თავისება ყველა მწერალს უნდა გააჩნდეს; ჩემი პრინციპია — არსად არ გადავუხვიო, არ ვულგატო საკუთარ თავს, თორემ გალაკტონის თქმისა არ იყოს — „და როდესაც ის (პოეტი — ნ. ქ.) მოისურვებს დაუბრუნდეს თავის წინანდელ გზას, ვეღარ იპოვის...“

4. მთავარი ის არის, რომ შემოქმედა დღეს უცხოელ სტუმარს წიგნი შევთავაზო და ვუთხრა: აი, ეს არის ქართული პროზა, ეს — ქართული პოეზია, ბეშმარტად ქართული — არა პროვინციულ-კუთხური, არა ევროპული და ამერიკული სტანდარტების თარგზე შექმნილი, არამედ ჩვენი, განსხვავებული.

შომავალი ყოველთვის მართალი და ნათელია, რადგან რჩება მხოლოდ ის, რაც სიცოცხლის ღირსია.

5. ქართველ ხალხში ჭერ კიდევ ძლიერია მოხალისე კულტი. ქართველი კაცი (უმრავლესობას ვგულისხმობ) არ შეიძლება ყალბი იყოს დედასთან, განუდგეს და უღალატოს მამას. ჩვენში ყოველი ურთიერთობა გაგებასა და სიყვარულზეა აგებული. ტრადიციაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ისეთივე მყარია, როგორც ოდემდე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ თავისუფალი ლექსი ნოვატორობაა, შეშინდები. ასეთ დროს ყოველთვის მახსენდება ფილიპ ბეთლემელის ჩემთვის საყვარელი სტრიქონები: „ღამპრითა მით ბრწყინვალითა მიგვეგვივით, დედოფალო, ითხოვე შენ მოტყევა ბრალთა ჩვენთა, დიდებულო.“

პატოსან და წმინდა არს სახლი შენი, სანატრილო;

უბრალოდ, ყოველ ლიტერატურას თავისებური სტილი, აზროვნება, ფსიქური წყობა აქვს; ინდივიდუალურის წარმოჩენის გარეშე არც არსებობს შემოქმედება.

მართალია, შეიცვალა მწერლის მიდგომა ტრადიციასთან. დღეს, როცა შექსპირი ახლებურად, შეიძლება ითქვას, თანამედროვედ, აღღრღა ქართულ ცენზურაზე, ეს არც უნდა იყოს

განაკერი. საქამთოა? დიას, საქამთოა ეს ყვე-
ლაფერი, მაგრამ ისიც განათვალისწინებელია,
რომ თანამედროვე კაცის თვლი და გული იგრძ-
ნობა ძველისა და ახლის, ტრადიციულისა და
დღევანდელის ამ მჭიდრო ურთიერთობაში.

როსტომ ჩხეიძე

როცა ტრადიციასა და თანამედროვეობაზე
ჩამოვარდება სიტყვა, ყოველთვის მახსენდება
ტომას ელიოტის ესეი „ტრადიცია და პიროვ-
ნული ნიჭიერება“, სადაც ტრადიციის არსი
ყოველმხრივ, მკაფიოდ და შთანთქმავდაა
განმარტებული. მახსენდება იმითომ, რომ
ელიოტის ამ წერილში გამოთქმული მოსაზ-
რებანი ბევრ რამეს ხდის ნათელს და ეხმარე-
ბა შეიშქმედს, სწორად განსაზღვროს თავისი
აღგალი და დამოკიდებულება ეროვნულ
კულტურასთან, ამ შემთხვევაში, ქართულ
კულტურასთან. ძირითადი აზრი, რაც ამ ესე-
იდან შეიძლება გამოვიტანოთ, ისაა რომ ყო-
ველი ეროვნული კულტურა ერთიანი, მთლი-
ანი და განუყოფელია, ასევე ერთიანი, მთლი-
ანი და განუყოფელია ტრადიცია, და მცდარია
თანამედროვეობის მკვეთრად გამოჩვენა ტრა-
დიციისაგან, მისი ცალკე გამოყოფა.

ყოველი ახალი ღირებული ნაწარმოების
შექმნის შემდეგ იქნება ახალი ერთიანი წეს-
რიგე, რაც მთლიანობაში გაიზარებს ეროვ-
ნულ კულტურას საერთოდ და, კერძოდ, ლი-
ტერატურას უხსოვარი ხანდაწინ მოკიდებული
დღემდე; და რაც გადააფასებს ჩვენს შეხედუ-
ლებებს კლასიკურ თხზულებებზე.

ესეში ჩადებული აზრი რომ გავშალო,
ვიტყვი, რომ ყოველი ახალი მნიშვნელოვანი
ნაწარმოების შექმნის შემდეგ უკეთ წარმოჩ-
ნდება, უკეთ გამოიკვეთება ადრეულ თხზუ-
ლებათა მხატვრული თავისებურებანი, მათი
ჩვენთვის დაფარული და ძნელად ამოხაცნობი
ღირსებანი.

ხელახალი გადაფასების მერე მათთვის,
ვისც ამ გადაფასებათა მნიშვნელობას შეიც-
ნობს, ყველაფერი, ყველა ადრეული თხზუ-
ლება, გაცილებით უფრო მახლობელი ხდება
და ტრადიციის უწყვეტობასა და ერთიანობა-
საც უფრო თვალნათლივ ხედავენ.

ამგვარ გადაფასებანი ერის ცხოვრებაში
ხან ღამის წედიწედ ხდება, ხანაც — გარ-
კვეთელი დაყოვნებებით, მაგრამ ამას არსე-
ბითი მნიშვნელობა არა აქვს.

შეუძლებელია არ ჩავვაჭიროს ელიოტის
შეგონება, რომ „ტრადიცია... მემკვიდრეობით
არ ვაღმობიებო და, თუ გწავია, თავგადაკლუ-
ლი შრომით უნდა შეიძინო“, და მთელი სიძ-

მართო არ შეგვაგრძნობინოს, რომ ტრადიცი-
ის უწყვეტობის მიუხედავად, მისი ნაწილი თა-
ვისთვად და შექანიკურად ვერ გავხვედით
ტრადიცია, მთლიანი და განუყოფელი, ძი-
ებია ეროვნული ხასიათისა, მისი ესეთიკურ-
ბუნების თავისებურებებისა, ძიებია საკუთარი
ენისა, ძიებია და აღდგენის ცდა.

ტრადიცია თავისი ბუნებით თანამედროვე-
ობაა, ერის ერთიანი ცხოვრება და ტრადი-
ციების უარყოფა ან მასთან დაპირისპირება
ეროვნული თვითმყოფადობის უარყოფა, მას-
თან დაპირისპირება.

თანამედროვეობა ტრადიციისაგან მხოლოდ
პირობითად შეიძლება გამოვაცალკევოთ, რო-
გორც აღმნიშვნელი იმ გარკვეული მონაკვეთი-
სა, როცა ცხოვრება და მოღვაწეობა გვიხვე-
ბა.

ყოველივე ამის გამო, თუ თვალს გადავა-
ვლებთ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას, რო-
გორც სექსტიკურადც არ უნდა ვიყოთ გან-
წყობილი, შეუძლებელია არ ვიგრძნოთ, რომ
ეროვნული ქართული მწერლობის უმ-
დიდესს ტრადიციებთან თანამედროვე
ქართველი მწერლების დამოკიდებულება
უდავოდ ღრმა და სისხლბორცველი, რო-
გორც ჭირჭირობით ბოლო რგოლი იმ უწყვე-
ტი ქაჭვისა, რომელიც ჩვენთვის ძვირფასი სა-
ხელებით არის დამშვენებული; ესაა ორგანუ-
ლი კავშირი, რადგან სხვაგვარად მოწმენი ვიქ-
ნებოდით ჩვენი მწერლობის და შესაბამისად
ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და შეგნების
თანდათანობითი გამოფიტვისა და კვდომის
პროცესისა.

ამას აღამიანი, ვიდრე პირში სული უდგას,
ვერატრისიღებებით ვერ შეურიგდება.

ისე კი, ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას
ახსიათებს ყველა ის ნაკლი თუ ღირსება,
რაც ყოველთვის იყო ჩვენშიც და რაც ახსია-
თებდა და ახსიათებს ყოველი ქვეყნის ლიტე-
რატურას; და რომელთა ჩამოთვლაც მათი
ტრივიალურობის გამო, სრულიად შედეშტა,
მაგრამ უშთავრესი ნაკლი მაინც ის უნდა იყოს,
რომ ჭაღვე ხშირი მოვლენა გახდა პლაგიატო-
ბა (პლაგიატობა არამარტო სახეების, რითმე-
ბის, ცალკეული მხატვრული მიგნების, არამედ
სიუჟეტებისა და სტილისაც კი) და სხვათა
დამსახურების მიქმალა და მიყრუება. ამ მან-
კიერებათა ასეთი ფართო გავრცელება, რაც
ლოგიკური შედეგია ხალიტერატურო კრიტი-
კის არეული თუ სრულიად დაკარგული კრი-
ტერიუმებისა, ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს
უქმნის ჩვენს მწერლობას და მათი მხილება
ანუ სამართლიანობის აღდგენა უპირველესი
ვალი და გადასაჭრელი პრობლემაა ყველასათ-
ვის, ვისაც ჩვენი მწერლობის ხედი აღვლევს.

ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის —
რაკი ამასაც შეიძლებით — ყველა ცალკეუ-

ლი საკითხი და პრობლემა, რაც ქართულ ლიტერატურას ეხება, ამ ძირეული პრობლემის ირგვლივ იყრის თავს.

ამას გარდა ძალზე სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენს ქარგა ხანს, არსებითად მოწყვეტილი ვიყავით ევროპულ მწერლობას და, ბუნებრივი იყო, რომ ბევრი რამ, თვით დიდი ლიტერატურული მოვლენები, უმნიშვნელოვანესი ძვრები და სიახლეები, რაც ევროპაში ხდებოდა, სწორად ვერ შეგვეფასებინა და გავგეთვალისწინებინა, რადგან იქაური მწერლობის ექო, ამის თქმა დაბეჭდებით შეიძლება, ჩვენამდე მეტად დაგვიანებით და, თანაც, შეცვლილი, დაფანტული და გაბუნღოვანებული აღწევდა.

და ეს გახდა ფსევდოსიახლეების მოძალების უმთავრესი მიზეზი.

სურვილი მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობის „ევროპული, რადიუსით გამართვისა“ ანუ „ევროპეიზაციისა“, სურვილად დარჩა, რადგან მისი განხორციელების ყველაზე რეალური გზა (ყველაზე რეალური თავისი მასშტაბურობით) — თურნალ „კავკასიონის“ გამოცემა მხოლოდ წლების დასაწყისში, მალე შეწყდა, ხოლო გარკვეულ მიზეზთა გამო, დიდხანს სხვა ვერაფერი გამოჩნდა ისეთი, რაც ამ მიზნის იტვირთებდა.

აღმანახ „ზომის“ გამოცემა ამ მხრივ განახლების გარკვეულ ნიშანვებტად იქცა და მისი გამოცემის მნიშვნელობა, რაც დრო გავა, უკეთ გამოჩნდება.

არადა, უამისოდ არაფრით არ იქნებოდა.

ევროპეიზაცია ისევე ენაპირობება ჩვენს დღევანდელ მწერლობას, მის მომავალს, როგორც ეროვნული ტრადიციის ღირსეული გაგრძელება.

ერისა თუ პიროვნების ცხოვრებაში არაფერი ხდება შემთხვევით.

ყველაფერს გარკვეული კანონზომიერება და გარდაუვალი შინაგანი კანონები წარმარებას.

ყველაფერი, რაც ჩვენს თვალწინ მომხდარა და ხდება და რაც სივდის აღმძვრელი და გულსატკენია, ახეც უნდა მომხდარიყო; და ეს ისევე აუცილებელია, როგორც მისი შეცვლა აუცილებელი.

ლაპარაკი, ჭანხალი და ერთმანეთის, უფრო სწორედ, ქართული მწერლობის, მისი შორეული ფენების, დღევანდელობისა მთავარია, მისი მერმისის პატივისცემით გათხარი კამათი... ყველა მწერლის სურვილია, რომ ამ ყრილობაზე დაიხაზოს კონკრეტული, დროის შესატყვისი და შორს გამოწეული დონისიებანი, რომელთა შედეგადაც უფრო დაიწმინდება ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფერო; წიგნის თაროებს უნდა მოაკლდეს დიდი ტიპაჟით დასტამბული წიგნები, რომელთაც კემშარიტ მწერლობათან ხაერთო არაფერი გაჩნიათ... მწერლის ერთადერთი სიმდიდრე მისივე შინაგანი სიწმინდე უნდა იყოს, ხოლო ის მტკიცენული ფაქტი, რომ მწერლობა ბევრისათვის ფუფუნებისაყენ მიმავალ გზად ქცეულა, დროულად თუ არ ამოიძირკა, უფრო გაიზრდება ამ გზაზე შემდგარ დაღუნულ მოგზაურთა რიცხვი.

თანამედროვეობა ძალზე ღრმა და მრავალწანაგოვანი ცნებაა. თანამედროვეობა თავის თავში წარსულის იმ დიდ მოვლენებსაც გულისხმობს, რომლებიც არასოდეს ჰპარგავენ მარადიულობის ელფერს... ამიტომაც არიან თანამედროვენი შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვალაკტიონ ტაბიძე... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისინი გიგანტები იყვნენ და გიგანტებოდ დარჩებიან, მაგრამ სამყარო მხოლოდ გიგანტების მხრებზე როდი დგას, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და იღვწიან ჩვეულებრივნი, უბრალო ადამიანები, ჩვენი თანამედროვენი, რომელნიც თავიანთი ვნებებით ხაოკრად ჰგვანან იმ ადამიანებს, რომელთა შორისაც დადიოდნენ და ქმნიდნენ ზემოთ დასახელებული დიდი მწერლები...

თანამედროვე ადამიანის სამყარო — ეს ის დიდი ოკეანეა, რომლის ღამაზე დაინსლული სიღრმეებდანაც ყოველი ნიჭიერი მწერალი ბუნებისაგან მისთვის განკუთვნილ განძს იღებს (თუნდაც მცირედს), რომ მერე ისევე მათ, თავის თანამედროვეებს დაუბრუნოს, როგორც ძვირფასი სახსოვარი და გულთა სიახლოვის ნიშანი.

მ. თუ გულწრფელობის პრინციპს ვფერტგულეებთ, კითხვას უნდა ვუპასუხოთ, თუნდაც ბეწვის ხილზე გავლა მოგვიხდეს. ჩემი შემოქმედების უმთავრეს სახნად მე ადამიანი მიმჩნია. როდესაც მწერალი ადამიანზე წერს, იგი ამ უღამაზესი აქტი იმ ცასა და მიწას ეხმინება, რომელთაც ეს ადამიანი ეკუთვნის. ადამიანის სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს. საბედნიეროდ, ცოტანი როდი არიან ისეთი მწერლები, რომლებიც ცოტას, ან, ხაერთოდ, არ ლაპარაკობენ სამშობლოს სიყვარულზე, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი გრძნობს, რომ მათი მშვენიერი წიგნები არ

ვაჟა სორნაული

1. საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობა — ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც ყველა ინტერესით მოველით... არა მარტო ინტერესით, გარკვეული იმედითაც; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ყრილობაზე იქნება გულახდილი



დაწერებოდა, თუ არა ეს დიდი გრძნობა...

თანამედროვე ცხოვრების რიტმი ძალზე დაძაბული, ნერვიული და, ამავე დროს, მიმწიფილიცაა. დაძაბულ რიტმს თან ახლავს ტივილიც, ხოლო იქ, სადაც ტივილი აჩვენებს, არსებობს პრობლემაც... მე პირადად ბევრი პრობლემა მადლელებს (თუნდაც იმ სფეროში, რომელსაც მწერლობა ჰქვია), მაგრამ ერთი — განსაკუთრებით: ეს განსაკუთრებული დემოგრაფიის პრობლემა, ეს პრობლემა ჩემთვის იმდენად ახლობელი და მტკივნეულია, რომ მის მხატვრულ დამუშავებაზე ვერაფერს გეტყვით; მაგრამ თქმა იმისა, რომ მე ამ პრობლემას უხმოდ ჩავუვლი, არ იქნება მართალი.

ჩემი სამომავლო გეგმები, უფრო სწორედ გეგმა (თუკი ამას შეიძლება, გეგმა ეწოდოს) ახტია: ვწერო ხვალ უფრო უკეთესად, ვიდრე დღეს...

რას მივიჩნევ ჩემი მწერლური ბუნების თავისებურებად? ეს იმგვარი კითხვაა, რომელსაც მე ვერასოდეს ვუპასუხებ, რომელი ჭადარი იტყვის იმას, თუ რატომ არ ანოვო რჩალებს... ის, უბრალოდ, დგას და შრიალებს... თანაც ეს შრიალი მხოლოდ მასზე როდია დამოკიდებული: სივრცეში, რაღაც ღამაში და იღუპა... დი უნდა ხდებოდეს...

მ. თანამედროვე ქართული პოეზიის სამყაროში ბევრი რამ ხდება სანტიმეტრული და დამაფიქრებელი. ცხადია, ამ შემთხვევაში იმ პოეტთა შემოქმედება აგულისხმება, რომლებიც თანამედროვე ქართული პოეზიის დონეს განსაზღვრავენ, რომლებიც ამინდს ქმნიან.

თანამედროვე მკითხველს თავსწინ არ ხდება დიდი პოეტური სასწაულები, არცთუ იშვიათად ისინი ღამაში ხმები, ზოგჯერ საკმაოდ თამამიც და თავისებურიც, მაგრამ ისეთი რამე, რაც მკითხველს გააოგნებდა, ჩვენს სინამდვილეში არ შეიძინება... მაგრამ ეს ნაკლი სრულიადაც არაა საგანგაშო, იგი ბუნების კანონებითაა ნაკარნახები და ლოგიკური გამართლება გააჩნია: უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ყოველ (ან თუნდაც რამდენიმე) საუკუნეში იხადებოდეს შოთა რუსთაველის, ვეფხისტყაოსნის, ვალაქტიონ ტაბიძის რანგის შემოქმედი. არავინ იცის, ეროვნული გენები ქართული პოეზიის სივრცეს კიდევ როდის გააჩრადდნენ ახალი, გამაოგნებელი პოეტური სასწაულებით...

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პროზას, მისი დიდი ღირსებების დამადასტურებელია თუნდაც ის რეზონანსი, რაც მისი საუკეთესო ნიმუშების გამოკვეთებას მოჰყვა ჩვენს თუ უცხოეთის პრესის ფურცლებზე. აღბნა, სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ მომავალში ჩვენი საუკუნის ამ მონაკეთს ქართული პროზის უაღრესად ნაყოფიერ და თავისებურ პერიოდად მოიხსენიებენ...

თანამედროვე ქართული პროზა, პირველ რიგში, პრობლემათა მასშტაბურობითაა პრობლემათა სიღრმისეულ შრეებში ჩაღრმავებით ხასიათდება. მკითხველისათვის კარგად ცნობილ რომანებში ჩვენ, მართალია, იშვიათად ვხვდავთ იდეალურ გმირს (რომელსაც ხალხი კერპად მიიჩნევდა), მაგრამ, სამაგიეროდ, ვხვდავთ იდეალურ სამყაროს და ამ სამყაროში დანთავებული სიეთის ცეცხლს, რომელიც იგვიფა, რაც იდეალური გმირი.

მე ნაკლს იშვიათად ვხვდავ და იმიტომ კი არა, რომ ნაკლი, მართალია, იშვიათია... უბრალოდ, ყველაფერში კარგს ვეძებ. ასე ემართება იმ მოგზაურს, რომელიც ვარსკვლავებიანი ციფრებისა და სივრცის ჩრდილოვანი მხარეები აღარ ახსოვს...

ქართული პოეზიისა და პროზის მომავალი, ბუნებრივია, მთლიანად ქართული მწერლობის მომავალი იგულისხმება. მე მის მომავალში იქვი არ შეპარება, ვინაიდან — ექვით შევხედოთ ქართული მწერლობის მომავალს — ეს იგვიფა, ხერთოდ, ქართველი ერის მომავლისადმი გავიჩინდეს იქვი. ჩვენს ირგვლივ ბევრი რამ ხდება ისეთი (მიტოვებული სოფლებისაკენ მიხრუნება, ქალაქის ძველი უბნებს განახლება, ქართული თეატრისა და კინოს წარმატებები, ქართული მთარგმნელობითი სკოლის, მართალიც, სასიხარულო მიღწევები), რაც ქართველი ერის ამოუწურავ შესაძლებლობებზე მიგვიჩინებს და მისი მომავლისაკენ იმედია ითვალისწინებს.

მე მათ მხარეზე ვარ, რომელთა აზრითაც არსებობს მხოლოდ კარგად წერის ტრადიცია და მეტი არაფერი. თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობას გარკვეული სიმაღლე გააჩნია, უკვე თავისთავად ღაპარაკებს მომავალში მწერლობის დიდ ტრადიციებთან სიღრმისეულ სიახლოვეზე; სწორედ ამ სიახლოვითაა განპირობებული ყოველგვარი სიახლე, რასაც ჩვენს სინამდვილეში ვხვდავთ. კარგად წერა ნიშნავს, როგორც ტრადიციებისადმი ერთგულებას, ასევე განახლების გზით სიარულსაც. ვინც კარგად წერს, უკვე ტრადიციებთან სიახლოვეშია. ჩემს თაობას ამ მხრივ გარკვეული წარმატება გააჩნია, რის შესახებაც ლიტერატურულ პრესაში არაერთხელ ყოფილა საუბარი.

ტრადიცია მარადიული, ბრძენი მოძღვარია, მისი საუნჯე ამოუწურავია, ხოლო ამ საუნჯის უწმინდესი სინათლე არამარტო წარსულისადმი (ი. ი. ტრადიციებისადმი) განგაწყობს მოქრძალებით, არამარტო დაპურობილი მწერალების სიყვარულს აღვივებს ჩვენში, არამედ იმ გზების მიმართულებასაც გვაგრძნობინებს, ახალგაზრდა მწერლებმა (და არამარტო მწერლებმა) რომ უნდა გააჩნდნენ მომავალში...



სულხან ყორღანია

„შესვები“

მე ასე დავდეე
შენს სულს მდელვარეს...

შემოდგომაზე უძოს მთის მოთენთილ, მიწაზე მდებარე წიაღში, როცა ოქტომბრის მიწას წვიმასავით დასდის თავს მუხისა და რცხილის ოქროსფერი ფოთოლი შეიძლება აღმართოს თქვენში განცდა — მითიური ფენიქსი: სხივ-მოსილი და ბაეროვანი ჩაგქროლებთ იგი თვალწინ და შორეთში ჩაიფრფლდება. მრავალი მომხიბლავი სურათი წარმოიშვება ამ დროს თქვენს გონებაში, ამოცურდება მრავალი სახე, რაღაც უპასუხებს მაღალ სფეროთა ძახილს. მაგრამ არსებობს ის ერთადერთი ხე-ტი, ის ერთადერთი მომწესმეველი ხმა, რომლის სამშობლოც სხვისი სულია. ბედნიერების იდუმალ წამებში, შემოქმედებითი ეგზალტაციის ცივი, გამჭვირვალე ზვირთი ისე მალღდება ამ სულში ერთფეროვნების ოკეანეზე, რომ მისი მაცოცხლებელი სიგრილე და ბრწყინვალეობა თქვენამდეც აღწევს, თქვენც გწვდებათ, თქვენც გაჭაღოვებთ. ნუშის ყვავილები ბაბილონის ნანგრევებზე. ვინ შემოუშვა ისინი გულში, ვინ განიცადა მათი სურნელი და ფერთა გრძნეულება? ხმა გოლგოთასთან, ხმა ქვარის მონასტრის გალავანთან, ხმა კატამონთან. ვინ უხმინა მის სევდას, ვინ გაიტარა მისი ჭაღოქრობა სულსა და სხეულში? ვინ წაიკითხა უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე? ვინ გაიხსენა მზის მკრთალი ნათელი რუსთველის შუბლზე? ვინ ამოიცნო ჩვენი მთებისა და მიწისქვეშეთის, უფლისციხის, სამების, ვარძიის, გეგუთის, მცხეთის ხვამიადი? ირაკლი აბაშიძემ:

რა საიდუმლოს ინახავს ვანი?
ქვესკნელში ფერფლად ჩაშლილი ბანი?
რა სათქმელს მალავს გეგუთის ველი?
კოლხეთის მიწის სიგრძე და ვანი?
სამგორის მწვენი ყორღანი, ძველი?
რაზე სლდუმს ქართლი

უხსოვარ დღეთა?
რა საიდუმლოს ინახავს მცხეთა?
რვა-ცხრა კილომეტრის სიმაღლეზე დედაში-

წიდან, საერთაშორისო ლაინერის კომფორტაბელურ სალონში ირაკლი აბაშიძეს ის იშვიათი განცდა უნდა დაუფლებოდა, რომლის შემდეგ ადამიანს ნება ეძლევა ბედნიერად ჩათვალოს თავი სიცოცხლის ბოლომდე. ქვევით, სამხრეთის დიადი მზის ზვატით გადამწვარ ტრამალებს ოაზისები ენაცვლებოდნენ. შუამდინარეთის ბებერ გზებს ადევნებული ფიქრი შეუმჩინებლად გადადიოდა უცნაურ ხილვებში. მძინვარებისა და ტრიუმფის წლები, საუკუნენი ერთმანეთს აღნობდნენ, ლღვებოდნენ, უჩინარდებოდნენ. პოეტის მაქისციმა თითქოს სამუდამოდ ერწყმოდა ყველგან მყოფი ბუნების მძლავრ გრუნისფეთქვას. პოეტი განიცდიდა იმას, რაც, ბუნების ლოგიკის თანახმად, მხოლოდ მას უნდა განეცადა სამყაროს ამ მკაცრსა და მივარდნილ წერტილში: რუსთაველთან შეხვედრის წინათგრძობას. მაგრამ როგორ, რა გზით უნდა აღებებოდა მას ეს მშვენიერი წამი? დაემახსოვრებინა, შეესუნთქა, ფანტაზიაში შეეწოვა, მერე კი ასოციაციების მოვარდნილ შეწყურში მოესინჯა ის ერთადერთი სიტყვა, ის ერთადერთი ინტონაცია, რიტმი თუ ფრაზა, რომელიც ამ წამსა და განცდას მოერგებოდა? თუ ალღოთი განესაზღვრა ის ადგილი, რომელსაც ეს წამი ყველა ტონითა და ნახევარტონით, ყველა შუქ-ჩრდილით დაიკავებდა ჭერ კიდეც გამოუთქმელ განცდათა თუ დაუწერელ ლექსთა ქარგაში? ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. მთავარი ის არის, რომ პოეტმა ხორცი შეასხა ანსტრაქციას — შემოქმედებით კრედოს, ღვთის საცერში გასცრა, გაცხრილა აზრი, ემოცია, განწყობილება —

გადაუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...
ჭერ ალიზისფრად,
ნაკრისფრად,
ერთფრად

მოსდევდა ქვემოთ ტრამალს ტრამალი,
თითქოს სიცოცხლის ფესვნატამალი
მოეპსო ხვატის მახვილს მძინვარეს...

მერე უცერად

შუამდინარეთს

გადერა ფარია დილის მზისებრი...

გამოჩნდა ლურჯი თაზისები,

გამოჩნდა გზები,

ზღაბრად ქვეულის

ძველის, უხსოვარ ათასწლეულის.

გადაუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...

რუსთაველის ნაკვალევი, გზები ნარბენი თუ
 მაღლა წაფარენი, რეალური თუ წარმოდგენი-
 ლი, ეს შთაბარა, აქ ქვეყანა მოგონილა ირა-
 კლი ახაშისის მოგონებებით, „უცხვებით“ იწ-
 ყებს პოეტი რუსთაველზე დაწერილი ლექსე-
 ბის ციკლს, თუმცა არსად ახსენებს რუსთავე-
 ლის სახელს პირდაპირ და მინიშნებაც კი დი-
 ად წინაპარზე აღრე ვახუშტულზე ქართი მო-
 ტანილი ყვავილების სუნივით სუსტი და ფაქი-
 ზია. მიუხედავად ამისა, ეს ლექსი ამ პრიელუ-
 დიად, იმ უვერტიურად გვესახება, რომლის
 გარეშეც გაძნელებულა რუსთაველის აჩრდი-
 ლის ამოყვანა საუკუნეთა სიღრმიდან, სრულ-
 ყოფილი წარმოდგენა იმისა, თუ რას განიც-
 დიდა, რას ფიქრობდა გენიოსი სიცოცხლის
 უკანასკნელ დღეებში. ორი ინტონაცია იპუ-
 რაობს აქ ყურადღებას: წარსულის იდეალიზე-
 ბული, დიდებით შემოსილი გააზრება და სევ-
 და, ნოსტალგია წარსულზე, ნოსტალგია ქართ-
 ველი ერის ფერიფლადქვეულ ათასწლეულ ფე-
 ხვეზე. გადასვლა აქმულად წარსულზე რეფ-
 რენის შემდეგ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის,
 თითქოს პოეტის სულში უცებ აყვავდა ცოფ-
 რი მელოდია უძვირფასესი ფერებით, რამდე-
 ნიშე წაიბი გაიღვრა მთელმა სამყარომ, თით-
 ქოს პოეტმა იგრძნო, რომ მხოლოდ აწმყოთი
 მას სიცოცხლე არ შეუძლია, რომ სულიერი
 სიცოცხლე წარსულთან, მითთან, ისტორიასთან
 მჭიდრო კავშირში ხორციელდება:

გადაუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...

მიწიდან ცისკენ,

ვარდისფრად, თეთრად

დაღა იმ გამჭრალ კეპლის სვეტები,

უხსოვარ ბანზე დაფრთხნენ მტრედები,

ველებზე გაჩნდა ნიაჭარული

ელამთა ზღაბრულ ცენთა თქარუნი,

ყველა ლეგენდის, ყველა მითების

ყიფინა, ბორგვა ელამიტების,

და თრთოდნენ,

თრთოდნენ ნაცრადქვეული

ფესვები ჩემი ათასწლეული...

ქვეული ნაცრად, ქვეული ფერიფლად...

გადაუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს.

უვერტიურა რუსთაველის დიად სამყაროში
 კარის შედების წინ, სედაიანს და ზეაწეული.
 უცნაურად ემპარება იგი პოეტის ხეზნობას
 აღთქმულ ქვეყანაში. ვინ იცის, როგორ გადი-
 ოდა დრო, როგორ კლავდა, როგორ ღუპავ-
 და მგასანა წუთებს ყარბთა ცხოვრების მო-
 კრძალვებული წესით, როგორ უხმობდა დუმი-

ლით სიყრმის შეგობრებს — მესხეთის რიგ-
 ებნა და დაიხებს, მერამდენად ექიდებოდა
 ნაცნობ სახეებს: ცას, საიდანაც რაღაც განაწი-
 უთრებული სინათლე იღვრება, ღვინოს, რაღაც
 განსაკუთრებულად რომ დაქრავს სოფლის ვა-
 შლილი სივრცის, მიწის, ცისა და ტყის სუნი,
 რამდენიმე ხენა თუ ბუჩქს თვალს შერვეული
 პეიზაჟიდან, სამცხის ქედების განსაკუთრებულ
 სილუეტებს ჩამავალი მზის შუქზე. ყველაფერი
 ეს იყო ცნობა, ნიშანი წამოსული იქედან...
 ვინ იყო მისი მფარველი ანგელოზი ამ საში-
 ნელ წუთებში, რა იყო ის ძალა, ახატანს რომ
 ხდიდა მის სიცოცხლეს უცხოობაში? ტკივი-
 ლი. დიას, დამათრებელი სულის ტკივილი, სა-
 მშობლოს სევდა —

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია...

რა დიდ ფიქრშია,

რა მწველ დარღვა;

როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...

ვინ იცის,

როგორ მელის ვარძია!

როგორ მელიან თმოგვის კედლები...

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ირაკლი ახაშიდმ
 ბოლომდე გაიღწია ბუნებით მომადლებული არ-
 ტისტოში „რუსთაველის ნაკვალევსა“ და „პა-
 ლესტინა, პალესტინაში“. ვკითხულობთ ამ
 სტრიქონებს და ვგრძნობთ, თუ როგორ გაღ-
 მოდის ჩვენზე სხვისი სულის თრთოლა, რო-
 გორ ფეთქავს ჩვენს ძარღვებში სხვისი განც-
 და საკუთარ სისხლთან ერთად, ნოსტალგით
 განაწეულ წინაპართან ვიცივებთ თავს, ვიზი-
 არებთ მის ტკივილს, ვცდილობთ გავამხნევოთ
 იგი, გვერდით ამოვუდგეთ —

ვინ იცის,

როგორ მელის მესხეთი,

ვინ იცის,

როგორ მელის ვარძია!..

ბუნებამ ირაკლი ახაშიდმ მხატვრული შემო-
 ქმედების იმპულსური სურვილით დასაჩუქრა.
 ეპოქამ, გარემოებებმა თავისებურად გამოკვე-
 თეს, სრულყვეს მისი ნიჭის თავისებურება.
 სხვადასხვა დროს, მოწაცვლებით აღევლება
 და მას ხელმოწევისა თუ ტექნიკის, ომისა თუ
 მშვიდობის, უკვდავებისა თუ სიკვდილის, კაცთ-
 მოყვარობისა თუ მიწანთრობის, მითისა თუ
 რეალიზმის პრობლემა. უთვალავი განცდა, უთ-
 ვალავი აზრი მძიმე ტვირთად აწვა პოეტის
 გულს. მას არ შეეძლო ჩაემარხა იგი სულის
 სიღრმეში და განუწყვეტლავ ეძიებდა ფორმ-
 ებს, რათა მიეცა ემოციისთვის ფიზიკური ყო-
 ფიერება. მის საუკეთესო ლექსებში აზრის ხი-
 ღრმე ფორმის სისადავეს ერწყმის. რუსთავე-
 ლის ზემები არ არის პოეტის შინაგანი მონო-
 ლოგი, მიმართული საყვარელ აჩრდილზე, ესაა
 რუსთაველის ფიქრისა და განცდების გაღმო-
 ცემის ბრწყინვალე ცდა. „პალესტინა, პალეს-
 ტინა“...! უხმენთ რუსთაველს და თითქმის აღარც
 კი გქერათ, რომ არ შეუძლია აღმიაწას განი-

ცადოს სხვისი ტყვილი, თუკი საკუთარი თვალით არ იხილავს მას:

შენგან განდგომა,

ო, ჭვარცმული,

მე რად დამბრალდა,

მაღალ მწერგვალთა სალოცავო,

ხატო ნაპარალთა,

ძლეულთ ნუგეშო,

დავრდომილთა თავშესაფარო,

მაშვრალთ იმედო,

ანთებულთ ბნელში ლამპარო,

არას მქონეთა სავანებურო,

დიდო ზაფხულო,

მიზანთ მიზანო, უმაღლესო,

რწმენით ნახულო.

იშვიათად თუ შეხვდებით ლექსს, სადაც მედიტაცია ყოფიერების არსზე. უკვდავისა და მოკვდავის, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთიმიმართების განსჯა ასე ორგანულად ეხამებოდეს ლირიკულ ნაკადს. ლირიკა ლექსში „ხმა ჭვარის მონასტრის გაღაჟანთან“ რუსთაველის მსოფლმხედველობის სიღრმიდან ამოდის, ემოცია და რადულექსია ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს აზუსტებენ. უცნაურად ამაღლებულია აქ გამოთქმული ფილოსოფია რუსთაველისა, ამაღლებულია არა მარტო გამოთქმის ჰაეროვნებით, მხატვრული ფორმით, არამედ მეცნიერული სიღრმითა და დამაჭერბლობითაც. შალვა ნუცუბიძე, ასე ბევრი და ღირებული რომ გააკეთა რუსთაველის მსოფლმხედველობის გახსნაში, შორსგამჭვრეტლობით შეინიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რაინდობისა და სიყვარულის მიღმა იმალება მთავარი, დიდი ჰუმანისტური შინაარსი, ადამიანის ბედის პრობლემა, უფართოესი ფილოსოფიური აზრით. „მან იცის, რომ ადამიანური სამყარო წამებისა და ზრუნვის სამყაროა, — ამბობს მეცნიერი რუსთაველზე, — მაგრამ იმავე დროს ისიც იცის, რომ ადამიანის ბედი შინაც ამ ქვეყანასთანაა დაკავშირებული, რომ... ბრძოლა ბედნიერებისა და სიყვარულისათვის ამქვეყნიურია, ყველი მისი უკუღმართობებითა და დაბრკოლებებით...“ კაცთმოყვარეობა, ზნეობის კულტი, ცოდვასთან, უზენობასთან უკომპრომისო ბრძოლა თავისთავად, პრინციპულად არ გამოირიცხავს ზორციელ, ამქვეყნიურ ბედნიერებას:

შენმა განგებამ

შენმა მცენებამ

მართლად წარმმართა,

შენ ამაშორე

ბიწიერი

წარყვნა წარმართთა,

შენ ჩამაგონე ზეციური:

„ღმერთი შენვია“ —

ეუბნება ირაკლი აბაშიძის რუსთაველი მაცხოვარს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იმარჯვებს გარემოებებზე, ბედისწერის მიერ მისთვის მო-

ხაზული საზღვრების გარეთ იმყოფება, გამოთქვამს აზრებს, ყველა დროსა და ადგილსა და საუკუნესა და ერს რომ ეკუთვნის. არაქვეებს დროზე, ვინაიდან მის მაღალსა და წმიდა წიგნში ადამიანის დიდი იდეა გამოხატული, დღესაც მისაწვდომი, დღესაც გასაგები ჩვენი ჰუმანური გრძნობებისათვის.

ცოცხალი არსების ძირითადი აქტიურობა სიცოცხლის შენარჩუნებისა და გამარკვლების თავდაპირველი მოთხოვნილებით განისაზღვრება. ყველა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, ადამიანი, იკმაყოფილებს რა ამ მოთხოვნილებას, ფანტაზიის მეშვეობით, წარმოსახვის უნარით ისწრაფის ყველაფრისაკენ, რისი მიღწევაც მას შესაძლებელი ეჩვენება. მთავარი ემოციური სხვაობა ადამიანსა და ცხოველს შორის ისაა, რომ ადამიანის ზოგიერთ სურვილს, მის ზოგიერთ მისწრაფებას, ცხოველის მისწრაფებისაგან განსხვავებით, საზღვარი არ გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი სურვილი ადამიანისა ქრისტიანული რელიგიის ყოვლისშემძლე ღმერთთან გათანაწორების სურვილი იყო. ადამიანის გონება ზოგჯერ უარყოფდა შიშს ღვთის წინაშე, უარყოფდა ადამიანური შესაძლებლობების ზღვარდებულ ხასიათს. ამიტომ იყო, ალბათ, რომ დასავლეთის ზოგ მოაზროვნეს გონება, ინტელექტი, წარმოსახვის უნარი ადამიანის დაღუპვის, მისი განადგურების საწინდრად მიაჩნდა.

თუკი მე ფანტაზიის წყალობით შეეცდებოდა რუსთაველის ეპოქის წარმოდგენას, წარმოდგენილი ჩემივე რაობის ანარქიული იქნება, ვინაიდან ყოველი ეპოქა საკუთარი საზომით აფასებს წარსულს. ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, ჩემი სურვილი, რა მანძილითაც არ უნდა ვასცდეს იგი ჩემს მე-ს, ისე დამიბრუნდება, როგორც უბრუნდება ზეატყორცილი ქვა დედამიწას. ამიტომ არის ასე მკაფიო ირაკლი აბაშიძის ესთეტიკური თუ ეთიკური მრწამსი რუსთაველის ხმებში „პალესტინა, პალესტინადან“:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაელო მტკერი ყველა დიდ სხოენას,
დააყდეს აზრი ნაპოვისს პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედვას ფეხი,
მხოლოდ შენ, უქცრობს,

შენ, ხატად ქცეულს,

რა დრო, რა დასცემს

შენს უკვდავ სხეულს?

ენისადმი, მეტყველებისადმი, სიტყვისადმი კაცობრიობას ოდითგანვე ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. მეტყველების ღმერთებთან გაიგივებას ვხვდებით ჭარ კიდევ ვედებში, ინდოეთის უძველეს ლიტერატურულ ძეგლში, ადამიანის სულიერი ცხოვრების გარიჟრაჟზე. აქ მეტყველება აზრთან და სუნთქვასთან ერთად ატმანის, საყოველთაო სულის, აბ-

საოლტური გონების ძირითად ელემენტად ცხადდება. ორი ათასი წლის შემდეგ „იონის სახარებაში“ სიტყვისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო საკარალურსა და მაღალ მნიშვნელობას იძენს. თუკი ვედებში მეტყველება და მხედველობა ერთნაირად ფასდება, ზოგჯერ კი მხედველობას აშკარა უპირატესობაც ეძლევა, ქრისტიანულ რელიგიაში ყველა გრძნობათა ორგანოს შორის მხოლოდ სმენაა თავანისცემის ღირსი. როცა ვითვლივთ „ხმა კატაქონთან“¹, ვგჯერა, რომ რუსთაველისთვის მშობლიური ენა ისეთივე ღვთაება უნდა ყოფილიყო, როგორც მამა-ღმერთი ან მაცხოვარი იყო ჰემშირითი ქრისტიანისთვის. ამიტომ არის, ალბათ, რომ მშობლიური ენისადმი მიმართული მისი მონოლოგი შინაგანი სიმძაფრითა და ემოციურობით უცნაურად უსალოვდება მორწმუნის ექსტაზორიულ ლოცვა-ვედრებას. ირაკლი აბაშიძის წარმოსახვაში რუსთაველისთვის ქართული ენა არის მწარე ლინინცა და ტკბილი ხედვაც, ყოვლის მთქმელიცა და ყოვლის არმთქმელიც, წინ გამხედვეი წარსულის ძეგლი, ქვესკნელში მძრომი და ცაში მჭერტიცი, აკვნის ბიშინცა და სამარის ცრემლიც, ნიჰიც, სრბოლაც და ფრენაც, სუნთქვის დიდი ალამი, ჰირთა ტკბილი მაღამო; უტკნობი, ხატად ქცეული; უცვლადი სხეულის მქონე არსება. შეადარეთ ამას ქრისტიკის დამახასიათებელი ეპითეტები ლექსისა — „ხმა ჯვარის მონასტრის გაღვანთან“², აღარაფერი რომ არ ვთქვათ „ახალ აღმქმასა“ და რელიგიურ პოეზიაზე ხაერთოდ — მაღალ მწვერვალთა ხალოცავი, ნაპრაღთა ხატი, ანთებული ბნელში ლამპარი, დიდი ზეფხული, მიწანთ მიწანი უმაღლესი, უპოვართა საგანძფერი. რუსთაველის დამოკიდებულებაზე ქართული ენის მიმართ სწორი სულიერი თვალსაზრისის გარდა, ირაკლი აბაშიძემ მიაგნო არანაკლებ სწორ, ბუნებრივ რიტმსაც, რაღაც განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ დამახულებობას:

— ო, ენაე ჩემო,

დეღაო ენაე,

შენ ჩვენო ნიქო,

სრბოლაც და ფრენაც,

შენ, ჩვენი სუნთქვის დიღო ალამო,

შენ, ჰირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,

შენ, კირო ჩვენო ქებაო და კირთა,

შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,

მეგობარს ათასს,

მრუდსა და მართალს,

მტერთა და ძმთა

დაეშორადი.

მორჩა,

ყველა მოთავდა;

მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,

მხოლოდ შენ უკვდავს,

მხოლოდ შენ მარადს,

შენ — ერთს,

შენ ვერ ვთმობ

სამარის კარად.

თითქოს არც ისე ბევრი სიტყვა დაიხარჯა მშობლიური ენის ქებათა-ქებაზე, მაგრამ რამდენადაც ამ პეკარებში გამოიხატა შემოკმების უღრმესი აზრი და განწყობილება, გონებიდან გამომდინარე, აუცილებლობის კანონით განმტკიცებული რწმენა, ამდენად ეს რამდენიმე პეკარი შეიცავს თანმიმდევრულ, ერთმანეთთან ასოციაციურად დაკავშირებულ იდეათა უსასრულობას, შეიცავს მშობლიური ენის მთელ თეორიას, როგორც პატარა რკო უზარმაზარ მუხას.

ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ეპოქა საკუთარი საზომით აფასებს წარსულს, წარსული ჩვენს ფანტაზიაში ჩვენივე არსის ანარქელია. ეს მართლაც ასე უნდა იყოს აუცილებლობის, წმინდა გამოხატვის კანონებიდან გამომდინარე. ირაკლი აბაშიძის მიერ წარმოდგენილი სულიერი თვალსაზრისი რუსთაველისა შეიცავს რაღაც პირადულს, ინდივიდუალურს, განუშერებელს, ისეთს, რაც ჩვენს საუკუნეს ეკუთვნის მხოლოდ. და თუკი გონებში ვჭრებთ, დედუქციური დაწასვეი სწორია, ემპირიული ფაქტი, გამოცდილება აუცილებლად დაადასტურებს მას, რადგან ცხოვრებისეულ, ისტორიულ ფაქტსაც მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ცნებებს წარმოშობს აღამაინთა გონებაში. რუსთაველის მიერ მშობლიური ენის უცვლად სხეულად წარმოდგენა, მისი უშაღდეს ფსიქოლოგიათა კატეგორიაში აუვანა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ქართული ენა თვითონ არის შემოქმედებითი სულის ქვეცნობიერი გამოხატულება, აღამაინის გეგმაშეწომილი, ცნობიერი ნებისაგან დამოუკიდებელი ფენომენი, უდიდურესად თვითმყოფადი, წამაძველობისაგან თავისუფალი მოვლენა. ამიტომ ვიტყვით, რომ მშობლიური ენის ასეთი განცდა-გაზრება ყველა ეპოქის ჰემშირით პოეტს ახასიათებს. ვერ ჩააქრობდა ამ სიყვარულის ალს ვერც საეკლესიო დოგმატური იდეოლოგიის სულისშემბუთველი ატმოსფერო, ვერც საუკუნის სქოლასტური წარმოდგენები ენასა და ხელოვნებაზე, ვერც მეფეთა და დიდებულთა დარბაზების გადამდები უზრუნველობა, ვერც მწირის ცხოვრების მოკრძალებული წესი უცხო ქვეყანაში. რუსთაველი გაურამიშვილია და ვაუ-ფშაველას დროში ვააღმერთებდა მშობლიურ ენას, ვინაიდან ენა და გენიოსის სულის ამონაკენები განუყოფელია ერთიმეორისაგან, ბუნებახავით უკვდავია ორივე, ორივე ხელოვნების უკვდავ კანონზე დაფუძნებული, ორივეს არის შემოქმედებითი სულის ხიდრმე-შია ჩამარხული და არა ამა თუ იმ ეპოქის თუ ხალხის წარმავალსა და პირობით წარმოდგენებში ცხოვრებასა და ხელოვნებაზე.

ირაკლი აბაშიძის მხატვრულ სამუარში



ვხვდებით ადგილებს, სადაც ქრება განსჯა და იხადება ემოცია, სადაც რეფლექსია, სული მოკრძალებით უთმობს პირველობას ინსტინქტსა და ნებას, რათქმუნ პოეტსა და სამყაროს შორის გაჩნდა თვით ურეველო ერთობა, რაღაც მარმონია, თავის მხრივ რომ შობა სიყვარული ადამიანსა და რეალობას შორის. სიტყვის ციალი ამ დროს ყველაფერზე გადადის, სიტყვა გვარწმუნებს, რომ ადამიანის ტკბობას ფიზიკური ყოფიერებით, მის აღტაცებას ბუნების მშვენიერებით ბოლო არ უჩანს. ყველაგან, წვიმიან და ზღვის სუნით გამოხარ პაერში, ნაკადულის უსასრულო მელოდიაში, დაისის თვალბედით ანაშუქში გვაზიარებს პოეტი ბუნებას, რათა შემოვწყვედოთ მას მთლიანად, მივიღოთ ცხო უკლებლივ, დასაწყისითა და დასასრულით. იტოვრების ტალღების ერთიანი, განუწყვეტელი ხმაური ამ დროს ყველას ყურამდე აღწევს, ჩვენც ვიწვით ხარბად ყველაფერს, რასაც აღვიქვამთ:

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერეი,
გულში ვიკრავდი ამ ტკბობის მზიანეთს,
მსურდა წამელო ყველა სიამე,
ყველა სიმწიფის მენახა გემო...
სიგარე და განი... ზემო და ქვემო...
ვერ შეველიე აპრილის დღეებს,
ლურჯ კონიდარზე ტყელების ფთილებს,
მეძახდა ჩემი ღობითიერეთი,
ჩემი პირველი ზღვა და ხმელეთი,
ჩემი ბავშვობის გამშრალი ნამი...

ბილინერებისკენ იმპულსური ლტოლვის დათრგუნვა, ირძნობითი სიამოვნებისკენ გაუცნობიერებელი სწრაფვის ჩახშობის იმპერატივი დეკადანსის ფორმულიდან ამოდის. აღმავალ ცხოვრებაში ბედნიერება და ინსტინქტი ერთია. არასახურველია და შეუძლებელი ბუნების უარყოფა სულის განუსაზღვრელი ამაღლებით, ბუნების ბარაქისა და უცოდველობის არად ჩაგდება და განუწყვეტელი თავყანისცემა ინსტიტუტთაღორე აქტივობისა, მისი აბსოლუტში აყვანა. ზოგჯერ აუცილებელიც კია ინსტინქტის შეშლილი აღმაფრენა, თავდავიწყება, ქაოტური, მარადმშფოთფარე სამყაროს შინაორეული სიყვარული:

მინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს —
როგორც მინდოდა,
მინც გამისხლტა ის პირველი სუნთქვა
მინდროთა;
ისევ წაიღო უსაზღვრობამ
ხვედრი თავისი
და ტინის გუბებზე
ისევ ჩებვით მიდის მისი.
მინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს —
როგორც ვნატრობდი,
ისევ გამიზრჩა ღობზე გახსნა

ზეცის ტატნობის,
ისევ გამექცა ვარციხესიან
ღვირთი რიონის
და ტრიალ კოლხეთს
ისევ ის მზე
წვავს მილიონი.

მართალი უთქვამს ფილოსოფოსს — ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ მიკროსკოპშია დიდი, სინამდვილეში კი დროისა და სივრცის ლინზით გადაღებული წერტილია. ამიტომაც არ ტრიალთა პოეტს რეფლექსიისათვის, თავიდან სიყვარულამდე დაატყვევა იგი ბუნების აულაგამავა თავნებობამ. ეს არის სხეულისა და ბუნების, ქარის, ჩანჩქერის, ბაღების, მთების, ცისა და ზღვის საოცარი შერწყმა. თუმცა სხეულის ქორწინება ქარსა და მზეზე სულაც არ ნიშნავს სულის, გონების უშუალო უარყოფას, რადგან იმიტომ სცემს ადამიანი ბუნებას თავყანს, რომ უსივარი დროიდან საკუთარი, რაობის ანარეკლს ხედავს მასში, უყვარს ბუნება როგორც შესაძლებლობა იმ სურვილთა, იმ მოთხოვნისა განხორციელებისა, რომელთა გარეშე ვერასოდეს იქნება იგი ნამდვილი სრულყოფილი ადამიანი; უყვარს ბუნება ფილოსოფიური თვალსაზრისით, ვინაიდან ვერ იარსებებს მის გარეშე, უყვარს ბუნება მხატვრული თვალსაზრისით, ვინაიდან იგია მისი ესთეტიკური ტკბობის ობიექტი, უყვარს ბუნება ზნეობის თვალსაზრისით, ვინაიდან ბუნებაში ხედავს ყოველგვარი კეთილისმყოფლობისა თუ მადლიანობის საწყისს. პოეტის ზიარება მინდვრებსა და ზვრეთთან, მთებსა და ცაბთან არასოდესაა მთლიანად მოწყვეტელი ზნეობას, ვალდებულებას, მედიტაციას, სულს. იქაც კი, სადაც მისი მორალური გონება თითქმის მლიანად განიდევენა ზორციელი სიამოვნებისკენ სწრაფვით, ინსტინქტით, სადაც ფიზიკური შეგრძენება საოცრად წმინდაა და მკვეთრი, მაინც შეიშინება ქვრეტის ელემენტი, გონების ჩუმი აქტიურობა:

ვერ შეველიე ალაზნის ნაპირს.
საინგილოში ავარდნილ ნადირს,
— ქაბ! — გუგუნებდა გაღმიდან გაღმით,
და რომ მეგონა გათავდა ექო,
ერთს კიდეც სადაც დაკენესდა ნადვლით,
ალბათ სიცოცხლე არც იმ ხმას ეყო...

სულაც რომ არ დამთავრებინა პოეტს ეს ლექსი ფილოსოფიურ-ირონიული კითხვით: წაყვება თუ არა მოკლავს რაიმე ხაჟიხთ ამ ქვეყნიური სიამტკბილობიდან, ჩვენ მინც ამოვიკითხავდით ამ მშვენიერ პქარებში ფიზიკური სიცოცხლით გაულმადრობის მარადიულ პრობლემას. დიახ, ირაკლი აბაშიძის ლირიკულ გმირი არასოდესაა ამოკლებილი ზნეობის, სულის, მედიტაციის სამყაროდან მთლიანად, არასოდესაა ბოლომდე გახსნილი ფიზიკურ გარესამყაროში. ამის კონკრეტული დადასტურება, სხვათა შორის, ექოს დახვეწილი გასულდ-

გმულებაც ვახლავთ ციტირებულ სტროფში. ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში ვხვდებით ლექსებს, სადაც ამა თუ იმ ცხოვრებისეულ, ზნეობრივ, ფილოსოფიურ საკითხზე მსჯელობას ერთ ტაქსში მოჰყვება ბუნებასთან იმპულსურა შერწყმა, პეიზაჟთან ზიარება მეორეში. ამის ტიპური მაგალითს წარმოადგენს ლექსი „ჩვენი მთები და მიწისქვეშეთი“. ეროვნული სულის, ეროვნული ფესვების ძიებას, საუფუნეთა დიდებული კავშირის საიდუმლოს ძიებას მშობლიური ბუნების წიაღში მიჰყავს პოეტი. არა ერთხელ და ორჯერ შესდგომია იგი ამ ძნელსა და შორეულ მოგზაურობა ანა ერთხელ და ორჯერ ცდილა ჩაწვდომალა გარნებით სამშობლოს ხელს. შედეგი — ფუნჯის ზუსტი, მკვეთრი მოსმით შობილი ტილო ლირიკული ფერმწერისა, ოდესღაც განცდილის, ფანტაზიაში შემოხანსულის რეალზად ქცევა მკითხველის თვალწინ:

ასე დაგეძებ
მიუვალ მთებში,
სადაც ჩანჩქერთა გაბმული თქვენი
საოცარ სმენით
შერჩეულ ხმებში
ერთ დიდ სიმღერად
უხმოს ხეობებს.
სადაც ბუნების ნიჭი და ეშბი
ერთად მოგაწვდის უთვალავ პეშვით
სიზმრად უნახავ სანახაობებს.

ირაკლი აბაშიძის ნებისმიერ ლექსს ვუახლოვდებით, ვიმეცნებთ და ვფასებთ არა როგორც ხელოვნების მატერიკს მოწყვეტილ კუნძულს, არა როგორც ავტონომიურ, დამოუკიდებელ მოვლენას, არამედ როგორც კონტექსტთა ერთობლიობის ორგანულ ნაწილს, ლირიკული მედიუმის, თემატურის ციკლის, იდეოლოგიის, პოეტიკის რაღაც კონკრეტულ, სპეციფიკურ, განსაკუთრებულ გამოვლინებას. მისი ლექსები ძირითადად ერთიდაიგივე სამყაროს განეკუთვნებიან, ძირითადად ერთიდაიგივე სუბსტანციიდან არიან გამოძერწილი, თუმცა კი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ფსიქოლოგიური ტონალობით, ტემპით, სიტუაციებით, მიზნოლოგიებით, განცდით, სიმბოლოთი თუ განწყობილებით. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ბერძენ ლექსი ერთიდაიგივე სამყაროს ერთეულია, როგორც ხელოვნების ნიმუში, იგი მთლიანად ახალი მოვლენაა, ახალ სტრუქტურას წარმოადგენს, ვინაიდან მასში შემავალი პოეტური აქსესუარები სულ ახალსა და ახალურთიერთდამოკიდებულებაში იწყობებიან. ასე რომ, ერთ სტრუქტურაში შედარებით შეუმჩნეველი პოეტური ფიგურა, ტროპი თუ პროზოდის რაიმე ელემენტი მეორე სტრუქტურაში თვალშისაცემი ხდება. ირაკლი აბაშიძის პოეზიას საერთოდ ახასიათებს სიტ-

ყვის, სიტუაციურობების, პეკარისა ან სტროფის დაფინებული გამოვლინებით შობილი, ემოციის, პათეტიკის გამაღიერებელი „შეძვლიველი“ ელემენტი, სასიმღერო ინტონაცია, სიმეტრია, მუსიკალობა. მას რომ მხოლოდ ისეთი ლექსები დაეწერა, როგორცაა, „ფერადი შემოდგომა“, „სული მდევარი“, „სული დამცველი“, „ხმა ჭვრის მონასტერში“, „ხმა თეთრ ხენაქში“, „ხმა გოლგოთასთან“, „ქაერები რიონის ხეობაში“, „შენ დავტოვებ ჰეგელზე ღამას“, „ახალი მთვარე რომში“, „იწვის აპრილი“, „არა გაზაფხულზე“, „მისხეთს“, „ცა აფხაზური“, „შირაზი ცაში“, „სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე“, „დედუღეთი“, „ნუშის ყვავილები ბაბილონის ნანგრევებზე“, — მაშინაც კი უცნაური იქნებოდა მის ნიმუში რაღაც განსაკუთრებული, გამოკვეთილი სიმეტრიულობის, განსაკუთრებული სასიმღერო ინტონაციის შემჩნეველობა. მაგრამ რას ვიტყვით ისეთ ლექსებზე, როგორცაა „ალაზნთან“, „აქ დავსახლდები“, „მალხა“, „მე ვილი სიზმარს“, „სიყვარულისთვის“, „ჩვენი მთები და მიწისქვეშეთი“, „მანც ვერ შევხვდი ამ გაზაფხულს როგორც მინდოდა“, „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“, „ვერადერს ქვეყნად ვერ შევიღო“, „ლექსს, ჭერ უთქმელ ლექსს“, „სტრიქონში სიტყვა სულ არ დასწერო?“ — ამ ლექსებს შემეფანტული საერთოდ არ სჭირდება; ისინი თვითონ აფასებენ თავის თავს, თვითონ მტკიცებენ დიდსა და ხალხს ნიჭზე. ხოლო რაც შეეხება „ხმას კატაპონთან“, „ვინ იცის როგორ მელის ვარძიასა“ და „ფიგურებს“, ეს ლექსები არა მარტო ირაკლი აბაშიძის, არამედ საერთოდ ქართული პოეზიის მშვენიერს წარმოადგენენ. განმეორების გარდა „ფიგურებში“ ირაკლი აბაშიძე მიმართავს კიდევ ერთ, მისი აზროვნებისათვის ჩვეულ, ტიპურ მხატვრულ ხერხს: საკუთარი სახელის ჩამოთვლას, ერების, ქვეყნების, მდინარეების დასახელებას. შესაბამის კონტექსტში საკუთარი სახელის ხსენებას, განსაკუთრებით, როცა იგი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი სახელი იყო, არა ერთგზის მოუტანია მისი ლექსისთვის სასურველი ეფექტი. გავისხვით თუნდაც ვარძია, ჭვარი, სამება, უფლისციხე, ვანი, გეგუთი, კოლხეთი, სამგორი (სამგორის მწვანე ყორღანი ძველი), მცხეთა ლექსში „ჩვენი მთები და მიწისქვეშეთი“, ხერთვისი, თმოგვი, ხანძთა ლექსში „მისხეთი“ და მრავალი სხვ. გასაკვირი აქ არაფერია. ასეთი სიტყვები თავისთავად შეიცვენ ქართული მკითხველისთვის ესთეტიკურად და ეთიკურად ხანუკვარ აზრს და შესაბამისად დამუშავებულ პოეტურ კონტექსტში ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენენ მასზე. მაგრამ აქ, ამ უნიკალურ ლექსში, მკითხველი ხვდება მისთვის საკმაოდ უჩვეულ დასახელებებს, ეგზოტიკას, ისტორიას, წარსულს: ტიგროსს, ევფრატს,

შუამღინარეთს, ურარტუს, ქალღეს, შუშერებს, ხეთებს, ელამიტებს. მისუხედავად ამისა, შთაბეჭდილება დღეა. თქვენ არ გამთხარხართ ტი-გროსის ტაღლებში, არასოდეს ყუფილხართ შუამღინარეთში, თვლით არ გინახავთ ქალღე, შეიძლება პირველადაც კი გეგნით ელამიტებზე, მთელი ეს სამყარო შეიძლება პირველად გამოჩნდა თქვენს თვალწინ ამ პუკარტში ხი-ლოლი იღვის სახით, მაგრამ ეს იდეა ისეთ ილ-უზის გეგნით, თითქოს რეალურ, ფიზიკურ საგნებზე უფრო მატერიალური იყოს, თითქოს მის მიღმა მყოფი საგნები მხოლოდ უფერული ასლები იყვნენ ლექსში მოცემული რაობებისა. იშვიათ შემთხვევაში თუ მისწვდება პოეტი იმ დონეს, როცა ხისადავ, ხიკეთ, ხილაშაზე და ქემშარტიცა ერთმანეთს გადადის, ერთმანეთს ერთვის, როცა უცხო, ეგზოტიკური და შეიძლება ძნელსაცნაური სიტყვები ისეთ სია-მაყესა და სინაურს, ისეთ წინათგარძნობას, სევდასა და შფოთვის უნერგავს მკითხველს, რომლის მაზენიც მან შეიძლება ხერხიანად არც კი იცოდეს. ორი თიუელი წლის წინ გა-ათხო პოეტმა ვანცლით ეს სიტყვები, და აი, ეხლა უკან გვიბრუნებენ ისინი ამ სიტხოს, რო-გორც გვიბრუნებს კლდე შებინდებისას დღი-სით შეწოვილ შვის ენერგიას:

გადავფერინეთ ტიგროსს და ევფრატს...
და ძირს,

ქვეული ნაცრად და ფერფლად,
განათდნენ უცხო. ფოლიანტები —
ურარტუს თეთრი გოლიათები,
ციხე-კოშკები ძველსამხრეთული,
ძველშუმერული, ძველი ხეთური;
დალაგდა თეთრად,

ზღაპრად დალაგდა

კედლები ქალღეს გამქრალ ქალკათა.

არაფერი უნდა იყოს ლექსის შინაარსზე, ლექსის ღირსებებზე კრიტიკის პროზაული ენ-ით მსჯელობაზე უფრო ამაო, უფრო ძნელი და უმადური. კრიტიკა ცდილობს, დაანახოს მკითხველს ხელოვნების ნიმუშის ერთიანი იდეურ-ესთეტიკური ღირებულება, დაარწმუნ-ოს მკითხველი ამ იდეურ-ესთეტიკური ღირე-ბულების რეალობაში და ამისათვის ჩვეულე-ბისამებრ ლექსის, მოთხრობისა თუ რომანის ცალკეულ, განსაკუთრებულად ძლიერ ადგი-ლებს მიმართავს ხოლმე. მაგრამ ცალკეულ ადგილებზე აქცენტის გამაზნობა, ისეთი ნა-წარმოების საუკეთესო ადგილების ციტირება და კომენტირება, რომლის მხატვრული არსი სწორედ ყველა ელემენტის ერთიანობით, ყვე-ლა ნაწილის ურთიერთშეღწევითა და ურთი-ერთკავშირით წარმოიშვება, ძნელად თუ აღ-წევს საურველ ეფექტს. ამიტომ იყო, „ლბათ, რომ „ფეხვების“ ანალიზისას იძულებულნი გა-ვხდით, რაღაც ჭვეცნობებით თუ სულაც გა-უცნობიერებელი ძალის კარნახით, არაფერი

დაგვეტოვებინა ციტირების გარეშე. და აი, ეხლა, როცა უკვე დავყავით პოეტური შედეგ-რის ცოცხალი სხეული სამ ნაწილად, რაღაც საპირო ვახდა მთავარი, ვაღამწვევით, საზო-ლოო დასკვნის გაკეთება, ისევე გვიჩნდება სუ-რვილი ლექსის მთლიანობაში ციტირებისა, რა-დგან საოცრად მნიშვნელოვანია მისი თითოეუ-ლი სიტყვა, საოცარი ასოციაციებს გვთავაზობს მისი თითოეული პუკარი, საოცარი ფერებით ციალებს, საოცარი პოეტური ენერგით ფეთ-ქავს მისი თითოეული სტროფი. მისუხედავად ამისა, იძულებული ვართ ისევე ცალკეული ელ-ემენტის ანალიზით წარვმართოთ ჩვენი მსჯე-ლობა. ეს ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ფეხვები“ ყურადსაღებია, ჭკუის სასწავლებელი მხატვრუ-ლი ნაწარმოებია. იგი უარყოფით გვიხსნის პო-ეზიის საიდუმლოს, გვარწმუნებს, რომ მაღალი პოეზია არ არის ყოველთვის უჩვეულო, ახალი, მოულოდნელი მეტაფორებისა და შედარებების ერთობლიობა, რომ მხოლოდ ფორმალური ღი-რსებებით გამოირჩეული, ეფექტური პოეტური სახეებით მდიდარი, ფანტაზიის ანაღად აღმ-გზნები ლექსი ისევე სწრაფად შეიძლება განი-დევნოს ჩვენი წარმოსახვიდან, რა სისწრაფი-თაც დაეუფლა მას. შეიძლება უცნაურადაც კი მოეჩვენოს ზოგს აზრი იმის შესახებ, რომ „ფე-ხვები“, ირაკლი ანაშობის პოეტური შედეგია, არ გამოირჩევა განსაკუთრებულად ხელშეხაზე-ბი, კონტრასტული, ალოგიკური, მოულოდნე-ლი მეტაფორულობით, მაგრამ ეს ასეა. „ფეხვებ-ის“ მეტაფორულობა, თუ შეიძლება ასე ით-ქვას, შემპარავია, წყალქვეშა და არა უცვარი ალოგიკურობით განმაცვიფრებელი, მეტაფო-რის ამ ტიპის ანალოგიას ვხვდებით ლექსში „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერ-გამენტზე“. ლექსის პირველ სტროფში კვათხ-ულობით:

დღეს აღსრულა შოთა რუსთველი,
კვალად ზვიადი,

კვალად უცვლელო,
ათი დღე-ღამე უკმელ-უსმელი
სენაკის თვისის ჰერს შესცქეროდა...

ამავე სტროფში რამდენიმე პუკარის შემდეგ მომავლადი მგოსანი უკვე ცას შესცქერის და მხოლოდ უკანასკნელ სტროფში, სადაც ძირი-თადად პირველი სტროფის შინაარსი და სიტ-ყვები გამეორებული, გვთავაზობს პოეტს მო-ულოდნელსა და ალოგიკურ მეტაფორას — სე-ნაკის ცას:

ათი დღე-ღამე
უკმელ-უსმელი
სენაკის თვისის ცას შესცქეროდა...

ავტორი თითქოს და ამზადებს მკითხველს უჩვეულო ენობრივ ხატთან შესახვედრად, თი-თქოს და არბილებს უცნაური პოეტური სახის ალოგიკურობას, განმარტავს მას. მიანლობით

იგვე პრინციპზეა აგებული „ფესვების“ სიმბოლოური შინაარსიც, სადაც სათაურად გამოტანილი სიტყვის უღრმესი იდეა მხოლოდ თვითმზრინავიდან დანახული პეიზაჟისა და ფანტაზიით გაცოცხლებული ისტორიის კავშირში საცნაურდება. მართოდვარე, ნაცრადქცეული ფესვები ლექსის ფინალურ პუნქტებში ქართული ერის მდელვარე სულია, გონების თვალთ რომ მიჰყვება პოეტი მთელი სიცოცხლე. ღორთქო ბალახისა და გრილი იების ქვეშ ბაღყარეთის მთების კალთებზე, სტალინგრადისა და ბრანდერბურგის მისადგომებთან, ხანისწყლის ზვირთთა უზრუნველ წკრიალში, დმანისის, კოჭრის, არმაზის, ოშკისა და ხახულის ციხეთა ჩამოშლილ კედლებში, განახლებული გარეჯის აბიზინებულ ზვრებსა და ყანებში, თავთუხთა რხევაში ბახტრიონის ქედებთან, რიონის შოკიაფე ელნათურებში, საბჭოთა ხალხების ძმობაში, რუსთველის საფლავის მძიმე დუმილში პოულოუს შემოქმედი ამ სულის იპოსტასებს, რა-

თა შეგვახსენოს, რომ ამაოდ არ იღვრება დამიწაზე დიადი მზის სხივებით განბანილი დან სიხარული და სითბო, სინათლე და სიცოცხლე; ამაოდ არ შესცქერის პოეტი უძირო უიამეთში გაფანტულ ვარსკვლავთა იღუმალ ციმციმს, ამაოდ არ ევსება სული ტკბილი სევდით რწმენის დამბინდავ წუთებში... დიახ, ბევრია ცხოვრებაში სიძნელე, მაგრამ ასევე ბევრია გამარჯვებაც, ბევრია შური და ღალატი, მაგრამ მეტია ერთგულება და უანგარობა: სურვილს, მისწრაფებას მიზნის მიღწევა ცვლის, თავგანწირვასა და მსხვეპლგაღებას უკვდავება უკმევს გუნდრუკს, შეცდომას მონანიების ცრემლები მოჰყვება, სახოწარკვეთის, იჭვისა და შინაგანი დისპარმონიის წამებს ნდობისა და სიმშვიდის ისეთი წუთები ენაცვლება, როცა გული ფეთქავს უჩვეულო აღფრთოვანებით, როცა სული ხავსება სინათლით, როცა სიცოცხლე ასე სრულყოფილია და ასე მშვენიერი, ასე ახლოა ნეტარებასთან.



„ბასსოვდას სისოსხლა“

რომანში გმირების სახელდების ორი პრინციპია — ნაწილს თავისი კონკრეტული სახელი ჰქვია, ნაწილს — ზოგადი, მისი თვისებიდან გამომდინარე განსაზღვრება, ორ შემთხვევაში ასეთ სახელდებას პრინციპული, შორს გამიწნული მნიშვნელობა აქვს — თბილისელი მსახიობი და პოლიცემისტერი მყავს მხედველობაში. ისიც უნდა ვთქვა, რომ პოლიცემისტერი ორია, ერთი — პაროლოგში (პირობითად გამოყვოფ პაროლოგად იმ პირველ 4-ნ გვერდს, რომელშიც ასახულია ილილიური ყოფა ბათუმისა, სადაც პოლიცემისტერის ოჯახი მსახიობების თავშესაფარი იყო, ხოლო მისი მუდღელე ქველმოქმედებას ეწეოდა. ეს პოლიცემისტერი „იმდენად კაცთმოყვარე გახლდათ, უფრო სწორედ, იმდენად გულუბრყვილო, რაც არ უნდა საშოში ბოროტმოქმედი დაეჭირა, დამე ციხეში არ გააჩერებდა, ეცოდებოდა, შინ უშვებდა, ცოლშვილთან. თუკი პირობას მისცემდა, უკანვე რომ მობრუნდებოდა დილით...“ მაგრამ ის გმირი იმ სპექტაკლს ეკუთვნის, ფარსს, რომელიც უკვე დამთავრებულიყო, მაყურებელი დაშლილიყო...)

და მეორე პოლიცემისტერი — აღამიანის თავისუფლებისაკენ მაღალი სწრაფვისა დამთავრების რაღს რომ ასრულებს მთელი რომანის მანძილზე.

თბილისელი მსახიობი თავისუფლებისაკენ და სამართლიანობისაკენ მუდმივი სწრაფვის პერსონიფიცირებაა (მას თავისი წინაპარიც ჰყავს — დარიას მამა და გამგრძელებიც — შვილი გელა) ხოლო პოლიცემისტერი ამ სწრაფვის ჩამხშობი ძალიანა. მასაც ჰყავს უსახილო თბილისელი ორეული ამ საქმეში, გუბერნიის მთავარი მოსამართლე.

ასე, ორი ძალა დაუნდობლად ებრძვის ერთმანეთს მთელი რომანის მანძილზე, ბშირად ეს ბრძოლა გარე სამყაროდან პიროვნების სულშია გადატანილი.

ოთარ ჭილაძის რომანში ჩანს ღალატის სიღრმისეული შექანში და საზღაური ღალატისა. თბილისელი მსახიობი ღალატობს თავის თავს, იგი, როგორც პიროვნება, იმსხვრევა და საკმაოდ ბანალურად ამთავრებს სიცოცხლეს.

ელენე, თბილისელი მსახიობის მეუღლე, მიზეზი და თანამონაწილე ღალატისა, მთელი ცხოვრება ამ ღალატის გამოსუიღვას უნდება. მისი შემდგომი ცხოვრება კირთების გზაა. იგი გმირულად იტანს შემდეგ უოველივეს და ინდივიდუალუაციის ძნელ გზაზე უარპყოფს „ნიღაბს“.

საკვარელს ღალატობს ნატო, რომელიც უველაზე მეტად იმის აღმოჩენამ შეწარა, „ცხოვრება ღირსი რომ არ იყო სიყვარულისა“. და თვითვე გამოაქვს თავისთვის განაჩენი, ზღვაში იკარგება.

ოთარ ჭილაძის გმირების აბსოლუტური უმრავლესობა ორი სახით არის წარმოდგენილი: აღამიანის „ნიღბით“, იმ მოლოდინი-მოთხოვნების მიერ შექმნილი მე-თი, როგორადაც აღიქვამენ მას სხვები და მისი ქეშმარიტი მე-თი, ავტორი ხაზს უსვამს ამ გაორებას (ელენე ნატო, საბა ლაფაჩი) მათ გარეხატს თვითვე უწოდებს როღს, ხოლო გმირების ქმედებას — „სპექტაკლს“.

აქვე მთელი სისავსით ასახულია პიროვნების მიერ საკუთარი თავის შეცნობის, ინდივიდუალუაციის რთული პროცესი, „ნიღბიდან“ გამოქვინისა და ცნობიერებაში არაცნობიერის გამოტანის შერტად ძნელი გზით. ყველაზე სრულად ეს თავს იჩენს ელენეს მიერ საკუთარი თავის შეცნობასა, მის თვითგვემასა და თვითანალიზში, როცა მისი შინაგანი დრამა მთელი ტრაგიკულობით წარმოსდგება მკითხველის წინ. უოველივე ამან განაპირობა პიროვნების გაორება, ხასიათის დაშლა ცალკეულ პერსონაჟებად, ანუ ხასიათის ექსტერიორიზება, რაც ლიტერატურისთვის ახალი არ არის.

რაკილა ლაპარაკი პიროვნების გაორებაზე, ხასიათის პერსონაჟებად დაშლასა და ცნობიერისა და არაცნობიერის დიფერენციაციის გზით ინდივიდუალუაციის პროცესზე ჩამოვარდა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ „ინდივიდუალუაციის პროცესი, როგორც იგი აღწერილია ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველი მათგანი წარმოდგენს „ინიციაციას გარე სამყაროში“ და მთავრდება მე-ს ჩამოყალიბებით, რომელიც არის არა აღამიანის ქეშმარიტი მე, არამედ მისი „ნიღბი“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ

დასასრული, დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 2.

ვჭკვათ, პირფენების ეს მხარე, „რომელიც აღაშინა არსებითად არ არის, მაგრამ რაღაც აღიქვამენ მას სხვა აღაშინებით“. ხოლო მეორე საფეხური არის „ინიციატივა შიდა სამყაროში“ და წარმოადგენს კოლექტიური ფსიქოლოგიიდან გამიჯვნისა და დიფერენციაციის პროცესს... „ინდივიდუალიზაცია ვარაუდობს ინდივიდის ცნობიერი ცხოვრების გაფართოებას და მას აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს საკუთარი თავის იმად შეცნობასთან, რაც აღაშინა არის ზღუდებით“. ამ პროცესში „განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „სასოწარკვეთის“ ფენომენი. „სასოწარკვეთა“ იმას მეთყველებს, რომ ინდივიდი მომწიფდა „გადააშინების“ რთული პროცესისათვის და შეუძლია შეუდგეს ინდივიდუალიზაციას ანუ, უფრო ზუსტად, მის მეორე ტაქსს, რომელიც იუნგის მიხედვით, არის შინაგანი ბიოგრაფიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთი“.

როგორაა ინდივიდუალიზაციის ეს პროცესი ასახული ოთარ ჰილმანის რომანში?

ნატო იღუპება არაცნობიერთან ჰილიში და სასოწარკვეთილი ხელახლა დაბადებას, აღდგენას, გამოთლიანებას, დაბრუნებას თავის ჰუმანიტეტ მე-სთან, უკავშირებს ზღვას. მასში განწმენდა, ამდნად, არაცნობიერის საშინელებისაგან განთავისუფლებას. იგი გაურბის არაცნობიერს.

გავისხნოთ, პოლიციებისტერის შეკითხვზე, თუ ვისგან შეავდა მას შვილი, ნატომ იცრუა, სახელმწიფო დამნაშავეს გელას ნაცვლად ხელმწიფის სასახურში მყოფ ოფიცერს, სახა ლაფრის გადააბრალა ბავშვის მამობა. სახა ლაფრი პაპად ერგებოდა, მაგრამ ნატომ ისიც იცოდა, რომ ოფიცერს იგი თავდავიწყებით და უბედოდ უყვარდა და სწორედ ამიტომ, ნატომ თვით შეაძრუნა ამ სიცრუემ და მის სულში ტრაგიკული ბრძოლა იწყება. ორიოდ შეაგალით:

ნატოს ფიქრი: — რა უნდა ექნა პოლიციას მისი შვილისთვის? დაიჭრება? გადასახლება, დაზვერება? რა თქმა უნდა, არა, ამდენი შინიც იცოდა მამაშისმა კანონებისა, უბრალოდ, მეთვალყურეობის ქვეშ იყოლებოდათ იგი, როგორც თავად პოლიციებისტერმა უთხრა, რათა დროულად დაეჭრათ ფრთები, თუკი მამის მიდრეკილებები განუვითარებოდა და ბავშვად განწმენული, გედაზას მოინდომებდა“.

ნატოს სიზმარი: — „ამაღ დიდი ამბავი ესტე თქვენი კანონიერი ბედნიერება!“ — ამბობდა ნატო და კატაფალკაში ჯდებოდა, წინ მუნდირში გამოწყობილი შვილი ეჭდა, გვერდით, ახევე მუნდირში გამოწყობილი, სპმრო, ფეხებთან შეკადრი გელი ეკლავ; უშინდ დელკავნოდა გრძელი, გაბნეძრებული კისერი, ნატო კახის კალთას აფარებდა შეკადარ გელს, ფეხით ტენიდა სავარძლის ქვეშ, სხეებსაც რომ არ

დაეხანათ, მაგრამ შეკადარი გელი მინც ჯიუტად მოჩოჩავდა წინ, ეტლის ბიძგებს აუყოლილი, ცხცხალივით თრთოდა და ღიად დარჩენილი ფოლაქივით ბრჭყვიალა თვალით უყურებდა ნატოს“.

ასხა: გელი გელას იპოსტასია. პოლიციებისტერისთვის ნათქვამი ტყუილი, რომ ანდრო გელას შვილი კი არა, სახა ლაფრის შვილია, ნატოს არაცნობიერში ერთმანეთის გამოშრიცხავ რეაქციას იწვევს, ნატო თრგუნავს მათ მაგრამ, როგორც ცნობილია, დათრგუნვილი სურვილები და ლტოლვანი რელიზებებიან სიზმრებსა და ხილვებში.

ავტორის შენიშვნა: „ნატო ისე იყო დაბნეული, ცხადისა და სიზმრის გარჩევაც უჭირდა, ისიც ვერ გაერკვია, რაც ხდებოდა, ცხადში ხდებოდა თუ სიზმარი. სიზმარი, უბრალოდ უფრო ხატოვნად წარმოაჩინდა სიცხადეს, ხორცს ასხადა იმას, რაც ცხადში ჯერ კიდევ შეფარულად, შენიღბულად და თითქოს თავისთავად ხდებოდა, ანდა ცოტა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნატოს აღარაფრით შეეძლო წინ აღდგომოდა თავის განწარახვას და უსუსური ფუნფუნით, უაზრო ბზრიალტრიალით, თან მიმყვებოდა უფსკრულისკენ, როგორც ჩანჩქერს — ნაფოტი, სიზმარში ხაქორწინო გვირგვინი ეღგა“.

„ნიღბთან“ კონფლიქტმა სასოწარკვეთამდე მიიყვანა გიორი და იგი ზღვაში, როგორც განწმენილ პირველსაშობი იყარგება. მაგრამ მეორე — თბილისელი მსახიობის მეუღლე ელენე, ძლივე სასოწარკვეთას, წვედება არაცნობიერს და ცნობიერის კუთვნილებას აცდევს. იგი ესწრაფვის არაცნობიერის გაცნობიერების გზით ცნობიერისა და არაცნობიერის გარკვეულ დიფერენციაციას მიაღწიოს, იგი ესწრაფვის მოპოვოს თავისი ჰუმანიტეტი ინდივიდუალობა, მაგრამ ამ პროცესს ხომ ზღვარი არა აქვს.

ელენე თბილისელი მსახიობის სიკვდილის შემდეგ აანალიზებს ქმართან თავის ურთიერთობას, ძირის-ძირამდე ჩასდევს საკუთარ თავს და აღმოაჩენს, რომ თავიდანვე თვით იგი კლავდა ქმარს. ამიტომაცაა, რომ სასოწარკვეთილი, დამნაშავეს სინდისის ქენჭით აგრძელებს სტოკურ ცხოვრებას. ძლიერი პირველებმა მშვენიერები ელენე, ამასთანავე, დროში ცვალებადი, სხვაა იგი რომანის დასაწყისში, სხვაა ბოლოში და მთელი რომანის მანძილზე გრძელდება მისი დიალოგი საკუთარ თავთან, გაცნობიერება არაცნობიერისა, საკუთარი მე-ს ძიება. სწორედ ამიტომ, გაორებულია იგი, ამ მულტიპლი ბრძოლისა და გაორების ჩვენება, ისე რომ ერთ მთლიანობაში ყოფილიყო ყველაფერი გაერთიანებული და მკითხველიც აქტიური მოქმედი, ხოლო ზოგჯერ მომწიფი, მწერლისგან მოითხოვდა სტილისტურ ნოვა-

ცახს. იგი მეტად ინტენსიურად მიმართავს „ცნობიერების ნაკადის“ სტილისტიკას, რაც ძნელი გასაანალიზებელია, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი ცვალოთ. მხოლოდ ერთი ამონაწერი, რომელშიც ელენეს ორი მე უპირისპირდება ერთმანეთს; არაქვეშაობიტი მე ანუ მისი ის „ნიღაბი“, როგორცაა მას სხვები აღიქვამენ და მეორე მე, კოლექტიური ფსიქოლოგიიდან რომ არის გამოყოფილი.

ელენემ კისრზე კაბის ღილი შეიხსნა. „არც მე მისამოვლენს ბევრი რამეო“ — გააგრაძელა, თითქოს მოთავებულნი ფეჭრი და ტახტზე გადაკიდა. მერე პერანგიც მოაყოლა. ნელა იხდიდა; თითქოს სხვას ხდიდა, მიიწარეს, და ეშინოდა, არ გავადვირო, გამხდარმა, უშნოდ აწოწილმა ქალმა შემოხედა სარკიდან. უნებურად შეკრთა, თითქოს უცხო უთვალთვალებდა, თითქოს უცხოა უნდოდა ეხილა მისი გამხდარი აწოწილი სიშიშველი, სამუდამოდ დამარბული ყველასათვის. კანი აებურძგნა. თან გაშალებული ფეჭრობდა, უფრო დიდხანს რომ გაეჩერებინა ტიტველი ორეული სარკეში, დაეხაჯა, გაეშვარებინა. ჩემი შვილი, თურმე, აქვე იყო, ორ ნაბიჯზე, მე კი ერთი წუთითაც არა გავახსენდი, არც იმასთან მისვლამდე და არც იმის მერეო. თამამად, უტოფრად გაუსწორა თვალი ორეულს: „ეს გინდოდა? ამისკენ მიიბძებოდი?“ მარტოხელა ქალის ეჭვი და დაბნეულობა აღბეჭდვოდა სახეზე, უნუგეშოდ დაკარგული წარსული... და მაინც დაუღუეველი სურვილი ცხოვრებისა, ქალური ციხერებით, არა, ბებრული, ბებერი კლეროპატრას სიყვარული ღრმად შენიღბული. სარკეს თვალი მოარიდა და ოთახი მოათვალიერა ძველი, უყარვისი, თანაც ნახვისიარა ავეჯით გავსებული, გახუნებული ფარდით ორად გატიხრული... ამ ტექსტში ფაქტიურად ჭერ ორი ხმა ისმის, ავტორისა, რომელიც მოგვითხრობს ამბავს და ელენესი, რომელიც იწვევს თავის მეორე მე-ს მწვავე კამათში. მხოლოდ ეპიზოდის ბოლოს იჩენს თავს ინტონაციურად განსხვავებული ფრაზა, რომელიც ავტორის ტექსტში არ უნდა აგვირიოს, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირშია.

ავტორი: „მარტოხელა ქალის ეჭვი და დაბნეულობა აღბეჭდვოდა სახეზე, უნუგეშოდ დაკარგული წარსული“. აქ ავტორის ინფორმაცია თავდება და იწყება გარკვეულად გალიზიანებული, უარყოფითი, ირონიული შეფასება ელენეს ნიღბისა მეორე მე-ს მიერ: „...და მაინც დაუღუეველი სურვილი ცხოვრებისა, ქალური ციხერებით, არა, ბებრული ეშმაკობით, ბებერი კლეროპატრას სიყვარული ღრმად შენიღბული.“ ისევ ავტორი: „სარკეს თვალი მოარიდა“...

მომდევნო ტექსტი უფრო რთულია, დააკ-

ვირდით შიდა პერსონაჟების შეფარულ მათს, ინტონაციურ ცვალებადობას, ხედვის კუთხის შეცვლას, ავტორის კომენტარს: „მას სურვიაში წამოტივტივებულ ფრაზას. უკვლავიერი ეს ერთ განუყოფელ, დინამიურ ენობრივ მთლიანობაშია წარმოდგენილი. სიტყვას ვერ გადაადგილებ.“

ტექსტი პოლიფონიურია. მასში ოთხი ხმა ისმის — ერთი „ნიღბის“, მეორე — ჰეშმარიტი მე-სი, მესამე — არაცნობიერიდან ამოტივტივებული ფრაგმენტები წარსულთან რომ აკავშირებენ გმირს (ქმრის „ხმა“) და ავტორის კომენტარს, რომელიც ზოგჯერ ტექსტში ცალკე წინადადებადაც კი არაა გამოყოფილი, ორმაგი მნიშვნელობის ტექსტს უკან აკითხება (დუბლირებულია ავტორი და ელენეს ჰეშმარიტი მე).

ტექსტს თავისი დრამატურგია აქვს, რადგან მასში მუდმივი შეფარული თუ დაუფარავი კამათი იგრძნობა, საწინააღმდეგო შეფასებანი, ხედვის კუთხეთა ცვლა. გმირი ერთ ადგილზე დგას, მაგრამ იგი „მოძრაობს“, იგი მარტოა, მაგრამ ოთახი სავსეა ხმებით, სავსეა პერსონაჟებით, ყოველშეუთხვევია ორი პერსონაჟი ყოველთვის იგრძნობა.

დააკვირდით ტექსტს! (ფრჩხილებში ჩემი კომენტარია ჩასმული).

(„ნიღაბი“: ირონიით, ნიშნის მოგებით —) „არცა ხარ მეტის ღირსი, მეტი ვერ შეიწმუნო, აი, ამას ჰქვია სწორედ შენი კუთხე.“ (ჰეშმარიტი მე: თავის მართლებით —) „ამისთვის იკლავს ხალხი თავს და ამისთვის ინანიებს ცოდვებს.“ („ნიღაბი“: შეტევით, ნიშნისმოგებით —) „შენც აქ ამოგხდება სული, რადგან არავის მოუფა არაად, აქ, ამ ნახვისიარა ნივთებში დაგიწყოს ძებნა. არც სურვილი გაუჩნდება ვინმეს.“ („ნიღბის“ ნიშნისმოგებას ცვლის ირონია, დაცინვა —) „სიმარტოვის, დავიწყების, უგულვებელყოფის ჭაობიდან ამოათრის უბედური ქალი, რომელიც სიმარტოვის, უგულვებელყოფის მეტს არც არაფერს იმსახურებს, რადგან უყვარდა, უყვარდა, უყვარდა!“ (ჰეშმარიტი მე-ს მიერ თავის მართლები, „ნიღბის“ გაშიშვლება, საკუთარი თავის გარეკანად შეფასება —) „დახს, უყვარდა, მაგრამ არაფერი გაეგებოდა სიყვარულისა, პატვის არ სცემდა, არ ეშინოდა სიყვარულის.“ (სარკეში შიშვარული, ელენეს ჰეშმარიტი მე-ს მიერ თავისივე ანარქიის გალიზიანებული შეფასება სარკეში შეხივება მას ხომ ქალიშვილობაზე უყვარდა. —) „ამაზრუნავს უცახცახებდა კაცნას გადაჩვეული ტუჩები, ორი მშვიერი წურბელა.“ (მწერა ტუჩებიდან გადადის „დამშვიულ“ ძმუხსთავებზე, კაცის ხელი რომ არ მიკარებათ ქმრის სიკვდილის მერე. და აქვე ქმრის ფრაზის გახსენება —) „ძმუხნი შენი უმჭობების ღვინისა, მუციელი შენი ვითარცა

ხვავი იფქლისია“ (— მახსოვრობაში წამო-
ტიტივებული ეს ფრაზა „ქებათა ქებიდან“,
იმ დღეებს მონატრებს ელენეს მისდაშეუმჩ-
ნევლად, რაც ავტორის მიერ ფიქსირებული
ქალის უნებურ უცხტში ვლინდება) — „შიშ-
ველ შერდზე ჩამოსხვა ხელი უნებურად, სი-
ნანულით.“ (ელენეს მიერ საკუთარი თავის,
საკუთარი რაღის, საკუთარი იღბლის შეფა-
ხება —) „ტანჯული ცოლი, ტანჯული დედა.
უდროოდ დაბერებული, უდროოდ დამახინჯე-
ბული“ (და აქ ისევ იფიქსირება თითქოს გამჭრალ-
მა ანტაგონიზმმა ნიღბსა და კუმარით მეს-
შორის —) „მინც რომ არ უტყდება თავს,
მინც რომ არ ყრის ფარხმალს და ყოველ
დღით“, (თვითორნია —) „დარბაისელი ქა-
ლის ზაფხასმული შედიღურობით“, (დაცინ-
გა —) მიერთმევს გამჭარამ ნამცხვარსა და ყა-
ვას.“

(ავტორი —) „ახე გავალ ქუჩაში“ — გა-
იღმა მწარედ.“ (— ფრაზა ორმაგია, ეკუთვ-
ნის ავტორსაც, როგორც ფაქტის კონსტატა-
ცია და ელენესაც, როგორც ცნობიერებაში
ამოტიტივებული მომდევნო ფრაზის გამომ-
წვევა: „ქუჩა“—„მეძავი.“ —) „ბაბრამომა და-
უღვით შეძავებს“... (— ეს სიტყვები ელენეს
თბილისელ მსახიობთან საერთო საცხოვრე-
ბელში მისვლას ახსენებს, როდესაც უამრავი
მამაკაცის თვალი აცილებდა, მაგრამ იგივე
სიტყვები ქმარსაც მოაგონებს და მისსავე აკ-
ვიატებულ ფრაზას —) „დაცინვითა მითხარ
უარი...“ (შემდეგ ელენეს, ეტყობა, ესმის გემის
საყვირის ზმა, რომელიც ამ ბოლო სიტყვის
გამეორებად ფიქსირდება მის გონებაში —)
„უარი, უარი, უარი.“ (ავტორის თითქოს ინ-
ერტული ფრაზა, რომელიც შემდეგ, ბოლოს,
ორმაგდება, ავტორისაცა და ელენესიც, საწ-
მისის ელენეს ფიქრისა თავისთავზე —) „გემ-
მა ისევ დაიუვირა გაბმულად, გამომწვევად,
თითქოს იმის შესახსენებლად, ცხოვრება რომ
გრძელდება“ (თხრობა წარსულ დროში გა-
დადის. სწორედ აქედან იწყება ორმაგობა —)
„ყველაფერი რომ კისრულობდა, წელზე რომ
ფეხს იდგამდა ხალხი,“ (— „სხვათა“ ცხოვ-
რების შეფასება ელენეს მიერ —) „ოღონდ
რაიმე წაგლიჯა ცხოვრებისათვის.“ (ნიღბი-
სეული შეფასება მისი ცხოვრებისა —) „ამას
კი არაფერი უნახავს, არსად არ ყოფილა. თბი-
ლისი და ბათუმი, ბათუმი — თბილისი, აი,
მისი ცხოვრების ორი უკიდურესი წერტილი.
რკინისგზით, რკინის ზახით დაკავშირებული ორი
ბუდე“ (— რა შეუბრალებელი და ცივია ეს
„რკინის ზახი“ და რა საცოდავი ამ კონ-
ტექსტში „ორი ბუდე“. შემდეგ შეფასება
უფრო კატეგორიული და შეუბრალებელია —)
„ერთნაირად უცხო, თუმცა ერთში გამოჩეცეს,
შეორეში კი თვითონ გამოჩეცა სიმწრის კვერ-
ცში. ერთიდან ამოფრენა შეიძლო მხოლოდ,

შეორეში კი ჩაფრენა.“ (დაბოლოს, ორმაგია
კომენტარი ყოველივესი — ელენესაც და ავ-
ტორსაც რომ ერთნაირი უფლებით
ნის —) „მინც მეორე ჯობდა, რადგანაც
აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი
ფრენისა“.

მსგავსი სტრუქტურა ტიპურია ოთარ ჭი-
ლაძის ამ რომანის ტექსტისთვის. ეს ბუნებ-
რივაცაა. რადგან პიროვნების ინდივიდუალის
გზა აღწერილი, ადამიანის სულში ატეხილი
ბრძოლა, ცნობიერების ნაკადის სტილისტიკის
გამოყენება აქ დიდ ეფექტს ალწვის.

როდესაც ადამიანი თავისთავს ეკამათება,
იგი ზშირად არ ამთავრებს წინადადებას, აზ-
რის საზღვრები ზშირად არ ემთხვევა წინადა-
დების გრამატიკულ სტრუქტურულ მთლიან-
ობას. ამას ისიც ემატება, რომ ფიქრის დროს
წამოტიტივებული კონტექსტთან თითქოს
დაუკავშირებელი ფრაზები თუ სიტყვები, რო-
მელთაც როგორც შემდეგ ირკვევა, ძალზე
შეიღრო ურთიერთობა ჰქონდათ ნაფიქრთან.
ახე იქმნება გრამატიკული მთლიანობა წინა-
აღმდეგობრივი ტექსტისა, ასე მიიღწევა მხატ-
ვრული ტექსტის პოლიფონიზმი.

ტექსტის სხვადასხვა პლასტული ვიზუალუ-
რად ერთმანეთისგან გაყოფილი არაა, მხოლოდ
ინტონაციით თუ შეიძლება მათი გამორჩევა,
ეს ქმნის მთლიანობის შეგრძნებას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ტექსტის ზემოთ-
აღნიშნული სტრუქტურა დამახასიათებელია
მთელი რომანისათვის, რადგან „ინიციათა გა-
რ საშუაროში“ და „ინიციათა შიდა საშუარო-
ში“ თითქმის ყველა გმირის დამახასიათე-
ბელს წარმოადგენს, იმდენად დამახასიათე-
ბელს, რომ მკვლევარების მოყვანა შედგებო-
დაც კი მიგვაჩნია, მაშინ თითქმის მთელი წიგ-
ნის გადმოწერა მოგვიწევდა.

ცნობიერისა და არაცნობიერის დიფერენ-
ციებულ ურთიერთობა მთელი რომანის
პოეტოლოგიურ პრინციპად არის ქცეული და
არა ამა თუ იმ ეპიზოდის გადმოცემის თუ-
გმირის ხასიათის გახსნის ზერხად. ისიც სათქ-
მელია, რომ „ცნობიერების ნაკადის“ სტი-
ლისტიკა თვისობრივ ვაგლინას ახდენს რომა-
ნის ენობრივ სტრუქტურაზე და ამდენად,
ავტორისა და მკითხველის აზროვნების წესიც.
თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი-
ვე ეს არაა ოთარ ჭილაძის აღმოჩენა, იგი
მომწადდა თვით ჩვენივე პროზის წიაღში (რო-
მელმაც გაითავისა მსოფლიო პროზის მიღწე-
ვები) და ამა თუ იმ დროითა და წარმატებით
ხორციელდებოდა კიდევ, განსაკუთრებით კი
ბოლო წლის მანძილზე, რაც ჩვენს კრი-
ტიკაში აღნიშნულიცაა, მაგრამ, ვიმეორებ,
მთელი რომანის პოეტოლოგიურ პრინციპად
ყოველივე ეს „რკინის თეატრში“ არის წარ-
მოდგენილი.

ამ რომანში განცალკევებულია ერთიანობის მიღწევა ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მხატვრული ამოცანა და იგი ვლინდება, არა მარტო ექსტერიორიზებული ხასიათის მთლიანობაში წარმოსახვით, არამედ ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტთა თუ ეპიზოდთა გამოლიანებითაც... ისე როგორც ეს ცხოვრებაშია.

სინამდვილეში მოვლენები ხომ არ არსებობენ ცალ-ცალკე, ისინი გადადიან ერთმანეთში, მათი დაწყება და დამთავრება ხშირად არ თანხდება მათ ლოგიკურ დასაწყისსა და დასასრულს. მაგრამ შირი შემთხვევაში ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში ქართულ პროზაში, ეს მოვლენები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სწორედ ლოგიკური საზღვრებით, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ამ კონტურების გამო აღვივალად აღვიქვამთ მოვლენებს. მაგრამ არის სინამდვილის ასახვის მეორე გზაც, მოვლენათა ურთიერთკავშირის ნათელსაყოფად მკვიდრი კონტურების წაშლის გზაც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა მეოცე საუკუნის ლიტერატურაში. მეტ-ნაკლებად მან ქართულ პროზაშიც იჩინა თავი, მაგრამ ასეთი მასშტაბით, ასე ტოტალურად, როდესაც ერთი ეპიზოდთან მეორეზე გადასვლა თითქმის შეუძრნველია, მგონი სხვაგან არ უნდა იყოს. სხვათაშორის, ყოველივე ესეც, მნიშვნელოვნად ზრდის მკითხველის ფუნქციას „რკინის თეატრში“. დააკვირდით, როგორაა ერთმანეთში გადასული ელენეს ფიქრი ქმარ-შვილზე და ინფორმაცია მისი შვილის დაბრუნების შესახებ: „მე ყოველთვის შეგეოდა შენი. — თქვა უცნაურად ახლა უსასუბა ქმრის ცოდნულ შეითხვას — ყოველთვის. — გაიმეორა ცოტა ხნის მერე. — არ ვტყუი. ღმერთია მოწამე. ღმერთია მოწამე. უბრალოდ არ მინდოდა, არც შემეძლო ამის თქმა... მე-ჯონა... თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.“ — მოამთავრა უცნაურად. სიამოვნებით შეეკამათა ახლა ვაშლსა — გააკრძალა გუნებაში მიზეზიანი ავადმყოფივით, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. საინტერესოა, შეკამათ თუ არა მშვენიერმა ელენემ ის ვაშლი, მარადიული სიყვარულისა და ტანჯვის ნიშნად რომ მიართვეს, ამაზე შეკამათ, რატომ არ უნდა შეეკამათა. მაინც დალაბებოდა. როდესაც სარკმელში ჩამდგარი წყვილიანი ჭერ გადაღურჭდა, მერე კი აიჭრა, გაიცრიცა. ახლა ამან შეაფოთა. თითქოს აღარ ელოდა, კიდევ თუ გათენდებოდა. „იცი თუ არა შენ, ჩემი შვილი რომ ცოცხალია.“ — დაუყვია კატას. კატამ დაიწავლა „ცოცხალია, ცოცხალია“, — გაიმეორა მღელვარედ, ვნებიანად თითქოს კატის ჭიბბით. თითქოს კატის გადასარწმუნებლად. არადა ქეშმარიტებას ამბობდა. მისი შვილი უკვე გზაზე იდგა, მოდიოდა. თუმცა ჭერ არც დედა ახსოვდა, არც თავი. ჭერ დანაშ-

ვლიებით ისიც არ იცოდა, გზა მართლა გზა რომ იყო. მართლა თვითონ რომ მოდიოდა გზაზე და მართლა აღქმულ ჰქონებოდა იყვანდა ეს გზა. ნატოს ჰქონებოდა, ერთადერთ ჰქონებოდა, სადაც უნდა ეცოცხლა და მომკვდარიყო“ და ა. შ.

მსგავსი რამ, როგორც ვთქვით, წიგნი ნორმალაა ქვეული. საქმე ისაა, რომ აქ მოთხრობილი ორი ძირითადი მოვლენა — ელენეს ფიქრი შვილზე და გიორგის გამოქცევა გადასახლებიდან ერთსა და იმავე დროს ხდება და არა ერთმეორის მიყოლებით. ამიტომია, რომ ეს ორი ეპიზოდი, მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ერთ ენობრივ მთლიანობად არის ქცეული და ბუნებრივად გადადის ერთიმეორეში, რადგან ორივეს ცენტრალურ პერსონაჟად გადაიქცევა — ერთგან როგორც ობიექტი, მეორეგან — როგორც სუბიექტი.

მხატვრული ტექსტი განსაკუთრებულად რთული, მრავალბლასტიანია ელენეს ხასიათის ასახვისას, რადგან იგი ყველაზე რთული გმირია ნაწარმოებისა, ტექსტში ყველაზე სრულად, როგორც ინდივიდუუმის განვითარების საფეხურებია ნაჩვენები. არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ იუნგის პიროვნებისეული შინაგანი დრამის პერსონაჟები: „ლანდი“, „ანიმა“, „თვითობა“. მაგრამ ელენე „თვითობამდე“. უმაღლეს საფეხურამდე, ვერ აღის.

წიგნი „თვითობა“ ილია ჭავჭავაძემ განლავეთ მიცხრამეტე საუკუნის საქართველოს რეალური მოღვაწე, ერისათვის თავშეწირული პიროვნება. ის იდეალი, რომელმაც თავის სწრაფვაში უმაღლეს ადამიანურ საფეხურს მიიღწია. ტექსტში ნათქვამია კიდევ, რომ იგი ღმერთია, ამდენად უკვდავი. შემთხვევით არაა, რომ ილიას მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ თბილისელი მსახიობი თავს რომ მოიკლავს, ავტორი რომანისა ხაზგასმით იტყვის: „ეს ხამწუხარო დანაკლისი „ღმერთის სიკვდილია“ აღარ აღუქვამს ხალხს“.

იგი ხომ დამარცხდა. „რკინის თეატრში“ გმირები მოისწრაფიან იდეალისკენ, ილუზიებია ამ გზაზე (ნატო), შორდებიან მას (საბა ლაფაჩი) ან აგრძელებენ მისკენ სწრაფვას (ელენე, გელა). მათ არჩევანი გააკეთეს. ძნელი, მაგრამ მომავლისთვის აუცილებელი.

„რკინის თეატრი“ პიროვნების სული ცოცხლების, მასში ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთბრძოლის ისტორიაა, მაგრამ იგი, ამავე დროს, უფრო სწორად, პირველ რიგში, ერის სულის ისტორიაა — ორმავე ახტორია: განსაზღვრულ ეპოქასა და დროის მულტიფორმაშიც, მის დაუსაბამო და უსასრულო სრობაში. იგი, ოთარ ჭილაძის ორ რომანთან ერთად ეპოსია, ქართული, თანამედროვე ეპოსი

და ამ ეპოსის ხასიათისა და მნიშვნელობის კვლევა ჭერ კიდევ წინ არის.

ოთარ ჭილაძის ყოველ რომანში, ისევე როგორც „რკინის თეატრში“, მოქმედებს გამჭოლი, ეროვნული დრო, ჩანს ეროვნული მიზანი და ერის არსი. და მართალია, ბოლო რომანში იგი ყველაზე ნაკლებად მიმართავს ტრადიციულ მითებებს, მითოსური ლოგიკა თუ მის მიერვე შექმნილი მითებები და სიმბოლოები ეპოსური თმრობის ჩამოყალიბებაში უდიდეს კონცეპტურ და სტილისტურ როლს თამაშობს.

ოთარ ჭილაძე ჰქმნის სამყაროს მხატვრულ მითოსურ მოდელს, კლასიკური მითის შინაგანი კანონებით პირობადებულ ავტომატის, სისტემას ადამიანის დიდი და მუდმივი დანიშნულებით გათლიანებულს, რომლის მითებებიც ზნისა, დროისა, სახლისა სამყაროს ერთიან სურათს ქმნის, სადაც ადამიანი სიკვდილისთვის კი არა, „სიცოცხლისათვის არის ვანწირული, ხოლო კაცობრიობა უკვდავებისთვის“. მაგრამ ბუკვალურად ყოველივე ამას შორეული მსგავსება თუ აქვს კლასიკურ არქეტიპებთან და მითის მოტივებთან. შეტიც, ავტორი მითოსის განმარტვის ხერხს მიმართავს, კონკრეტულ ნიშნაშვებს დასაყვებს იგი, საბურველს აცლის. ერთი მაგალითი: თბილისელი მხახიობის შეუღლე, ელენე, „მშვენიერი ელენე,“ თავიხი არქეტიპის მსგავსად რომ იქცა ქმრის ტრაგედის წყაროდ, ისევე, როგორც ცნობილ მითში, აქაც, რომანშიც, უბრუნდება „თავის კუთხეს“, ქმრის სახლს (უფრო სწორედ ნაჭირავებ ბინას, იწყება მითის განმარტვა) სადაც თავის წარმოსახვაში ელასარაკება დაღუპულ შეუღლეს: „მე ყოველთვის მჭეროდა შენი, — თქვა უცებ ხმაშაღლა. ახლა უახსუბა ქმრის ოდინდელ შეიბოხვას. — ყოველთვის. — გაიმეორა ცოტა ხნის მერე. — არ ვცხურო. დმერთია მოწმე. უბრალოდ არ მინდოდა, არც შემაქმლო მის თქმა... მეგონა... თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.“ — მოამთავრა უცებ. სიამოვნებით შეეკამბი ახლა ვაშლსო — გააგრძელა გუნებაში. მიზეზიანი ავადმყოფივით, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. ხანტერესაო, შექამა თუ არა მშვენიერმა ელენემ ის ვაშლი მარადიული სიყვარულისა და ტანჯვის ნიშნად რომ მიართევს. ალბათ შეეკამბა. რატომ არ უნდა შეეკამბა. მაინც დაღუპებოდა როდისმე“. (გვ. 404).

მითი კვლევ ცოცხლობს, ოდონდ ირონიაში: მითური ოქროს ვაშლი იქცევა უბრალო ვაშლად, რომელიც თუ არ შექამე — დაღუპება, სასახლე მშვენიერი ელენეს მელლის მენელაოსისა — ნაჭირავებ ბინად, სადაც „მარმარილოს ცალფეხა მაგიდაზე დასკუბებული საათი — ამური, ხანდაზმულობის მიუხედავად, ყოველ თხუთმეტ წუთში რომელიდაც მხი-

რული მელოდის ნაკლექს უტარავს, ყოველ თხუთმეტ წუთში ერთსა და იმავეს იმეორებს ჩიუტად, თითქოს შენი ჯიბრით, შენს ზიანებლად; მონათობის დღის გაცნობის დროს უსასარულობა სახსენებს, რომ არ დაგვიწყდეს, შემთხვევით არ გამოგვპაროს, ანდა კიდევ რომ არ გაასწრო დროს...“

ჭრება კლასიკური მითი, მაგრამ იქმნება ახალი — მწერლისა და ადრესატის პოლიციებიანი განსხვავებული, რადგან იქ მონათობრიბი სჭეროდეთ აქ მონათობრიბი ვითომ სჭერათ (ეს ვითომ პირობა ტექსტის გამოფერისა), მიუხედავად იმისა, რომ ორივე შედმიწვენიტ ნამდვილია.

დრო ოთარ ჭილაძის რომანებში სხვადასხვაგვარია მნიშვნელობით, მოცულობით ტევადი და კომპოზიციური თვალსაზრისით შეუცვლელი: დრო — მიმდინარე, დრო — აღდგენილი, დრო მუდმივი — მითოლოგიური, დრო — რაღაცისთვის თუ ვიღაცისთვის წინასწარ განკუთვნილი. ყოველივე ეს ამა თუ იმ სიმბოლოში (საათი — ამური — „რკინის თეატრი“; კარდისხელა საათი — „ყოველმან ჩემმან მშობენდომან...“), ამა თუ იმ რეფერენსში (ჭიშკარის წყაწყკაი — „რკინის თეატრში“), თუ უშუალოდ ავტორის რემარკაში ვლინდება („იმ ქვეყანას საყუთარი დრო არ გაჩნდა და უთავბოლოდ ურევდა ერთმანეთში უკვე გარდასულ დღეებსა და შემთხვევებს“... „ამ ქვეყანას ფიქრი ერქვა“). „უხეროსთვისაც ოარი დრო არსებობდა: მიმდინარე და აღდგენილი. ოდონდაც აღდგენილი დრო უხეროს მიმდინარე დროის დასათრგუნავად ჰირდებოდა“ — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), თავის ფიქრში გმირი ხშირად ვადაღის სხვა დროში (დარია „სხვაგან იყო, ბავშვობაში, ოდესაში — „რკინის თეატრში“)... ადამიანი უპირისპირდება დროს („უხეროს დროს მარხავდა“; „დრო მინც თავისას აკეთებდა“ — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“). დრო როულია, მრავალსახოვანი, მრავალგანზომილებიანი, ოთარ ჭილაძე ცდილობს მისწვდეს დროის ამ ძენლადსაწვედომ არსს და ჩვენც გვაგრძნობინოს. ხშირად, ძალზე ხშირად ეს მას ძალზე რატატურად გამოსდის.

მიუხედავად დროის სხვადასხვაგვარობისა, ოთარ ჭილაძე თავის შემოწახსენებ პოემებსა თუ რომანებში დროის, გამჭოლი დროის უწყვეტელობისა და განმეორადობის ილუზიას ქმნის (ნაწყვეტი „თბილის სამი ფირფიტადან“ — შდრ. ეკლესიასტე), რომელსაც ერწყმის ამწამიერობა, წარმავლობა. ეს დროის მითოსური გაგებაა.

ასევე მითოსური არსით ვლინდება ოთარ ჭილაძის რომანებში დაბრუნების მოტივი, საყუთარ თავთან, საყუთარ ძირებთან, სამშობ-

ლოში თუ შინ, საკუთარ სახლში, ბინაში დაბრუნების მოტივი, რაც ვლინდება სწორედ სახლისა და გზის მითემის შევყობით.

„რკინის თეატრში“ შეკეთრად ვლინდება — სახლისაკენ მუდმივი სწრაფვა: სახლიდან გაქცევა — სახლში დაბრუნება (ელენე); სახლიდან მოწყვეტა — სახლისაკენ გამოქცევა (საბა ლაფაჩი, გელა); საკუთარი სახლის ძებნა — შალალი „მე“-ს ძებნას ემთხვევა (მსახიობი, ელენე); სახლიც ორგვარია — ნამდვილი სახლი და მოჩვენებითი, ფსევდო სახლი, ისევე როგორც პიროვნება ორგვარი. სხვათაშორის, ეს დაბრუნების მართო პიროვნულ კი არა, ეროვნულ კონცეპციასაც გამოხატავს:

„ერთადერთი შეგრძნება, რითაც სულიანხორციანად გაუღწიეთლიყო, დაბრუნების შეგრძნება იყო, ესოდენ ხანატრეილი და ესოდენ უცხო მისთვის“ (თითქმის გარუსებულ სხვა ლაფაჩისთვის — კ. ი.) „უველაფერს რომ თავი გავანებოთ, მართო იმ თავბრუდამხვევი, გამაცოცხლებელი, გამასუფთაებელი, ყოველგვარი ხიწისგან ერთბაშად განშქმენდავი შეგრძნებისთვის ღირდა ნებისმიერი ტანჯვისა და დამცირების გადატანა, რითაც ახლა საბა ლაფაჩი იყო გამსჭვალული. ეს შეგრძნება შინ დაბრუნების შეგრძნება იყო, ოდინევისთვის განკუთვნილი, ოდინევისობით მოპოვებული, რისი ვანცდაც ყველა გზააბნეულს როდი ღირსება, რამდენადაც დაბრუნება უკან დახევას ანდა არჩევას კი არ ნიშნავს არამედ იმის დამტკიცებას, ნამდვილად ღირსი რომ იყავი ადგილისა და სხვა ვერაფერს რომ დაიკავებს იმ ადგილს, ვერც ძალითა და ვერც ვერაგობით, რამეთუ მხოლოდ შენთვის განაწესდა უფალმა.“ (გვ. 876).

ბუდღეში დაბრუნება სიამაყეა. ძნელი, მტკივნეული სიამაყე. ამავე დროს, ეს საკუთარი თავის შეცნობაცაა — ფსიქოლოგიურ-ეროვნული ოვალისაზრისით. „პირველ რიგში, ვინაობა უნდა გადარჩინა და თუკი ოდენმე საამისო დროც დადგებოდა, შერე ვერცვია, რამდენად სამართლიანი იყო მისი ეჭვი, მისი სიბრაზე და თუნდაც მისი სიმძლავილი მშობლის მიმართ. მაგრამ როცა ამის დრო არ არის, როცა ღმერთმაც გაგვირა და კაცმაც, როცა მტერი ტკბილი ნაწინათი ვახიერებს ჩაძინებას, როცა შენი წინაპრის მავილი დუქნის კედელზე გაიღია, საანგარიშოს გვერდით, როცა შენი წინაპრის მუწარადი პრისტავის ცოლს ღამის ქოთანად გაუხდია — შენიანთ აღძრული ეჭვიც, შენიანზე განრისხებაც და შენიანის საქციელით მოგვირბილი სირცხვილიც იარაღია, თნაც ერთადერთი იარაღი, რომლითაც კიდევ შეგიძლია გადაარჩინო შენი მეობა. რა თქმა უნდა, შენზე არ იყო დამოკიდებული კაცად გაჩნდებოდი თუ პირუტყვად, საბა იქნებოდი თუ ღაბა, მაგრამ კაცად გაჩენილი პირუტყვად

რომ არ იქცე, შენიანი არასდროს არ უნდა გახდეს შენთვის სულიერთი და, თუ სიყვარულს არ იმსახურებს, სჯობია გძულდეს, სიძლიერე და გულის გაბთქვამდე, ვიდრე მშვილად ჩაიწირო ხელი და თქვა: ჯანდაბამდის გზა მქონიაო, რადგან შენიანთან ერთად, იმავე წუთას, შენც ჯანდაბაში ამოჰყოფ თავს.“ აქ მართო პიროვნების სული კი არა, ერის სულიცა და მიწანდასაბუნებაც იყვითება, ზუსტადაა დახასიათებული ეპოქაც და თუნდაც ამ ეპოქის შემდეგდროინდელი ყოველი ქართველის ეროვნული მისია. ასეთი მასშტაბი მხოლოდ ეპოსს შეეფერება.

დაბალი „მე“-დან შალალი „მე“-მდე ამაღლება თავისთავში ჩაბრუნებული მწერისთვის და გარე მხილველისთვისაც გზის სიმბოლოთი არის გაცნობიერებული. აღექსანდრე შაკაბილის („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) ამაღლება სწორედ ასეა ჩვენთვის ცხადყოფილი, ასევეა ჩვენთვის ცხადყოფილი ელენეს სულში ატეხილი ბრძოლაც — თბილისისა და ბათუმს შორის მუდმივი წასვლა-წამოსვლით და ბოლოს ქმრის „ბუდღეში“ მოკალათებით. გზა დასრულდა. „რკინისგზა. რკინის ხაზი.“ დასრულდა მისთვის და არა გელასთვის. იგი მოვლის. იგი თვისთვის სრულყოფის გზას ადგას და არა მხოლოდ თავისი სამშობლოსკენ, თავისი სახლისკენ მომავალ გზას.

გზა პერსპექტივაა, იმედი, მოძრაობა „შინსკენ.“

„რკინის თეატრი“ ხაზგასმით ქართული ნაწარმოებია — თავისი პრობლემით, ხასიათით, ენით, მაგრამ ისევე, როგორც ოთარ ჭილაძის შემოქმედება, არც ეს რომანი დგას მხოლოდ ქართულ ფსევზეზე.

ეს ნაწარმოები მხოლოდ ქართველთათვის არაა დაწერილი, რადგან მასში ასახული ადამიანურ ტკივილები ზოგადადამიანურია. ამდენად — ახლობელი და ვასაგები სხვათათვისაც.

ოთარ ჭილაძის რომანის ერთი დიდი სიკეთე ისეც ვახლავთ.

არსებობს ორი კითხვა, რომლიდანაც ერთერთს მაინც ისტორიული რომანის ავტორმა აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი: როგორ მოხლავ და როგორ სხედა? პარადოქსულია თითქმის მეორე კითხვა, რადგან ისტორია უკვე გარდასულია და მომხდარი, მაგრამ მწერალი, თუ ის ჭეშმარიტია, ჩვენს თვალწინაც გაითამაშებს ხოლმე ისტორიულ დრამას, ხოლო უფრო იშვიათ შემთხვევაში, ჩვენც გავგზდის ხოლმე გარდასულის, მაგრამ აწყობდ ქვეულის მოწაწილედ.

ოთარ ჭილაძის რომანი ორივე კითხვაზე იძლევა პასუხს.

„რკინის თეატრში“ ჩვენ ხასტიკი სექტაკალი ვნახეთ — ოპტიმისტური ტრაგედია.

ოპტიმისტური იმედი, რომ გმირი, რომელიც ელიან და ველით ჩვენც, შოლის, ტრაგედია იმედი, რომ მონაწილეთა ბედს, მათ გარეშე შეყოფი ძალები განსაზღვრავენ და თვით ისინი უძლურნი არიან რაიმე შესცვალონ თავის ტრაგიკულ ზვიდრში.

გულისშემძვრელია ეს ტრაგედია. მაგრამ იმედის მომცემიც გმირის ის შოლოდინი, რის გარეშეც ერის არსებობა მთავარ აზრს დაკარგავდა, შოლოდინს უკეთესი მომავლისა.

ოთარ ჭილაძის სამი რომანი ქართული ყოფის სამ პერიოდს ასახავს — უშორესს, ჩვენთვის მითად და ზღაპარად ქვეყნულს, ოღონდ რომანში დამოწმებულს, ზოგჯერაც პაროდირებულს („გაზაფხულის კაცის მიდიოდა“), კონკრეტულ ერის ყოფის ტრაგიკულ ისტორიულ სინამდვილეს, მითამდე და სიმბოლომდე განზოგადებულს, მეტაფორიზებულს, სადაც გმირები მხოლოდ კონკრეტული პერსონაჟები კი არ არიან, არამედ სიმბოლოები, რომლებიც დაშფოთულია ქართველი ერის ბედი და უბედობა („ყოველმან ჩემმან მშოველმან“) და პიროვნების სულში გამოვლენილ რთული ეპოქის ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობებს („რკინის თეატრი“). ასე რომ საქართველოს ისტორია, რთული, ტრაგიკული, წინააღმდეგობებით სავსე, ამბლებული და მიწერი, ოთარ ჭილაძის მიერ ერთ მთლიანობაში გააზრებულია უშორესი წარსულიდან პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე, ქართული ცხოვრების იმ დრომდე, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს, ქართული საზოგადოების, ქართველი ადამიანის მომავალი და საერთოდ საქართველოს ისტორიული ბედი, ეპოქა, რომელშიც ზოგადეროვნული მნიშვნელობის დიდი ადამიანური ვენებები წარმოჩინდა.

ოთარ ჭილაძის ეს სამი რომანი ახალი ქართული ისტორიული პროზის ტიპური და სანიშნო მაგალითია, მათში წარსული (ტრადიციული ისტორიული რომანისგან განსხვავებით) არც რესტავრირებულია და არც ილუზია შექმნილი რესტავრირებისა. აქ ასახულია არა ისტორიული მოვლენები, არამედ ისტორიული ადამიანი, მისი პიროვნებად ჩამოყალიბება, მის მიერ თავის თავის შეცნობის ის რთული პროცესი, რომელიც ყოველი ეპოქის ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ამ გზით ერის სული, ეპოქის ხასიათის განსაზღვრული ძირითადი პაოსი არის ნაგრძნობი და რეკონსტრუირებული. როგორც ითქვა, ოთარ ჭილაძის სამივე რომანში პიროვნების ბედში პროეცირებულია ერის ბედი, ეროვნული ხასიათის ესა თუ ის თვისება, დადებითი თუ

უარყოფითი პერსონიფიცირებულია ამა თუ იმ გმირში. ერის ხასიათი ხომ დროსა და სივრცეში ძნელად ცვალებადი ერთეულია, ურად დაუსაბამო და უსასრულო, ამიტომაცაა ოთარ ჭილაძის რომანებში მუდმივობისა და უსასრულობის შეგრძნება. თანამედროვე ინტელექტუალური პროზისათვის დამახასიათებელი კოლივალენტურობა ტექსტისა, მისი სივრცისა და დროის უსაზღვროება, ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემების დაყენება და ტვირთების წარმოჩენა ამ რომანებს, ისევე როგორც ანალოგიური ხასიათის პროზას საერთოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენს თვალწინ გრძელდება საბჭოური რომან-ეპოქის ჩამოყალიბება და ამ პროცესს საერთო კავშირი ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოთარ ჭილაძის რომანების ერთი თავისებურება ისიც არის, რომ იგი დასაწყისით თავდება — ახალი ეპოქის დასაწყისით. ეს ბაღებს შოლოდინის აღუსრულებლობის შეგრძნებას, თავს იჩენს რომან-ეპოქის თვისება: „დიდი ეპიკური ნაწარმოები ყოველთვის დაუსრულებელი რჩება“ (მეგელი). რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია მხატვრულ დაუსრულებლობაზე Non fenito და არა მხატვრული ტექსტის დაუმთავრებლობაზე).

ეტყობა, ავტორის მიერ ქართველი ხალხის არსებობა გააზრებულია ერთ მთლიანობაში, ერთი ფილოსოფიური-ისტორიული კონცეფციით და სხვადასხვა რომანი მხოლოდ ასეთი თუ ისეთი მხატვრული ინტერპრეტაცია ამ კონცეფციისა: ერის სული მაღალორგანიზებულ, სულით ფაქიზ, უანგარო პიროვნებაში განსაზღვრება, ერი წინსვლით, თავისუფალი მომავლისაკენ წარმართული, ძლიერი პიროვნებების ერთიანობას წარმოადგენს. სანამ ასეთი პიროვნება არსებობენ, სანამ თუნდაც ერთი კაცია თავისუფალი, შეოცნებე და მოყვასზე გულბატონებული, მანამ ერი იარსებებს, მანამ იმედი უნდა გვქონდეს.

ოთარ ჭილაძე არასოდეს არ კარგავს იმედს.

პირველ რომანში ჯვარზე გაკრულ ფარნაოზს, სიკვდილის წინ ეწმენება ბიწიერების სადგომიდან გაპარული დარიაჩანგის სასწაულებრივი ხალი და გაქცეული ზღვის დაბრუნება. გრძნობს, ხელში ატაცებული კუტი იკაროსი, როგორ ცქმუტავს, გაფრენის სურვილით სავსე.

— აი, ასეთი იქნება ქვეყანა — ჩანურჩულს ფარნაოზი ბავშვს.

— ასეთი ხომ არის — გაუკვირდა იკაროსი.

— ხო, არის და იქნება კიდევ. — უთხრა ფარნაოზმა.



ასე თავდება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ესაა ჭვარციშვილი ფარნაოზისა, მაგრამ ფარნაოზის სულის გადარჩენაც.

მეორე რომანში ალექსანდრე შაკაბელის, ცალხელა შემაშხიანის, გადარჩენაა მისი ძმის „ნიკოს“ შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართლებელი და განმმტკიცებელი, ჭერ კიდევ სუსტი, ჭერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მაინც სიცოცხლე: ჭიუტი, მწარდი, თამამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ახმახის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ.“ ასე თავდება „ყოველმან ჩემმან მხოველმან“.

მესამე რომანში ჭერ კიდევ უმაწვილი, მაგრამ ბევრის გადამტანი და ბევრის დამკარგავი გელა ასევე სამშობლოსკენ მომავალ გზას ადგას. მან უკვე იცის, რომ „სულის მოსპობა გაცილებით ძნელია, ვიდრე ხორცისა“, იცის რას გლოვობს, რა მდიდარია ბევრი რამის დამკარგავი, და რა მძიმე, რა საპატიო ტვირ-

თი პკიდია ჭერ კიდევ ბავშვურად სუსტი მარტოვე. „მარტო შვილი კი არ იყო ვლადისა, არამედ ვლადის შამაც. ძე წარსულისა და შამა მომავლისა!“

ასე თავდება „რკინის თეატრი“. სამივე რომანში უმთავრესი პრობლემა — თავისუფლება პიროვნებისა და თავისუფლება ერისა — სწორედ ამ წინეობრივად უმწიკვლო უმაწვილებმა უნდა გადაწყვიტონ. და ეს მარტო წარსულის მომავალი არაა, ეს ჩვენი მომავალიცაა.

ადამიანის უკვდავება ერის უმაღლეს მისწრაფებათა გამოხატვაა, ამ მისწრაფებათა რეალიზება და მათთვის თავგანწირვაც, და კიდევ ის, რომ ადამიანი არ უნდა დაიღლოს იმედით, არ უნდა მოსწყინდეს ლოღინი ოცნების აღსრულებიან.

ოთარ ჭილაძე თავისი სეტყვით ჩვენ კვლავ კარაერთხელ ჩაგვაფიქრებს, რადგან იგი ის შემოქმედი, ვინც წარმატებით და დაუღალავად ეძებს „მარადისობის კვალსა და მიწებს“.



ნათუმი ჩატაული ზღვის მოქცევა

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დღეს-დღეობით ექვეშევალ ფაქტად არის აღიარებული ის მნიშვნელოვანი თვისებრივი სიახლენი, რაც 80-იანი წლების ლიტერატურულმა თაობამ მოიტანა. თემატური რაკლის გაფართოება, ახალი გვირის შემოყვანა, ორიგინალურ მხატვრულ-გამოხატვით სარწმუნოებთან მიჯნულება, ზოგად შტრიხებში ის ნიშნული თვისებები, რაც ამ ლიტერატურული თაობის ინდივიდუალობას განსაზღვრავს. ბუნებრივია, მხატვრულ სარწმუნოებათა ის არსენალი, რაც ამ თაობის ლიტერატურული პროდუქციისთვის არის ნიშანდობლივი, ტენდენციები მათი შემოქმედების ანალიზისას რომ კრიტიკალებთან, ლოკალური, მხოლოდ დროის ამ მონაკვეთის კუთვნილება როდია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ხედვის ახალი კუთხისა და აქცენტების მონაცვლეობის იმ მოქმედ პროცესზე, რაშიც ლიტერატურის განვითარების იმპულსია დაუნჯებული.

ამ თვალსაზრისით 70-80-იანი წლების ქართული პროზა საგულისხმო დასკვნების საფუძველს იძლევა. რასაკვირველია, თანამედროვე პროზის სტრუქტურაში დაღვივებული პროცესები 80-იანი წლების წიაღში იღებს სათავეს, მაგრამ ის ხარისხობრივი სიმაღლი, რაც ახალგაზრდა შემოქმედთა მხატვრულ სამუშაოს საზღვრავს, უდავოდ იძლევა საფუძველს, ამ თაობის სერთორ გამოკვეთილ თავისებურებაზე ვისაუბროთ. ტრადიციულად ჩვენს ლიტერატურაში ორი შავის-ტრაღიკული ხაზი იკვეთება, პირობითად ეს არის სოფლური ყოფის ამსახველი უშუალო ხასიათებით დასახლებული პროზა და ე. წ. ანალიტიკური პროზა — ინტროსპექტიული მიმართებანი, „ნიშნობიერების ნაკადი“, დარღვეული კომპონიციური სტრუქტურა. აღმათ, სიახლის პრეტენზიას ვერ დავიჩინებთ, თუ ვიტყვი, რომ პირველი ნაკადი და ტრადიციული გზა; მეორე — უფრო გვიანდელი და რთული, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ, ამ ორი ხაზის მთლიანობა ქმნის თანამედროვე ქართული ლიტერატურის პანორამას და მათი ხელოვნური დაპირისპირება ბუნებრივი პროცესის დარღვევის ცდა იქნებოდა.

სოსო პაიჭაძის შემოქმედებაში, სწორედ ის ტენდენციები კრისტალდება, ის ტიპური ნიშნები იყრის თავს, რაც ინტელექტუალური პროზისათვისაა თვისობრივი. რაც შეეხება ამ მოთხრობების ეთიკურ-წინეობრივ პლანს, მას სამეცნიერ-

რო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის პრობლემატკა მსჭვალავს. ტექნიკის, კომფორტის ტყვეობაში მყოფი ადამიანი კომუნიკაბელობის უნარს კარგავს, ახლობელ ადამიანთა შორის ერთი შეხედვით გადაულახავი სივრცე წვიბა. მარტოობით გათანგული ადამიანის სულში მეორე ადამიანის იდეალური ძახილის გაუნელებელი სურვილი ჩნდება; ეს ძახილი მტკიცე ენულია და თითქოს უიშვდო. ს. პაიჭაძის ყოველ მოთხრობაში ორი ადამიანის სულის ეს ძახილია საცნაური. ეს არის ზიზღნარევი სიყვარულით, გათიშვლილი სიახლოვით ურთიერთგადაჭაპვული ქალი და მამაკაცი — მიშა და მარია („მოთხრობიდან „მეთევზე““), ანკია და ანეტა („უკანასკნელი დუბლი““), კობა და ივლიტა („ბაქანი — ბოტანიკური ბალი““), იროდიონი და ასპიროზა („იროდიონი““), ნიკო და თინა („საღვაც, გზის პირას““).

მათი დამოკიდებულება არ არის ერთსახეოანი. საერთოდ, სოსო პაიჭაძის ხელწერისათვის ნიშანდობლივია ვანცდათა ამბივალენტობა, მიზიდულობისა და განვიდვის თანაბარი ხარისხი, რაც მათი სულიერი დრამატის სიმძაფრეს განაპირობებს. მოთხრობა „მეთევზის“ გვირები ცოლქმარნი არიან. მათ ეს-ეს არის ბავშვი დაედუპათ. ეს გარემოება მათ შორის მანამდე არსებულ ბზარს ათვალსაჩინოებს. ავტორი იუველითის სიღაჭიანობა გვიჩვენებს ქალის სულის მოძრაობას. ქმრისადმი მის მიმართებაში მუდამდებუა სულის ტრაგიაში, მარტოობის გადაულახავი სივრცეებზე: „კაცს რაღაც შიშისა თუ აღტაცების გამაერთიანებელი გრძნობისაგან უცნაურად დაღმეკოდა სახე, ხელებში მისჩერებოდა და მთელი მისი არსებობა იმ წუთის იქ ისე უაზროა და შიშისმომგვრელად შეტყვევით იყო, რომ მარიას ერთბაშად ენოშნა, რაღაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საუნჯის დაკარგვა, უფრო მნიშვნელოვანისა, ვიდრე შვილი იყო“. მოთხრობის საზაროვნო სიტუაცია გ. რჩეულშვილის მოთხრობის „მუნჯი, ახმედი და სიკოსტრო“ შორეულ რეზინისცენიას იწვევს. ამ მოთხრობაში ბავშვის სიკვდილი, მანამდე უძლეველი ახმედი-სადმი ცოლის უნდობლობას ხადებს. აღმოჩნდა ძალი (სიკვდილი), რომლის წინაშე უმწეოა ქალის გადაშრჩენი მეთევზე. მაგრამ კონტრების ამგვარი თანხვედრა მოთხრობათა ხაზისის იდეენტურობას როდი აპირობებს. ის, რაც რჩეუ-

ლიშვილთან ორი ადამიანის იდილიური სიუჟარული და რღვევის იწვევს, ს. პაიჭაძესთან ადამიანთა სულიერი გაითმულოების გარეგნული საბაბია.

ასეთივეა თითქმის თინასა და ნიკოს დამოკიდებულებაც („სადაც გზის პირას“). უფრო მეტიც, ამ მოთხრობის პერსონაჟთა მიმართბანი მთლიანად ამბივალენტურია. ცოლსა და ქმარს ძლიერი, ვნებიანი სიუჟარულით უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ქმრის თვითგადებისათვის მუდმივი შინაუფროსა ბოჰემის ქალს და ამგვარი განცდის უქონლობის შიში შემწყნარებლურ გაღიზიანებას ბადებს. ნიკოს აწამებს ერთგულ მეგობრის დესპოტური მფარველობა, მისი ვაჟაცური შეუპოვრობა, ნიკოს შემთანხმებლური უნიათობის გამოწვევა თითქოს. მათი ამგვარი დამოკიდებულება, რომელიც ნიკოს მძიმე მოვალეობად დასწრულია, იმდენად ძაბავს პერსონაჟს, რომ იგი თინას ხაერთოდ უშმაკვს მის ქმართან ნაცნობობას, კობას ლტოლვა მისი პირველი, ბავშვურად გაუცნობიერებელი სიუჟარული ობიექტისადმი ბოლოს და ბოლოს მომთენთავი აპათით მთავრდება, როგორც კი იგრძნობს მთავარი გმირი, რომ ქალის ინტერესი ოციწლისწინანდელი კობასადმი მიმართული, მის თითქმისა და ვალდებულ გრძნობას საკუთარი წარსულისადმი ექვიანობა თრგუნავს („ბაქანი — ბოტანიკური ბაღი“). ასევე გაურბის იროდიონი („იროდიონი“) თავის ცხოვრებაში ერთადერთ ნაღ სიუჟარულს; თუმცა მთელი მისი არსებით ამ სიუჟარული საკენ მიისწრაფოდა. ამ განცდათა მოტივი სხვადასხვაა. უფრო მეტიც, აბსოლუტურად განსხვავებულა; მწერალი ახერხებს ორიგინალურ სიტუაციათა დახატვას, მაგრამ ამ სააზროვნო სიტუაციათა წიად ავტორის შემოქმედების ერთი ტენდენცია იკვეთება.

ავტორის ზუსტი ფსიქოლოგიური ანალიზი, უმთავრესად ნახევარტონებით, მინიშნებებით არის მიღწეული, ამიტომაც მეორდება ხშირად მის ფრაზაში რაღაც, თითქოს, რატომღაც, რაც მთავარია ამგვარი კონკრეტულობა კი არ აბნევს მკითხველს, არამედ მის გრძნობათა კაშკაშის, სწორედ იმ ერთადერთ შეხაბის განცდას გამოიხმობს.

წვილიანი ყოველდღიურობიდან თავის დაღწევა, სულიერი წონასწორობის აღდგენა, შინაგანი თავისუფლების მიღწევის წყურვილი აწუხებს ს. პაიჭაძის მოთხრობის გმირებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ თავთან გაუცხოებული, ე. წ. გარკვეული ფსიქოლოგიის ადამიანია: „რაღაც უაზრო დაშაქტყმატყბელი ყოველდღიურობა არ გაცლის საკუთარი თავის გახსენებას, იმის საშუალებას არ გაძლევს, რომ იყო ის, რაც მინამდვილში ხარ ან რაც ოდესმე უფლებარ და შენივე თავის დამამცილებელი, გამაზიარებელი განცდაც კი დაგეუფლება წამიერად და მაშინვე სულ სხვა აზრით

გაივსება ეს ქვეყანა“ („ბაქანი — ბოტანიკური ბაღი“).

„მაგრამ ამ მიუწვდომელი სიზორობის განსაზღვრულ ქალაქში ყველაფერი ცალკე იღო, თითქოს მათ არ ენებოდა და არც იმის უფლებას აძლევდა, თავიანთი ჩარევით შეერთებოდნენ ერთმანეთს“ („მთევზე“) ქალაქური ყოფის პანორამა თრგუნავს პიროვნებას, ნივთიერების საფრთხეს უქმნის მას. ამ პროცესის მხატვრული უკუფენა ს. პაიჭაძის პალიტრაზე გარკვეულ ანტურაჟს აპირობებს: „ტორტმანით ამოიზიდა შორს ჩამოწოლილ ბნელში დანთქმული ხეები, ბოძები, რივის ქვებით მოკირწყლული ქუჩის დამრეცი კალთა, შერას მიაწვდა ორი გავარკებული თავალი ავტომანქანის, შემდეგ კიდევ ორმა ღვარამა დაურავა ქუჩა.“ ამგვარ ტონებს თითქოს აწონასწორებს აქა-იქ გამკრთალი ზღვის შორეული კონტურები; ზღვის ფონი პაიჭაძის ყველა მოთხრობაში ილანდება, ეს არის თავად ბუნება, რომელშიც დაურღვეველი პარმონიაა დაუნჯებული.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, ს. პაიჭაძისათვის ემპირიული ფაქტურა ხშირ შემთხვევაში უბრალო ფონია მხოლოდ. იგი გაურბის ფერადოვან პეიზაჟებს და გარეგნულ სიტუაციათა სტრუქტურულურ აღწერას. მწერლის თვალთხედვის არწივი, უმთავრესად, პერსონაჟთა სულის პანორამა ფოკუსირდება. ავტორი მხხვილ კლანში წარმოაჩენს საკუთარ გმირებს. თუ ამ გარემოებას მოთხრობათა ცალკეული პასაჟების კომპოზიციური დაკავშირების თავისებურებას დაფუძნებთ, შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო მოთხრობებში ავტორს ე. წ. ლიტერატურაში კინემატოგრაფიის ბერის აქვს მომარაგებული. საგულისხმოა, რომ მისი ერთი მოთხრობის ხიუტები კინოგადასაღებ მოედანზე ხდება. ეს არის პროექტორებით განათებული მიკროსამყარო, სადაც მთავარი გმირის ბიოგრაფიის დეტალები პროექტირდება, როგორც ცნობიერების ზედაპირზე ამოტყვევებული კინოკადრები. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ მოთხრობის სათაური — „უქანასკნელი დუბლი“ ს. პაიჭაძეს თავისი მოთხრობების პირველი წიგნის სათაურად აქვს გამოტანილი.

ს. პაიჭაძეს შემოქმედებითი კონცეფციის მთავრული შიში კომპლექსისადმი მკვეთრად გამოსატული ინტერესი. შიშის კომპლექსში შრავლავისაა დამოუკიდებელი თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში, უფრო მეტიც, ეს პრობლემა ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თემათაგანია, ამ კონცეფციით, ყოველგვარი შიშის დფრიტას სიკვდილის შიში წარმოადგენს. ამ თანამედვე განცდის დატრფავა ადამიანის ქალისმხვევა აღმტატება, თუმცა მის დადევნებას, პიროვნება ახერხებს საზოგადოებაში გათქვეფით ს. პაიჭაძესთან ეს პრობლემა განზომილებათა ახალ სინტაქსზეა აუჯანბლი. როგორც

ვთქვით, მის მოთხოვნებში სწორად ფიგურირებს ეს გრძნობა, სხვადასხვა ნიუანსური სახეცვლილებით. ეს საკითხი ავტორისათვის ხან გვირის შინაგანი ქმედების მოტივი, ხანაც მოთხოვნის მხატვრული სტრუქტურის საფუძველი.

საავტომობილო კატასტროფაში დაღუპვას გადაჩენილი ანგია („უჟანასკნელი დუბლი“) გვიან აცნობიერებს შიშს. რაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრების თანამდევრ განცდა ხდება. მისი როგორც არანორმალური ადამიანის ცნობიერებაში დაღუპილ ამ გრძნობაზეა პროექტირებული მოთხოვნის ფსიქოლოგიური პლანი. „გადარჩა! მარტო ანგია გადაჩა! — ამის გაფიქრებაზე ისევ დაეძგერა გამოვლენილი შიში — ყველანი დაიხოვრებ და მარტო ანგია გადაჩა! არ ახსოვდა, როგორ გადმოვარდა მანქანიდან, მაგრამ ახლა ამაზე აღარც ფიქრობდა. იქ, ქვევით, უამრავი სიკვდილი იყო. უფსკრულიდან უთვალთვალვდა რაღაც დაუჭერებელი მდგომარეობა და რაც შეიძლება ჩქარა უნდა ვასცლოდა ამას, დამოვლოდა...“

დაშორებული შიში მსჭვალავს მარიას და მისი ქმრის ურთიერთობასაც, მაგრამ ეს შიში ადამიანური მხატვრობის შიშია. საკუთარ არსებობას გაუცხოებული ადამიანი არაბუნებრივ, ახლა უკვე მისად ქცეულ ნიღაბს გაურბის ქვეშეცნეულად.

წვრილმანი ყოველდღიურობის, აუტანლად უაზრო მოვალეობისაღმე შიშის წინააღმდეგ ამბოხდება განიცდება ნიკოსა და თინას ურთიერთობა („სადღაც, ჭზის პირას“). ნიკოს აშინებს მიწის ამოება, ისევე, როგორც საკუთარ თავში აღმოჩენილი არაგულწრფელობა: „ამას უკვე აღარაფერი ეშველებოდა და ამიტომ უმჯობესი იყო შერიგებოდა ხედს, განედევნა ყოველგვარი შიში და სინაფონი და როგორც დაეჭრებინა თავი, რომ აუცილებელი იყო ეს თამაში, შესისხლბორცებული მოვალეობებით/ გათოკილი ცხოვრებიდან თავაშვებული საქციელი“. ქალი ამ მხრივ უფრო იმპულსური და თამაშია, რაც მათ ურთიერთობას საბოლოოდ ხელდასრულებს: „...აღარ შეიძლება ამდენი შიში — იყვირა თინა და ჭიკა ხელი დაავლო — აღარ მინდა ამდენი შიში!“

საკუთარი თავის შიშია მიწეში იროდიონის სოფელში გადახვეწვისა („იროდიონი“). ეს მკვეთრად გამოკვეთილი არასრულფასოვნების კომპლექსი აუალიბებს მისი სულის დრამატისმს: „შენ შენვე თავის შეგეშინდა და ამიტომ გაიტკიცე!“ — ეუბნება თავის ორეულს იროდიონი და საკუთარი სულისაკენ მიმავალ ჭზას ეძებს. ეს ძიება ქმნის პერსონაჟის ტრაგიკის საფუძველს. მოთხოვნაში სიკეთე გააჩნებულია, როგორც თვითდაშვიდების საშუალება. იროდიონისათვის უცხოა პატივმოყვარეობის ცივი ანგარიში. იგი სიკეთის ქმნის სურვილით არის

განმსჭვალული მაშინაც კი, როცა ეს სიკეთე პასუხად უმადურებას იმეის, იროდიონის ხასიათის ეს სწორბაზოვნება სრულიად უცხოა ნიკოსთვის მისი შემოქმედების იმპულსის პასუხისმგებლობის შიშშია ჩადებული. ეს შიში საკუთარი ადამიანური დანიშნულების, კაცური მოვალეობის, გრძნობის გამჟღავნება განცდაა: „ეს იყო უსულგულო პატივმოყვარეობის ცივი ანგარიში, ათასჯგის სინანულით შეცნობილი და მაინც მოუშორებელი გულგამოქმული ამპარტავნი, მისი ფურტოლო იამაჟე და, რაც ყველაზე უფრო სავალალო იყო, შიში, შიში, პასუხისმგებლობის შიში, პირველი ნაბიჯის შიში, ვალდებულების აშორების მუხანათური სურვილი“ („სადღაც, ჭზის პირას“). პასუხისმგებლობის შიშის პრობლემას უანპოლ სარტრის თეორიულ ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი კონცეფციით, ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო საკუთარი თავის, არამედ მთელი სამყაროს წინაშე. იგი ვერასოდეს გათავისუფლდება ამ პასუხისმგებლობისაგან, რადგან თავისუფალია თავის არჩევანში.

ნიკოს არჩევანი იმთავითვე პიროვნული ინტერესებით არის დასაზღვრული. უკვალად დაკარგული მეგობრის ძიება საკუთარი პატივმოყვარეობის ხარკია მხოლოდ: „ციცი, რომ ჩემი ბრძოლა სიმართლისათვის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენი ბრძოლა იყო და სხვა არაფერი. ციცი, რომ მინდოდა გამეთავისუფლებინა მკვლელი ჩემი და ჯალათი ჩემი, რათა დავმტკბარიყავი ამ სიმართლისა და სიკეთის განცდით...“ — აღიარებს იგი შინაგან მონოლოგში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თინას შეუღლის სახე მწერლის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც ნიკოს სახის გარკვეული ბიპოსიტივი. ამ მოსაზრებას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ იგი საერთოდ არ ჩნდება მოთხოვნაში და მხოლოდ ნიკოსა და თინას მოვალეობებში გაქრება ხოლმე უამიდან უამზე. თინას დაუფლების სურვილიც მასთან (საკუთარ მეორე მესთან) მუდმივი ბრძოლის გამოვლენაა. ნიკო ნიდავ უპირისპირდება მას, საკუთარი სინდისის ხმა და და სინდისის მიუყრების მიწეზეს ამავე დროს. პერსონაჟის სახის ამგვარი გაზრება მას წარმოაჩენს, როგორც უნებობივ გვირს, რომელიც მარცხდება თავის უხილავ „მამილიბელთან“ ბრძოლაში. ამდენად, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნიკო ტრაგიკულად გაორებული ადამიანია. მისი წნეობა ადამიანურ პასუხისმგებლობასა და პატივმოყვარეობის ანგარებას შორის მერყეობს.

ს. პაიჭაძის გმირები ოდენ საკუთარ არსში თვითწარმავებელი ანალიტიკოსები როდი არიან. მათი მიმართება გარემო სამყაროსადმი უარესად გამაფრებულია. ისინი სიმართლის დასადგენად იბრძვიან. თუმცა ეს სიმართლე ავტორის მიერ დაკონკრეტებული არ არის,

მაგრამ აშკარაა, რომ ავტორი გულგრილი არ არის სოციალური პრობლემებისადმი. „რისთვის იწამებდა თავს სიმაართისათვის? მერტა რა არის ერთი კაცის სიმაართე, იგი ხომ უაზრო ტვირთია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წილს გწყვეტს, გლისს, გაოსტებს. ერთი კაცის სიმაართე კატორღაა, რომლის კარი მხოლოდ შაშინ გაიღება, როცა დაიღლები და იყვირებ: — მე თავისუფლება მინდა! ამიტომ ჩემი სიმაართეც — სიცრუეა“. ასეთია მოთხრობა „უკანასკნელი დუბლის“ კონცეფცია. ანგარი მთელ ცხოვრებას აფორიაქებს ეს სიმაართე, რომელსაც დადგენა არ უწერია. „სამი თვის ნერვების გლქად, გულის მჭიჭნავ ეჭვებად და დაშქანცველ უწყმანად დაუჭდა ეს სიმაართე და ახლა არასდიდებით არ დასთმობს, არც ერთ ფრანს არ შეცვლის, რადგან ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დასრულდეს და დასამახსოვრებელი აწმყო და ხომ უნდა დასრულს ამდენი ხნის ნალოდინარი მომავალი“. („ხადაც, გზის პირას“). ნიკოსათვის მისი სიმაართე თვითდამკვიდრების საშუალებაა. ამ სიმაართის დადგენის უაზრობის აღიარება მის სულიერ წონასწორობას არღვევს.

ს. პაიჭაძის ანალიტიკური სტილი, მისი მიწრაფება პერსონაჟთა არაცნობიერი იმპულსების წარმოჩენისა ბუნებრივად აპირობებს მოთხრობათა მოდუნებულ დინამიზმს, ანელებს სიტყვის ექსპრესიულობას, ამგვარი სტატიკურობის აშკარა კომპენსირებას წარმოადგენს მწერლის ხელწერის ბერბი, რომელსაც პირობითად „გაცრუებული მოლოდინის ემპტი“ ვუწოდებთ.

სარკეტწიო მოთხრობათა ერთი ნაწილი დეტექტივის ფორმითაა შესრულებული. „უკანასკნელი დუბლის“ პროტაგონისტი რადაცა იდუმალებით მოსილ ამბის გამოხსნას ესწრაფის. მის ხელთ მამხილებელი დოკუმენტებია, მაგრამ გარკვეული მდგომარეობის ადამიანები დაინტერესებულნი არიან ამ საქმის მიფუჩიჩებით, ისინი ურჩევენ ანგაის თავი შეიკავოს ამგვარი ცნობისმოყვარეობისაგან. მოთხრობის გმირი საბოლოოდ სულით დაავადებულითა სახლამდე მიდის. მოთხრობის „ხადაც, გზის პირას“ მთავარი გმირი ნიკო ასევე ცდილობს გახსნას საქმე, რადგანაც, მისი აზრით, უდანაშაულო კაცია მსჯავრდებული. მაგრამ პროკურორი აკრძობინებს, რომ ამგვარი თავგაშობა ამაოა, რადგან ეს ამბავი სხვა უფრო სერიოზულ საქმეებს უკავშირდება. საქმეს ისიც ართულებს, რომ „დამნაშავე“ უჯლო-უჯლოდ არის დაკარგული. მოთხრობის გმირი ბრალდებულის მეუღლესთან ერთად, დეტექტიური ფილმების პერსონაჟთა დარად, გზის პირას არსებულ რესტორნებში დადის, რათა ამ საქვეო ამბის ერთადერთ მოწმეს მი-

აგოს. მოთხრობა „იროდონის“ ერთ-ერთი პერსონაჟი სოფელში მიტოვებულ სახლში წვავს, როგორც შემდეგ ირკვევა, ამ სახლში მდებარეობს კმედების მიწანია, შექმნას გარკვეული ალიბო იმ ბრალდების საწინააღმდეგოდ, რომლითაც მას, როგორც მონტორს, ეკისრება პასუხისმგებლობა სოფლის ფერმაში ხანძრის გაჩენის გამო.

დეტექტიური ელემენტია მოთხრობაში, „ბაქანი — ბოტანიკურს ბალი“, მაგრამ მოთხრობათა ფინალში აშკარა ხდება, რომ მკითხველის ცნობისმოყვარეობას ვაცრუება ელის. უფრო მეტიც, შექმნილი სიტუაცია მოსალოდნელი კენძის გახსნის უაზრობას ათავსა-ჩინოებს. „გაცრუებული მოლოდინის ემპტი“, ჩვენი აზრით გააზრებულია, როგორც პაროდია იაფფასიან დეტექტივებზე. ალბათ, ზედმეტი არ იქნებოდა შევიცარიელი მწერლის ფრიდრის დიურენმატის გახსენება, რომლისთვისაც დეტექტიური ფაბულა საშუალებაა მხოლოდ და არა თვითმიზანი, თუმცა მისი ქმნილებანი დაცლილია ზემოაღნიშნული პარადიული ნიუანსისაგან.

ს. პაიჭაძის პროზა არაინფორმაციულია ამ სიტუაციის პირდაპირი გაგებით. მასში ცოტაა ამბავი, მოხაზულია გმირების ბიოგრაფიის მხოლოდ შტრიხები. ავტორის მახვილი პერსონაჟთა მშვიდფერის ლაბირინთების ჩვენება და სმული. გმირების ცხოვრება მათ ცნობიერებაში ამოტივტივებული ცალკეული დეტალებით განსხეულდება მხოლოდ. მოთხრობებში დარღვეულია დროის ქრონოლოგია, იგი პერსონაჟის შინაგანი ცხოვრების მომენტებზეა პროცირებული, ეს არის არა დანაწევრებული მონაკვეთების შექანიკური ქაში, არამედ გარკვეულ მომენტში ან ცალკეულ ფაქტში განჭვრეტილი სივრცე-დრო, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ესაა წვეთში ჩატეული ზღვის მოქცევა.

როგორც ითქვა, მწერლის ფაბულა მარტივია, უფრო მეტი: პრიმიტიულიც. მაგრამ ამ პრიმიტივიზმს, რთული კომპოზიციური სტრუქტურა და ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლა აწონასწორებს. მოთხრობების არქიტექტონიკა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ტექნიკური ხერხით არის კონსტრუირებული. გმირთა სულიერი ცხოვრების ეს თუ ის მომენტი მისი წარსული ცხოვრების სხვა ასოციაციურად დაკავშირებულ მომენტს გამოიხმობს. ეს გამოხმობა ფსიქოლოგიური ასპექტითაა მოტივირებული და ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს აღრმავებს. ხშირ შემთხვევაში ეს ეპიზოდები ისე ენორცებთან ერთმანეთს, რომ ერთმეორისაგან აზნაცუბითაც კი არ არის გაყოფილი. ამგვარი გადასვლები ავტორის მწერლურ ოსტატობაზე მეტყველებს.

ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმონარის შესახებ

1984 წლის ბოლოს სამი თვით სამეცნიერო მივლინებით ესპანეთში ვიმყოფებოდი. მივლინების ძირითადი მიზანი იყო ესპანეთის უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში ლექციების კითხვა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე და მის მიმართებებზე ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპულ მწერლობებთან. პარალელურად, ესპანეთის არქივებსა და წიგნსაცავებში ვეძიებდი საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პირველწყაროებს. ამის სტიმულს მამძლედა ესპანეთის საისტორიო არქივებში ქართველ ისტორიკოსთა (ილია ტაბაღაძე, ჭუანშერ ვაიფიშვილი) ნაყოფიერი მუშაობის რამდენიმე ფაქტი. ამ თვალსაზრისით ჩემი ყურადღება მიიპყრო როგორც გამოკვეთებულმა მასალამ — ესპანელი ელჩების და მოგზაურების მოგონებებმა და დღიურებმა, ასევე მდრინდის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულმა უცნობმა ხელნაწერებმა, ანდა ძველმა რუკებმა და ესპანეთის სახელმწიფო არქივებში შემონახულმა სახუთებმა ქართველ მეფეებთან მიმოწერაზე. ამ მასალის მიგნებაში, მოპოვებასა და დამუშავებაში დიდი სამსახური გამოიწიეს ესპანელმა კოლეგებმა.

ამქვეყნის მეთხველის ყურადღება გვიანდა შევაჩერეთ ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის ამსახველ რამდენიმე საარქივო დოკუმენტზე.

ძველი საქართველოს ურთიერთობას ევროპის ქვეყნებთან დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება რომის და შემდგომში ბიზანტიის იმპერიასთან შვიდრო ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტებით. ჭვაროსნული ომების ეპოქიდან მოკიდებული ხშირდება ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან. ბიზანტიის იმპერიის საბოლოო დაცემის (1458 წ.) შემდეგ ქართველები დაუფინებით ექმებდნენ რეალურ მეგობრულ კავშირს ქრისტიანული დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ქართველთა პოლიტიკური ორიენტაცია ერთი მხრივ რუსეთისაკენ ისწრაფოდა, მეორე მხრივ კი — ქრისტიანული ევროპისაკენ. დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სამეფოთაგან ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას ესპან-

ეთისადმი ამჟღავნებდნენ. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, ესპანელ მეფეებთან თავიანთი ელჩები მიუვლენიათ და დახმარების თხოვნით წერილები გაუგზავნიათ ქართველ მეფეებს: კონსტანტინე მეორეს (XV საუკუნის დასასრული), სიმონ პირველს (XVI საუკუნის დასასრული), თეიმურაზ პირველს (XVII საუკუნის პირველი ნახევარი).

უდავოა, რომ ესპანეთში ქართველთა მიმოწერის ინტენსიფიკაციის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, XV საუკუნის II ნახევრიდან ესპანეთის ქრისტიანული სამეფოს გაძლიერებაა. მაგრამ ამის გვერდით, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწვდია ის გარემოებაც, რომ ქართველებს ესპანეთში თავიანთი შორეული ნათესავებიც ეგულეობდათ. ამ წარმოდგენას ის საფუძველი ჰქონდა, რომ უძველეს დროში ესპანეთსაც, ისევე როგორც საქართველოს, იბერია ერქვა. დასავლეთის იბერიის ანუ ესპანეთის იბერიის, ან კიდევ პირინეის იბერიის (როგორც მას ზოგჯერ უწოდებდნენ) ნათესავობაზე აღმოსავლეთის იბერიასთან ანუ ევქსინის პონტოს იბერიასთან ჭერ კიდევ ძველი ბერძნები წერდნენ (იხ. 16. გვ. 10-21.) იბერების მიგრაციას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სარწმუნოდ თვალადნენ მეგასთენე (IV-III ს. ძვ. წ.), აპოლოდორე (III ს. ძვ. წ.), სტრაბონი (I ს.), იოსებ ფლავიუსი (I ს.), დიონისე პერიეგეტი (II ს.), ევსევი კესარიელი (III-IV ს.), სოკრატე სქოლასტიკოსი (V ს.) და სხვები. ძველი რომაელი მწერლები უპირატესად იბერების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასახლების ვერსიას უპერდნენ მხარს: აპიანე (II-I ს. ძვ. წ.), ვარონი (II-I ს. ძვ. წ.), პლინიუსი (I ს.).

ჩვენს წინაპრებს ესპანეთის იბერები მონათესავე ხალხად მიაჩნდათ. ამის დასადასტურებლად ორიოდ ფაქტიც კმარა.

ძველ ქართულ თარგმნილ საისტორიო და გეოგრაფიულ ძეგლებში „დასავლეთის იბერები“ (და თვით აქალაქები) იხსენებიან როგორც „ქართველნი დასავლეთისანი“ (6, გვ. 177). ასე, მაგალითად: რომის პაპის გრიგოლ დიდის „დიპლომის“ ქართულ თარგმანში იბმარს (რომელიც, ტექსტის მიხედვით, პირინეის იბერიის მკვიდრს ნიშნავს) შეესატყვისება ძარმძველი (6 გვ. 12-13). ბასილი კაბადოკიელის „მექსემე-

წერილი პირველი.

რონის“ („ეკუსთა დედთა“) ძველ ქართულ ვერსიებში ბერძნული ტექსტის იმპერიის ეკვივალენტია „ქართველნი დასავლეთისანი“ (9, გვ. 7-8). უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ძველ ქართულ თარგმანებში ბერძნული დედნის მსპანმთი („სპანია“) გადმოტანილია სპარტაკელ-მოდ. ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრების“ XI საუკუნისეულ ქართულ თარგმანებში (იხრემ შვირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანები) დედნისეული მსპანმთი თარგმნილია სპარტაკელმოდ, „რომელსა სპანია ეწოდების“ (6, გვ. 18). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ჩვენში ქართულ ენას ზოგჯერ „სპანთ მოსახელე ენასაც“ უწოდებდნენ (6, გვ. 14).

„იონასა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, რომელიც XI საუკუნეშია დაწერილი გიორგი ათონელის მიერ, პირდაპირაა ნათქვამი, რომ ქართველებს ესპანელები თავიანთ მონათესავე ხალხად მიიჩნდათ. ავტორგაფის მონათბრობის თანახმად, იონემ გადაწყვიტა თავისი შვილითა და არმდენიმე მოწაფით ესპანეთში გადასახლებულიყო, „რამეთუ ასმოიდა, ვითარმედ ქართველნი არამყირდენი ნათესავნი და ირნი მჟიდარ არიან მუნ“ (14, გვ. 54).

როგორც ჩანს, ეს ტრადიცია ცოცხალია ქართველთა სამეფო კარზე XV-XVIII საუკუნეებში და, ამდენად, საქართველოდან ესპანელ მეფეებს მეგობრობისა და დახმარებისათვის მიმართვადენ არა მხოლოდ როგორც ძლიერ ქრისტიან მეფეებს, არამედ, ამავე დროს, როგორც ქართველთა შორეულ ნათესავებსა თუ თანამემამულეებს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის კარზე თიბორაზ პირველის წარგზავნილი ნიკოლორე ონაპკის ელჩობის მასალებში მარტო ქართველი მეფის წერილიკი არ იხსენება, არამედ მოხსენებითი ბარათიც ესპანელი ხელმწიფისადმი — „ცნობა იბერიისა და იბერთა ანუ ქართველთა შესახებ...“, რომლის შედგენაში, ამ მასალების შემსწავლელის აზრით, აუცილებლად, მონაწილეობს ნიკოლორე ონაპკიც. ეს „ცნობა“ ესპანელთა და ქართველთა ნათესაობის მტკიცებას არ შეიცავს, მაგრამ ფილიპე IV-ს შეახსენებს, რომ ძველ ბერძნებს სარწმუნოდ მიიჩნდათ ორი იბერიის ურთიერთკავშირი: „ისინი ამბობდნენ, რაც მტად სუვეკობა, რომ არსებობს ორი იბერია, ერთი აღმოსავლეთით, მეორე — დასავლეთით, რომელიც არის სწორედ ესპანეთი. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ აღმოსავლელი (იბერია) მოვიდნენ ესპანეთში და მას ეს სახელწოდება მისცეს. სხვებს პირიქით მგონია. ორივე ეს აზრი არასწორად მიიჩნევა“ (8).

როცა იმავე ვიკირობთ, თუ რატომ ელოდნენ ქართველი მეფეები მეგობრული ხელის მოწოდებას შორეული ესპანეთიდან, ურაცო არ იქნება, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მოგონებებშია დ ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ. შარდ-

ენი საქართველოში 1672 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და ხუთიოდე თვე დარჩა. თავისი შეხებულობებით ავტორმა დღიურების სანისმოსცა — „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. შარდენი დეტალურად აღწერს საზღვრო ვახუშტის ქართველ მეფეთთან (შარდენი მას მთაპარს უწოდებს), სადაც თვითონ საპატრიარქო ხტუმრად იყო მიწვეული: „... შუა ღამეს წამოვიდით, მას შემდეგ, რაც დიდის მოწინებით გამოვებოხვეთ მთავარს. გამოშვიდობებისას მან მკითხა, როგორ ბრძანდებო ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თანხით შეხვა მისი სადღეგრძელო... დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რაწარიად უნდა ყოფილიყო მთავარი ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვედი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან“ (12, გვ. 849).

1. მეთხუთმეტი საუკუნის წარიღი ესპანეთიდან

XV საუკუნის II ნახევარი უარდრესად რთული ხანა იყო საქართველოსათვის. 1458 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ დაანგრეს. ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელს საქრისტიანოს. რომის პაპმა პიუსმა კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანობის გაერთიანების გეგმა შედგინა და თავისი ელჩი საქართველოშიც გამოგზავნა. საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ მოახერხა დროებითი ზავი ტარა საუთარ მთავრებთან, დაუკავშირა ტრაპიზონის სამეფოს და მცირე არმიენის და საბრძოლო მზადყოფნის დასადასტურებლად ელჩობა გაგზავნა რომის პაპთან. ელჩობა მალე დარწმუნდა რომ ევროპას თავისი შინაური საქმეები იმდენად აწუხებდა, რომ რომის პაპს თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების იმედის ნახაზიც აღარ ჰქონდა. კოალიციის გეგმის ჩაშლის საქართველოში შინაური ზავის დარღვევა და მშათა სისხლის ღვრა მოჰყვა. თურქეთის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნა სცადა გიორგი მეფის ძმის შვილმა კონსტანტინე მეორემ, რომელიც 1478 წელს გამეფდა. ამ მოწინა პირველად ეგვიპტის მბრძანებელთან გაგზავნა სასურარი დეპუტის ნილმონი. ეგვიპტელან უჯან დაბრუნებულ ქართველთა დეპუტის იერუსალიმში ესპანეთის მეფის ელჩები შეხვედრიან და მათგან ესპანეთის არაბთაგან განთავისუფლების ამბავი გაუგია. გახარებულ ნილოსს ესპანეთის ელჩებმა საქართველოში თავის მეფესთან სტუმრად წამოუყვანა (16, გვ. 487-488). ეს უნდა მომხდარიყო 1494 წლის დამლევის, ან 1495 წლის დასაწყისში.

პირენეს ნახევარკუნძული VIII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბებმა დაიპყრეს. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ომიანთა დი-

ნახტობის დამოუკიდებელი კორდოვის არაბული საამირო, ხოლო X საუკუნის I მეოთხედიდან კორდოვის ხალიფატი არსებობს. XIII საუკუნის დასაწყისიდან კორდოვის სახალიფოს ნანგარევეზე ახალი არაბული სამეფო გრანადის საამირო შეიქმნა. ესპანეთის არაბთაგან განთავისუფლება გრანადის საამიროს წინააღმდეგ პირენეს ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში არსებული ესპანური სამთავროების ბრძოლით დაიწყო. 1479 წელს გაფორმდა დინასტიური უნია კასტილიისა და არაგონის ესპანურ სამთავროებს შორის, რასაც წინ უსწრებდა ქორწინება კასტილიის ტახტის მემკვიდრე იზაბელასა და არაგონელ უფლისწულს ფერდინანდს შორის. ასე დაიწყო ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანება. 1480 წლიდან ესპანეთი დაიწყო ინვეზიაცია. ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით არაქრისტიან მონახლეობას ძალით აქრისტიანობდნენ, ხოლო ურჩებს ესპანეთიდან დევნიდნენ. 1492 წელს ფერდინანდ II-მ და იზაბელა დედოფალმა დაამხეს პირენეს ნახევარკუნძულზე მამადაინათა უკანასკნელი დასაყრდენი გრანადის საამირო. ამავე წელს კასტილიის სამეფოს ქვეშევრდომმა ქრისტეფორე კოლუმბიმ ამერიკა აღმოაჩინა. სწორედ ეს ამბები უნდა მოეტანა ქართლის მეფე კონსტანტინესთან იერუსალიმიდან ხტუმრად მოყვანილ ესპანეთის ელჩს.

1495 წლის გაზაფხულზე კონსტანტინე მეფემ ესპანეთის ელჩებს თავისი დეხანები გააყოლა და ძვირფასი ძველნათა და წერილებით ესპანეთის დედოფალთან გაგზავნა. რადგანაც შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი თურქებს ეპურათ, კონსტანტინეს ელჩობა ესპანეთისაკენ ჩრდილოეთის გზით უნდა გამგზავრებულიყო. დასავლეთ საქართველოდან შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ელჩები დენკარს დენკარშიდ უნდა ასულიყვნენ. შემდეგ დენკართი კიევე გავლით და დენკარის მარჯვენა შენაკადით ლიტვა-პოლონეთის სამეფო კარზე უნდა მოხვედრილიყვნენ (18, გვ. 28-29). საქართველოს ელჩობა აქ ხვედებოდა ანტითურქული ორიენტაციის ძლიერი სახელმწიფო.

XI საუკუნის დასასრულს გერმანელების ტევტონთა ორდენის შიშით პოლონეთის სამეფო ლიტვის ძლიერ სამთავროს შეუერთდა. პოლონეთის მეფემ ნაპურთხი დედოფალი მისთხოვდა ლიტვის დიდ მთავარს და ეს უკანასკნელი ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე ავიდა ვლადისლავ II-ის სახელწოდებით. 1410 წელს პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელ ტევტონთა დიდი არმია. ლიტვა-პოლონეთის სამეფო დენკარის გზით ვადიოდა შვე ზღვაზე. ვაქრობას აწარმოებდა დასავლეთთანაც, ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული გენუის კოლონიებით და აღმოსავლეთთანაც. ამ გზაზე ლიტვა-პოლონეთის სამეფოს მთავარი მოწინააღმდეგე იყო თურქეთი, ხოლო ამ უკ-

ნახტობის ძირითადი საყრდენი იყო ყირიმის სახანო. XV საუკუნის დასასრულს ლიტვა-პოლონეთის სამეფო თურქეთის წინააღმდეგ ვიწროვდა ძეგბდა. სწორედ ამ ანტითურქულად განწყობილ სამეფო კარს ესტუმრა ესპანეთში მინავალი ქართული ელჩობა. ქართველი და ესპანელი ელჩები, როგორც ჩანს, ლიტვა-პოლონეთის სამეფო კარზე მიუღიათ. იქვე განუხილავთ კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის დედოფლისადმი. რუსულად უთარგმნიათ იგი და, საქმიანი მიმოწერის სხვა დოკუმენტებთან ერთად, ამ წერილის რუსული ტექსტია „მეტრიკის წიგნი“ შეუტანიათ (18, გვ. 80-85).

მოგვყავს წერილის ქართული თარგმანი შესრულებული ძველი რუსულიდან იასე ცინცაძის მიერ (18, გვ. 71-78):

„ღვთისა ჩვენიხა ქრისტეს ერთგულთ თვითმპყრობეთ მეფე კონსტანტინე პაქარატოვანი, მეფე სრულიადი ივერთა ქვეყნისა, ჭიქთა და მეგარელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და „ტურბანთა“ სახელგანსა და უმაღლესსა, უბრწყინვალესსა და მშვიდსა თვითმპყრობელ დედოფალსა და მეფეს ელისახედს, ესპანეთის ციხე-ქალაქისა და ყოველთა ქრისტიანთა ზედა ღვთით დამტკიცებულს. მრავალ მოწყალე იგივე დემრთი მფარველობდეს და იცავდეს შენს წმინდა მეუფების სახელმწიფოს მწუხარებისაგან და სნეულებებისაგან, სულით და ხორციით ჯანმრთელად მრავალჯამიერ, ყოველთა ქრისტიანთა გასამტკიცებლად. რამეთუ თქვენი წყალობით და ღვთის ძლიერებით თქვენი სამეფოს სიმრთლით არსებობა გვეხსა და, სადაც კი საბრძოლველად გასულხართ, იქ ყოველგან მტერი შენი დაგიძლევი, ჩვენ ეს უსაზღვროდ გვიხარია და ყოველად ძლიერ დემრთს დადებას აღუვლენთ... მისივე მადლმა განგამტკიცოს შენ მთელი საყაროს მპყრობელობაზე და მფარველობაზე, ხოლო სხვა ურჯულთ მპყრობელი ღვთის ძალით წარგეტყვევოს. და თვით უწმიდღური იგი სარკინოზი თავისი მჩრეველით შეგირცხვენიდა და მისი დიდნი ციხე-ქალაქნი დაგმპყრნით, არც ერთი ეს გამარჯვება სხვისი დახმარებით არ მოგაიცივებია, ყოველივე მხოლოდ დემრთმა მოგანიჭა შენ უწინეხად და გიბოძა შენ ძლივის გვირგვინი უღვთო აგარაინელთა ზედა, როგორც ბრძენსა და ღირსეულ მეფეს, ბრწყინვალეებით და სიბრწინით შექეულს, სამეფოს ღირსეულად მპყრობელს. გვეხსა, რომ სხვა მრავალი მეფეთა გაერთიანებულთა თქვენი მეფობის ქვეშ, გაგვიხარდა ეს უადრესად და დემრთს მადლობას ვწირავთ, რომ კეთილმორწმუნე ქრისტიან ხელმწიფეებს ერთმანეთში სიყვარული და ერთობა დაგვიმკვიდრებიათ. ახლა ვფიქრობთ, რომ ამირიდან დედამიწაზე სხვა ბრქ-

მღვპუჯა სინთიზიძე

ახალი მასალები ქართველ მივითა
ესპანეთში მიმოწერის თაობაზე

ყინვალე მზეს ვხედავთ აღმოსავლეთიდან მოკიდებული მთელ ქვეყანაზე და მიერე მოციქულს (ვხედავთ) ღვთის მიერ დაგვირგვინებულს და დიდ მეფე კონსტანტინეს (ვხედავთ), მან ხომ ელინური უღმერთობა და კერპთა საცდელი დაამხო. ხოლო შენმა ღვთისმოსავმა მეფობამ კი აგარიანთა უღვთო თხელი დაამხო და წარტყვევნა, ხოლო ჩვენი ნათესავი მათ მიერ პირველ დატყვევებული, გაათავისუფლა. სად არის ის დიდება და პატივი, რომელიც კონსტანტინეს ჰქონდათ? სად არის ქება და იმედი, სად არის წმინდა და დიდებული კონსტანტინეს დიდი ქალაქი? სად არიან იქ მყოფი კეთილმორწმუნე მთავრები? სად არის სიხარული და მხიარულება მისი? სად არის წმიდათაწმიდა ღვთის სიბრძნე. რამეთუ იტყოდა სლომოონი: „სიბრძნე და ძალა ღვთისა წინათ სიხარული იყო, ახლა კი ტირილია, წინათ სიხარული და მხიარულება, ახლა მწუხარება და შევიწროება, წინათ დიდება, ახლა უპატიობა, წინათ სინათლე გვექონდა, ახლა წყვედალი, წინათ მეტყველება და დიდება მეფისა, ახლა ტირილი, გოდება და კვნესა ჩვენს შორის“. შოი, რაოდენ მაღლს მოკლებულია ჩვენი ნათესავნი სადღა არის ტრაპეზონის სამეფო და ამორეველთა, იაგისგელთა და ეგრიპოელთა? ან სერბთა ქვეყანა სად არის? ან სხვა ქვეყნები რა იქნა? ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, რომ ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ჰეშმარებად ღმერთი ჩვენი უღვთო აგარიანებზე გამარტვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირნილო ეგვიპტის სულთაგან ქაიროსში წარგვზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. (იცოდეთ რომ) ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან საერთო არაფერი გვაქვს. რაცა იგი (კირნილო მღვდელ-მონაზონი) ეგვიპტიდან იერუსალიმში დაბრუნდა, იქ, იერუსალიმში, თქვენი მეუღლების დესპანები იოვკა და ამ თქვენ დესპანებთან ერთად, ჩვენთან მოვიდა. ამ დესპანებისგან გავიგეთ თქვენი მეუღლების გამარტვების ამბავი და დიდად გავიხარეთ. მანინვე საჩქაროდ თქვენს მეუღლასთან დაბეჭდილი წერილებით, მოძღვარი და მისაღლუმე ჩემი, იგივე მღვდელ-მონაზონი კირნილო გამოგვზავნეთ. წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან, რადგანაც გჯაზე მრავალი მტერია. როგორც თქვენმა მეუღლებამაც იცის, უღვთო მარსთაგან მარად ესმე წამებულ ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგებს ჩვენ. სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაქლიეთო, ან ჩვენ გვებრძოლეთო (აჭობებდა ამგვარად თარგმანა: „ჩვენთან ერთად იბრძოლეთო“. შეადარე «А любя бинтеса с нами» 18, გვ. 18; იხ. აგრეთვე, ივ. ჭავჭავიძე, ქართული ერის ისტორია 16, გვ. 458; 17, 156 — ე. ხ.), ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოიქციეთო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინე-

ოპოლისა, ტრაპეზონისა და სხვა ქრისტაუნდ ქვეყანათაგან ჩვენ ხომ მარტო დადრჩით, ძალიან მცირენი ვართ. ამაჟამად უღვთობა, სიმარავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებულნი და შეშინებულნი. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის მეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინოპოლზე გაემართო. არ დაიხაროთ. აიღე ჭვარი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როგორც ფარი, ხოლო ღმერთი უფალი დეე შენს სურვილებს აღასრულებდეს. ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ღაშქრით, რამდენიც შემიძლება, როგორც კი თქვენი მეუღლების მიერ გამოგვზავნილი დესპანი ჩემამდე მოაღწევს, დაუწარბებლად ამ საქმეზე თქვენს მოწყალებას თან გამოგყვებით. თქვენი მოწყალების სიყვარულისათვის გამოგვზავნეთ მცირე მონაკითხი (ძღვენი) ივლის ცხარამეთი უკროს ქსოვილი, ოცდათხუთმეტი მისხალი მსხვილი მარგალიტი და ორი ცხრა ფიცხვერის (ვეფხვი?) ბეწვეული. ხოლო ჩვენ, ვითარცა ძმანი ქრისტეს მიერ სიყვარულითა, თქვენი დიდებისა და თქვენი მეუღლების დიდი მოიმედე გწერთ და ღმერთის ვეფედებით — აღსრულებს ყოველივე ნებითა დეთისითა და მეფობდე ქვეყნის გასახლებლად ყველა ხალხზე, ღმერთმა ინებოს თქვენი და ჩვენი გაწყურებლობა უკუნითი უკუნისამდე ამინ. მარტის 10-სა დღესა ქრისტეს შობიდან ჩუფ წელსა (1495)".

ამ წერილის რუსული თარგმანი პოლონელმა ისტორიკოსმა ბუსიმ იოვკა ვარშავის არქივში 1828 წელს და ამავე წელს გამოაქვეყნა რუსეთში მცირე კომენტარებით (11, გვ. 218-219). შემდგომში, 1850 წელს ამ საბუთის ტექსტი მარი ბროსიმ გადაბეჭდა ჟურნალში «Завкавказский Вестник». მ. ბროსემ ამ წერილის ფრანგული თარგმანი, განმარტებითურთ, შეიტანა თავის საქართველოს ისტორიაზე საფრანგეთში გამოქვეყნებულ წიგნში („საქართველოს ახალი ისტორია“). ამ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, კონსტანტინეს წერილს იზაბელა დედოფლისადმი თავისი ადგილი მიუჩინა „ქართული ერის ისტორიაში“ ივანე ჭავჭავიძემ. ამავე წერილის რუსული თარგმანის ასლები, რომლებიც მოსკოვისა და ვარშავის არქივებშია დაცული, ქართული თარგმანითურთ, გამოაქვეყნა იანე ცინცაქემ წიგნში „მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ (თბ., 1968 წ.).

მგონი ბროსე ვარაუდობდა, რომ ქართველთა მეფეს კონსტანტინეს ესპანეთში გაგვანილი წერილი რუსულად უნდა შეედგინა და ვარშავაში აღმოჩენილ ტექსტს ამ წერილის დედნად მიიჩნევდა. მისივე ვარაუდით ქართველი ელჩი ესპანეთში აღარ ჩასულა და ეწმწერილი გაურკვეველი მიზეზების გამო, ვარშავაში იქნა დატოვებული (2, გვ. 409; 18, გვ. 26). ეს ვარაუდი მოიხსნა მას შემდეგ, რაც მძმიელ თამარაშვილმა გამოაქვეყნა ქართული თარგმანი პაპის აღი-

ქსანდრე VI-ის პასუხისა ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი, მოწერილი 1496 წლის 10 ივლისს (4, 84-87). ამ წერილიდან ნათელი გახდა, რომ კონსტანტინემ მონაწონი ნილოსი რომის პაპთანაც გაგზავნა წერილითა და შესაბამისი ძღვენით. 1496 წელს ნილოსი უკვე რომშია. როგორც ამ საპასუხო წერილიდან ირკვევა, კონსტანტინეს რომის პაპისთვისაც მიუღო-ცავს ესპანეთის დედოფლის გამარჯვება არაბებზე, უნაყოფია დახმარება ევროპიდან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავისი მზადყოფნაც შეუტყობინებია. „ეგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანი თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასახვედრლად თქვენი შვილითა და თქვენის მხედრობითურთ“, — წერდა პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინეს, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ იმხანად ევროპაში არ იყო სათანადო თანხმობა ასეთი ლაშქრობის წამოსაწყებად. თუმცა პაპი იმედს არ კარგავდა, ამხევებდა ქართველთა მეფეს და საბოლოო გამარჯვების იმედს აძლევდა: „იმედი გვაქვს კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოებიც დავისნათ, რადგან აქაური ქრისტიანე მთავრები ამას შემოგვაპირდნენ. გარნა, სამწუხაროდ, ძველმა სულის მტერმა, ჩვენის ნატარის და სახარებლო რჩევის წინააღმდეგ, იმ მთავართა შორის განხეთქილების ღვარძლი დასთესა. მაგრამ, ქრისტეს შემწეობით, იმედი გვაქვს. მალე შევარდგათ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა მოვაციოთ წინააღმდეგ სარწმუნოების მტერთა... და... მთზე სრულიად გავიმარჯვოთ“.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ კონსტანტინე მეფის დიქონმა პოლენითში არ შეწყვეტილა. მონაწონმა ნილოსმა ევროპა ვადაიარა და მეფის წერილი ძღვენითურთ რომის პაპს მიართვა. რომიდან საქართველოში გამოგზავრებისას მისი მგზავრობის უზრუნველსაყოფად რომის პაპი 1496 წლის 5 ივნისს სხვა წერილსაც წერს: „ქვეშევრდომ კაპიტანთ... ქარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულათა და ყველა წესის მონაწონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოსხეხნულმა მამა ნილომ ყველა თავისი ბარკით და თანამხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წახვლა, მოხრუნება, დადგომა, გავლა, და ღამით დარჩენა ყველა გზებზე, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში... და ხარკი არაფერი გადაახდევინოთ“. ამიტომ იყო, რომ ივანე ჭავჭავაძის უკვე იღარ იმევენებოდა, რომ კონსტანტინეს წერილი ესპანეთში ჩავიდა, რომ მისი დედა იმ პასუხზე ფიქრობდა, რომელიც ესპანეთის დედოფალს საქართველოში უნდა გამოეგზავნა: „რა პასუხი შემოუთვალა ესპანეთის ძღვეთამხილმა დედოფალმა, არ ვიცით“ (17, გვ. 159). ამავე აზრს იმეორებს ისტორიკოსი ი. ცინცაძეც: „რა პასუხით წამოვიდა ესპანეთიდან

ქართველი ილჩი, ჩვენ ჭიჭიკრობით არ ვიცით“ შესაძლებელია ესპანეთის ხელნაწერებში სხვანაირი შესახებ ცნობა შენახული იყოს მოდერნიზატორთა მიერ. იგი არავის უძებნია დღემდე, მიმავალში ასეთი მუშაობა აღბათ ჩატარდება“ (18, გვ. 25-26). როგორც ირკვევა, ესპანეთის სამეფო კარს მართლაც არ დაუტოვებია ქართველთა მეფის წერილი უუპრადებოდ. საპასუხო წერილის არსებობაზე ჩვენს სამეცნიერო წრეებს პირველად მიუთითა და ამ წერილის მოკლე შინაარსი გამოავლინა უნარქელმა მკვლევარმა ლაიოშ ტარდიმ (10, გვ. 81).

ესპანეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების ძიება ჩვენც უშუალოდ კონსტანტინე მეფის წერილის ძებნით დავიწყეთ. მივმართეთ ყველა იმ არქივს, რომელშიც, ესპანელი კოლეგების აზრით, შეიძლებოდა ეს წერილი ყოფილიყო დაცული. კონსტანტინე მეფის წერილი ვერ ვიპოვეთ, მივადგინეთ ქართველთა მეფისადმი ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ ისაბელას პასუხის სრულ ტექსტს, რაზედაც ასე ოცნებობდა დიდი ივანე ჭავჭავაძე.

ფერდინანდისა და ელისაბედის (ინაზელას) საპასუხო წერილის ტექსტი ქართველთა მეფის კონსტანტინესადმი ინახება „არაგონის სამეფო არქივში“, ქ. ბარსელონაში (საკანცელარიო საქმეები, რეესტრი 8607, ფურცლები 186-187), წერილი დაწერილია ქ. ბურგოსში 1495 წლის 30 ივლისს. ხელს აწერს, ისე როგორც ამ პერიოდის სხვა სამეფო წერილებს, მდივანი ლუის გონსალესი. არაგონის სამეფო არქივის დოკუმენტები გამოქვეყნებულია ანტონიო დე ლა ტორეს მიერ. ეს წერილი შესულია გამოცემაში: „დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ“, V ტომში (114-115 გვერდები), რომელიც გამოცემა ქ. ბარსელონაში 1965 წელს. წერილი, ისევე როგორც კათოლიკე ხელმწიფეთა მიმწერა საზოგადოდ, შედგენილია ლათინურ ენაზე. გამოცემილი წერილს წინ ურთავს მოკლე რეზიუმეს ესპანურად: „კათოლიკე ხელმწიფეთა საქართველოს იმპერატორს კონსტანტინე პანკრატოსს უდასტურებენ წერილების მიღებას, რომლებიც მოიტანეს მისმა დესპანებმა მონაწუნებმა ნილოსმა და ზაქარია. მოუწოდებენ გააგრძელოს ბრძოლა ქრისტიანული რწმენისათვის. მიუთხოვრებენ საკუთარ ნაშქმდარს: მუსულმანებისა და იუდეველების გაყვებას, დონ ფერნანდესის განხრახვა, რომ ბრძოლა გადაიტანოს აფრიკაში“.

ქვემოთ მოგვყავს ქართული თარგმანი ფერდინანდისა და ისაბელას საპასუხო წერილისა კონსტანტინესადმი. თარგმანი შესრულებულია ჩვენს ხელთ არსებული ანტონიო დე ლა ტორეს პუბლიკაციიდან. გამოცემულს ორგონის გამოუტოვებია ტრაფარეტული მიმართვა დმერთისადმი (ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წერილების პუბლიკაციის შემთხვევაშიც), რაც ჩვენს

თარგმანში, ისევე როგორც გამოცემულ ლათინურ დედანში, მრავალწერტილითაა აღნიშნული. ლათინური ენა წერილისა ერთგვარად გადახარისხებულია კლასიკური ნორმებისაგან ე. წ. „ხალხური ლათინურისაგან“.

„ფერდინანდი და ელისაბედი, ღვთის წყალობით მეფე და დედოფალი კახილისა... გულწრფელად შეესაღებთან უბრწყინვალეს კონსტანტინე პანკრატიოსს, ქართველთა საუკეთესო და უღირსესულს იმპერატორს. მივიღეთ თქვენი წერილები ღირსეული მონაზვნების, თქვენი ბრწყინვალეების მიერ ჩვენთან გამოგზავნილი ელჩების, ძმების ნილოსისა და ზაქარაის ხელით; რომელთა შემწეობით ამავე დროს გავიგეთ ზოგიერთი რამ, რაც მათ თქვენი სახელით გვიამბეს. ჩვენ ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება და დაცვა კათოლიკური რელიგიისა; და, საპირისპიროდ ამისა, განვიცადეთ არც თუ მცირე ტკივილი როცა გვიამბეს იმ წუხილის, მღელვარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი ბრწყინვალეობა ყოველდღიურად. ამისდა მიუხედავად, ყველა შემთხვევაში უნდა მაშლი შევწიროთ უწინარეს ღმერთს და ბევრი ვილოკოთ მის წინაშე იმისათვის, რომ არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთელი ქრისტიანი ხალხი ვათავისუფლოს ურჯულთაგან, დაგიცვათ თქვენ და მოგანიჭოთ შტრთაჲ ძლიერად. არ გვეივევება, რომ მოწყალე ღმერთი აღასრულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალეობა მომავალშიც, ისე როგორც დღეს, შტრთაგან თავდასაცავად იხმარს ყველა ღონეს და მგზნებარე სულით იღვარებს კათოლიკური რწმენის დაცვისა და განდიდებისათვის. და იმისათვის, რომ თქვენ აეთოთ ეს და უარი არ თქვათ ამ განწარხავაზე, ჩვენ მიწყუ ვევიდრებთ თქვენს ბრწყინვალეობას და მოგწოდებ ღვთის სახელით. რაც შეგვიხება ჩვენ, აქამომდე სწორედ ამგვარად ვიქცეოდით და, თუ უფალი ინებებს, მომავალშიც ამგვარად ვიმოქმედებთ. მართლაც, ბეტიკაში, ჩვენს სამფლობელოთაგან ყველაზე წარჩინებულ და ლამაზ პაროციისაში, ღვთის წყალობით, დავიბრუნეთ გრანადის სამეფო, რომელსაც ლიბიიდან მოსული არაბი მეფეები რვაას წლის განმავლობაში ფლობდნენ, და ვაიხუდეთ აგარიანნი გადასულიყვნენ ლიბიის ზღვაზე, გარდა ამისა, სრულად განვასხით ჩვენს სამეფოთა და სამფლობელოთაგან ყველა იუდეველი, რომელნიც დიდ-დიდ გუნდებად დაძრწოდნენ, მიჰქონდათ რა ზიანი ყველა კუთხეში. მაგრამ თუ, როგორც ჩვენ გვსურს და მოველით, ღვთაებრივი უწინარესობა ხელს შეუწყობს ჩვენს მიწწარაგებებს, არავითარ შემთხვევაში არ განუდგებოთ საკუთარ განწარხავას, რამეთუ არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფის ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ქარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის. სხვა მხრივ ჩვენ ძლიერ დავაფასეთ საქართვები, რომლებიც მოხსენიებულმა ელჩებმა

თქვენი ბრძანებების თანახმად ჩვენ მოგვარებეს; დიდ მადლობას ვუძღვნით მათთვის თქვენს დიდბუნებოვნებას. ამის გამო სულიერად გმადლობითა და კმაყოფილებით აღვითქვამთ, მოგინხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატრიარქისა და სარგებლობისათვის და ქრისტიანული რწმენის ამაღლებისა და განდიდებისათვის. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიამბეს, ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწერილებით. დე მათ გვიამბონ თქვენ; დაე, თქვენმა ბრწყინვალეობამ კეთილად ირწმუნოს; დაე, უკვდავი ღმერთი მფარველობდეს და წყალობდეს თქვენს მეფურ პიროვნებას, თქვენს სახელმწიფოს და სამეფოს თავისი მზრუნველობით...“

მოყვანილი წერილი ბევრ საკითხს სვამს ქართველ ისტორიკოსთა წინაშე. ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოება ამთავითვე საჭიროებს კომენტარს.

მიმღევიანის თბარლი. კონსტანტინე მეფის წერილი იხაბულა დედოფლისადმი „ლიტვის მეტრიკის“ იმ ნუსხაში, რომელიც 1828 წელს იპოვა და გამოაქვეყნა პოლონელმა ისტორიკოსმა ბუხემ და რომლისგანაც იგი მარი ბროსემ გადამოებულა 1850 წელს, დათარიღებულია 1485 წლის 10 მარტით. ამ თარიღმა ბროსე დააიკვა, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა მის გამართლებას (2, გვ. 409). ივანე ჯავახიშვილმა პაპი აღუქმანდრეს კონსტანტინესადმი გამოგზავნილი წერილის თარიღის საფუძველზე (1486 წ. 10 ივლისი) სავსებით სწორად ივარაუდა, რომ კონსტანტინეს წერილი იხაბულაზე დაწერილია 1495 წლის 10 მარტს, შეეცდომა ახსნა გრაფიკულ ნიშანზე და მიანიდა წერილის რუსულად თარიღების ან გადაწერის დროს დაშვებულად (17, გვ. 158-164). „ლიტვის მეტრიკის“ უფრო ძველი ნუსხის საფუძველზე მართლაც აშკარა გახდა, რომ ეს შეეცდომა რუსული ხელნაწერის გადაწერის დროსაა დაშვებული (18, გვ. 11). ესპანეთიდან საქართველოში გამოგზავნილი საპასუხო წერილის თარიღი (1495 წლის 30 ივლისი) საბოლოოდ აღასტურებს, რომ ეს მიმოწერა საქართველოსა და ესპანეთის სამეფო კარს შორის 1495 წლით თარიღდება. საპასუხო წერილის თარიღმა ისიც დაგვანახვა, რომ ქართველი ელჩი უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ვაჩაიშვილდენ. იხვ ცინცაძე ასკნის, რომ ქართველი დესპანი ესპანეთისაკენ მოსკოვზე გავლით არ წასულა, რადგანაც შემახია-ხაქო-დარუხანდისა და ასტრახან-ვოლგის ზვით მოსკოვამდე მგზავრობისათვის საჭირო იყო ხუთ მცირე ოთხი თვე და შემდეგ რუსეთში გამოწამთარება, ხოლო იგი 1495 წლის ივნისში პაპისგან სარკომენდნაციო წერილის იღებს და საქართველოში დაბრუნებას გეგმავს. „ეს იმის დამამტკიცებელია, — წერს მკვლევარი, — რომ ქართველი დესპანი 1495 წელს საქართველოდან გა-

ზაფხულზე გამოგზავრებული ესპანეთში იმავდ წელს მივიდა“ (18, გვ. 81). როგორც ჩანს, დესპანს 1498 წლის ივლისის დამლევის უკვე ისტორიკებდენ ესპანეთიდან. მას მეფესთან სიტყვიერი დანაბარები უკვე მოუსმენია და თან წასადებ წერილსაც უშვადებენ.

ესპანეთიდან კონსტანტინე მეფისადმი გამოგზავნილი წერილის თარიღად ლ. ტარდის მიერ შეცდომითაა მითითებული 80 ივნისი (10, გვ. 80). ძნელი სათქმელია, ეს შეცდომა ბუქვლის კორექტურაა, თუ იმ წყაროდან მოდის, რომლითაც ლ. ტარდი სარგებლობდა. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს, რამდენადაც ლ. ტარდის მიერ გამოცემულ ამ წერილის მოკლე შინაარსში სხვა შეცდომებისა და შევებით. მაგალითად: ლ. ტარდი წერს, თითქოს ესპანეთის მეფე და დედოფალი „მალალ შეფასებას აძლევენ კონსტანტინეს წინადადებებს ესპანეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ“ (10, გვ. 81). როგორც წერილის მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მასში არავითარ ამგვარ წინადადებებზე არ არის საუბარი. ასევე არ ასახავს წერილში ჩამოყალიბებულ აზრს ზუსტად ლ. ტარდის კიდევ ერთი ცნობა: „ფერდინანდი და იზაბელა მატერიალურ დახმარებას მპირდებიან საქართველოს მეფეს“ (10, გვ. 81).

იზაბელა თუ ელიზაბეტი. ივანე ჯავახიშვილი კონსტანტინეს წერილის რუსულ თარგმანში კიდევ ერთ შეცდომას ხედავდა. დედოფლის სახელი, რუსული ნუსხის მიხედვით, არის ელიზაბეტი («...самодержавной госпожи и царицы Элизаветы || Елисавети...» — 13, გვ. 73, 79). ივანე ჯავახიშვილი უყრადღებებს იმაზე ამხევილებდა, რომ „არბთა საბოლოო დამარცხება და ესპანეთიდან განდევნა 1498 წელს მოხდა სწორედ იზაბელას დროსა და პირადი მონაწილეობით“. და იქვე აგრძელებდა: „ბროსეს ეს ორი სახელი სინონიმებად მიიჩნია და საქირად არც კი სთვლის, რომ ამ გადამწერის შეცდომა ვიგულსმისოთ“ (17, გვ. 158). ესპანეთის დედოფლის სახელი მის თანამედროვე ლათინურენოვან დოკუმენტებში და მათ შორის ამ წერილშიც არის ელიზაბეტი. ესპანურ ტრადიციაში ეს სახელი დამკვიდრდა ისაბელად. ასეთივე ცვლილება განიცადა ამ წერილში მოხსენიებულმა მეფის სახელმა. ესპანეთის მეფესა და იზაბელა დედოფლის მეთავე წერილში ფერდინანდუსი ეწოდება. ესპანურ ტრადიციაში მისი სახელი დამკვიდრდა სხვაგვარად: ფერდინანდო. ამგვარად წერს მეფის სახელს ამ დოკუმენტის გამომცემელი ლათინური წერილის წინ დართული ესპანურ რეზიუმეში. ასე რომ, ჩვენ წერილის ფერდინანდუსი და ელისაბეტი თანამედროვე ესპანურენოვან უნდა გადმოვიდეს როგორც ფერდინანდო და ისაბელი. ჩვენ ვამჟღავნებთ ქართულ თარგმანში დავეტოვებინა სახელის ის ფორმები, რომლებიც ესპანურ დედანში

იყო: ფერდინანდი და ელისაბედი. ხოლო წინა მდებარე ნარკვევში უპირატესობა მივანიჭებთ სახელთა იმ ფორმებს, რომლებიც ამ მეფისა და მისი მართლ დამკვიდრებულა ქართულ მხარეში უპირატესობაში: იზაბელა (იხ. ივანე ჯავახიშვილი და სხვა ქართველი ისტორიკოსები) და ფერდინანდი (იხ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“).

მივითაბიძგებ. კონსტანტინე მეფე ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში თავის თავს სრულიად საქართველოს მფლობელად თვლის: „ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჭიქთა და მეგრეთა, აფხაზთა, იმერთა და სომხეთთა, ქართველთა და „ტურბანთა“. სინამდვილეში კი სწორედ კონსტანტინეს მეფობის დროს დაიარღვა საბოლოოდ საქართველოს მთლიანობა. კახეთში აღექვანდრე გიორგის ძე მეფობდა, იმერეთში — აღექვანდრე ბაგრატიძის ძე, ხოლო მესხეთში მძლავრობდა ყვარყვარ ათაბაგი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1490 წლიდან კონსტანტინე ოფიციალურად შეურთიდა ქვეყნის ამ დაქუცმაცებას და ზავი დასდო როგორც კახეთის, ასევე იმერეთის მეფესთანაც და ყვარყვარე ათაბაგთანაც (18, გვ. 19). როგორც ჩანს, ესპანეთის მეფისა და დედოფლისათვის საქართველოს დაქუცმაცებულობა საიდუმლოდ არ დაჩინდა. აკი ატყობინებდნენ კათოლიკე ხელმწიფეები კონსტანტინე მეფეს: „განვიცადეთ არც თუ მცირე ტკივილი, როცა გვიამბეს იმ წუხილის, მდღეფარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი ბრწყინვალეობა ყოველდღიურად“. ამიტომაც, რომ საპასუხო წერილში იზაბელა და ფერდინანდი კონსტანტინეს სახელს დებენ არა როგორც მეფეთ-მეფეს და სრულიად საქართველოს მპყრობელს, არამედ — „ქართველთა საუკეთესო და უღირსეულეს იმპერატორს“, ე. ი. ქართველთა შორის უკეთეს და უფრო ღირსეულ მეფეს. უყრადღებდა უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ სხვა მხრივ საპასუხო წერილში შენარჩუნებულია ქართველთა მეფის იმგვარი დასახელება, რომელიც საქართველოდან გაგზავნილ წერილში იყო. ამის ასახვა მეფე კონსტანტინეს პანკრატოსად მოხსენიება, რაც შეესაბამება კონსტანტინეს მიერ გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანის «Константин панкратиос»-ს (13, გვ. 73, 79), არ არის ზუსტი ლ. ტარდის ცნობა, თითქოს ესპანეთიდან გამოგზავნილ წერილში ქართველთა მეფეს „კონსტანტინე პანკრატის უწოდებენ“ (10, გვ. 81).

ეს მიწერა-მოწერა საქართველოსა და ესპანეთის შორის ამ ორი ქვეყნისათვის ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ სიტუაციაში ხდებოდა. თუ ეს ხანა საქართველოსათვის პოლიტიკური ერთიანობის საბოლოოდ დაქუცმაცების ხანა იყო, ამავე დროს იგი დაქუცმაცებულობა

ესპანეთის გაერთიანების ეპოქა იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესპანეთის გაერთიანება კასტილიის სამეფოდან დაიწყო სწორედ იზაბელა კასტილიელისა და ფერდინანდ არაგონელის შეუღლებით. ამიტომ უწოდებენ ამ წერილში კათოლიკე ხელმწიფეები თავიანთ თავს კასტილიის მეფესა და დედოფალს. ვფიქრობთ, რომ ქართველთათვის ესპანეთის სამეფო კარის გაძლიერების ეს სპეციფიკური ხაზი ცნობილია. ყოველ შემთხვევაში, იზაბელა კონსტანტინეს წერილში კასტილიის დედოფლად უნდა ყოფილიყო სახელდებული. ამას გვაფიქრებინებს კონსტანტინეს წერილის ჩვენამდე შემონახულ რუსულ თარგმანში. დაკული მიმართვა დედოფალ იზაბელასადმი: „თვითმპყობელ დედოფალსა და მეფეს ელისაბედს; ესპანეთის ციხე-ქალაქისა და ყოველთა ქრისტიანთა ზედა ღვთით დამტყიცებულს“. ტიტული „ესპანეთის ციხე-ქალაქისა ზედა დამტყიცებულს“, რაც თარგმანია ძველი რუსულის «утверждаемого града испанейского» (18, გვ. 78). მიუთითებს ესპანელი დედოფლის კასტილიელობაზე, ღვთის წყალობით კასტილიის მფლობელობაზე, როგორც ეს საპასუხო წერილშია მითითებული („ფერდინანდი და ელისაბედი ღვთის წყალობით მეფე და დედოფალი კასტილიისა“). საქმე ის არის, რომ ესპანელი არაგონციის — კასტილიის სახელი წარმომდგარია ლათინური პასტილლუმ და ესპანური პასტილიო-დან (კასტილლუმ — გამაგრებული ადგილი; კასტილიო — ციხე-სიმაგრე). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ „ლიტინეს მებრძოკაში“ დაკული თარგმანი კონსტანტინეს წერილისა ლათინური დედინიდან უნდა იყოს შესრულებული. ვფიქრობთ, ლათინურ ენაზე დაწერილი წერილის რუსულად თარგმნისას შეიძლებოდა პასტილიის დედოფალი ესპანეთის ციხე ქალაქის დედოფლად გადაკეთებულიყო. გვაგონდება ივანე ჭავჭავაძის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კონსტანტინეს წერილი დედოფალ იზაბელასადმი საქართველოშივე უნდა ეთარგმნათ ან დაეწერათ ლათინურიდან (14, გვ. 154).

ნილოსი და ზაპარბი. კათოლიკე ხელმწიფეთა წერილში კონსტანტინე მეფის დესპანებად დასახლებული არიან მონაზვნები ნილოსი და ზაპარბი. კონსტანტინე მეფის დესპანი ესპანეთში რომ მღვდელ-მონაზონი ნილოსი იყო, ეს კონსტანტინეს წერილიდანაც ჩანდა. ეს ნილოსი ქართველთა მეფის მიერ ჯერ ეგვიპტის სულთანთან იყო მივლენილი, შემდეგ ესპანეთსა და იტალიაში გაიგზავნა. კონსტანტინე მეფე მას თავის „მოძღვრად და მესაიდუმლოდ თვლის“. მონაზონ ნილოსს მოხსენიების საპასუხო წერილში რომის პაპი აღიქმანდრე VI: „თქვენის ელჩის, საყვარელის შვილის, ნილო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი“ (4, გვ. 84). პაპი მონაზონ ნილოსს სარეკომენდაციო წერილსაც აძლევს, რომელშიაც ის უბრძანებს ყველა მიმქვე-

შევრდომთ, ხელი შეუწყონ ქართველთა დესპანს. პაპი მას უწოდებს „წმიდა-მანიის წესის მონაზონს“ (4, გვ. 87). კონსტანტინეს წერილის ძველ რუსულ თარგმანში ამ ნილოსს ეწოდება Корнил (18, გვ. 74). ივანე ჭავჭავაძის შენიშნავდა, რომ „კორნილიოს“ რუსული თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარი იქნება „კურ-ნილოს-“ითგან... როგორც რუსული საბუთების ენაში მიღებული იყო“ (17, გვ. 152). ესპანეთიდან ნილოსი წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველ დესპანს სახელად ნილოსი (ნილო) ერქვა.

ამ წერილში ნილოსთან ერთად ქართველთა დესპანად დასახლებულია ზაპარბი. არასწორი ფორმითა ეს სახელი დამოწმებული ლ. ტარდის მიერ: ზაპარბიში (10, გვ. 81). ეს მეორე დესპანი არც კონსტანტინეს და არც პაპის აღიქმანდრე VI-ს წერილში არ იხსენიება. მიუხედავად ამისა, ზაპარბი დესპანის არსებობაში ეჭვს ვერ შევიტანთ. ის გარემოება, რომ მონაზონ ნილოსს ახლდნენ თანმხლები პირნი, ორგანიზაცია აღნიშნული პაპის სარეკომენდაციო წერილში: „...საგანგებოთ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომს კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსთ, გარეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილოს ყველა თავისი ბარგით და თანმხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა...“; „...ვუბრძანებთ ყოველს და თვითელს ჩვენს... ქვეშევრდომ ძმათა... მიიღოთ ხსენებული მონაზონი ნილო ყველა თავისი მხლებლებით ჩვენს ქალაქებსა და ქვეყნებს...“ (4, გვ. 87).

ერთ გარემოებას კიდევ უნდა მივუძღვინო. წერილში ფერდინანდი და იზაბელა კონსტანტინე მეფეს ატყობინებენ: „მივიღეთ თქვენი წერილები...“ როგორც ცნობილია, პოლონეთის არქივიდან ჩვენამდე შემონახულია კონსტანტინე მეფის მიერ ესპანეთში გაგზავნილი ერთი წერილის თარგმანი, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეორე წერილის გაგზავნა ესპანეთის სამეფო კარზე სხვა დროის ამბავია და მისი მითანი აქვე დასახლებული დესპანი ზაპარბი უნდა იყოს. ამგვარი ვარაუდი არ იქნება სარწმუნო. საქმე ის არის, რომ ესპანეთის სამეფო კარზე ქართველ მეფეებს სხვა დროსაც რამდენიმე ენაზე შედგენილი წერილები ერთდროულად გაუგზავნიათ. ასე მაგალითად, ქართლის მეფის სიმონ პირველის მიერ ესპანეთის მეფის ფელიპე მეორისადმი ერთდროულად რამდენიმე ენაზე იყო გაგზავნილი წერილები. ეს წერილები ინახება სიმაქის არქივში (ე. ლეგა, 708). ქართველ დესპანს ნილოსს ესპანეთის დედოფლისადმი კონსტანტინე მეფის წერილები რომ მიმქონდა, ესიც დადასტურებულია კონსტანტინეს წერილით: „მთხიანე საჩქაროდ თქვენს მეფეებსასთან დაბეჭდილი წერილებით, მოძღვარს და მესაიდუმლო ჩემი, იგივე მღვდელ-მონაზონი კირ-ნილო გამო-

ვგზავნეთ. წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს გულის ნაღებსაც გაიგონებთ მისგან“. და ბოლოს, ფერდინანდი და იზაბელა თავიანთ სა- პასუხო წერილში ნილოსსა და ჯაქარიას ერთად ასახელებენ და მათთან ერთდროულად შეხვედ- ღარაჲ ლაპარაკობენ.

კათოლიკური რწმენის. ესპანეთის კათო- ლიკ ხელმწიფეები ქართველთა მეფეს ქრისტიან- ნული რელიგიისადმი თავაწირობულ სამასხურს უწონებენ: „ჩვენ ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება და დაცვა კათოლიკური რელიგიისა“; „მოწყაულ ღმერთი აღსარულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალეობა მომავალშიც, ისე როგორც დღეს... მღწნებარე სულით იღვწავებს კათოლიკური რწმენის დაცვი- სა და განდიდებისათვის“.

იზაბელა კითხვა: „კათოლიკურ რელიგიასა“ და „კათოლიკურ რწმენაზე“ ამ წერილში ზო- გადად ქრისტიანული რელიგიის, ბეშმარტივ, სა- ყოველთაო ქრისტიანული რწმენის მნიშვნელობა- ბითა ლაპარაკი, თუ მასში კონკრეტულად კა- თოლიკური ქრისტიანობა იგულისხმება? ვფიქრ-ობთ, არ შეიძლება ესპანელ ხელმწიფეთა წერი- ლში საყოფიერ კათოლიკური რწმენის ხაზგა- ხმის უარყოფა. ფერდინანდი და იზაბელა ესპა- ნეთის ისტორიაში კათოლიკე ხელმწიფეებად არიან მიჩნეულნი. დედოფალი იზაბელა ზედ- წოდებით „კათოლიკე იზაბელად“ იწოდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მეფეთა დროს დაიწყო ე. წ. ინკვიზიცია ესპანეთში და ცეცხლ- გვითა და მახვილით იქნა ჩახშობილი ყოველ- გვარი რელიგიური განდგომილობა. მეორე მხ- რის, კონსტანტინე მეფის პოზიციაზე იძლევა სა- შუალებას კათოლიკური რელიგიისადმი ერთგ- ვარ ორიენტაციასა (თუ შეეწყნარებოდაზე) ვი- ლაპარაკით. მართალია, ამის შესახებ არაფერია თქმული კონსტანტინე მეფის წერილის ძველ რუ- სულ ენაზე შესრულებულ თარგმანში, მაგრამ პაპის აღიქვანადრეს წერილიდან აშკარად ჩანს, რომ მეფე კონსტანტინეც პაპისადმი მიწერილი წერილით და მისი დესპანი ნილოსი პირადად ამ- უღვანებდნენ ორიენტაციას კათოლიკური აღმ- ხარებლობისადმი: „... მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საუბრისა და ჩვენდა- ში აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივი- სცემას...“. პაპის წერილიდან ჩანს, რომ კონს- ტანტინე მეფე რომის პაპს სიხივს გაუგზავნოს ფლორენციის კრების გადაწყვეტილება, რომელ- საც თავის დროზე (1487-1488 წწ.) საქართველო- ს ეკლესიის წარმომადგენლებმა ხელი არ მო- აწერეს (8, გვ. 5-28; 7, გვ. 89), და აღუთქვამს მის დაცვას: „... თქვენის ორატორის ნილოსის პი- რით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამო- ვუგზავნო სარწმუნოების შესახებ გადაწყვეტი- ლება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარ ხსენებულის პაპის, ცეკვინი მეოთხის დროს იქ- ნა დადგინილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკლესია თუ ლათინისა და

თუ ბერძნისა ერთანხება, რათა თქვენ და თქვე- ნი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ, სა- უფუო ცხოვრებისა...“

მიმწერილის შედეგები. ესპანეთის სამეფო კართან მიმწერას საქართველოს გართულებულ- ლი პოლიტიკური მდგომარეობის გამოხასწორებ- ლად არსებითი შედეგი არ გამოუღია. სანტე- რესოა, გარდა იმ დოცვა-კურთხევისა და ღარი- გებებისა, რაც ესპანეთის მეფემ და დედოფა- ლმა კონსტანტინეს შემოუთვალის, ფაქრობდნენ თუ არა ისინი საქართველოსათვის რაიმე ფორ- მით რეალურ დახმარებაზე. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია წერილის ერთი ფრაზა: „... სუ- ლიერი მღწნებარებითა და კმაყოფილებით აღ- გითქვამთ მოვიხმაროთ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პა- ტივისა და სარგებლობისათვის...“, — წერდნენ კათოლიკე ხელმწიფეები კონსტანტინე მეფეს. რა იმაღებარდა ამ სიტყვების მიღმა წერილიდან ძნელად ამოსაცნობია. საქმე ის არის, რომ არ- სებით სახელმწიფოებრივ საქმეებზე ურთა გა- ცვლა-გამოცვლა ზეიბრი გზით წარმოებდა. კონსტანტინე ატყობინებდა იზაბელა დედოფალს: „წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ გულის ნაღ- ებსაც გაიგონებთ მისგან (მონაზონ ნილოსისა- გან — ი. ხ.), რადგანაც ვგზავნე მრავალი მტერი- ია“. მეფე და დედოფალიც უდასტურებენ კონსტანტინეს: „რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვი- ამხსნეს, ჩვენ მათ უპასუხეთ ვრცელად და დაწერი- ლებით“. რა უპასუხეს ესპანეთის ხელმწიფე- ებმა ელჩებს? რა კავშირი აქვს საქართველოს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციასთან ესპანეთის სა- მეფო კარის სურვილს, რომელზედაც მეფე და დედოფალი კონსტანტინეს ატყობინებდნენ: „არაფ- დერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მიერ ფერდინან- დს, ვიდრე გარდასხას ჭარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმე- ნისათვის“? როგორი მიმართება შეიძლება ჰქო- ნდეს ამ განზრახვას კონსტანტინე მეფისა და აფრიკის ერთ-ერთი მამპალიანი სულთანის, ეგ- ვიპტის მამულს ხალიფა აზრავ სეიფ-ად-დინ კაიტბერის მოლაპარაკებებთან? საქართველოს მე- ფეებს ეგვიპტის მბრძანებლებთან ხომ დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდათ? კონსტანტინე მეფემაც ხომ აცნობა ამის შესა- ხებ დედოფალ იზაბელას: „ახლა კი გავიგეთ და მტკიცე მივიღეთ გვაქვს, რომ ჭეშმარიტი ღმერი ჩვენი უღვრე აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ვაჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ მონაზონი კირნილოს ეგვი- პტის სულთანთან ქაიროში წარგზავნეთ, რომელმაც ჩვი დიდი სიხარულით მიიღო. ჩვენ სხვა მხრივ ურწმუნოებთან საერთო არაფერი გვაქვს“? ამ განზრახვათა და ვრავლეთა ამოც- ნობა დღეისათვის ალბათ შეუძლებელია; ხოლო ესპანეთის მეფისა და დედოფლის სიტყვიერი დანაბარები არა თუ ჩვენამდე, თვით კონსტანტი-

ენ მეფემდე მივიდა თუ არა, ისიც კი არ ვიცით. საზოგადოდ კი, რა თქმა უნდა, ქართული სამეფო კარის ცდა დასავლეთ ევროპიდან არსებითი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის მოპოვებისა განუხორციელებელი ოცნება იყო. ევროპის თითოეულ ქვეყანას თავისი საკუთარი დამოკირებული ჰქონდა აღმოსავლეთთან, კერძოდ, თურქეთთან და საქართველოს მდგომარეობის გამოსასწორებლად საკუთარ პოლიტიკას ისინი ვერ შეცვლიდნენ. „დასასრულ, — რო-

გორც სავსებით სწორად აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, — აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანეთის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზედაც გადაპარბებული წარმოდგენა ჰქონდათ, ვერც ის გარემოება გაუთვალისწინებიათ, თუ რა დიდი მანძილსა და, მასთანავე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანეთიდან კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა“ (16, გვ. 454).

მიმითმავალი ლიტერატურა:

1. ანტონიო დე ლა ტორე, დოკუმენტები კათოლიკე ხელმწიფეთა საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ, ტ. V, ბარსელონა, 1965 (ესპანურ ენაზე).
2. შ. ბროსე, საქართველოს ახალი ისტორია, პარიზი, (ფრანგულ ენაზე).
3. ჯ. ვაითიშვილი, „ორი იბერიისა“ და მათ შემკვიდრეთა წარმავლობის შესახებ, „კომუნისტი“, 5. VIII. 1984 წ.
4. შ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, ტფ., 1902.
5. კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში: „ეტიუდები“, I, თბ., 1956.
6. კ. კეკელიძე, IV ს. საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე: „ეტიუდები“, VI, თბ., 1960, გვ. 5-17.
7. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981.
8. ო. ყუყუნიძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის

ისტორიისათვის: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970.

9. რ. სირაძე, წერილები, თბ., 1980.
10. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980.

11. Труды высочайше утвержденного вольного общества российской литературы, II, № 5, 1923.

12. „შარდენის მოგზაურობა“ (ფრანგულიდან თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარი მზია მგალობლიშვილისა), თბ., 1975.

13. ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966.

14. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, II, თბ., 1967.

15. შ. ძიძიგური, ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბ., 1981.

16. ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966.

17. ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967.

დასასრული იქნება



რევოლუსიამდელი თბილისის ოსური პერიოდიკა

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთმა საშინლად გააძწავა ურთიერთობა მცირე ერებს შორის. სხვადასხვა ერის წარმომადგენლების ერთმანეთზე წაყიდვის შავნელი პოლიტიკით, ხიშტითა და მუქარით, ძალად ახორციელებდა რუსიფიკაციულ პოლიტიკას. ცარიზმის უღელქვეშ საუკუნეობით იტანებოდა, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთის პროდუქტარიატი, რუსეთის იმპერიაში შეშავალი მრავალი ერი და, მათ შორის, ოსი ხალხიც.

1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გამოადვილა არა მარტო რუსეთის მუშათა კლასი და ხოფლის გლეხობა, არამედ თავისუფლებისაკენ გეზი მისცა და მის მოსაოვებლად ამოქმედდა ვანაპირა მზარეობის მცირერიცხოვან ეროვნებათა რევოლუციურად განწყობილი ჯგუფები. მეფის რუსეთში, რომელიც უღმრთოდ და შეუბრალებლად უხწორდებოდა აჯანყებულ რაზმებს, ვერაფრით ვერ შეძლო აღიკვეთებოდა დაწყნარება, რევოლუციონერთა თავდადებული მოქმედებების ჩახშობა; პირიქით, მათში გაადვილა ეროვნული თავმოყვარეობა, ნაციონალური სულიკვეთება, პატრიოტული შემართება; სწორედ ამის საფუძველზე პროვინციებმა და მსხვილ და სახლებულ პუნქტებში თანდათან იღვიძრება საუკუნეობით მიძინებული ნაციონალური კულტურის დარგობრივი კერები, ეფექტიანად ამოქმედდნენ მოწინავე საზოგადოების მესვეურები, რომლებიც მოფიქრებული და საქმიად გამბედავი ნაბიჯი გადადგეს ხალხის უკეთესი მომავლის საკეთილდღეოდ.

1906 წლის რევოლუციამ, სხვა მცირერიცხოვანი ერების მსგავსად, ოსური კულტურის, ბელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაზეც არსებითად დადებითი ზეგავლენა მოახდინა.

ოსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის კარგად ესმოდა, რომ საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მარჯანიწებელი ძალა ბეჭდვითი სიტყვაა, ყოველდღიური და პერიოდული პრესა, რომელიც გახულ საუკუნეებში, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო ოსეთისათვის მიუწვდომელი იყო. თუმცე საეკლესიო ხასიათის წიგნები ოსურად თარგმნებოდა რუსულადან, ქართულიდან და იბეჭდებოდა არამარტო ოსეთში, არამედ საზღვარგარეთ, მოსკოვში, თბილისსა და ბათუმში.

თბილისში მცხოვრები ოსი ხალხის მოწინავე მოაზროვნენი და საზოგადოების მესვეურები ცდილობდნენ განვითარების სწორი მიმართულება მიეცათ ნაციონალური კულტურის ამ თუ იმ სახეობისათვის, შეეძინათ ქ. თბილისში ოსური კულტურის კერა, ცხადია თვითმპყრობელობის მეფის რუსეთის პოლიტიკა ლეგალურად ამის საშუალებას არ აძლევდა.

ოსი ხალხის რჩეულმა წარმომადგენლებმა 1906 წელს სოფელ ავჯალის მახლობლად, ტრიპლი მინდორში, ერთი უშეგლებელი კაცის ხის ქვეშ ნაღიში გამოართეს. შეკრების მესვეურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ პირველ პლანზე დაეყენებინათ და ძირითადად ის საკითხები გადაეწყვიტათ, რომლებიც დიდი ხანია დღის წესრიგში იდგა. მაგრამ თავაკებმა შეიტყვეს, რომ მათ ნაღიში ესწარებოდა ვინმე უცხო „სტუმარი“. უსწომოდ გამოათრეს შემოგზავნილი საქმისანი და ამის შემდეგ შეუდგნენ აუცილებელი საკითხის განხილვასა და მის გადაჭრას. აირჩიეს საზოგადოების აქტივი, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ: ბიძინა ყოჩიევი, პეტრე თედეევი, ალექსანდრე თბილიოვი, ნიკოლოზ ჭიოევი, ვანო აბაევი, თადეოზ ცხოვრებოვი, დიმიტრი ქოზაევი, ყილიციუ თომაევი და სხვ. საზოგადოების გამგეობაში შედიოდა შნ კაცი. აქტივმა გამოიტანა დადგენილება: ოსური ნაციონალური კულტურის განვითარების საქმისთვის დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას „ოსური საგამომცემლო საზოგადოება“, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწიებს ოსი ხალხის იდეურ-პოლიტიკური დარწმუნების საკითხს და ოსური კულტურის სხვადასხვა საქიბოროტო საკითხებს.

გამგეობის წინაშე პირველ საკითხად იდგა ქ. თბილისში ოსური დაწყებითი კლასების გახსნა, ამ კლასებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა, ოსურ ენაზე ყურნალ-გაზეთების გამოცემა, ლექციების საქარო კითხვა, დრამატული კომედიების ჩამოყალიბება, სახალხო უნივერსიტეტის შექმნა, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება და სხვა.

1908 წლის ოქტომბრის დასაწყისში თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა „ოსური საგამომცემლო საზოგადოების წესდება“. 1908 წლის 10 ოქტომბერს გაზეთი „ავჯანსკია ეინ“ წერდა, რომ ქ. თბილისში დაამტკიცდა „ოსური სა-

გამომცემლო საზოგადოება", რომლის მოვალეობას შეადგენს გაზეთებისა და მცირე მოცულობის წიგნების გამოქვეყნება.

თბილისში მცხოვრები ოსი საზოგადოების წარმომადგენლებმა 1906 წლის პირველ მაისს გაუბრუნებლად სახელზე შეიტანეს განცხადება, სადაც მოითხოვდნენ თბილისში მცხოვრები ოსი მოსახლეობისათვის ოსური გაზეთის დაარსებას. განცხადებაში ნათქვამია: „თბილისში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მოწინავე ინტელიგენციის სურვილია, რათა ქ. თბილისში ოსურ ენაზე იბეჭდებოდეს უკველკერული სასწავლო და ილღად გასაგები პოლიტიკური გაზეთი და ცხოვრების სხვადასხვა საკითხების ამსახველი მცირე ფორმის წიგნები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა: ოს ხალხს გააცნოს ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, სასოფლო-სამეურნეო მრავალფეროვანი მოვლენები“.

გაზეთმა „ისარმა“ დაბეჭდა ცნობა, რომ პირველი მარტიდან „მიიღება ხელის მოწერა ოსურ გაზეთზე „ნოვ ცარდი“ (ახალი ცხოვრება); რომელიც კვირაში ორჯერ გამოვა. გაზეთის ფასი: წლით 4 მან; ნახევარი წლით 2 მან; სამი თვით 1 მ, ერთი თვით 50 კაპ.

წლიურად ხელის მოწერნი წლის დასაწყისს უფასოდ მიიღებენ ოს მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს. ადრესი: ტფილისი, ობრეტიანის ქუჩა № 88; რედაქტორი — გამომცემელი პ. თედეივა“.

გაზეთი „ნოვ ცარდი“ ფორმითა და შინაარსით მტკიცედ იცავდა სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებს. იგი უკველკვარი შეიშინა და მორიდების გარეშე, მედგრადა და შეუპოვარა ილაშქრებდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ამხელდა და ამოთრახებდა ხელისუფლების შავხელს: განზრახვებს, რითაც თავის მკითხველს რაზმავდა იდეურ-პოლიტიკურად, უნერგავდა ბრძოლის სტიმულს.

რევოლუციურად განწყობილ რედაქციის მუშაკებს სწამდათ და სჭეროდათ, რომ მეფის რუსეთის ხელისუფლების უკველი ღონისძიება საზოგადოების საწინააღმდეგოდ არის მიმართული; ამიტომ გაზეთის თითქმის ყველა ნომერში მთავრობის საწინააღმდეგო წერილები და კორესპონდენციები იბეჭდებოდა. გაზეთმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სახელმწიფო სათათბიროზე (დუმაზე); იგი ილაშქრებდა ასეთი სათათბიროების წინააღმდეგ და საზოგადოებას მთელი ხმით ამცნობდა, რომ სახელმწიფო სათათბიროები — პირველიც, მეორეც და მესამეც მხოლოდ ხალხის თვალის აბრევა და მოტყუებაა და სხვა არაფერი. ასეთი კრიტიკული წერილების გაცნობის შემდეგ ოსეთის მუშათა კლასი და სოფლის გლეხობა, მართლაც, სახელმწიფო სათათბიროსაგან კარგს არაფერს მოლოდა.

ამვე გაზეთში იბეჭდებოდა სახელმწიფო

სათათბიროს მინისტრების გამოსვლები და 30 რედაქციის დასკვნები მოხსენებათა გარე. საკითხის ამ ფორმით განხილვა ხელს უწყობდა მოსახლეობის პოლიტიკურად გათვითცნობიერებას.

გაზეთი „ნოვ ცარდი“ აკრიტიკებდა კადეტებს, მემარჯვენეებს და სხვადასხვა ბურჟუაზიულ დაჩუფლებებს.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად აშუქებდნენ ოსი, ქართველი და რუსი მუშათა კლასისა და სოფლის გლეხობის უმწირო მდგომარეობას, რომ „მუშათა კლასი და სოფლის გლეხობა, რომლებსაც ერთი გოჭი მიწა არ გააჩნიათ, ძალაუნებურად მიწის მფლობელებისგან იღებენ მიწის ნაკვეთს დასამუშავებლად, ამუშავებენ, მოპყავთ მისავალი და რაც მოპყავთ, იმისი უმეტესი ნაწილი მიაქვს „თვითონ მიწის მფლობელს“.

„ნოვ ცარდი“ მკითხველებს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ პერიოდისათვის საკმაოდ აღიარებული მწერალი და საზოგადო მოღვაწი, ფურხანისტი და პუბლიცისტი პეტრე თედეივი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში წერდა: „დროა ოსმა მშრომელმა შეიგნოს, ვინ არის მისი მტერი და ვინ არის მისი მოყვარე. მაშინ მეფის მიერ უნადაგო დაპირებების იმედი აღარ ექნებათ და ერთიანი კავშირით, ძმური გაგებით, ვაეკავიარო შემართებით ადამიანის თავისუფლების მოსაპოვებლად მკვარდნილ და აზვირთებულ ტალღებს წუთითაც აღარ ჩამორჩებიან“ („ნოვ ცარდი“, 1907, № 47).

— დაქსაქვ და იბატონე, — ასეთი იყო მეფის მოხელეების დევიზი და ისინიც ამ დევიზს მონდომებით მისდევდნენ. „ნოვ ცარდი“-ს (№ 28) მოწინავე მკითხველს ატყობინებდა, რომ „ვინც მეფის მოხელეების პოლიტიკა იცის, ის უშველდომოდ პირდაპირ იტყვის მის სახელს, ვინც ოსებსა და ქისტებს შორის ციცილის ალი გააღვივა... მაგრამ თვითმპყრობელური ხელისუფლება მეფის დროშოქმული კანონების შენარჩუნებაზე ოცნებობს, მცირე ერებს ერთმანეთს ანოკინებენ“.

მეფის მოხელეების საწინააღმდეგოდ დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი: „ჩვენი სოფლის მოხელეები“ (№ 18), „ვინ არის დამნაშავე“ (№ 48), „როკის ხეობაში“ (№ 57), „ბრძანება“ (№ 47) და სხვა.

ასეთი გამამართლებელი წერილების გამოქვეყნების შემდეგ უშუქმედოდ არ ჩერდებოდნენ თვითონ მეფის მოხელეებიც, თავის დასამართლებელ კორესპონდენციებს აწვდიდნენ გაზეთის რედაქციას. რედაქცია, ცხადია, ზოგს აქვეყნებდა და რომლის გამოქვეყნებაც ვერ შესძლო, იმათ ერთდროულად პასუხი გასცა გაზეთის ნ-ე ნომერში.

გაზეთ „ნოვ ცარდი“-ის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მავნე ადათ-წიგნების წინა-

აღმდეგ მიმართული კორექსონდენციები და წერილები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ხალხმრავალ ქილებზე. ოქაბი, როგორც ღარიბიც არ უნდა ყოფილიყო, უკანასკნელ ხაზარსებო ლუკასაც კი არ იშურებდა მიცვალებულის სახელის მოხსენებლად და დიდ ქილებს მართავდა; მიცვალებულის დამარხვის შემდეგ პირისუფალი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ოსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციამ, აღნიშნული გაზეთის მეშვეობით, მკაცრი პროტესტი გამოუცხადა წიანის მომტანი ადამ-წესების დამცველებს.

გაზეთის ავტორიტიტად დადებითი წევრებიც მოახდინა. სოფლებში აკრძალეს ქილების გადახდა. ვინც ხაზოგადობის დამცველების წინააღმდეგ გამოდიოდა, აქარიშებდნენ.

არანაკლები წიანი მოქმედდა ოსი ხალხისთვის ირადს, ანუ ურვას. ოსი კაცი ურვასი ადების გარეშე ქალიშვილს არ ათხოვებდა და თუ გაათხოვებდა, თანახოფლებული დასცინოდნენ.

გაზეთმა „ნოვ ცარდ“-მა მიწინაღ დაიხაზა ყურადღება გემანუილებინა ამ საკითხზეც. იბეჭდებოდა კორექსონდენციები, ფელტონები, კარიკატურები. ამ წერილებიდან უველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ოსი დრამატურული ქალის, ოსური კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენლის როსა ქუჩისოვას პუბლიცისტურ წერილს „ოს ქალიშვილებს“, რომელიც დაიბეჭდა „ნოვ ცარდის“ № 18-ში. ნიჭიერი ქალი მოუწოდებდა, უფლებებო და ჩავრულ ქალებს ხმა აემაღლებინათ ხაზარელი ადათის წინააღმდეგ. „ქმარა, კმარა, ქალიშვილებო, ამდენი მოთმენა! დროა. ვებრძობო ჩვენც თავისუფლებას! მოვსპობო ურვასის ადათი, ნულარ ვაძღვეთო ჩვენზე — ადამიანებზე ვებრძობის უფლებას, სწორად ამ ადათ-წესმა შეურაცხყო ჩვენი სახელი“. და იქვე: „საკუთარ მამას გაუბედეთ და პირდაპირ უთხარით: მამაჩემო, მე ხომ შენი დეიძლი შეილი ვარ, მამო მონახავით რატომ მყილი“ (გა. „ნოვ ცარდ“. № 18).

ამავე თემაზე გაზეთში ვრცელ წერილებს ათავსებდნენ მწერალი და ხაზოგადო მოღვაწე ილხაზ-დიყო თმენათი, რომელმაც რ. ქოჩისოვას წერილი დადებითად შეფასა და თვითონაც ხასტიად გაილაშქრა დრომოკმული ადათ-წესების დამცველების წინააღმდეგ.

გაზეთ „ნოვ ცარდ“-ის დამხაზურებად უნდა ჩითვალოს ის, რომ მან პირველად შიხს სინათლე აჩვენა კოსტა ხეთაგუროვის იმ ლექსებს, რომლებს დაბეჭდვის უფლებასაც მეფის ცენზურა არ იძლეოდა; — ეს ლექსებია: „ქარისკაცი“, „მოთქმა“, „დათვი და მგელი“ და სხვ.

გაზეთმა დაბეჭდა ოსური პროზის ერთ-ერთი ფუძემდებლის ხეკა გადივის მოთხრობები „იონა“ და „წაღდა“. ამ გაზეთში იბეჭდებოდა თარგმნილი ნაწარმოებები; აღ. უაზბეგის „ინა“ და ანდერსენის მოთხრობა „ჩიტის სიმღერა“.

გაზეთმა თავის გარშემო შემოკრიბა ასობით რაღა ოსი ლიტერატორები ცომაყ გადაყო, გეორგი მალიევი, შამილ აბაევი, დავით ანდრეი გულიევი, რუთენ გაგლოევი, ელბასდუყო ბრიტაევი და სხვები.

გაზეთი „ნოვ ცარდ“ უყურადღებოდ არ ტოვებდა ოსეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, სოფლის მეურნეობას, განათლებას და სწავლა-აღზრდის საკითხებს. აღნიშნული საკითხების გარშემო მანაღას გაზეთის თითქმის ყველა ნომერი შეეხებებოდათ.

თბილისის ოსურმა გაზეთმა „ნოვ ცარდ“-მა ათი თვე იარსება და მოასწრო მხოლოდ 70 ნომრის გამოშვება, მანც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი თავისი თემატიკითა და შინაარსით იყო მტრად პროგრესული იდეების მატარებელი, აქტიურად ებმებოდა ყოველდღიურ აქტიუალურ საკითხებს ოსეთის ყოფა-ცხოვრებინა. თბილისის ოსური გაზეთი ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო ოსი ხალხის ცხოვრების ასახვისა და კულტურის განვითარების სფეროში.

თბილისის ოსური გაზეთის „ნოვ ცარდ“-ს შემდეგ მოწინავე ხაზოგადობის პროგრესულმა წარმომადგენლებმა კვლავ რამდენჯერმე დასვეს საკითხი ზედგამოხორჯარების წინავე გაზეთის გამოცემის თაბაზე, მაგრამ შედეგს ვეღარ მიაღწიეს. ეგრად, 1908 წლის 12 სექტემბერს გაზეთ „მირანში“ ვითხოვლობთ: „ოსური გაზეთი. რ. გაგლოევს აუღია ნებართვა ყოველ-კვირული ოსურ გაზეთის „ვილინდ“-ის (სტივრი) გამოსაცემად“.

გაზეთი შეიძლება გამოიცა კიდევ, მაგრამ ჭრჭერობით მის ჭხა-კვალს ვერ მივაგენით.

ოსური კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი არსენ ბორისის ძე ქოცოევი (1872-1944), მართალია, წარმოშობით ჩრდილო ოსეთიდან იყო, მაგრამ წლების მანძილზე ქსნისა და ლეხურის ბეობაში ცხოვრობდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ოსური სიტყვის ოსტატი 1909 წელს ჩამოღის თბილისში, ჩამოსვლისთანავე უკავშირებდა თბილისში მცხოვრებ ოს ინტელიგენციას, თბილისის „ოსურ ხავამოცემლო ხაზოგადობას“. ხაზოგადობამ მას დაავალა, ოსი ინტელიგენციის სახელეთ დაეწერა მოთხროვნა თბილისის გუბერნატორისადმი, რათა ნება დაეროთ ოსურ ენაზე გაზეთის ან თურნალის გამოცემისა. ა. ქოცოევმა დაუყოვნებლივ დაწერა ასეთი მოთხოვნა. უფრო მიწაშეწონილად მიიჩნია თურნალი და განცხადებით მოითხოვა თურნალის გამოცემის უფლება.

ამის შესახებ თბილისის გუბერნატორი ატყობინებს წერილობით ბეჭდვით საქმეების მთავარ მმართველს: „Сам от себя разрешил Коцюеву издавать журнал «Афсир» по следующей программе: 1) руководящие

статья, 2) стихотворения, новеллы, рассказы, 3) статьи научного содержания, статьи по вопросам общественным, политико-экономическим, сельского хозяйства и гигиены, 5) хроника, 6) обзор печати, 7) смесь, 8) библиография, 9) объявления» (ЦГИА Груз. ССР, ф. 3115, ез. хр. 192, п. 3).

ეურნაღ „აფხირმა“ („თავთავი“), იარსება მხოლოდ სამი თვე, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მოასწრო თავის გარშემო შექოეკრება ოსი ლიტერატორები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები და თავისებური დახმარება აღმოჩინა მათთვის. ამ ეურნაღში დაიბეღა ოსური კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლების: მისი რედაქტორის არსენ ქოცოევის, დავით ყოროევის, ხოს თლათოვის, ეუმი გულიევის, თათა რამონოვის, ელბაზდუყო თმენოვის და სხვათა ნაწარმოებები.

ეურნაღის ტირაჟი დასაწყისში მხოლოდ 800 ეგზემპლარი იყო, შემდეგში მკითხველთა თხოვნით ეურნაღის ტირაჟი გაიზარდა 600 ეგზემპლარამდე. გამოვიდა ეურნაღის მხოლოდ 14 ნომერი, მისი დახურვის მიზეზი დადგენილი არ არის;

ეურნაღის რედაქტორი არსენ ქოცოევი მეფის მოხელეებმა აიძულეს ბოლო მეთოთხმეტი ნომრის მოწინავეში დაეწერა გამაფრთხილებელი წერილი ამის შესახებ, რომ თითქოს თბილისში ოსი სასოთამწყოებები არ არიან და ამის გამო ეურნაღის გამოსვლა დროებით შეწყდება. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად ამ ათი წლის წინ შეგვხვდი ეურნაღ „აფხირის“ თანამედროვეებს ვასილი გიორგის ძე ცაბაევი და გიორგი ბესარიონის ძე ჯიოევი, რომლებმაც გადმოამცეს, რომ ეურნაღს სტამბის კარგად მცოდნე მუშაკები დამსახურებულნიენ. ესენი იყვნენ ნიყო დიმიტრი ქოწათები. დიმიტრიმ ბოლო წლებში ქალაქი მიატოვა და სოფლად გადასახლდა საცხოვრებლად. მაგრამ ნიყო ქოწათიმ იმ სტამბაში, სადაც ოსური ეურნაღი გამოდიოდა, 1920 წლამდე იმუშავა.

თბილისის ოსური ეურნაღის გამოჩენა დიდი მოვლენა იყო რევოლუციამდელი პერიოდის ოსეთის კულტურის სფეროში. აკი ეურნაღის პირველი ნომრის მოწინავეში რედაქციაც პირდებოდა ოს ხალხს, რომ ეურნაღში გაშუქებული იქნებოდა ოსეთის ყოფაცხოვრების თითქმის ყველა აქტუალური საკითხი, რომ მთავრობამ ნება მისცათ გაჭეუთის ან ეურნაღის დაარსებისა და თბილისის ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ ეურნაღის დაარსება იჩინა, ამის გამო ეურნაღმა „აფხირმა“ ოს მკითხველს გაჭეუთის მაგაერობაც უნდა გაუწიოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილს მკითხველი დიდი აღკაცებით

არ შეხვედრია, ვინაიდან იგი ლიბერალური ხასიათისა იყო. რედაქცია მკითხველებს ამცნობდა, რომ ეურნაღი არც ერთ პარტიატემბრობა, რომ იგი დაიტერებებოდა მხოლოდ ეროვნული საკითხებით. ვფიქრობთ, ეურნაღის გაუქმების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მისი ლიბერალობაც უნდა იყოს.

მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ ეურნაღში ხშირად იბეჭდებოდა პროგრესული იდეებით გამსჭვალული სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებები, რითაც იგი ბევრად მაღლა იდგა მის წინამორბედე პირველ ოსურ ეურნაღ „ზონდ“-ზე („ქუჯა“), რომელიც ვლადიკავკაზში გამოდიოდა.

ეურნაღმა მიწინაღ დაისახა მხარში ამოღამოდა სოფლის გლეხობას და სათნადო კონსულტაციები ეწია, რათა როგორმე შეემსუბუქებინა მათი აუტანელი მდომარეობა. ეურნაღის სოფლის მეურნეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა თბილისელი ოსი სწავლული, აგრონომი თათა რამონოვი, რომელმაც ამ საკითხებზე ეურნაღში რამოდენიმე ვრცელი წერილი დაბეჭდა („ბალი“ №8, „მიწ“ №18, „მეწობა“ №8).

ეურნაღის ძირითადი დანიშნულება მაინც მხატვრული ნაწარმოებების ბეჭედა იყო. ეურნაღში გამოქვეყნდა არ. ქოცოევის „გიგოს აღდგომა“, „ხანიფა“, ხოს თლათოვის თქმულება „ივის ეულოდება ქვეყნის ლამაზი ასული“ (№ 1), ეუმი გულიევის მოთხრობა „წიგნი“ (№11), ელბაზდუყო თმენოვის მოთხრობა „მუთისმჭამელი“, გაგუფ გურიევის ლექსი „კოსტა“, ლენა ქოცოევის მოთხრობა „მძიმე შრომა“, „აფხირმა“ დაბეჭდა ოსურად თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები: ლ. ნ. ტალსტოის მოთხრობა „მხოლოდ ერთი დღის ბუჯა“, მისივე „სიმართლე არ იკარგება“, ვ. ბარნოვის მოთხრობა „ხანის შვილი“, ა. ყაზბეგის „ბერდია“.

ეურნაღ „აფხირს“ დიდი წვლილი მიუძღვის ოსური ლიტერატურის კრიტიკის დასახამის დასადგენად, ვინაიდან ოსურ ენაზე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პირველად ამ ეურნაღის ფურცლებზე დაიბეჭდა. მაგალითად, ეურნაღის №11 გამოქვეყნდა გაგლოითის რეცენზია, სადაც განხილულია სტეფანე მამითათის მიერ ბათუმში გამოცემული ოსური დაწყებითი კლასების სასწავლო წიგნი. რეცენზიები დაბეჭდეს აგრეთვე გიორგი ცაგოლოვმა, არსენ ქოცოევიმ, ალექსანდრე თბილისოვმა და სხვა ავტორებმა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციამდელი პერიოდის თბილისის ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ და თბილისის ოსურმა პერიოდიკამ დიდი სამსახური გაუწია ოსურ კულტურას, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას.

ბუჟან ნამიჭეიშვილი

„პრბლ დაკვირდით პრბანოს, აღამინგო!“

სიტყვებით, წერილის სათაურად რომ გამოვიტანეთ, ამთავრებს თეიმურაზ ლანჩავა ნახევარწლისაა „სიწმარეთი იღვიძებს,“ რომელიც შესულია მწერლის წიგნში „ვილაც იძახდა ჭიჭარათან“. ამ ნახევარწლის გარდა წიგნში კიდევ 18 მოთხრობაა. რამდენიმე მოთხრობა ერთ რკალშია მოქცეული, დანარჩენი ცალკე დგას და თითქოს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან, მაგრამ წიგნს ერთი საერთო დასაურდენი მინც აქვთ — ეს არის ავტორის უდავო ნიჭიერება, რაშიც მკითხველს თვითონვე დარწმუნდება წიგნის გაცნობისას.

მოთხრობები „ვასო ჭლიკაძის შუადღე,“ „ვილაც იძახდა ჭიჭარათან“ და, მეორეს მხრივ „ჭინკა“ და „სიწმარეთი იღვიძებს“ ნათლად აღსატურებენ წემოთქმულს.

„ვასო ჭლიკაძის შუადღე“-ში ავტორმა კარგად დაგვანახა ერთი არცთუ ნიჭიერი შემოქმედის ცხოვრება, რომელსაც ენ-ესაა საიუბილეო თარიღი უსრულდება და სურს ახლა მინც გამოიჩინოს რამეთი თავი, ქვეყანას შეახსენოს თავისი არსებობა, მაგრამ იგი მთელი მისი ნამოქმედარით ხალხის თვალში უფრო უსუსური და სასაცილო ჩნდება: „12 საათსა და 10 წუთზე, როდესაც სტუმრები ეზოში გამოეფინენ და სავსე მთვარის შუქზე იქაურობა თავიანთი ლანდებით აპირდეს, ვასო ჭლიკაძე უკვე 50 წელს გადაცილებული იყო, სინანულით დასჩერებოდა თავის ჩრდილს და გრძნობდა, რა უმწეო და უსუსური ჩანდა იგი ამოდენა მთვარის ქვეშ“.

სულ სხვა, გამორჩეული ოსტატობით გადმოგვცა სათქმელი მწერალმა მოთხრობაში „ჭინკა“. მოთხრობა იწყება გიორგიობისთვის წვიმიანი საღამოს აღწერით.

საწოდზე გაშოკილ კაცს, რომლის სახელსა და გვარს ავტორი არ აკონკრეტებს, თავზე

დაადგება ჭინკა. მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს რომ ამ ჭინკას ერთხელ უკვე უცდუნებია კაცი, უზიარებია უდარდელი ცხოვრებისათვის, ჩაუფლავს მეშინაობის ჭაობში, ციხეშიც მჭდარა. მოთხრობის გმირი ვერ გამოდგა პრინციპული და გამბედავი, კვლავ ჭინკას ცდუნებას აბუჯა და ისევ გადაეშვა უსინდისობის და გარყვნილების მორევში.

- „იარე — უბრძანა ჭინკამ.
- შეძინება! — დამთქანარა კაცმა.
- თვალდახუჭულმა იარე!
- ვერ შევძლებ, — კიდევ დამთქანარა კაცმა.
- მთელი შენი ცხოვრება ეგრე თვალდახუჭული დადიოდი და ახლა ვეღარ შეძლებ? —
- კისერზე მოაქდა ჭინკა.
- დავილაღე, ძალიან დავილაღე — გული ამოუქდა კაცს.“

ამ დილოგიდან კარგად ჩანს, რომ კაცმა რომელმაც ერთხელ უკვე მიშყიდა სული დაუნდობელ ჭინკას, დაჰკარგა ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი, ამიტომ იძულებულია იმავე ჭინკას ნება-სურვილზე იაროს, რაც მის დაღუპვას მოასწავებს. მწერალმა დაგვანახა, რომ საზოგადოებას არ ჭირდება მერყევი და უნებისყოფო აღამინება.

„— ჭინკააა!.. — იღრიალა კაცმა და გამოუდგა. ნელ-ნელა ეცლებოდა ძალა, გრძნობდა, როგორ ჩხვლიტდნენ ფეხის გულელებში ძალები, ეკარებოდა მთელი სხეული. წვეთ-წვეთობით უნანდა სისხლი მისი სხეულიდან, მინც ვარბოდა უკან მოუხედავად, ტივილიებით სავსე, ყველასაგან მიტოვებული“.

მიგვანია, რომ ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესოა მწერლის შემოქმედებაში. ერთი შეხედვით თითქოს პატარა და უპრეტენზიო ნოველაში „სტუმრები“ მწერალმა ხა-

ტოვნად დაგვიხატა ის განუკითხობა, რომელიც ზოგჯერ თან სდებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფას.

მოქმედება ხდება ერთ პატარა სოფელში, სადაც სტუმრად ჩამოდინა ვითომდა „დღივადამიანები“. მათ ჩამოსვლას მთელი სოფლის სარჩო-საბადებელი ეწირება. საქმეს ცდებმა უამრავი ადამიანი, რომლებმაც ხეირიანად არც კი იციან, ვის მასპინძლობენ. მოთხრობის ბოლოს ისიც ირკვევა, თურმე სოფლის ხელმძღვანელობაც არ ცოდნია რიგაინად, ვის შეიძლება ამდენი დრო და, ენერჯია, ვისთვის დააყარიელეს სოფელი მთელი ორი დღის განმავლობაში მუშა ხელისაგან. მოთხრობა მთავრდება სხარტად და ლაკონურად, ფინალში ნათლად ჩანს მთელი მოთხრობის დედააზრი.

„... რვა რა მატირებს, ვინ ვარ მე და რამ გავგუო ჩვენ, ერთი მუტა ქართველები, შენი სატირალი ვითომ მარტო შენ გეკუთვნის?“ — ასე ამთავრებს მოთხრობას „გასაკირი“ თეიმურაზ ლანჩავა. ამ მოთხრობის მთავარი გმირი პეტრე მაჩაღაძე საინტერესო და სამაგალითო კაცია მთელი თავისი ცხოვრებით. შას, როგორც გამოცდილს, რომელსაც მისაღები გამოცდების დროს მცირე მოვალეობა დააკისრეს, ამ საქმით ფულის შოვნა და კარიერის შექმნა კი არ განუზრახავს, სურს კაცურად, სუფთა ხელებით დავებაროს კაცს, რომელსაც გადაუწყვეტია შვილი უმაღლესში მოაწყოს, შორეული მთიანი სოფლიდან გუდანაბადი აუკრავს და უკან ვეღარ დაბრუნდება შერცხვენილი, თუ თავის მიზანს ვერ მიაღწევს... საჩუქარს კი, რომელიც აღექვანდრე ჩართოლანმა მიართვა, პეტრე სხვას ჩუქნის, რათა თავის სინდისთან მართალი იყოს.

დავუბრუნდეთ ნახევარზღაპარს „სიზმარითი იღვიძებს“. ვფიქრობ ეს ნაწარმოები იმის კარგი ნიმუშია, თუ როგორ უნდა იბრძოლოს მწერალმა ე. წ. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

„... ვისაც ანგელოსის ფრთები აქვს და მიწიერი ცოდვა არ ამძიმებს, ყველაფერს უპატრონებს, — წაიჩიფრიფა მულღებზე დაცემულმა, წვირ-გაბანჯგულულმა საყდრის მოციქულმა და პირჭვარი გადაიწერა...“

თეიმურაზ ლანჩავს მოთხრობებს აქვს მახვილგონივრული სიუჟეტური ქარგა, რის გამოც, როცა ამ რვაფორმიანი წიგნის კითხვას ამთავრებ, გეუფლება განცდა იმისა, თითქოსდა ერთი ვრცელი რომანი წაგეკითხოს. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს „თბილი დღის“ „ძველი ამბავის“, „ცხვარის“, „უსწონის“ და სხვა ნაწარმოებთა შინაარსი.

„თბილ დღეში“ საინტერესოადა დახატული სამი სხვადასხვა პროფესიის ადამიანის შეხვედრა. ისინი ერთმა ჩვეულებრივმა დღემ და-

კავშირა და გაცნო ერთმანეთს. არქიფო მუქელაძე თერძია და რჩაინად ამ დღითი გულმოსული იმიტომ გამოსულა, რომ ცოდნისა და შინაბერა ცოდნისდებს მისი ხელობის ერთადერთი ნიმუში — ბოზობი, მის დაუკითხვად დაუჭირებდა და თავიანთი პალტოებისთვის შემოუყოლებოდა. მოთხრობის მეორე პერსონაჟი ნესტორ კინტრაძე გეოლოგია. ნესტორი მეოცნებე, თავის საქმეზე შეუვარებული კაცია, ერის მოყვარული და მოჭირანხული, იგი ეს-ესა ბრუნდება რომელიაღაც რაიონიდან და ტაქის რიგში ეცნობა არქიფო მიქელაძეს. განსაკუთრებით საინტერესოა ანის წიგნის დახატული გურამის სახე. იგი ის ახალგაზრდა კაცია, რომელმაც თავისებურად გაილაშქრაჭერ კიდევ არსებული უსამართლობის, მეშინაობის წინააღმდეგ. მან დღისით, მზისით ააფეთქა მომჭივებელია და ცნობილი მექრთამის ძეგლი, რისთვისაც სახელი მოიხდა და სწორედ დღეს ბრუნდება ციხიდან. ამ სამი პერსონების გაცნობა, ცოტა არ იყოს, უხერხული ვითარებით კი დიწყო, მაგრამ პატარა ბავშვის საფლავმა სამივეს შეახსენა, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს სიკვდილი, რომელიც ყველას კართან არის ატუსული, ამიტომ ადამიანებმა უბრალო არამეზე დავიფარება და ჩხუბი კი არ უნდა აუტეზონ ერთმანეთს, არამედ ხელიხელს ჩაჰკიდონ და კაცურად განვლონ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელი.

„...თითოეული ჩვენგანი სიკვდილმა შეგვაშინა და დაგვაახლოვა. იმ პატარა საფლავმა სამუდამოდ დაგვიკარგა ფრენის ხალისი და მიწას მივაჯაჭვა. იმიტომ ჩავჭიდეთ ასე ძლიერ ერთმანეთს ხელი, რადაცასი შეგვეშინა და ჩავებლაუქეთ ურთიერთს, თითქოს, ვიდაც უხილავმა იქითენ მოგვიდომა გადაბირება, ჩავებლაუქეთ და გავამაგრეთ ერთმანეთი. ბავშვი, რომელმაც ფრენა მოინდომა, უხილავ ძალად ჩადა ჩვენს შორის, ჩადა და მივიწყებულნი ის გავახსენა, რისიც ასე ძლიერ გვეშინია ყველა ჩვენთაგანს...“

ვრცელ მოთხრობაში „ძველი ამბავი“ (სტუდენტური რვეულიდან) ნათლადაა ასახული ბრძოლა ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ; მუშნი შეწირული წინ აღუდგა განუკითხობას, რომელიც თითქმის ყველგან იყო გამეფებული და მათ შორის, იმ ინსტიტუტშიც, სადაც შეწირული სწავლობდა.

...ინსტიტუტიდან გარცხული შეწირული ნავის მანქანაზე იწყებს მეშობას. მკითხველს პირველად უცნაურად ეჩვენება მისი ეს მოქმედება, ისევე, როგორც უცნაურობად მიიჩნევის მეგობრის. საქციელს ყოფილი თანაკურსელი ავთანდილ გოკიელი:

„... მუშაობა დავიწყე, — ამოიღულდულა მუშნიმ.

— მუშაობა?..

— მო!

— ასე უცებ?

— დიახ, ნავვის მანქანაზე, — ირონიულად ჩაიღიმა მუშინი.

— რაო? — სახეზე აღფრთობდა დაეტყო გოციელი.

— ძალიან საინტერესოა!

— რაა, ბიჭო, საინტერესოა! — ისე იუვირა ავთანდილმა, თითქოს მუშინიმ პეშვით ნაგავი ცხვირთან მიუტანა და სახეში უნდა შეაყაროსო.

— ასეა, — უღარდელი კაცის ტონით თქვა მუშინი.

შერე გოციელი იმუნჯივით იჭდა, მუშინი კი ჰყვებოდა:

„— გამორბიან დიდები, პატარები, სახლებიდან და ეწოებიდან, გამოაქვთ ის რაც ზედმეტია, მოძველებულია, რაც აღარ გამოდგება, აყრიან მანქანებზე, იფერთხავენ ხელებს, წინსაფრებს და უხარიათ, რომ თავიანთი ჰუჭუი მოიცილებს და ვიღაცას ვაატანეს. იმაზე არ ფიქრობენ, მოვალე იყო თუ არა ის კაცი ვინც მათი ნაგავი გაიტანა, მთავარია, რომ თვითონ მოიცილებს“.

...მკითხველი თანდათან რწმუნდება, რომ შეწირულის ყველა მოქმედება სამართლიანია. მართალია, იგი ხშირად აწყდება წინააღმდეგობებს, მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვებს; მოთხრობის დასასრულს ჩვენ ვხედავთ გამარჯვებულ მუშინი შეწირულს, რომელმაც თავისი მოქმედებით დაარწმუნა ცირა, რომ იმ გზით სიარული, რომლითაც იგი აქამდე დადიოდა, არ შეიძლება. ცირა ჭაიანმა ბოლოს და ბოლოს ირგანო ფასი ნამდვილი სიყვარულისა, იგი გვერდში ამოუდგა მუშინი შეწირულს და გადაწყვიტა იცხოვროს მომხიბვლელი სიღარიბით“.

„ენგურის მშენებლობისაკენ მიმავალ ავტომანქანას მუშინიმ ხელი აუწია, შოფერმა სწრაფადვე დაამუხრუჭა მანქანა და თავაწიანად ჰყითხა:

— საით?

— იქით, ძმობილო, იქით, საიდანაც სინათლის შუქმა უნდა იდინოს, — შეაგება შეწირულმა და ცირას მანქანის კაბინაში შესვლაზე მიუშველა“.

„ცხვარი“ — ეს მშვენიერი მოთხრობა გოგი ქავთარაძეს ეძღვნება. მკითხველს დიდხანს ემახსოვრება ოდელია ბურკაძე და მისი ოთხფეხი თანამგზავრი.

„უცნობში“ მწერალმა დიდი ტკივილით გადმოგვცა იმ ადამიანის განცდები, ვისაც მშობლიურ სოფელთან მისასვლელი გზები მოჭრილი აქვს.

მოთხრობის დასასრულს გიორგიმ, როგორც იქნა, მიაგნო პაპის საფლავს:

„საფლავის თავთან დადგმული ეკლარის ქვა შუაზე გაებზარა ქარსა და ყინვას, წვიმასა და თოვლს ყველაფერი ამოეშალა იმ ქვისაგან გარდა სახელისა...“

საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, იგივე სახელი ერქვა თვითონაც და ახლა მივიწყებული საფლავის წინ გაშეშებული იმ უთაროლო და უგვაროდ დარჩენილ ქვას დამსგავსებოდა საკუთარ მამულში რომ ბედის ანაბარად მიატოვებს“.

თეიმურაზ ლანჩავას მოთხრობები იმის კარგის ნიმუშია, თუ როგორ უნდა იბრძოდეს მწერალი ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

„რატომ ვფასებ მე თეიმურაზ ლანჩავას როგორც მწერალს? ვფასებ იმიტომ, რომ იგი ცხოვრებას უყურებს მწერლის თვალით!“ — ბრძანა ერთხელ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების საარჩევნო კონფერენციაზე, ბატონმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ.

მკითხველსაც იმიტომ უყვარს თეიმურაზ ლანჩავა, რომ იგი ცხოვრებას მწერლის თვალით უყურებს!

იგი წერს იმიტომ, რომ ადამიანი ხვალ უკეთესი იყოს!



სოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

მაცკალა გონაშვილი დაიბადა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა. 1982 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1985 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული „უაყაჩოების კოცონი“.

მუშაობს ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარ რედაქციაში რედაქტორად.

გეშან ნაშივიშვილი დაიბადა 1951 წელს ვანის რაიონში, სოფელ ზედა ვანში. 1977 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ამჟამად მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების კონსულტანტად.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი : მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 7. 01. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 03. 86 წ. ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შექვ. 35. უე 04563. ტირაჟი 60.000.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.

63/50



ფანდი 60 კპპ.

0542360 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ